

ქვირის პალიტრა

# პეპსი

33(62) 16/VIII.-22/VIII.2001. ფასი 60 თ.

1168  
2001



19

„გვანცა  
შერგელაშვილი  
იმ მძივ  
წამებში თავის  
სიყვარულს იტავდა“



ჩი-1h  
96-5h

**რატომ არ ინუებს  
აკაკი გოგინაიშვილი  
გიორგი სანაიას  
ეკვლევების გაშედეგებას**



**ანტიკორუფციონერთა  
სრდლის ჯივის  
საიდუმლოება**

**დათო თძელაშვილი:**

**რასაც ვუკრავ, პროფესიონალსაც მოსძონს  
და არაპროფესიონალსაც. მე მგონი,  
ყრუების არ არიან გულბრილნი...**

**გვ.15**



**მინიატურები**

„ღმერთივით ბიჭები“  
მეტროთი ლაღია 3

**ტრაგედია**

„გვანცა შერბელაშვილი  
იმ მძიმე წამებში  
თავის სიყვარულს ინავდა“ 4

**კოლაჟი**

რატომ არ იწყებს აკაკი  
გოგიანიშვილი ბიორები სანაიას  
მკვლელობის გაშრობებას 7

**სადღესასწაულო**

კორუფციასთან. ბრძოლის  
სარდალმა კვირალ ღირებული  
მანქანა ხელს „გამოაყოლა“... 10

**ოსტატი**

ოსტალები თითო თონებში თითო  
ავტომობილს გააქვებენ... 12

**ტალანტი**

ნებისმიერი ქართული ნაწარმოები  
შეიძლება გააჩაგრო... 15

**იღუპალი მტკვარი**

გამორიყული ახალშობილი  
გოგონას გვამი მეთევზეებმა  
მიწას მიაბარეს 18

**ფასტი**

ერთგული მკითხველი 20

**შეჩერებული წამი**

„კაზებუს“ კოლქოვნიკი  
უჩანეობილი 21

**კრიმინალი**

„მეგონა, შინ ავადმყოფები  
შევიყვანა, თურმე ყანალები  
ყოფილან“ – ჰყვება  
დაგარალებული ექიმი 22

**აღაზიანი**

ხანმოკლე იყო მათი  
გულწრფეობა, 60 წელი კი  
მოლოდინეში გაიღია... 24

**ანტიდეპრესანტი**

ინფორმაციულ-შედეგებითი  
კოლაჟი გონა ღვალის  
უბის წიგნაკიდან 26

**ნამდვილი აგაკვი**

უნიტაგში ჩარეხილი „სიურპრიზი“,  
ანუ „ჩემი ოქრო – ჩემთან“ 26

**ნარსულს ანაბაქი**

მუშტი-კრივის მოყვარული  
ვაჟა-ფშაველა 28

**სასარგებლო აზრები**

აფორიზმების ენციკლოპედია 30

**ფსიქოლოგიური თამაჟი**

მიხვანე შენი ფრხილები... 31

**საფარო**

სასურარო კოსტიუმი – ქალის  
ღირსების წარმოჩენის საშუალება 32

**რატომ არ იწყებს აკაკი გოგიანიშვილი ბიორები სანაიას მკვლელობის გაშრობებას**




...ძალიან ვწუხვარ, რომ გიორგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ამის გაკეთება ვერ მოვასწარი. იყო რაღაც, რაც ვერც ერთმა ვერ გადავლახეთ. ეს სინანულის გრძობა ძალიან მაწუხებს და არ მომასვენებს მანამ, სანამ სანაიას მკვლელობის საქმეს არ გავხსნით.

7

**სამტრინო კონტრაქტი – „გათვლილი“ გედნიერება**

პრაგმატიკულობის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ბარბრა სტრაიზანდის მოქმედება: ქმართან საქორწინო კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, გაყრის შემთხვევაში, ქმარყოფილი ერთდროულად 1 მლნ დოლარსა და შემდეგ, წელიწადში 32 ათას დოლარს მიიღებს.



36

**„მეგონა, შინ ავადმყოფები შევიყვანა, თურმე ყანალები ყოფილან“**



სადამოს 6 საათისთვის, თბილისში, თარხნიშვილის ქუჩაზე მცხოვრები, საკმაოდ ცნობილი ექიმის სახლში გარის ხმა გაისმა. რამდენიმე წუთში უცნობები ექიმს და იქ მყოფ დანარჩენ პირებს იარაღით დაემუქრნენ და უბრძანეს – ხმა არ ამოიღოთ!

22

**მუშტი-კრივის მოყვარული ვაჟა-ფშაველა**

„ძალიან უნდა მომეწადინა და გამებედნა, რადგან 20-25 კაცი გვესოდა და მართლაც ბევრს ვაღინე ცხვირ-პირიდან სისხლი, ბევრს შუბლზე კოკი დავასვი, მაგრამ რადგან ისინი ძალიან ბევრი იყვნენ, ჩვენ დადლილობა დაგვეტყო.“



28

**წინდაწინ**

ეროვნებით სვარსი, სჯულით  
მართლმადიდებელი,  
ქართველთათვის წამებული 34

**საგანგებო**

ჯიხვის ყანწვი  
ჩამალული „ლომი“ 35

**სწავლა**

საქორწინო კონტრაქტი –  
„გათვლილი“ გელნიერება 36

**ანთვლია**

საგარელო მკვლევობა  
სააბაგანოში 38

**პარსკვლავი**

პატრისია არკები: ჩხუბისა  
და კალაღობის თამაშს ჩემი  
სხეული ეწინააღმდეგება 40

**ესაიჯები**

თითო ტომი რომ ჩავარტყა  
თითო არაკანს, ხომ  
გავისტუმრებ საიქიოსო... 43

**რომანი**

გუსიკ კეკელიძე. ქალი-ობობა 46

**პეტე**

50

**ჯანმრთელობა**

- ტეტიანუსი 52
- თქვენი პატარა – დისლექსია 52
- სამკურნალო მცენარეები –  
ქოლო 53
- კითხვა-პასუხი 54
- ღიასახლისის კუთხე 55

**სივილიზაცია**

პირველი პროთეზის ავტორი  
დალაქი ყოფილა 56

**ქვანი**

საგლაური ანუ ამერიკის  
ერთ-ერთი ყველაზე  
საანდალური საოჯახო პროცესი 57

**ჰიპოტორია**

დაისვენეთ, გაერთეთ, ივარჯიშეთ! 60

**საწვორდი**

61

**პროსოპოია**

პვირის (20-26 აგვისტო)  
ასტროლოგიური პროგნოზი 62

**ტანტი**

შეგიძლიათ თუ არა  
სიმართლის მოსმენა? 63

**კალენდრული**

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

# პორუგნიასთან ბრძოლის სარდალა კვირად ღირებულნი მანქანა ხელს „გამოაყოლა“...



რა შედეგი მოჰყვება სააკაშვილის განცხადებას? არანაირი! კი, ბაგონო, თუციცალურად ჩვენც ვაცხადებთ, რომ 300 ლარიანი ხელფასით ვერც ქუთათელაძე და ვერც ჩხარგიშვილი ვერ ააშენებდნენ იმ სასახლეებს, მაგრამ მერე რა?!

10


# ისრაელში თითო თონეში თითო ავტომობილს გაკლავდნენ...

აეროპორტში ჩხრევის შემდეგ ლაზერული სხივის ქვეშ რომ გავიარე, წითელი ნათურა აინთო, დაცვამ მკითხა: რა გაქვსო? მხოლოდ იარაღი-მეთქი, – ვუპასუხე. მაშინვე მოიმარჯვეს ავტომატები. ატყდა ერთი ალიაქოთი, შიშის ფეთხებით გახსნეს ჩემი ჩემოდანი და სახცად დარჩნენ.



12

# პატრისია არკები: ჩხუბისა და კალაღობის თამაშს ჩემი სხეული ეწინააღმდეგება



პატრისია როლის შერჩევისას საკმოდ პრეგენზიულია, არ შეუძლია ძალადობისა და ჩხუბის სცენების შესრულება. თუ მაინც მოუწევს ამის კეთება, შემდეგ თურმე, ძალდატანებისაგან რამდენიმე დღის მანძილზე მთელი სხეული სტკივა.

40

# ქართული - თბობა

სამი წლის შემდეგ, ბინიდან ვერაფერსაც ვერ მოგთხოვს, ხანდაზმულობის ვადა გასული იქნება, ასე რომ, რამენაირად ეს გამთარიც ვადაავორე, მერე წიხლი ჰკარი და ააცმევიწე. მართლა, ბინა ხომ მარტო შენს სახელზეა პრივატიზებული?




46

**გარეკანზე: გიორგი შურაღლიანის კოლაჟი**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურაღლიანი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, სუბშაბათობით  
გაზეთ „კვირის კალიტრის“ დამატება  
შურაღლიანი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი  
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32  
შურაღლიანი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

# „ღმერთი იყო ნიჭენი“ მეცხროთი დადასნ



საჭირო, საჭირო კი არა, – აუცილებელი ინიციატივით გამოვიდა იუსტიციის მინისტრი! მოსწყინდა კაცს მეტროთი სიარული და „ზრუშოვკაში“ ცხოვრება, როდესაც სხვები საკუთარი სასახლეების სახურავებიდან, საკუთარი თვითმფრინავებით მიფრინავენ „სამსახურში“!

– „ბოლშევიკი“, „გამკულაკებელი“, „ჩეკისტების ნაბიჭვარი“... – ეს ახალგაზრდა მინისტრისათვის მისი თბონენტებისაგან გამეტებული ეპითეტებია. არადა, ბევრი მათგანი თვითონ არის ყოფილი ბოლშევიკიც, ყოფილი გამკულაკებელიც, ყოფილი ჩეკისტიც და ყოფილი ნაბიჭვარიც (თუმცა ნაბიჭვრობას დრო ვერ კურნავს და სიტყვა „ყოფილი“ იქნებ უადგილოც იყოს).

მეც მყავდა ბავშვობაში ასეთი სიმართლის მოყვარული თანაკლასელი – მაშინ კარგი დრო იყო, ყველა „კარგად“, რაც მთავარია – ერთნაირად ცხოვრობდა და ეს ყველაფერში გამოიხატებოდა, მათ შორის ჩაცმა-დახურვასა და ჭამა-სმამში. ცხდია, ეს სკოლასაც ეხებოდა და ამიტომ ყველას სასკოლო ფორმით უნდა გვევლო და სკოლის ბუფეტში უნდა გვეჭამა ათკაპიკიანი კატლეტები, რომელსაც, გასაგები მიზეზების გამო, „პურტლეტებს“ ვეძახდით. თუმცა, ზოგიერთი ჩვენგანი ხანდახან მაინც მოდიოდა



მაგრამ ერთი-ორი ჩემი მეგობარი რამდენჯერმე უშარვლოდ დაბრუნდა შინ. მართალია, ამის შემდეგ ჩვენი მიშიკო სამი-ოთხი დღე სკოლაში ვერ მოდიოდა არა შიშის, არამედ მრავალმხრივი დაფეხილობის გამო, მაგრამ საკუთარი მისია ღრმად ჰქონდა შეგნებული და სიძნელებს არ ეპუებოდა...

ასე გაგრძელდა დაახლოებით მერვე კლასამდე. შემდეგ კი, ჩვენი მიშიკოს მამა თბილისთან ახლოს მდებარე ერთი უდიდესი მეურნეობის დირექტორად დანიშნეს!!! ჰოდა, მისი საამაყო ვაჟიც „დამსახურებულ პენსიაზე“ გავიდა – სიმართლის სიყვარულსაც მოტივაცია სჭირდება. ამ „დამსახურებაში“, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მამიკოს მიერ ჯერ კიდევ სკოლის დამთავრებამდე ნაჩუქარი „ნოლ-შესტიც“ შედიოდა (თავის „მატორზე“), რომელმაც, პატრონის ნების საწინააღმდეგოდ, დიდი სამსახური გაუწია უბნის ბიჭებს და საბოლოოდ მათვე ემსხვერპლა...

დაბოლოს, ყველაზე მთავარი (მაგისნაირი ვიყო, თუ ვტყუოდე): „ის“ მიშიკო „ამ“ მიშიკოსთან მუშაობს იუსტიციის სამინისტროში და ძალიან ამაყობს თავისი მინისტრით (მამამისი ჯერ კიდევ კომუნისტების დროს მოხსნეს, თანაც ისე მოულოდნელად, რომ „თავისი“ მეურნეობიდან ვერაფერი შეირგო. ამიტომ მის შვილიკოს ისევე „პატიოსნება“ შეეყარა) და სიხარულისგან ბავშვივით ჭყლოპინებდა, როდესაც ტელევიზორში მთავრობის სხდომის კადრებს უყურებდა...

P.S. მიხელი ებრაული სახელია და ძველებრაულად ღვთის სწორს, ღვთაებრივს ნიშნავს. სიტყვასიტყვით – „ვინც ღმერთივით არის“!

ღმერთი კი, სანამ ღმერთად აღიარებდნენ, ჯვარს აცვეს...

P.P.S. იუსტიციის სამინისტროს თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 60 (სამოცი) ლარია. ე.ი. ისინი ყოველ დღეას უმაქრო ჩაის სვამენ და ფეხით გარბიან სამსახურში, რათა არმად ნაშოვნი ქონება ჩააშხამონ ქვეყნის წურბელებს. ხელფასიდან დაზოგილი ორმოცდაათი თეთრით კი, თვეში ერთხელ „მარშუტკით“ სეირნობენ...

პროპოკატორი

ჯინსის შარვლით, თანაკლასელებთან თავის მოსაწონებლად, ზარის დარეკვისთანავე უკანა მერხზე ჯდებოდა და გაკვეთილის დამთავრების მოსწყებელი ზარის შემდეგ სხვებივით კი არ გარბოდა დერეფანში, არამედ მასწავლებლის გასვლას ელოდებოდა, რომ მას „დარღვევა“ არ შეემჩნია. ხანდახან, ე.წ. დიდ შესვენებაზე, სკოლის გვერდით მდებარე საჩაიეში პელმენის საჭმელადაც გავეძვრებოდით ხოლმე (კარგად აკეთებდნენ, „პორცია“ – 25 კაპიკი). ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ხშირად ჯინსებიც ჩავგვშხამებია და პელმენიც ცხვირში ძმრად ამოგვსვლია, რადგან ჩვენი „ღონ კიხოტი“ თანაკლასელი უსამართლობასა და დაუმსახურებელ პრივილეგიებს ვერ იტანდა (ვინდ დავჯერეთ, ვინდ არა – მასაც მიშა ერქვა) და „სადაც ჯერ არს“, იქ მოახსენებდა ხოლმე. ჩვენი სკოლის დირექტორი კი, საქართველოს დღევანდელ „დირექტორზე“ მკაცრი, ბრაზიანი და რაც მთავარია – „ოპერატიული“ იყო... მე ნამდვილად არა (დღეაჩემი სკოლაში მუშაობდა და „შინაურებზე“ მაშინაც ვრცელდებოდა შეღავათები),

# „გვანცა შერგელაშვილი იმ პირობაში ნაბეზი თავის სიყვარულს იხაზდა“



მარჯვნიდან: ნინო იოსელიანი, გვანცა შერგელაშვილი, თამუნა კემელაძე და ნათია ხულუშაური გრიბოედოვის სახელობის თეატრში კონცერტის შემდეგ...

## ლეა ჭანოტაძე

პარასკევს, 10 აგვისტოს, გამთენიისას ვენესუელის ქალაქ ბარვისიმენტოში (ლარას რაიონი), რომელიც დედაქალაქ კარაკასიდან 200 კილომეტრში მდებარეობს, ილიკო სუხიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სოლისტი, 21 წლის გვანცა შერგელაშვილი მოკლეს. თბილისში პირველად ინფორმაცია ინტერნეტის („ნტვ-რუ“) საშუალებით გავრცელდა. იმ მომენტიდან დაიწყო ტკივილითა და გაურკვევლობით აღსავსე დღეები. იყო იმედიც, რომ ინფორმაცია არ დადასტურდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღეში კარაკასის პოლიციამ ოფიციალურად დაადასტურა ქართველი ბალერინის მკვლელობის ფაქტი, მკვლელობის მოტივად ძარცვა სახელდება... ეს ანსამბლის ისტორიაში პირველი ასეთი ტრაგიკული შემთხვევაა...

გასტროლების დროს დაღუპული გვანცა შერგელაშვილი ილიკო სუხიშვილის მეუღლეა. იმ დღეებში ბა-

ტონი თენგიზ სუხიშვილი თბილისში იმყოფებოდა. მან მასმედიასთან ყოველგვარ კონტაქტს თავი აარიდა და მომხდარის შესახებ პრესკონფერენციის გამართვას ჟურნალისტებს მხოლოდ დაკრძალვის შემდეგ დაჰპირდა. ქორეოგრაფებმაც ყოველგვარ კომენტარზე უარი განაცხადეს, მხოლოდ ის თქვეს: გვანცა შრომისმოყვარე, ნიჭიერი, პერსპექტიული და ძალიან თბილი ახალგაზრდა იყო, დღეში სამჯერაც რომ შეგ ხვედროდა, სამჯერვე მოგესალმებოდაო... ე.წ. „სუხიშვილების რეზიდენცია“ მიუვალ ციხესიმაგრეს დაემსგავსა. ეს კი მკვლელობის ვერსიებისა და ჭორების გავრცელების ძირითადი საბაბი გახდა.

გარდაცვლილი ბალერინის გვამი სპეცრეისით ჯერ ფრანკფურტში, იქიდან კი სტამბოლში გადასვენეს, საიდანაც თბილისში 13 აგვისტოს, ღამის ოთხ საათზე ჩამოსვენეს ილიკო სუხიშვილმა და ანსამბლის ერთ-ერთმა წევრმა. სხვა მოცეკვავეები ვენესუელაში დარჩნენ: კონტრაქტის თანახმად, ისინი გასტროლებს განაგრძობენ: რამდენიმე დღეში კონცერტები კარაკასშია დაგეგმილი. აფიშები გაკრულია, ბილეთები – გაყიდული, მოცეკვავეებს ისლა დარჩენიათ, ასეთი დიდი ტკივილის მიუხედავად, მაინც სიმშვილე შეინარჩუნონ და თავიანთი მოვალეობა შეასრულონ.

გვანცა შერგელაშვილი 1980 წლის 8 აპრილს დაიბადა. დედამისი – ნათია მერკვილაძე პროფესიით მუსიკოსია, მამა – მალხაზ შერგელაშვილი თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი იყო. სამწუხაროდ, რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. გვანცას და – თამთა შერგელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტია. თავად გვანცამ დაამთავრა თბილისის 48-ე საშუალო სკოლა, შემდეგ – რკინიგ-

ზის I საშუალო სკოლასთან არსებული ჰუმანიტარული კოლეჯი, ჟურნალისტისტიკის განხრით. 1997 წელს ჩაირიცხა თეატრალური ინსტიტუტის კინოჟურნალისტისტიკის ფაკულტეტზე...

ინსტიტუტში ეს მძიმე ამბავი პირველმა მე მივიტანე... გასაოცარი ფაქტი მოხდა – უკლებლივ ყველა ატირდა. ყველას უყვარდა იგი და ყველას მოუკვდა... ოცდაერთი წლის გოგონასათვის მართლაც დიდი ბიოგრაფიაა, ერთი შეხედვით დაუჯერებელიც კია ის განუზომელი სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც მის მიმართ ჩემი რესპონდენტები განიცდიან. არადა, მერწმუნეთ, ისინი ბევრნი არიან, რადგანაც მინდოდა, ეს წერილი „ყველას დაეწერა“ – ვისაც სურდა სიცოცხლეშივე ეთქვა მისთვის: რა კარგი ხარ, გვანცა... ვინც შეძლო და მის ცხოვრებას თუნდაც ერთი ლამაზი წუთი შემატა.

განუზომელია მწუხარება, რომელსაც სუხიშვილების ოჯახში დაუსადგურებია... ქალბატონი ინგას თვალზე არ შრება ცრემლი, რომელმაც, როგორც მორწმუნენი ამბობენ ხოლმე, გზა უნდა გაუნათოს იმ ქვეყნისკენ მიმავალ მის პატარა რძალს... დედის ტკივილი ზომისედაც უკიდურესია, მას ვერც სივრცე იტევს და ვერც სიტყვა გაზომავს... ტირიან ოჯახის წევრები და ნათესავები... ძაძით შემოსილი სამეგობრო უკვე „იყოთი“ საუბრობს გვანცაზე...

### ნათია ხულუშაური:

– ერთმანეთი ქორეოგრაფიულ სტუდიაში გავიცანი. სუხიშვილების ანსამბლთან არსებული ეს სტუდია ჩვენით გაიხსნა და ჩვენით დაიხურა. ცოტანი ვიყავით და ამიტომაც იოლად დაუჯახლოვდით ერთმანეთს. შემდეგ ვცეკვავდით ქალბატონ ნელი ხაყოშიასთან, საიდანაც გვანცა გადავიდა ქართულ ნაციონალურ ბალეტში. ძალიან ძნელი სათქმელია, როგორი იყო გვანცა, რადგან ის პირველ რიგში გახლდათ ძალზე მრავალმხრივი ადამიანი და ამიტომ შეუძლებელიც კია ხასიათის რომელიმე შტრიხის გამოყოფა. ყველა მოცეკვავე შრომისმოყვარეა, მაგრამ გვანცა საოცრად ნიჭიერიც გახ-

ლდათ. მისი ყოველი ილეთი, ყოველი მოძრაობა გრძნობით აღსავსე იყო და გულიდან მოდიოდა, ამიტომაც გამოირჩეოდა სხვებისგან, როცა ცეკვავდა.

**თამუნა კეშელავა:**

— ერთი შეხედვით სიფრიფანა, ნაზი, სხვებზე დამოკიდებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საერთოდ, ყველა შველს ამსგავსებდა. შველივით უწყინარი თვალეზიც ჰქონდა. ვერც იფიქრებდი, თუ სხვა ადამიანების გულში ღრმად ჩაწვდომა შეეძლო, სხვისი ტკივილისა და განცდის უსიტყვოდ გაგება... ის ყველას თავიდან ბოლომდე გვიცნობდა, თითქოს შესწავლილები და „წაკითხულები“ ვყავდით... საკუთარ თავში იმდენი თვისება აღმომაჩენინა, რომ წარმოდგენაც კი შეუძლებელია. ხშირად გაუოცებია ირგვლივმყოფები. არ ვიცი რატომ, მაგრამ ჩვენ შორის ყველაზე უფროსი ის ჩანდა — არადა, ტოლები ვიყავით. გვარი-გებდა ხოლმე. ახლა რომ ვიხსენებ უკვე წარსულად ქცეულ ჩვენს ურთიერთობას, ვხვდები, რომ ჭკუასაც გვასწავლიდა... თითქოს დედა იყო ჩვენი...

**ნინო იოსელიანი:**

— სოლოლაკში ცხოვრობდა. სტუმრად რომ მივიდოდით, გადმოგვილაგებდა ყველაფერს, არაფერს არ დაიშურებდა, უნდოდა ყველაფერი გაგვესინჯა, რაც კი ჰქონდათ ოჯახში. ნათიას და გვანცას არ ეხერხებოდათ კერძების გაკეთება, ამიტომ როცა ერთად ვიყავით, მე და თამუნა ვეტყვოდით ხოლმე: თქვენ დასხედით, ჩვენ მოვამზადებთ ყველაფერს-თქო, გვანცა მაინც დაგვითანხმებდა და მივცემდით რაიმე საქმეს. მახსოვს, ვაშლი გავათლევინეთ. ისე სქლად გათალა, კურკებილა დატოვა. ისე, თუ რამეს მოამზადებდა, ძალიან გემრიელი გამოსდიოდა. ერთხელ კომში შეგვიწვა — გული ამოაჭრა და თაფლითა და ნივგზით გატენა. მართლა კარგი გამოვიდა... ყველაზე მეტად შემწვარი კარტოფილი უყვარდა... ერთი უცნაურობა სჭირდა: როცა სუფრაზე რაიმე კერძი მოეწონებოდა, სხვას აღარაფერს გასინჯავდა და რამდენიმე დღის მანძილზე ეს კერძი მისთვის შეუცვლელი ხდებოდა. სოკოზე გიჟდებოდა, მგონი, შემწვარი სოკო ყველაფერს ერჩივნა.

**ნათია ხულუზაური:**

— ჩვენ ორი წელი ერთად ვსწავლობდით ჟურნალისტიკის ფაკულ-



**გვანცა შერგელაშვილი (მარცხნივ) და ნათია ხულუზაური**

ტეტზე, ჰუმანიტარულ კოლეჯში. კარგად სწავლობდა, კარგადაც წერდა. პედაგოგები ამას ყოველთვის აღნიშნავდნენ. სტუდია რომ დავამთავრეთ, გადავწყვიტეთ, სიტყვა დაგვეწერა და გამოსაშვებ საღამოზე ჩვენი მასწავლებლისთვის მიგვეძღვნა. გვანცამ ითავა ეს საქმე. ისეთი ტექსტი შეადგინა — რომ წავიკითხეთ, თავადაც ტიროდა და ჩვენც... საერთოდ, ტკივილის გათავისება ისე შეეძლო, ზოგჯერ მიკვირდა კიდევ... როცა მამა დაეღუპა, მწუხარებისგან დაილია გვანცა. მიუხედავად იმისა, რომ სადაც ის იმყოფებოდა, ყველგან მხიარულება სუფევდა, მაინც სენტიმენტალური და მელანქოლიური პიროვნება იყო, საოცრად რომანტიკულიც. პოეზია იტაცებდა. როცა ლექსებს გვიკითხავდა, რატომღაც სევდა ეძალებოდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასეთ დროს, ყოველთვის ტკივილით ეგსებოდა თვალები... ჩვენ, რა თქმა უნდა, მისი შინაგანი სევდაც გვიყვარდა... ამ დღეებში თამთა (გვანცას და) იხსენებდა: სანამ ამერიკაში წავიდოდა, შემთხვევით მისი დღიური ვიპოვე. მანამდე არ ვიცოდი, დღიურს თუ წერდა. დავსხედით და ერთად წავიკითხეთ, იმდენი ვიცინეთ, ისეთი ბედნიერები ვიყავით, რომ გვანცამ თავად თქვა: გვეყოფა — არაფერი გვეწყინოსო... ახლა ეს დღიური და მისი ხელით აღწერილი მისივე ცხოვრება და დაგვრჩა სამახსოვროდ, იმის ტკივილიანი განცდა, რომ დავკარგეთ მთავარი, ვის გარშემოც ჩვენი მეგობრობა ღულაბდებოდა.

**ნინო იოსელიანი:**

— ხუთნი ვიყავით. ჩვენი მეზუთე

**თამუნა კეშელავა (ცენტრში ქვემოთ), ნინო იოსელიანი (მარცხნივ), ნათია ხულუზაური და გვანცა შერგელაშვილი (ცენტრში ზემოთ)**

მეგობარი ანკა შამათავა ახლა გერმანიაშია. ყოველწუთს რეკავს, ისე დიდია მისი მწუხარება. ჩვენ ხუთნი გარკვეულ წრედს ვქმნიდით, წრედს ანუ ჰარმონიას. ერთის დაღუპვით ეს მთლიანობა და ჰარმონია სამუდამოდ დაირღვა. გვანცას ადგილი ყოველთვის ცარიელი დარჩება. სილამაზესთან ერთად, საოცარი შინაგანი ძალაც ჰქონდა. ყველას მოსწონდა, ქუჩაში თვალს აყოლებდნენ. ფოტოგრაფები აჩერებდნენ და ფოტოსალონისთვის პოზირებას სთხოვდნენ. ორჯერ დოკუმენტურ ფილმშიც გადაიღეს. ყველანი ვცდილობდით მისთვის მიგვებაძა, მასავით ჩაგვეცვა. ცერა თითზე სამი ბეჭედი ეკეთა. ყველას მოგვეწონდა და ყველას გვეკეთა სამი ბეჭედი ერთად. არ უყვარდა, როცა თმას ვიჭრიდით, ვერ იტანდა მოკლე ვარცხნილობებს. მერე ისე მოხდა, რომ თავადაც მოუწია თმის შეჭრა. ძალიან უხვდებოდა, მაგრამ თავს ცუდად გრძნობდა.

**თამუნა კეშელავა:**

— ყოველთვის, როცა სადმე წავიდოდით, ყველას გვანცა მოსწონდა... რა თქმა უნდა, ბუკრი თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ მან არავის შეხედა... მხოლოდ ილიკომ შეძლო თავი შეეყვარებინა... მახსოვს, ადრე, სანამ ანსამბლში ჩაირიცხებოდა, სუბიშვილებს კონცერტი ჰქონდათ ფილარმონიაში. მე, ანკა და გვანცა წავიდით. გვანცას მეგობარი ერთ-ერთი მოცეკვავე იყო და მას სამსახურებრივი შესასვლელიდან უნდა შევეყვანეთ. რამდენიმე



წუთით შეგჩერდით და ამ დროს გამოვიდა ილიკოც... მივხვდი, გვანცას დანახვამ მასზე იმოქმედა – შეკრთა და სახეზე გაკვირვებაც კი აღებეჭდა. შემდეგ, კარგა ხანი რომ გავიდა, ილიკო მეუბნებოდა: რომ დავინახე, ისეთი რამ დამემართა, კონცერტიც დამავიწყდა და მთელი სამყაროს არსებობაცო.

**ნინო იოსელიანი:**

– გვანცა აღფრთოვანებული დარჩა ილიკოს გაცნობით. დაწვრილებით გვიამბობდა ყოველ წვრილმანს, რაც კი ხდებოდა მათ შორის... მერე ქობულეთში წავიდა დასასვენებლად. ილიკომ მის გარეშე ვერ გაძლო. ქობულეთში ჩააკითხა. არ იცოდა, სად, რომელ სახლში იმყოფებოდა, მხოლოდ ის იცოდა, რომ ეძებდა ყველაზე ლამაზსა და საყვარელ ქალს... ორჯერ ფეხით მოიარა თურმე ზღვის სანაპირო, მთელი ქალაქი გადააბრუნა და მაინც იპოვა... გვანცა რომ ჩამოვიდა თბილისში, პირველი მე მივედი... შეცვლილი მეჩვენა, თითქოს ჩემ წინ სულ სხვა ადამიანი იჯდა. მიყვებოდა ილიკოსთან შეხვედრის ამბავს. ცოტათი დაბნეულიც მეჩვენა. მივხვდი: შეყვარებული იყო, უზომოდ შეყვარებული. ნებისმიერი მოცეკვავისათვის ნინო რამიშვილისა და ილიკო სუნიშვილის სახელები დიდი, მნიშვნელოვანი და უაღრესად ძვირფასი სახელებია, მათი საქმის გაგრძელება, მათი ოჯახის რძეობა, ცხადია, იოლი არ არის. მაგრამ გვანცასთვის შიში არ შემომჩნევია, რადგან ძალიან უყვარდა ილიკო და გრძნობდა, რომ ეს სიყვარული ყველაფერს შეაძლებინებდა. ოჯახმა იგი თბილად მიიღო და ღვიძლი შვილივით შეიყვარა. ამის მიზეზი ის არ იყო, რომ გვანცა მოცეკვავე გახლდათ და ოჯახის ტრადიცია არ მოიშლებოდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, სუნიშვილების ოჯახი მას მაინც ხელგამოწმებდა, რადგან გვანცა პირველ რიგში, არაჩვეულებრივი ადამიანი გახლდათ: კეთილი, თავმდაბალი, უანგარო, ნიჭიერი და უზომოდ შეყვარებული. ჯვარი სიონის ეკლესიაში დაიწერეს. მე მისი მეჯვარე ვიყავი. ძალიან ციოდა. ზამთრის სუსხიანი დღე იდგა. გვანცას თხელი კაბა ეცვა, საოცრად თხელი, თეთრი კაბა. მე კი ქურთუკში ვიყავი გახვეული. სულ გაითოშა სიცივისაგან. მასსოვს, ყურში ჩამწურჩულა: ჩემთან რაც შეიძლება ახლოს დადექი, მოგენტულები, ცოტათი მაინც გავთბებიო... ეს იყო ბოლო შემთხ-

ვევა, როცა მე ის შეწუხებული და გაცრეცილი ვნახე. ილიკომ იგი შეიფარა და სიყვარულით და სითბოთი აავსო.

**თამუნა კეშელავა:**

– ერთმანეთი ძალიან უყვარდათ. უერთმანეთოდ წუთითაც ვერ ძლებდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ილიკო ერთი თვით წავიდა ჰოლანდიაში. გვანცა კი თბილისში დარჩა. ძალიან მოიწყინა... საშინლად მარტოდ იგრძნო თავი... გამომიტყდა: პირველად რომ დარეკა ილიკომ ჰოლანდიიდან, ცრემლები მომადგა და „ჰოსა“ და „არას“ გარდა, ვერაფერი ვუთხარი – არადა, მინდოდა მეთქვა, როგორ მიყვარს, როგორ მენატრება, როგორ მჭირდებაო... ილიკომ ჩამოსვლის წინა დღესაც დაურეკა. საოცრად ბედნიერმა გვანცამ მოირბინა ჩემთან, – იცი, შევძელი მეთქვა, როგორ მიყვარს, ის კი გაჩუმებული მისმენდა. მივხვდი, მას ისე ვენატრები, სიტყვებიც კი ვერ იპოვა, რომ აეხსნა რა ძლიერ ვენატრებოდიო... ერთი ოცნება ჰქონდა გვანცას, მეუბნებოდა: ილიკოს უამრავი კარგი სურათი აქვს, სიურპრიზი უნდა გავუკეთო და ამ სურათების გამოფენა მოვაწყლო. საერთოდ, ძალიან უყვარდა ფოტოხელოვნება, სურათებზე გიჟდებოდა...

**ნათია ხულუზაური:**

– სულ პატარები რომ ვიყავით, მითხრა: ცეკვის მასწავლებელი მინდა ვიყო. ჯერ კიდევ ბავშვობიდან ოცნებობდა, საკუთარი ცეკვის სტუდია ჰქონოდა.

**თამუნა კეშელავა:**

– მას შემდეგ, რაც ილიკოს გაჰყვა ცოლად, ის აღარ ამბობდა სიტყვას „მე“, მისთვის არსებობდა მხოლოდ ერთადერთი ცნება: „მე და ილიკო“. სანამ გასტროლებზე წავიდოდნენ, გამოგვიცხ-

ადა: როგორც კი ჩამოვალ, დაფეხმძიმდები და ბავშვს გავაჩენო... ვინ მოთვლის, რამდენი გეგმა ჰქონდა... მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო – ყოფილიყო ბოლომდე ილიკოს გვერდით... როცა გამოაცხადეს, – გვანცამ ყვირილი დაიწყო, თავდამსხმელს გაუძლიანდაო, გოცნებული დავრჩი: ვერ წარმოვიდგინე, თუ ასეთ გამბედაობას გამოიჩინდა – ის ხომ ძალიან მშობარა და ფაქიზი იყო. ერთხელ კალია დააფრინდა გულმკერდზე და შიშისაგან კინაღამ ხელებში ჩავვაკვდა. ტკივილის ატანა არ შეეძლო. ტკივილი მისთვის ტრაგედიის ტოლფასი ხდებოდა, ბანდიტებს კი არ შეუშინდა. ალბათ იმ მძიმე წამებში თავის სიყვარულს იცავდა და ამან შემატა ძალა... როგორი გახარებული ან ნაწყენიც არ უნდა ყოფილიყო, მაინც ყოველთვის საოცრად ნაზი და ქალური რჩებოდა. მისგან სიუხუმე არ მასსოვს, არც წონასწორობიდან გამოსული მინახავს ოდესმე.

გვანცა შერგელაშვილი ლამაზ მოგონებად დარჩა. განუზომლად დიდი ტკივილი. სულისშემძვრელია მისი დედის ერთადერთი სიტყვა, რომლითაც იგი სამძიმარზე მისულ ნაცნობსა თუ უცნობს შესტირის: „დავიღუპე“...

ვენესუელაში დატრიალებული ტრაგედიის გარშემო, თბილისში უკვე ვერსიებს აყალიბებენ და ავრცელებენ... ვერსია უამრავია, სიმართლე და უმძიმესი სინამდვილე კი – ერთი: ხუთშაბათს, 16 აგვისტოს, ფალიაშვილის ქუჩიდან გაასვენებენ ოცდაერთი წლის ულამაზეს ასულს და გვანცა შერგელაშვილი დიდი სიყვარულისა და ჩვეული სიხალისის მაგიერ, უდიდეს ტკივილს, ცრემლსა და უსაშველო სევდას დატოვებს.

მარჯვნიდან: ნინო იოსელიანი, გვანცა შერგელაშვილი და თამუნა კეშელავა





თუ რა სახით გავა ეთერში „60 წუთი“, „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობას ვერ კიდეც არ გადაუწყვეტია. ამერიკიდან ჩამოსულ აკაკი გოგიჩაიშვილს ბევრი სამწუხარო ამბავი დასვდა: მისი ჩამოსვლისთანავე მოკლეს გიორგი სანაია, დაზარალებულია „რუსთავი 2“, დაპატიმრებულია მისი ცოლისძმა, რომელიც ყარაღურ თავდასხმებშია ექვმიტანილი: რომან ხაყო-მიას ბანდას ბანკების „გასუფთავებას“ სდებენ ბრალად. საინტერესოა, ამ ფონზე როგორი შემართებით იმუშავენ „60 წუთი“ და მისი წამყვანი აკაკი გოგიჩაიშვილი, გამძაფრდება თუ პირიქით, შერბილდება გადაცემის ტონალობა, დაინწყენ თუ არა მისი ჟურნალისტები გიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებას?

ამ კითხვებზე გვიპასუხა „60 წუთის“ წამყვანმა, რომელიც სექტემბრიდან განახლებული გადაცემით გავა ეთერში.

# რატომ არ იწყებს აკაკი გოგიჩაიშვილი ბიორგი სანაიას მკვლელობის გამოძიებას

## ნანა ქიბიაშვილი

— ალბათ განახლებული „60 წუთის“ პირველი გადაცემა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეს მიეძღვნება...

— ჯერჯერობით, ჩვენი ჯგუფი 3-4 აქტუალურ თემაზე მუშაობს. ვფიქრობ, ხელთ ძალიან საინტერესო მასალები ჩაგვივარდა, მაგრამ მოსახლეობა, ისევე, როგორც თქვენ, „60 წუთისაგან“ გიორგი სანაიას მკვლელობის ჟურნალისტურ გამოძიებას მოელის. გამოძიება ვერ არ დამიწყია იმ მიზეზის გამო, რომ არ მინდოდა, ამ თემაზე მხოლოდ „60 წუთის“ ჯგუფს ემუშავა და მერე ხელისუფლებას სათქმელად ჰქონოდა, „60 წუთმა“ ჟურნალისტური ძიება მიკერძოებულად ჩაატარაო. მე ვფიქრობდი, რომ ამ გამოძიებაში მთელ ქართულ მასმედიას უნდა მიეღო მონაწილეობა და საბოლოოდ, ეს იდეა განხორციელდა. ამ დღეებში, სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის 8 წარმომადგენელმა ერთად მოიყარა თავი. ისინი ძირითადად, ჟურნალისტური გამოძიების ჟანრში მუშაობენ. დავსახეთ სამუშაო გეგმა და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტების აფიშირება მანამდე არ მოვახდინოთ, სანამ იმდენი მასალა არ მოგროვდება, დასკვნების გაკეთების საშუალებას რომ მოგვცემს. პირადად ჩემთვის, აბსოლუტურად მიუღებელია აზრი, რომ დაველოდოთ

ოფიციალური გამოძიების შედეგებს და ჟურნალისტები მერე შევუდგეთ საქმეს. ასეთი ფაქტის დროს, ყველა ქვეყანაში ერთიანდებიან ჟურნალისტები და სამართალდამცავი სტრუქტურებისგან დამოუკიდებლად იწყებენ ძიებას. 70-იან წლებში კალიფორნიაში იყო ასეთი შემთხვევა: მოკლეს ჟურნალისტი, რომელიც გუბერნატორის შავბნელ საქმეებს იძიებდა. ეს ყველამ იცოდა და დამნაშავეს ძებნა ჟურნალისტებს ვიწრო წრეში მოუხდათ. მკვლელობის ფაქტი სამ თვეში გამოი-

ნისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს ასეთი ჭორების გავრცელება?

— სწორედ მათ წისქვილზე, ვინც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ასეთი ჭორები გავრცელდეს. დასაკითხად ქუჩიდან აჰყავთ ხალხი და უსვამენ ასეთ შეკითხვას — არის თუ არა „ციხფერი“ და იცნობდა თუ არა გიორგი სანაიას?.. ყველაფერი იქითკენ მიჰყავთ, რომ შებღალთ გიორგის პიროვნული ღირსება, ჩამოაყალიბონ მის მიმართ უარყოფითი საზოგადოე-

## დავსახეთ სამუშაო გეგმა და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტების აფიშირება მანამდე არ მოვახდინოთ, სანამ იმდენი მასალა არ მოგროვდება, დასკვნების გაკეთების საშუალებას რომ მოგვცემს.

ძიეს. მას შემდეგ 30 წელი გავიდა და შემსრულებელიც და დამკვეთიც, ამ შემთხვევაში გუბერნატორი, დღესაც ციხეში სხედან.

— გიორგისთან დაკავშირებით ძალიან ბევრი უხამსი ჭორი ვრცელდება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამაზე გარკვეული სამსახური მუშაობს. თქვენი აზრით, ვის

ბრივი აზრი და მკვლელობის მოტივი სხვა კალაპოტში მოაქციონ. ჩვენი მისია კი არის ჭორებთან ბრძოლა, მით უმეტეს, ისეთ ჭორებთან, რომელსაც დაინტერესებული პირები თუ სტრუქტურები ხელოვნურად ავრცელებენ. ჩვენი მისია სიმართლის დადგენაა, რომლის შემდეგაც ყოველგვარი ჭორი თავისთავად გაქრება.

— როგორც ვიცი, გიორ-



**გისთან კარგი ურთიერთობა არ გქონდათ. რა იყო ამის მიზეზი?**

– გიორგი სანაიას, 1994 წლიდან ვიცნობ. ჩვენი ურთიერთობა ბოლო დროს მართლაც ძალიან ცივი იყო. კონფლიქტისა და კიდეც იმის გამო, რომ „კურიერის“ ოფისი მე-17 სართულზეა, ჩვენი კი მე-16 სართულზე, მე და გიორგი ერთმანეთს ვერ ვხვდებოდით. ეს არც ერთს არ გვაწუხებდა. უთანხმოება „აუდიენციაში“ მუშაობის პერიოდში წმინდა პროფესიულ ნიადაგზე წარმოიშვა. გიორგი იცავდა „პირველ არხს“, მე კი „აუდიენციას“. მათი მუშაობა არ მომწონდა და ამის გამო ვიკამათეთ. მე წამოვედი, რამდენიმე თვეში კი, გიორგიც წამოვიდა და ორივე „რუსთავი 2“-ში აღმოვჩნდით. თავიდან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. „რეზონანსში“ გიორგი მე მივიყვანე. მაშინ ის „ჯორჯიან თაიმსში“ მუშაობდა. ბოლოს კი, „რუსთავი 2“-ში მუშაობის დროს ერთმანეთთან კონტაქტი არ გვქონდა. სიმართლე გითხრათ, ბოლო დღეებში ამეკვიპათა – მოდი, მივალ და ვეტყვი, რომ ჩვენი საქციელი ბავშვების

საქციელს ჰგავს-მეთქი, მაგრამ... ძალიან ვწუხვარ, რომ გიორგი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ამის გაკეთება ვერ მოვასწარი. იყო რაღაც, რაც ვერც ერთმა ვერ გადავლახეთ. ეს სინანულის გრძნობა ძალიან მაწუხებს და არ მომასვენებს მანამ, სანამ სანაიას მკვლელობის საქმეს არ გავხსნით.

**– უცხოელი ექსპერტების განცხადებით, კვალი რუსეთის სპეცსამსახურებისა და ჩინური მაფიისკენ მიდის...**

– არა მგონია, რომ ეს სინამდვილე იყოს. უცხოელი ექსპერტები, იგივე ძიებათა ფედერალური ბიუროს ხალხი, ასეთი ხასიათის განცხადებისგან ძიების დასრულებამდე ყოველთვის თავს იკავებენ. განსაკუთრებით ზომიერები არიან უცხო ქვეყნის ჟურნალისტებთან საუბრისას. მე პირადად ამის გამოცდილება მაქვს.

**– ვერსიებში დომინირება და ისიც, რომ გიორგის პქონდა კასეტა, სადაც დაფიქსირებული იყო ნარკომაფიასთან ხელისუფლების წარმომადგენელთა კავშირის დამადასტურებელი ფაქტები.**

– ამ ვერსიით მეც დავინტერესდი და „კურიერში“ ვიკითხე, რამდენად შესაძლებელი იყო ეს, მაგრამ ასეთი კასეტის არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. თუ იარსებებდა ასეთი კასეტა, გიორგი „კურიერის“ ხელმძღვანელობას აუცილებლად ჩააყენებდა საქმის კურსში. თუმცა, ვფიქრობ, ეს ვერსია მაინც საჭიროებს გადამოწმებას. ფაქტი ერთია, რომელზეც არავინ დაობს: გიორგი საყოფაცხოვრებო კინკლაობის მსხვერპლი არ არის. ის ვილაცამ დაქირავებული პროფესიონალი მკვლელის ხელით მოიშორა...

**– რამდენად შეეფერება სინამდვილეს სმები იმის შესახებ, რომ „რუსთავი 2“-ის ყიდვას ბერეზოვსკი აპირებს?**

– მე ვიცი, რას ფიქრობდა ადმინისტრაცია რამდენიმე ხნის წინ, როდესაც საუბარი დაიწყო „რუსთავი 2“-ის ფინანსური გადანაწილების შესახებ. ისინი კატეგორიულად გამორიცხავდნენ ადგილობრივი და რუსი ინვესტორებისთვის აქციების მიყიდვას. ადგილობრივისთვის იმიტომ, რომ ტელეკომპანიას მიკერძოების საშიშროება

არ დაემუქროს, რუსებისთვის კი... ჩვენ ყველამ ვიცით, რას წარმოადგენს რუსული ბიზნესი თავისი შავი საქმეებით. ამჟამად ნამდვილად არ ვიცი, როგორია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობის პოზიცია. გასაგები მიზეზების გამო, ამისთვის არავის ეცალა.

**– ამერიკაში ვიზიტის დროს რა რჩევა-კონსულტაციები მიიღეთ კოლეგებისაგან?**

– როდესაც იქ ჩავვედი და განვაცხადე, რომ საქართველოში ყოველგვარ დემოკრატიაზე და სიტყვის თავისუფლებაზე საუბარი „ბლეფია“, არავის გაჰკვირვებია. მათ ჩვენზე კარგად იციან, რა ხდება ჩვენთან. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლებიც საქართველოში მუშაობენ, დამეთანხმნენ, რომ ჩვენთან არანაირი სიტყვის თავისუფლება და ადამიანის უფლებები დაცული არ არის. მივიღე გარკვეული რჩევა-დარიგებები კოლეგებისგან, თუ ამ პირობებში როგორ ვიმუშაოთ. ჟურნალისტური გამოძიება რთული ჟანრია და სხვა ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, ბევრი რამის სწავლა შეიძლება. მაგალითად, დავადგინეთ, რომ ფარული კამერის გამოყენება არა მხოლოდ საჯარო პირის ჩაწერისას, კერძო სტრუქტურის გადასაღებადაც დასაშვებია. მაგალითად, უახლესი ჟურნალისტური გამოძიება, რომელმაც ამერიკაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, სწორედ, ფარული კამერით იყო გადაღებული. ეს სენსაციური მასალა ჟურნალისტმა კერძო ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაიღო. სამი თვის განმავლობაში ის აფიქსირებდა, ახუნად როგორ იგდებდნენ და უპატვიცემოდ ეპყრობოდნენ იქ ადამიანებს, როგორ იფლანგებოდა ფული, რომელიც კონკრეტული პროგრამის დაფინანსებისთვის იყო გამოყოფილი და ასე შემდეგ. კოლეგების რჩევაც, „60 წუთში“ სწორედ ამ სიახლეთა დანერგვას ითვალისწინებდა. განახლებული „60 წუთი“ ამ მეთოდს აუცილებლად გამოიყენებს. ეს ძალიან ეფექტური ფორმაა. ბევრს ჰგონია, რომ ფარული კამერის გამოყენებით ირღვევა ჟურნალისტური ეთიკა. მე კი ვფიქრობ, რომ ამით არანაირი ჟურნალისტური ნორმები არ ირღვევა და ეს არის სწორედ უმაღლესი პროფესიონალიზმის გამოხატულება.



— ყოფილი „60 წუთის-გან“ რით იქნება განსხვავებული ასახლი „60 წუთი“, რომელიც ფარული კამერით გადაღებული მასალით გამდიდრდება?

— ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის ეთერში გასვლის შემდეგ, სადაც

ბა სინამდვილეს რომან ხაყო-მიას მიმართ წაყენებული ბრალდება?

— ვერაფერს გეტყვით. მე არ ვიცნობ ნინოს ძმას. ის ერთხელ ვნახე ჩვენს ქორწილში და მას შემდეგ — კიდევ ერთხელ თუ ორჯერ. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით.

### მე ვიცი, რას ფიქრობდა ადმინისტრაცია რამდენიმე ხნის წინ, როდესაც საუბარი დაიწყო „რუსთავი 2“-ის ფინანსური გადანაწილების შესახებ. ისინი კატეგორიულად გამორიცხავენ ადგილობრივი და რუსი ინვესტორებისთვის აქციების მიყიდვას.

მომხდარი ფაქტის განსჯის საშუალებაც მოგვეცემა, ისაუბრებს ექსპერტი, ისაუბრებს ადამიანი, რომელსაც თავის დაცვისა და გამართლების საშუალება ექნება. თუნდაც გაკრიტიკებული პირი, რომელიც უარყოფს ბრალდებებს და თავის გასამართლებელ არგუმენტებსაც ასევე დაუბრკოლებლად შემოგვთავაზებს. მოკლედ, განახლებული „60 წუთი“ უფრო საინტერესო და ეფექტური იქნება, თუმცა, მუშაობა — უფრო სარისკო. როგორც წესი, ფარულ კამერას უფრო მეტი ხლავთი ახლავს თან.

— ალბათ ზენოლაც უფრო დიდი იქნება.

— ალბათ.

— იქნებ უკვე მუშაობს ზენოლის მექანიზმი: ვგულისხმობ თქვენი ცოლისძმის, რომან ხაყო-მიას დაპატიმრების ფაქტს. არ არის გამორიცხული, რომ ვიღაც ამ ფაქტით მანიპულირებას შეეცადოს.

— მცდელობა არ არის გამორიცხული, მაგრამ გამორიცხულია, ამ ფაქტით ჩემზე ზემოქმედება შეძლოს.

— თქვენი აზრით, რამდენად შეეფერე-

— ნუთუ მეუღლისთვისაც არ გიკითხავთ, რა ხდება მისი ძმის თავს?

— ვკითხვ, მაგრამ თვითონაც არ იცის ბევრი რამ. მე და ნინოს იმდენი საერთო პრობლემა გვაქვს, რომ ცალკე ნინოს ოჯახის პრობლემებზე სასაუბროდ ვერ ვიცლით. ვიცი მხოლოდ ის, რომ აიყვანეს ადვოკატი, რომელმაც რომანი უნდა დაიცვას. ისე კი, ვერ გამიგია, მაინცდამაინც აკაკი გოგინიაშვილის ცოლისძმის ამბით უფრო მეტად რომ დაინტერესდნენ, ვიდრე სოსო ალავიძის ცოლისძმით, რომელიც იმავე საქმეშია ეჭვმიტანილი.



### საქონლის მოსახლე

რუმინეთის უზენაეს სასამართლოში გამართული სასესიით ჩვეულებრივი პროცესი, ფრიად უჩვეულო ინციდენტით დასრულდა. მთელი ეს ამბავი იმით დაიწყო, რომ ქალაქ ბოტოშანის მკვიდრმა ვინმე ანტონ კონსტანტინმა შეიტანა სარჩელი, რომელშიც ლუდის მწარმოებელი მცირე საწარმოს ადმინისტრაციული საბჭოს წევრად თავის აღგენას მოითხოვდა. კანონის თანახმად, საქმის გარჩევისთვის მას სახელმწიფო ბაჟის სახით 6 მლნ ლეი (200-მდე ამერიკული დოლარი) უნდა გადაეხადა. როცა მოსამართლეებმა ამის დამადასტურებელი კვითრის წარმოდგენა მოსთხოვეს, მოსარჩელე განრისხდა. მან ჩანთაში ჩაიყო ხელი და იქიდან ღვინის ბოთლი ამოიღო, რომელიც... ბენზინით ყოფილა სავსე, მერე ფითილს წაუკიდა ცეცხლი და მოსამართლეებისკენ გადაუძახა.

მათა საბედნიეროდ, ცეცხლი ჰაერშივე ჩაქრა, ბოთლი, ბუნებრივია, დაიმსხვრა, ბენზინი დაიდვარა, „აერესორი“ კი პოლიციელებმა გასკვანჩეს...

საინტერესოა, რომ კონსტანტინს აერესი-ულობა პირველად არ გამოუჩენია: სასამართლო სხდომაზე ცოტა ხნით ადრე მას თემლის მსახურთათვის მუქარით სავსე წერილი გაუგზავნია. ექსპანსიური მოსარჩელის „გულის გასაგრძობლად“ სასამართლომ მას 5 დღიანი პატიმრობა მოუსჯა.

### ხალხთაგანის პიეზაჟი

კონკორდის ქალაქის მკვიდრი, ამერიკელი ბიზნესმენი დევიდ უოტზელი ამ პრეს-ტორიული ურჩხულის სამებნელად უკვე მეორედ აპირებს კამერუნში საგანგებო ექსპედიციის მოწყობას. პირველად, ბრონთოზავრის არსებობის შესახებ მან ამ აფრიკულ ქვეყანაში ნამყოფი ამერიკელი მისიონერებისაგან შეიტყო. იდეით ანთებული, კომპანიონთან ერთად დაადგა კამერუნის გზას. ტროპიკული ტყეებისა და ჭაობების გადალახვისას, მოგზაურები ბაკას ტომს გადააწყრიან, რომლებსაც მანამდე თეთრკანიანი ადამიანები არც უნახავთ, სამაგიეროდ, ბრონთოზავრის სურათის დანახვისას წამოუძახებიათ: „ლიკლა-ბემე“. აბორიგენთა ამ რეაქციამ კიდევ უფრო ოპტიმისტურად განაწყო დევიდი, თუმცა პირველი მოგზაურობისას მან ბრონთოზავრის მიგნება ვერ მოახერხა. „იმის ალბათობა, რომ ამგვარი ცხოველები ჩვენს პლანეტაზე ჯერ კიდევ არსებობს, 75-80%-ს უტოლდება“, — მტკიცედ აცხადებს უოტზელი და ასალი ექსპედიციის მზადების გარდა, ამ იდეის პოპულარიზაციისთვის საგანგებო საიტსაც ქმნის ინტერნეტში.

გასულ კვირას გამართულ მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება, რასაკვირველია, არც უყურადღებოდ დარჩენია საზოგადოებას და არც ერთგვაროვანი რეაქცია გამოუწვევია, ცხადია, უპირველესად, თვით მინისტრებში. უშიშროების მინისტრმა ვახტანგ ქუთათელაძემ მიხეილ სააკაშვილს, არც მეტი, არც ნაკლები – ჩამოყალიბებული დემაგოგი უწოდა, ეკონომიკის მინისტრმა ვანო ჩხარტიშვილმა კი განაცხადა, სააკაშვილი აბსოლუტურად ამოვარდნილია თავისი აზროვნების ჩარჩოებიდან და ბოლშევიკობაშიც დასდო ბრალი. საბოლოოდ, მთავრობის წევრთა უმეტესობამ წინააღმდეგობა გაუწია წარმოდგენილი კანონპროექტის განხილვასაც კი, რომელიც მაგანთა და მაგანთა მიერ უპატიოსნო გზით დაგროვებულ ქონებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ბუნებრივია, ასეთი საკითხის განხილვისას, განსაკუთრებით საინტერესოა იმ კაცის აზრი, ვისაც თანამდებობრივად აკისრია კორუფციის საწინააღმდეგო ზომების შემუშავება-განხორციელება. ანტიკორუფციული საბჭოს მდივნის **მირიან გომიაშვილის** პირველი რეაქცია მომხდარზე, მის მოკლე განცხადებაში გამოვლენდა: საჭიროა შეიქმნას ისეთი კანონი, რომელიც დაპირისპირებას არ გამოიწვევს. მისი პოზიციის უფრო ვრცლად გასაცნობად ბატონ მირიანს სამუშაო კაბინეტში ვეწვიეთ.

**ნინო ჯავახიშვილი**

— **ბატონო მირიან, მთავრობის სხდომაზე იუსტიციის მინისტრის ასეთ მძაფრ გამოსვლას თუ ელოდით?**  
 — მოულოდნელი აღარაფერია, მაგრამ ამ შემთხვევაში მიმაჩნია, რომ ასე არ უნდა მომხდარიყო! ზედმეტი აჟიოტაჟი საჭირო არ იყო და იმიტომ. ჯერ ერთი, როდესაც კორუმპირებულთა კონკრეტული გვარებს ასახელებ, ამის აშკარა მტკიცებულებებიც უნდა გქონდეს. ანტიკორუფციულმა საბჭომ ბევრი დეკლარაცია უკვე გადაამოწმა და, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერჯერობით დეკლარაციები უკანონობის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. მოდით, კითხვა ასე დავსვათ: რა შედეგი მოჰყვა სააკაშვილის განცხადებას? არანაირი! კი, ბატონო, ოფიციალურად ჩვენც ვაცხადებთ, რომ 300 ლარიანი ხელფასით ვერც ქუთათელაძე და ვერც ჩხარტიშვილი ვერ ააშენებდნენ იმ სასახლეებს, მაგრამ მერე რა?! ამიტომ, ჯერ უნდა მივიღოთ კანონი, რომლითაც უფლება გვაქნება, რომ ამა თუ იმ ჩინოვნიკს ბრალი წაუყენოთ და პასუხი ვაგებინოთ იმ ქონებაზე, რაც უკანონოდ მოუპოვებია და მერე ვილა-



**ხორუფციასთან ბრძოლის სარდალმა**

**ძვირად ღირებული მანქანა ხელს «გამოაყოლა»...**

პარაკოთ. რა ვიცი – სააკაშვილი საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, ალბათ ასეთ ფორმებს თვლის უმჯობესად, მე ცოტა სხვანაირად ვფიქრობ. მოკლედ, ტაქტიკის ამბავია.

— **გამოდის, რომ იუსტიციის მინისტრს ტაქტსაც უნუნებო. რატომ? ფიქრობთ, რომ სურათები ასე ენერგიულად მაინც არ უნდა ეფერებოდნენ მინისტრთა თვალწინ?**

— იცით, რა?! მე მართლაც არ მომეწონა მისი საქციელი, მაგრამ მგონი, სააკაშვილი სპეციალურად იყო მომზადებული ამ ეპიზოდისთვის – თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური შეხედულებაა. საერთოდ, წყნარად და ურთიერთთანხმობით უნდა დავიწყოთ მუშაობა და არა დაპირისპირებით. ლოგიკურად განვსაჯოთ – როდესაც საუბარია ისეთ კანონზე, რომელიც ბევრ ჩინოვნიკს პრობლემებს შეუქმნის (ამ კანონის არსი ხომ სწორედ ეს არის), რა გარანტია არსებობს, რომ ასეთი მკვეთრი დაპირისპირებით, თუნდაც სააკაშვილის მიერ მხილებული მინისტრები ამ კანონპროექტს მხარს დაუჭერენ?! ყველანაირად უნდა ვცვალოთ, რომ ჩხუბის გარეშე გავიტანოთ ეს კანონი და წყნარად ვაკეთოთ ის საქმე, რომელსაც ხსენებული კანონი უნდა ემსახურებოდეს. ასეც იქნება! პრეზიდენტთან წინასწარი კონსულტაციები უკვე გვქონდა და ვიცი მისი არაორაზროვანი პოზიცია: პრეზიდენტს სურს, რომ კანონი გავიდეს და გავა კიდევ.

— **მაინც რას უნუნებო წარმოდგენილ კანონპროექტს?**

— ვინ გითხრათ, რომ კანონპროექტს ვუწუნებ რამეს? უბრალოდ, ანტიკორუფციული საბჭოს თითქმის ყველა შენიშვნა, ფაქტობრივად, უკვე გათვალისწინებულია, მაგრამ მაინც დარჩა რამდენიმე შეუთანხმებელი საკითხი, – ეგ არის და ეგ. კანონში კარგად უნდა

იყოს განმარტებული, ვინ არის ე.წ. „დაკავშირებული პირი“ (იგულისხმება ოჯახის წევრები და უახლოესი ნათესავები. – ავტ.) და რა ხდება ამა თუ იმ შემთხვევაში. აუცილებლად გასათვალისწინებელია აგრეთვე, თუ რა დროში მოხდება კანონის ამოქმედება, თორემ სხვა ნებისმიერ შემთხვევაში ჩინოვნიკს სასამართლო მაინც გაამართლებს... სახელმწიფო მოხელეებს თავიანთი საკუთრების დასაბუთების ვალდებულება ხომ მხოლოდ დეკლარაციების სისტემის შემოღების შემდეგ დაეკისრა. იქამდე კი, როცა მათ გარკვეული ქონება უკვე დააგროვეს, ეს ვალდებულება მათ არ ჰქონიათ...

— **როგორ ფიქრობთ, კანონპროექტმა, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის უკანონოდ დაგროვილი ქონების მფლობელებს, გვარიანად ხომ არ შეაშინა ჩინოვნიკები?**

— ყოველ შემთხვევაში, იმედი მაქვს, რომ ძალიან შეეშინდათ! იმედი მაქვს, რომ ეს კანონი საკმაოდ სერიოზული განსჯის საგანი გახდება ჩინოვნიკთა შორის, რომელთაც, გულახდილად უნდა გითხრათ, საკმაოდ სულელური შეცდომები დაუშვეს თავიანთი ქონების დაგროვების დროს!

— **კონკრეტულად ვის გულისხმობთ ან რა შეცდომებზე საუბრობთ?**

— კონკრეტულად არავისაც არ გულისხმობ და ჯერჯერობით ვერც კონკრეტულ გვარებს დავისახელებთ. იცით, რა, არ შეიძლება, დაუსაბუთებლად კაცს ემახო – არიქა, კორუმპირებული ხარ და უნდა დაგიჭიროო. ეს ხომ არასწორია!

— **უშიშროების მინისტრმა თვალდაუხამხამებლად განაცხადა — პატიოსანი ვარო. თქვენ თუ გჯერ-**

**ათ ქუთათელაძის პატიოსნების?**

— არც ჩემს ფუნქციებში და არც ჩემს მენტალიტეტში არ ჯდება, რომ ესა თუ ის პიროვნება კარგად ან ცუდად შევაფასო! ანტიკორუფციულ საბჭოს მოკვლევის ფუნქციები არ აქვს და ამიტომ, კომენტარისგან თავს შევიკავებ. თუკი ვახტანგ ქუთათელაძე არ განახორციელებს იმ მოთხოვნებს, რასაც ანტიკორუფციული ღონისძიებები ითვალისწინებს, ამ შემთხვევაში შეიძლება დავასახელო ბევრი სხვა რამეც...

**— ბოლოს და ბოლოს, როდის დადგება ეს ნანატრი დღე და როდის გახდება საზოგადოებისთვის ცნობილი კორუმპირებულ ჩინოვნიკთა გვარები?**

— სხვათა შორის, ძალიან ძალე! მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე ანტიკორუფციული საბჭოს სახელით გააკეთებ მოხსენებას, რომელშიც სრული კატეგორიულობით გამოვიტან სამსჯავროზე ისეთ საკითხებს, როგორცაა პრეზიდენტის ბრძანებულებების არ შესრულება ან, ვთქვათ, პრეზიდენტის ინიციატივის განხორციელებისთვის პოლიტიკური ნების არქონა და ა.შ. ეს იქნება საკმაოდ კონკრეტული და საქმიანი მოხსენება.

**— კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა უკვე დიდი ხანია გამოცხადდა, მაგრამ ქვეყანაში „კორუფციის ხარისხი“ მაინც მატულობს. რატომ? პასუხი მაინც ვის მოეთხოვება?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ქვეყანაში „კორუფციის ხარისხი“ მატულობს. სახელმწიფო მოხელეებში შიშის სინდრომი რაღაც დონეზე უკვე გაჩნდა. ნებისმიერ ჩინოვნიკს ეშინია იმისა, თუ ვინ მოვა ანტიკორუფციული საბჭოს სათავეში, რას იზამს, რას დაუწერს და ა.შ. შესუსტდა დაუსჯელობის სინდრომიც. ხალხს იმედი აქვს, რომ ისტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, თუმცა, რატომღაც ჰგონიათ, რომ ვიღაც „ბობოლევის“ დაჭერაც ჩვენს ფუნქციაში შედის. ასე არ არის! ანტიკორუფციული საბჭოს ფუნქციებია — მკაფიოდ ჩამოყალიბებული სისტემური ანალიზი, რეკომენდაციები და საკანონმდებლო ცვლილებები. ამ სტრუქტურის მუშაობა შედეგს აუცილებლად გამოიღებს, ჯერ სიმ მხოლოდ ორი თვეა, რაც ვმუშაობთ.

— **ბატონო მირიან, თქვენ საკმაოდ ოპტიმისტურად ხართ განწყობილი, მაგრამ ყოფილი „ანტიკორუფციული შვიდკაცის“ აღმასრულებელმა მდივანმა დავით უსუფაშვილმა განაცხადა: აღარ მჯერა, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ვინმე მონიდომებს კორუფციის დამ-**

**არცხებას, რადგან შევარდნაძე კორუფციას ქვეყნის სამართავად იყენებსო. ანტიკორუფციული საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა გივი თარგამაძემაც პრეზიდენტი დაადანაშაულა კორუფციის მფარველობაში. ამაზე რას იტყვი?**

— გივიც და დათოც ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ ვფიქრობ, ეს არასწორი შეფასებაა. მაინც რატომ დაადანაშაულა გივი თარგამაძემ პრეზიდენტი კორუფციის მფარველობაში, ვერ გამოგია, დღესვე გავარკვევ ამ ამბავს! ჩემთვის ასევე გაუგებარია, რატომ ეპარება ვინმეს ეჭვი, რომ შევარდნაძეს მართლაც სურს კორუფციასთან ბრძოლა. თქვენ იცით, რომ პრეზიდენტს არ ჩაუგდია არც ერთი ინიციატივა, რომელიც „შვიდკაცს“ მიერ იყო შეთავაზებული?.. არ ვიცი, რამდენად უპრაიანია მათი ასეთი განცხადებები, მაგრამ სწორედ დათო უსუფაშვილის დიდი მონღომებთა და უშუალო მონაწილეობით არის შექმნილი ის პროგრამა, რომელსაც ახლა ვანორციელებთ. ვფიქრობ, ორივეს გვჯერა, რომ ამ პროგრამას დიდი წარმატებით დავაგვირგვინებთ.

**— ანუ, გინდათ თქვათ, რომ ხელისუფლებას მართლაც რეალურად სურს კორუფციასთან ბრძოლა და, როგორც „ბოროტი ენები“ ამბობენ, ანტიკორუფციული საბჭო მორიგი ბუტაფორია არ არის?**


— აი, მაგ ზოგიერთის გვარი მითხარით ერთი.. მიუხედავად პრეზიდენტის მიმართ დიდი პატივისცემისა, მანაც რომ მთხოვოს, მე ბუტაფორიაში არანაირ მონაწილეობას არ მივიღებ! როგორც კი ამის საშიშროებას დავინახავ, პირველი წავალ აქედან და პირველი განვაცხადებ ამის შესახებ! წინ ვერაფერი დამიდგება. ყოველ შემთხვევაში, თუ ვინმეს რამის გაკეთება შეუძლია, მეც შემიძლია და არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. სხვათა შორის, იქ უფრო კარგად მქონდა საქმე: რამდენიმე წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკში აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწედ ვმუშაობდი.

**— ბატონო მირიან, საუბრის დასასრულს აუცილებლად უნდა გკითხოთ: ამბობენ, ანტიკორუფციული საბჭოს მდივანს უკვე ძვირად ღირებული ავტომანქანაც ჰყავს, რომელიც საკმაოდ ბევრ სანჯავსაც წვავსო... თუ საიდუმლო არ არის, რა მარკის ავტომანქანა გყავთ?**

— (იცინის) არანაირი საიდუმლო არ არის! კი, მაგრამ გამაგებინეთ, მაინც ვინ თქვა ეს, როგორ გაიგეთ, რამდენს წვავს ჩემი მანქანა?.. 1998 წელს, ვაშ-

ინგტონში რომ ვმუშაობდი, მაშინ ვიყიდე ჯიპი „გრანდ ჩეროკი“ და როდესაც საქართველოში დაბრუნდი, მანქანაც ხელს „გამოვყიდე“. რაც შეეხება მის სიძვირეს, — როდესაც ვიყიდე, წლინახევრის იყო მანქანა და 19.000 დოლარი ღირდა. დღეს კი ეს ფასიც აღარა აქვს, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარს — ბევრ ტკბილ მოვლებასთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, ვაშინგტონში ბევრი ქართველიც სეირნობდა ხოლმე ამ მანქანით — ნახევარი ამერიკა გვაქვს მაგით მოვლილი. მათ ჰკითხეთ, საიდან მაქვს და როდის ვიყიდე „გრანდ ჩეროკი“. სხვათა შორის, როდესაც ონაშვილის ქუჩაზე, ახალ ოფისში გადმოვედი, მეზობლებს დაუნახავთ თუ არა ჩემი მანქანა, თურმე ერთი ამბავი ამტყდარა: აი, დანიშნეს თუ არა საბჭოს მდივანად, უცებ უცხოური მანქანა უყვიაო... ჩემს მეგობარს უთქვამს მერე: რას ამბობთ, თქვენ რა იცით, ამ მანქანით რამდენჯერ გვისეირნია ვაშინგტონში... ვისაც ეჭვი ეპარება მირიან გოგიაშვილის პატიოსნებაში, ჩემს დეკლარაციაზე მივუთითებ! არაფრის დამალვას არ ვაპირებ, პირიქით — ძალიან მეამაყება, რომ საქართველოში შეიძლება, ერთადერთია ჩემი მანქანა, რომელიც მართლაც ხელფასით არის ნაყიდი. ვაშინგტონში მუშაობის დროს ძალიან მაღალი ხელფასიც მქონდა და კარგადაც ვცხოვრობდი...





ინდიკო მაისურაძე

# ისრაელში თითო თონეში თითო ავტომობილს გაქვებდნენ...

## ლევა ჭანკობაძე

— როდის გამოაცხვეთ პირველი პური?

— ქართველ კაცს პური განსაკუთრებით უყვარს და, ცხადია, გამონაკლისი არც მე ვიყავი, მაგრამ მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, თუ პურს მთელი არსებით შევიყვარებდი და ცხოვრებაც პურის ცხოვრებაში ტკბილ სიზმარით გაილეოდა... ჯერ ქუთაისის ავტოსკოლა ღვაპთავრე, შემდეგ კი კიევი — სასერჟანტო სკოლა... ჩემი მიწის სიყვარულმა ისევ საქართველოში დამაბრუნა. დიდ მანქანაზე დავიწყე მუშაობა. ხეტყე დამქონდა და ბიძაჩემის საცხობსაც შემით გამარაგებდი. ერთხელ ჩემი დანმარება დასჭირდა და მეც უარი არ ვუთხარი. ეს იყო 1952 წელი, პირველი პური სწორედ მაშინ გამოვაცხვე. რადგან ერთხელ საკუთარი თითებით ცომის მაღლი ვიგრძენი, მერე თავი ველარ დავანებე და სოღანლუღში ბიძასთან პურის ცხობის შესწავლა დავიწყე. როგორც კი შევისწავლე, ჩემთვის ცალკე თონე ავიშენე. თონეების კეთე-

ბა ერთი ხელოსნისაგან ვისწავლე. დიმიტრი ერქვა. ბიძაჩემს თონე სწორედ იმან აუშენა. დაიღუპა საცოდავი. მაშინდელი ხელოსნებიდან მხოლოდ მე და შალიკო გიორგობიანიღა შემოვრჩით.

— ბევრი თონე გაქვთ გაკეთებული?

— ძალიან ბევრი. სათვალავი კარგა ხანია ამერია. 200 თონეზე მეტი ნამდვილად მექნება აშენებული, ზუსტი რიცხვი კი არ მახსოვს. ისე, მაშინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკაში მაქვს თონე დადგმული: ყაზახეთში, უზბეკეთში, უკრაინაში, ციმბირში, ტაშკენტში ტელევიზიითაც მაჩვენეს — ჩემზე დიდი გადაცემა გაკეთდა. მოსკოვში, კრემლში გაიხსნა რესტორანი — Кавказская пленница, სადაც მილჩენკოს (ანატოლი მილჩენკო, ცნობილი საფეხბურთო მსაჯი. — ავტ.) ვაჟმა წამოიყვანა და თონე იქაც ავაშენე. ელცინის სასაილოში თონისა და ხაჭაპურის ღუმლის ასაშენებლად რომ მივდიოდი, ძალიან სასაცილო ამბავი შემემთხვა: აეროპორტში ჩხრეკის

ქართველ კაცს ძნელად ეთმობა ტრადიცია. ქართველს მხოლოდ ის ალაფრთოვანებს, რაც მისი ფესვებიდან მოდის, მისივე წინაპრების გმირული წარსულის გამოძახილია. ამიტომაც არის, რომ დღეს, როცა უამრავი სახეობისა და ფორმის პური ცხვება, მას მაინც ძველი ქართული — თონის პური ურჩევნია.

ნაძალადეგში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, სად ცხვება ყველაზე გემრიელი პურიო, უყოყმანოდ გეტყვიან: ინდიკოს თონეშიო. ძმობის აღმართი სწორედ ინდიკოს პურითაა სახელგანთქმული. ამ კაცის სახელს უამრავ საინტერესო ამბავსაც უკავშირებენ, ზოგი დაუჯერებელიც კია. ერთი რამ ცხადია: უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც ის მზის ამოსვლას ქართული პურით ხელში ეგებება და გაფარვარებულ თონეში ყოველი ჩაკიდებისას ცეცხლი მისი შუბლიდან მონანკური ოფლის წვეთებით ნელდება...

შემდეგ ლაზერული სხივის ქვეშ რომ გავიარე, წითელი ნათურა აინთო, დაცვამ მკითხა: რა გაქვსო? მხოლოდ იარაღი-მეთქი, — ვუპასუხე. მაშინვე მოიმარჯვეს ავტომატები. ატყდა ერთი ალიაქოთი, შიშის ფეთქებით გახსნეს ჩემი ჩემოდანი და სახტად დარჩნენ: შიგ მართლაც იარაღი ეწყო, მაგრამ არა საბრძოლო. კარგა ხანს ათვლიერეს ქვის პატარა სათლელი ჩაქუჩი და საჭრეთლები. ბევრი იცინეს... ისეთი თონე გავუკეთე ელცინს, მეხვეწნენ რუსები — დარჩიო. მოსკოვშივე შემომთავაზეს, ისრაელში ექვსი თონის გაკეთება. თითო თონეში თითო უცხოურ ავტომობილს მაძლევდნენ, მაგრამ ოჯახი დიდი ხნით ვერ დავტოვე. ქართული ტრადიციის თანახმად ხომ, თუ ოჯახის უფროსი ომში არ მიდის, თავის სახლ-კარს დიდი ხნით არ უნდა მოსცილდეს.

— თქვენზე ამბობენ, მისი კუტი პურიც კი გემრიელიაო. ამის მიღწევა, რა თქმა უნდა, იოლი არ იქნებოდა. ამას თან ერთვის ისიც, რომ მთელ თბი-

**ლისში ყველაზე დიდი პური თქვენთან ცხვება. ნუთუ რაიმე საიდუმლოს ფლობთ?**

— პურის ცხობას დიდი ოსტატობა უნდა. პურს თავისი ხასიათი აქვს. მთავარი მაინც ფქვილის ხარისხია. და ისიც, თუ როგორი სიზუსტითაა თონე აგებული. თონის ძირისა და ყელის თანაფარდობა ისეთი უნდა იყოს, რომ პური კარგად გამოცხვეს. თუ ყელი ფართოა, პური არ გამოცხვება, დაცომდება, ხოლო თუ ვიწროა, — დაიწვება. კედელზე მიკრული პური ცაცხლს უნდა დასჩერებოდეს. პურის გემო შემახვეცაა დამოკიდებული: ქართული პური კარგად გამხმარ რცხილაზე ან წიფელაზე ცხვება. შემას ჯვარედინად ვალაგებ, რომ ალი თანაბრად მოედოს ყველა პურს. თუ ცომი ხელით არ არის მოხელილი, ის პური არ ვარგა. სამწუხაროდ, ახლა იშვიათად ზელებს ხელით... მეც მქონდა საზელი მანქანა, მაგრამ სხვას მივეცი. მანქანას ცომის ენა არ ესმის, მის იშვიათ თვისებებს ვერ შეიგრძნობს. ახლა ცომის ბალიშით მიკვრა შემოიღეს. მე ხელით ვაკრავ, როგორც წნელი ისე ვიხრები და ვეკიდები გახურებულ თონეში.

**— ალბათ პურის ცხობა ძალზე შრომატევადი სამუშაოა და დიდ ფიზიკურ ძალასაც მოითხოვს?**

— სადავო ნამდვილად არ არის ის ფაქტი, რომ მთელ თბილისში ყველაზე ქართულ პურს მე ვაცხობ და ყველაზე კარგ თონეებსაც მე ვაკეთებ. ეს დიდი შრომის შედეგია. უკვე ორმოცდაცხრა წელია, რაც ყოველ დილით ოთხ საათზე ვდგები და დაუხარებლად ვიწყებ ცომის ზელას. ხშირად დღე და ღამე გადამიბამს და ოცდახუთი ტომარა ფქვილი, მუხლჩაუხრელად, დაუსვენებლად, პურად მიქცევია. არც თონეს უყვარს „ხალტურა“: ყოველი აგური საოცარი სიზუსტით უნდა გამოთალო, თორემ პურს მიიკრობს და შრომაც წყალში ჩაგყვრება. თონეს „მოფერებაც“ უნდა: თუ კარგად მოეპყრობი, თხუთმეტი წელი მაინც იმუშავებს, თუ არა და, ერთ წელიწადში დაიშლება.

**— რა თვისება აქვს ქართული პურს ისეთი, რომ ყველგან მოსწონთ?**

— ქართული პური გამომწვარ თიხაზე ცხვება. თონის აგებულების სიზუსტე განაპირობებს მის საუკეთესო გემოს. მართალია, ახლა ხალხს საკუ-

თარი წისკილები აქვს და ამის გამო ხშირად ფქვილი უხარისხოა, მაგრამ კარგად მოხელილი ცომი ამ ნაკლს მაინც ფარავს. გახსოვთ ალბათ, არეულობის წლები, როცა მთელი ქალაქი საშინელ სიდუხჭირეს განიცდიდა, პურის რიგში ხალხი მთელი ღამე იდგა. მაშინ ვაკაკეთე საცხობი. „თავთუხი“ დავარქვი — უძველესი ქართული ხორბლის სახელი. ეს იყო პირველი კოოპერატივი თბილისში. მეზობლებს ვუთხარი: არ შეგეშინდეთ — იმხელა პურს გამოვაცხობ, შიმშილს არ გაგრძნობინებთ-მეთქი. პატარა პურიც რომ გამოძეცხო, მაინც მაღლიერები დარჩებოდნენ, მაგრამ არ ვიკადრე. კაცი, რომელიც მაღლიანი არ არის და კეთილშობილი, კარგ პურს ვერ გამოაცხობს, რადგან მაღლი მისი ხელიდან პურში გადადის. იმ მძიმე დღეების მიუხედავად, მაინც სასიამოვნო მოგონება დამრჩა. მამა-შვილი იყვნენ მოსულები საცხობში. ისე ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ გავიდნენ, თვალი ვაკაყოლე. მამამ მაშინვე გატეხა პური, შეიღს მიაწოდა და უთხრა: დაიმახსოვრე, ასეთ პურს სხვაგან ვერსად შეჭამ, ეს არის ნამდვილი ქართული პურის გემო... ჩემთვის ამაზე დიდი ჯილდო არ არსებობს. მთავარია, ხალხი მყავდეს მაღლიერი. უამრავი ლექსი დაუწერიათ ჩემთვის. წელიწადი არ გავიღოდა, გაზეთში რომ არ დაეწერათ ჩემზე: „ოქროს მარჯვენაინი ინდიკო მაისურაძე“... მაგრამ ყველაზე სასიხარულო მაინც ის არის, თონეს რომ მუშტარი არ აკლდება და რომ ჩემს პურს უამრავი ადამიანი აღფრთოვანებაში მოუყვანია. რესტორან „საქართველოში“ რომ ვმუშაობდი, ირანის შაჰი მოვიდა. მას თბილისში ერთ-ერთ წვეულებაზე ჩემი პური უჭამია და გადაუწყვეტია, პირადად გამცნობოდა. მის პატივსაცემად მეტრანახევრიანი შოთები დავაკარი. თუმცა ირანში სამუშაოდ მაინც არ გავეყვი.

**— პურის ცხობა**

**და თონის აშენება ბევრისათვის გისწავლებიათ?**

— კი. ძალიან ბევრისთვის. ისეთი მონდომებით ვასწავლი ხოლმე, თითქოს ჩემს სულსა და გულს ვუდებ სხეულში! ძალიან მიყვარს ახალგაზრდები. მახსოვს, ერთი მოსწავლე მყავდა. გავიგე, ცოლის მოყვანა უნდოდა და ჩასაცემელიც არ ჰქონდა. მაკინტოშის პალტო ვაჩუქე... ბედნიერი ვარ, როცა ადამიანებს ვეხმარები, ამ რამდენიმე წლის წინ საკუთარი სიცოცხლეც კი სასწორზე შევავლე. მაშინ კასპში ვმუშაობდი. ერთ დღეს სამსახურში მივდიოდი. დიდუბის ხიდთან ხალხს მოეყარა თავი. ვაკაჩერე მანქანა, გადმოვედი. ჩემი შვილის კბილა გოგონა წყალში გადაამხტარიყო თავის მოსაკლავად... მტკვარი ისეთი აღიდებული იყო, ცა და დედამიწა მოჰქონდა. მე კი ცურვა კარგად არ ვიცოდი. თოკის ერთი ბოლო მოვაბი ჩემს მანქანას, მეორე ქამარზე გამოვსკვნი მაგრად და ასე გადავხტი წყალში. ის მაინც მოვახერხე, რომ ხელი თმაში ჩამეველო, შემდეგ ხალხმა ამოგვიყვანა თოკით...

**— რამდენადაც ვიცი, თქვენ საოცრად ღონიერი ბრძანდებით... არასოდეს გიცდიათ,**



**თქვენი წინაპრის — კოსტა მაისურაძის მსგავსად, სასწაულები მოგვხდინათ?**

— კოსტა მართლა ძლიერი იყო, უძლეველიც კი. მის ძლიერებასა და გამბედაობაზე ლეგენდებიც კი შეითხზა. ის ჩემს მშობლიურ სოფელ ცხმორში დაიბადა. მაჯისსიმსხო რკინას თასმასავით გრუნდა. მის მაჯაზე დახვეული 11 მმ-იანი ლითონის ღერო ახლა ონის მუზეუმში ინახება. სამწუხაროდ, ჩვენ სხვადასხვა დროს დავიბადეთ და მე მხოლოდ მისი ოჯახის წევრებს ვიცნობ. კოსტას შვილის — ივლიტას მეუღლე იყო პორფილე დაუშვილი. პორფილე ჩემი ძალით ნამდვილად გაოცებული დარჩა. მან რესტორან „საქართველოში“ მნახა. ჩემთან მაშინ ხშირად მოდიოდნენ ცნობისმოყვარენი და მთხოვდნენ: ნამღევზე ამეწია ფქვილის ტომრები. სამ ტომარას ვწევდი: ერთი — ერთი ხელით მეჭირა, მეორე — მეორით, მესამე კი — კბილებით. სულ 210 კგ გამოდიოდა. სანამღეოს ყოველთვის პურმარილზე ვდებდით და იყო მეორე ქეიფი. ერთხელ, რაც რესტორანში ნავაჭრი ფული იყო, სულ ნამღევში ჩამოვიდნენ. ერთი ვედრო გაივსო. ის ფული მოვიგე და, რა თქმა უნდა, ისევ ქეიფში დავხარჯე.

**— სმაშიც ძლიერი იყავით?**

— არა, ბევრს ხშირად არ ვსვამდი... თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა ორ კაცს ერთი ბოთლი „საფერავი“ და ერთი ბოთლი კონიაკი დავგილევი. შემდეგ კი მარტოს, ექვსი ბოთლი ღვინო დამიყოლებია.

**— მუშაობას როდისდა ასწრებდით?**

— სმის შემდეგ ჩვეულებრივად ვმუშაობდი. ღამეს ვათენებდი, შემედლო დაღევა და ვსვამდი. ზომაზე მეტი არასოდეს დამილევია. რომ დავმთვრალიყავი, გახურებულ თონეში ხომ ვ ე ღ ა რ ჩაკვიდე-ბოდი... კ ა რ გ ი ა , როცა ახალ-გაზრდა ხარ, ჯან-ღონით სავსე. ბაბუა-ჩემიც ძლიერი კაცი ყოფილა. 118 წლის გარდაიცვა-

ლა. ხელებს რომ გაშლიდა, ზედ იმდენი ბავშვი დაეკიდებოდა, რამდენიც დაეტეოდა. ეს სიმძიმე მას არ აწუხებდა, ხელებს ქვემოთ არაფრით ჩამოწევდა. დიდი ბაბუა ივანე კი, ცხმორის მასახლისი იყო. არაჩვეულებრივი აღმიაანი ყოფილა. წერეთლებთან მეგობრობდა თურმე. უამრავი მიწა აკაკის მამიდისგან საჩუქრად მიიღო. ის სიგელები დღემდე შენახული გვაქვს... აკაკის მამიდას კაბის კალთა გახვევია მინდორში. ივანეს ცოლს კი ამოუკემსავს და მერე იმ ადგილისთვის ნემსეული შეურქმევიათ... ერთი წერილი გვაქვს წერეთლებისგან მოწერილი: ყველაფერი გვაქვს, ივანე, თავადის გვარსაც გიბოძებთო. ივანეს კი მიუწერია: გლეხთან გლეხი ვარ, თავადთან — თავადი, ახნაურთან — ახნაური. ჩემი გვარი მირჩენია მქონდესო. ამის შემდეგ ივანეს თავადები ასე მოიხსენიებდნენ: გლეხი-მესაკუთრე. ამის დამადასტურებელი სიგელიც გვაქვს... მამულები, რა თქმა უნდა, გასაბჭოების დროს ჩამოვართვეს, მხოლოდ მაშინდელი სახელებილა შემორჩა იმ მიწებს.

**— რატაში თუ გაგიკეთებიათ თონე, მშობლიურ ცხმორში თუ იციან თქვენი პურის გემო?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ რატაში დედაჩემის თონეებია ცნობილი. დედა კირვალაიძის ქალია, უღამაზესი კესო. 96 წლისაა უკვე. ის აკეთებდა თიხის პატარა თონეებს. გარშემო თხილის ტოტებით წნავდა. მთელი რატა იცნობდა, როგორც კარგ ხელოსანს. კესოს მამა მთელ რატაში ცნობილი ხურო იყო, საუკეთესო ხელოსანი. მისი ვერცხლის ჭობოსანი (ხის ქლიბი) დღესაც შენახული გვაქვს. მისი ხელითაა ნაკვეთი ჩვენი ბუნარი. ის ორმეტრიან ქვაშია გამოკვეთილი და საოცარი სანახავია. კესოს დედა ახნაურის ქალი გახლდათ. პირმშვენიერი ლიზა. არაჩვეულებრივად ქარავდა და ყველაზე

უკეთესად კერავდა ქართულ ჩოხებს, რაც თავისი ნათლიებისგან — ბაქრაძეებისგან შეუსწავლია.

**— რატეველ კაცს, რა თქმა უნდა, სიმღერაც გეყვარებათ? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ოპერის ცნობილი მომღერლები ბადრი მაისურაძე და თემურ გუგუშვილი ცხმორელები არიან.**

— ჩვენი სოფელი ყოველთვის პირველ ადგილს იკავებდა ხალხურ თვითშემოქმედების ოლიმპიადებზე. მე რატვის გუნდში ვმღეროდი. რატული ფოლკლორი, მოგესვენებათ, როგორი მრავალფეროვანია, მაგრამ არც სვანურ და მეგრულ სიმღერებს ვივიწყებდით. ახლა უფრო სატრფიალო სიმღერები მიყვარს, არ ვიცი, ეს რისი ბრალია, იქნებ ასაკისაც.

**— ამბობენ, ცხმორი უღამაზესი სოფელიაო...**

— ასეა. ისეთი წარმტაცია იქაური ბუნება, შეუძლებელია ძლიერი, ჯანმრთელი და ჯანსაღი სულის ადამიანი არ შვას. ცხმორის სამკურნალო წყლები კარაბაძინშიც კია მოხსენიებული. ცხმორში თვალუწვდენელი, თან გასაოცარი სილაამაზის კლდეა; ზედ კი დიდი გამოქვაბულია. მკვიდრი მოსახლეობა მას თამარ მეფის გამოქვაბულს უწოდებს. მის გვერდით არის ბუერი, ძალზე პატარა გამოქვაბული, რომელშიც ფუტკარი ბუდობს. ისეთი მიუვალი ადგილია, თვალი ძლივს სწვდება. ჩემი წინაპრებისაგან მასსოვს, რომ ის გამოქვაბულები აივნებით ყოფილა დამშვენებული. ვარაუდობენ, რომ თამარის გამოქვაბულს გასასვლელი აქვს სოფელ შქმერში. გეოლოგებმა კი შქმერში აღმოაჩინეს უდიდესი მღვიმე, რომელიც თურმე ათონის მღვიმეზე დიდიცაა და ლამაზიც. თამარის გამოქვაბულში სანთელს რომ შეიტან ქრება: ეს იმას ნიშნავს, რომ შიგ ჩაკეტილი სივრცე არ არის და, რომ მთები დიდ საიდუმლოს ინახავს... კლდის წვერიდან თოკით გამოვეკიდე, ჩავედი გამოქვაბულში და თავი ამოვიღე. ხალხი შიშისაგან თვალეებზე ხელს იფარებდა... ბუნებას უყვარს რისკი. თუ ბუნების მრისხანების არ გეშინია, ის გულში ჩაგიკრავს და გაგანებებებს, ქართველი ყოველთვის ახლოს იყო ბუნებასთან, ამიტომაც მიიღო ჯილდოდ ბუნების მადლი — საოცარი გემოსი და თვისებების მქონე პური, ნამდვილი ქართული პური. ■



ერთი თვის წინ თბილისში გამართულ ჯაზის ფესტივალზე დამსწრე საზოგადოების უმრავლესობას, დათო ევგენიძისა და ოძელას (დათო ოძელაშვილის) ფანები წარმოადგენდნენ. თუმცა, ოძელაშვილი თავს ჯაზმენად სულაც არ მიიჩნევს: „ჩემი მუსიკა ჯაზი არ გახლავთ — ეთნომუსიკაა, „უორლდ მიუზიქს“ რომ ეძახიან. ქართული ჯაზი, როგორც ასეთი, არც არსებობს, მაგრამ შეიძლება, ნებისმიერი ნაწარმოები აიღო და გააჯაზო. იმპროვიზაციის თემად, ძირითადად, ქართული ფოლკლორი გვაქვს აღებული, რასაც აღმოსავლური ბაიათიც ემატება“, — ამბობს თავისი საქმის უზადო ოსტატი დათო ოძელაშვილი. „დათოსა და მისი ბენდის“ იმპროვიზაციებმა, მართლაც არ შეიძლება აღფრთოვანებაში არ მოიყვანოს მსმენელი.

### ელისო გურბენიძე

მისი მუსიკალური ცხოვრება საღამურით დაიწყო: ტელევიზიით ომარ კელატიშვილის კომპოზიციებს გადმოსცემდნენ. პატარა დათომ დედის მიერ უყურადღებოდ დატოვებული საღამური აიღო ხელში (დათოს დედას — ქალბატონ მერის საგუნდო-სადირიჟორო აქვს დამთავრებული) და მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დაკვრა არავის უსწავლებია, მელოდა ტელევიზიით მოსმენილს მიამსგავსა. ბიჭუნა მაშინვე პიონერთა სასახლეში მიიყვანეს და ფოლკლორულ ანსამბლ „საუნჯეს“ ხელმძღვანელს გოგი ნადირაშვილს მიაბარეს. ერთ თვეში იგი „საუნჯეს“ სოლისტი გახდა. გავიდა კიდევ 3 წელი. დათოს მშობლებს ურჩიეს, შეიღობოდა კლასიკური მუსიკალური განათლება მიეცათ. მუსიკალურ ტექნიკუმში ნორჩ მესალამურეს საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა, ფლეიტისტმა ნოდარ ხოფერიამ მოუსმინა და ფლეიტაზე დაკვრის ხელოვნებას აზიარა. 1 წლის შემდეგ დათომ საქალაქო კონკურსში გაიმარჯვა. 12 წლის დათო ოძელაშვილი კი, კონსერვატორიის მცირე დარბაზში შუბერტის, ბახის, მოცარტის, რომსე-კორსაკოვის ნაწარმოებთა შესრულებით წარდგა მსმენელთა წინაშე. გაჩნდა სტატეები სათაურებით: „ბიჭი ფლეიტით“, „ჯადოსნური ფლეიტა“, „მესამე კლასის მოსწავლე შესაშური ოსტატობით ასრულებს კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუ-



## ნებისმიერი ქართული ნაწარმოები შეიძლება გააჯაზო...



დენტის პროგრამას“, — წერდნენ გაზეთები. „განცვიფრებული ვარ, ბევრი ნიჭიერი მოსწავლე მყოლია, მაგრამ დათო სულ სხვაა. ბავშვს, ერთსაათიანი კონცერტი გაემართოს და ისიც, ამხელა პროგრამით, — ნამდვილად არ მსმენია, თანაც როგორ ღირსეულად, არტისტულად უჭირავს თავი!“ — განაცხადა კონცერტის შემდეგ ცნობილმა მოსკოველმა საქსოფონისტმა შაპოშნიკოვამ და დათოს პედაგოგებს იდეაც გაუზიარა: ჩვენც ვვყავს ერთი ვარსკვლავი და მოდი, ერთობლივი კონცერტი გავმართოთ. 1 წლის შემდეგ მოსკოვში, არბატზე, ქართული ცენტრის გახსნის ცერემონიაზე თბილისელი დათო ოძელაშვილი და მოსკოველი ოლეგა იუ-

ვეშიკოვა ერთად წარდგნენ მსმენელთა წინაშე.

დათო ოძელაშვილზე თხრობისას, შეუძლებელია, მის სპორტულ ცხოვრებას ავუაროთ გვერდი: ის, სხვადასხვა ასაკობრივ გჯგუფში, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონა ჩოგბურთში, აგრეთვე საბჭოთა კავშირის, შემდგომ კი დსთ-ის ტურნირებშიც გაუმარჯვია. საქართველოდან რუსეთსა თუ ბალტიისპირეთში სათამაშოდ წასული კი, არც ფლეიტას იშორებდა — ბალიშის ქვეშ ჰქონდა ამოდებული და თავისუფალ დროს გამონახავდა თუ არა, სულ უკრავდა ხოლმე... 17 წლის დათო არჩევანის წინაშე დადგა: ფლეიტა თუ ჩოგანი? ოძელაშვილმა ფლეიტა აირჩია და ვენაში გაემგზავრა... მას შემდეგ 10 წელი გავიდა.

— დათო, არ ნანობ, ჩოგბურთს მუსიკა რომ ამჯობინებ?

— „პერესტროკის“ ბრალია ყველაფერი: ვიფიქრე, ვარდაქმნით დანგრეულ ქვეყანაში სპორტში წარმატების მიღწევა ძნელი იქნება-მეთქი. დადგა დრო და ავირჩიე, ხანდახან ვნანობ — რატომ დავანებე ჩოგბურთს თავი? კაფელინიკოვი რომ არის, ცნობილი ჩოგბურთელი, მასთან ბევრჯერ მითამაშია: ხან ვუგებდი, ხანაც ვაგებდი... ჩემი აზრით, ყველაფერი ჩვენ „ზემოთ“, სხვა სამყაროში წყდება, ჩვენ კი, იმავედროულად, ინტუიციით ვაკეთებთ არჩევანს.

— ვინდან რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნდით. მიზეზი?



სათამაშოდ წასულს ფლეიტაც თან მიჰქონდა და ბალიშის ქვეშ ინახავდა (მწკრივში პირველი)...

— მიზეზი უსახსრობა იყო: პიროვნება, რომელსაც უნდა დავესპონსორებინე, გაკოტრდა. თუმცა, ჩემთვის დახმარებაც გაუწევიათ: გამგზავრების წინა დღეს, სულ რომ არ ველოდი, მამაჩემის მეგობარმა მომიტანა 1.000 ლლარი. ჩემები (ოჯახს გულისხმობს. — ავტ.) შეპირებულები იყვნენ, რომ ფულს გამომიგზავნიდნენ, მაგრამ როდემდე შეძლებდნენ დახმარებას?! ცხოვრების აზრზე არ ვიყავი, შემეშინდა და ჩამოვედი.

**— დიბლომი აქ დაიცავით?**

— დიას. დიპლომის დაცვისთვის, მოცარტის ერთ-ერთი ნაწარმოები უნდა შემესრულებინა, მაგრამ ნაწარმოების ბოლომდე სწავლა ვერ მოვასწარი და საკუთარი ინტერპრეტაციით დავასრულე. სხვათა შორის, გამოცდაზე „ხუთიანი“ დამიწერეს (ივინის).

**— პოლონეთში, მოცარტის აკადემიაში როგორ გაემგზავრეთ?**

— ქეთი დოლიძე დამეხმარა — ჩემი კასეტა წაიღო და მოასმენინა. ძალიან მოეწონათ. მოწვევა გამომიგზავნეს. მოცარტის აკადემიაში, მთელი მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტები ასწავლიან, სანამ წავიდოდი, ანკეტა შემავესებინეს. უნდა ჩამეწერა, რომელ პედაგოგთან ვისურვებდი მუშაობას. პოლონეთში გამგზავრებამდე 9 წლით ადრე, მსოფლიოში ნომერ პირველი ფლეიტისტი ოვრელ ნიკოლია იყო ჩამოსული საქართველოში. თბილისში ახალგაზრდა შემსრულებლებს მოგვისმინა და საზღვარგარეთ გამგზავრება მირჩია... 9 წლის შემდეგ სწორედ ნიკოლია დავასახელე სასურველ მასწავლებლად. პოლონეთში რომ ჩავედი, აკადემიის სასაძლილო-

ში შესვლისთანავე, ერთ-ერთ მაგიდასთან მჯდომი ოვრელ ნიკოლია დავინახე. მივედი მასთან და ინგლისურად მივესალმე. ცხადია, ვერ მიცნო — ვინ ბრძანდებითო, მკითხა. რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი ჩასული, დანანებით მითხრა: აჰ, რამდენიმე წლის წინ მე იქ ასეთი და ასეთი ბიჭი დავტოვეო... ის ბიჭი მე ვარ-მეთქი, ვუპასუხე. აღელვებული წამოხტა და გადამეხვია...

ამ აკადემიაში შესადლებლობების გამოვლენისათვის ყველა პირობა შექმნილი: თუ შეამჩნევენ, რომ სოლისტის მონაცემები გაქვს, აუცილებლად ხელს შეგიწყობენ, რომ კარგი სოლისტი დადგე. ჩემს შემთხვევაშიც ასე მოხდა. კამერული მუსიკის სპეციალისტებისგანაც ბევრი რამ ვისწავლე. ჩემს თავს, თავიდან ბოლომდე პროფესიონალად მივიჩნეე. ჩამოვედი, რომ მეთქვა — მზად ვარ გემსახუროთ-მეთქი.

**— აქ თუ მოინდომეს თქვენი სამსახური? როგორ მოერგეთ თბილისური ცხოვრების რიტმს?**

— აქ სანოს (მერაბ სანოძე), პაატა ანდრიაძეს და ნოდარ ექვთიმიშვილს შევხვდი. რაც გავაკეთეთ, ერთობლივად გავაკეთეთ. ძირითადი იდეა — ქართული ფოლკლორის იმპროვიზაცია, მე მეკუთვნოდა, მაგრამ თემები და იდეები ყველას მოგვაქვს. ერთი პერიოდი, ბარებსა და „დათოს კლუბში“ ვუკრავდით. მთავარი იყო, არ გაჩერებულყავით. თბილისს მშვენივრად მოკვრე და თბილისელები

პიონერთა სასახლეში მისვლიდან ერთ თვეში დათო „საუნჯეს“ სოლისტი გახდა

ძალიან მიყვარს. რაც შეეძქმენი, მათთვის გავაკეთე, და რასაც ვუკრავ, პროფესიონალსაც მოსწონს და არაპროფესიონალსაც. მე მგონი, ყრუებიც არ არიან გულგრილნი, მაგრამ დღეს თბილისი არის „გაცუდებული“...

**— სანამ თბილისზე საუბარს გაფაგრძელებდეთ, მინდა გკითხოთ: მაკა ასათიანს როგორ დაუეჭვ-შირდით?**

— კონსერვატორიაში მე და ნიკა მემარნიშვილმა კონცერტი გავმართეთ. სხვათა შორის, ყველაფერზე ჩვენ ვიზრუნეთ — ღონისძიება ყოველგვარი სპონსორის გარეშე ჩატარდა. მაკა ასათიანი და მისი მეგობრებიც ნიკამ დაპატიჟა. კონცერტის შემდეგ მაკამ მკითხა — რა აზრისა ხარ სერიოზულ მუშაობაზე? რა თქმა უნდა, თანამშრომლობაზე სიამოვნებით დავთანხმდები. საზღვარგარეთაც, ცნობილი მუსიკოსები ხშირად უკრავენ ცნობილ მემოდელეთა დეფილეებზე. ჩემთვის დიდი პატივი იყო მაკასთან თანამშრომლობა.

**— წელან ბრძანეთ, თბილისი ძალიან მიყვარსო. მიუხედავად ასეთი სიყვარულისა, აქ დარჩენას, საზღვარგარეთ ცხოვრებას არ ამჯობინებდით?**

— ვამჯობინებდი, ოღონდ დროებით. სერიოზული საქმის კეთება იქ უკეთ შეიძლება. საზღვარგარეთ ხალისიც მეტი გაქვს და საშუალებაც, შენს პროფესიაში რომ ჩალო ყველაფერი.



**— რა განსხვავებაა უცხოელ და ქართველ მსმენელს შორის?**

— ჯერ ქვეყნებზე ვთქვათ: განსხვავება, რა თქმა უნდა, დიდაა. აქაც, თითქოს გვინდა, რაღაც გადმოვიტანოთ უცხოეთიდან. ამის გამო საქართველოს „კოპირების“ ქვეყანას დავარქმევდი. ეს „კოპირების“ პრობლემა კიდევ დიდხანს გვექნება. ჯერ-ჯერობით კი, კუჭის ქვეყანა გვაქვს. აქ ჯერ ჭამის მეტი არაფერი აინტერესებთ. ასეთებდა დავრჩებით, სანამ იმის მოვლასა და გაფრთხილებას არ ვისწავლით, რაც გვაქვს... მსმენელი ჩვენში ჯერ საკმაოდ ცოტაა, მაგრამ ჩვენი მსმენელი პრეტენზიული, საშიში და სასიფათოა, უფრო სერიოზულია, ვიდრე უცხოეთის მსმენელი. ასე რომ, თუ აქ შენი მუსიკა მოსწონთ, საზღვარგარეთ აუცილებლად მოეწონებათ.

**— დღეს ფოლკლორი ძალიან პოპულარული გახდა მთელ მსოფლიოში. თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— კომპიუტერებისა და ტექნიკისგან დაიღალა ხალხი. გაჩნდა მოთხოვნილება, ის წამოვიდეს წინა პლანზე, რაც ყველაზე სულიერია. იმ მუსიკას, რასაც ჩვენი წინაპრები ქმნიდნენ, თვით ბუნება ჰკარნახობდა ხალხს. უცხოელებს დღესაც არ სჯერათ, რომ ხალხს შეიძლება ისეთი ფუნოქსი შეექმნა, როგორც ქართული მუსიკა: ამას აუცილებლად კომპოზიტორი დაწერდა — ამბობენ. მათ, „კრიმინალური“ დღემდე ვერ გაიგეს, რა არის. არ მინდა დამახინჯდეს ჩვენი ფოლკლორი და იმ ხალხმა გაიტანოს საზღვარგარეთ, ვისაც ნაკლებად ესმის, — უცხოელებს ვგულისხმობ. შეიძლება, ისინი თავისებურად აღიქვამენ ქართულ ხალხურ მუსიკას, მაგრამ იქნებ, მე უფრო სწორი ინტერპრეტაციები მაქვს და არ სჯობს, ისევ ქართველმა წარადგინოს ჩვენი ფოლკლორი საზღვარგარეთ?!

**— გაგიგებ, რომ ისევ საზღვარგარეთ მიემგზავრებით.**

— საფრანგეთში მივდივარ. სამთვიანი პროექტია. შეიძლება, პარიზშიც გამოვიდე. იქაც ფოლკლორს წარვადგენ, ოღონდ — იქაურისა და ქართულის სინთეზს. საფრანგეთიდან თბილისში დავბრუნდები და ცოტა ხნის შემდეგ, კვლავ წავალ. ამ პროექტის ორგანიზატორებს ტურნე აქვთ დაგეგმილი, მსოფლიოს გარშემო.

**— დარჩენას ხომ არ აპირებთ?**

— საქართველოდან შეიძლება რაღაც დროით წავიდე, თორემ საზღვარგარეთ



„ლალი ფანტასტიკური დედა...“

დამრჩენი არა ვარ. არ არსებობს, იქ ვიცხოვრო და იქაური გავხდე.

**— რატომ?**

— ობელაშვილი ვარ და იმიტომ (იცი-ნის).

**— ერთგან წავიკითხე, რომ შტაინერიო ხართ დაინტერესებული?**

— არა. ადამიანი ვარ დაინტერესებული. შტაინერი წაკითხული მაქვს, მაგრამ უფრო მეტად, ქართული მისტერიები მაინტერესებს. ჩემი სურვილია, საკუთარი თავი ვიპოვო მუსიკასა და ხელოვნებაში. მე მგონი, უკვე ვიპოვე, მაგრამ კიდევ უნდა ვეძიო. ამ მიზნისკენ ერთ-ერთი გზა კი, ქართულ ფოლკლორზე გადის.

**— დათო, უფრო მეტად, რეალისტი ხარ თუ მეოცნებე?**

— რასაც ჩავიფიქრებ, აუცილებლად მიხდება ხოლმე, — ოღონდ მოგვიანებით: გადის ერთი, ორი თვე, შეიძლება, წელიწადიც გავიდეს და ოცნება რეალობად მექცევა ხოლმე...

**— ე.ი. წინასწარ ჭკრეტო მოვლენებს?**


— შეიძლება ასეც ითქვას. ოცნება ყველას გვაქვს, მაგრამ ალბათ მაინც, რეალისტი უფრო ვარ. რეალისტი-მეოცნებე (იცი-ნის)...

**— რაზე ოცნებობს დღეს რეალისტი-მეოცნებე?**

— ეს სათაური იქნება (იცი-ნის)? — არაფერზე. ერთს ვისურვებ მხოლოდ — რომ ჯანმრთელად ვიყოთ მეც და ყველა ჩემ გარშემო.

**— ოჯახზე რას გვეტყვი?**

— მყავს ორი შვილი და მეუღლე, ლალი პატარაიძე, რომელიც ძალიან მიყვარს და ყველგან და ყველაფერში ჩემ გვერდით არის. ჩემი პრობლემები მის-



„მეც ფანტასტიკური მამა ვარ!“

თვის ყოველთვის გასაგებია. ამავე დროს, ლალი ფანტასტიკური დედა. მეც არანაკლები მამა ვარ, ასე რომ, ცვდილობთ, ერთმანეთს ხელი შევეწყობთ.

**— ლალი რომ ასეთი არაჩვეულებრივი მეუღლე იქნებოდა, ესეც წინასწარ განჭვრიტეთ? დაოჯახებამდე ცოტა ხნით ადრე ხომ არ ოცნებობდით ასეთ მეუღლეზე?**

— საერთოდ, ვიცი, ვისთანაც ვმეგობრობ, თავიდანვე ვგრძნობ, როგორი ურთიერთობა შეიძლება მქონდეს ადამიანთან. ერთი-ორი შეხვედრაც საკმარისია. თუ ადამიანი არ მომეწონა, გამორიცხულია, ვინმესთან ურთიერთობა ავაწყლო... ჩემი მეუღლე ტელერადიოკორპორაციაში გავიცანი — რადიოში მუშაობდა. ჩემს ინტერვიუს წერდნენ, ერთმანეთს რომ შეეხვდით, ძალიან მალე დაეახლოვდით.


**— დღეს ყველაზე დიდ ოპტიმისტებსაც აღარ სჯერათ, რომ მდგომარეობა საქართველოში გამოსწორდება. როგორც ჩანს, თქვენ ასე არ ფიქრობთ: უცხოეთისკენ არ გიჭირავთ თვალი. აქაც წინასწარ ხომ არ ხედავთ რამეს?**

— ალბათ 20-25 წლის შემდეგ შეიცვლება სიტუაცია. ჩემი შვილი 25 წლის რომ იქნება, შეიძლება მან და მისმა თაობამ გააკეთონ რამე... თუ ვინდათ, 25 წლის შემდეგ შეხვდეთ ერთმანეთს და ვისაუბროთ ამ თემაზე. მაშინ 52 წლის ვიქნები...

**— როგორი წარმოგიდგინიათ იმ ასაკში თქვენი თავი?**

— ახალგაზრდა, რა თქმა უნდა (იცი-ნის)! ჭკალარის მიუხედავად...

„...ვინ იცის მტკვარო, რას დუდუნებ, ვისთვის რას იტყვი, მრავალ დროების მონამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი...“ — ეს სტრიქონები ძალიან დიდი ხნის წინ მტკვრის ნაპირას მოსეირნე ცნობილ პოეტს დაუნერია. მაშინაც ბევრი რამ ექნებოდა სათქმელი უამრავი ამბის მომსწრე ჩვენს მთავარ მდინარეს და დღეს კიდევ უფრო მეტი აქვს, ამდენ ქართველგამოვლილ დედათბილისთან ერთად. მისი ტალღების მესაიდუმლედ და ტკივილის გამზიარებლად, მის ჯებირებზე ალაგ-ალაგ გადაყუდებული მეთევზეები მივიჩნევ. ზოგს თევზაობის დიდი გამოცდილება აქვს, ზოგიც დამწყებია. რამდენიმე მათგანს ვესაუბრე. ვინაობის გამხელისგან თავი შეიკავეს, რადგან, როგორც ერთმა საკმაოდ სტაჟიანმა მეთევზემ მითხრა, ეკოპოლიციის თანამშრომლები ჩვენი საკმაოდ ხშირი სტუმრები არიან და ჩვენი გვარ-სახელები რომ დანერო, აქ საერთოდ აღარ გაგვაჩერებენო.



ისე უცებ მოხდა ყოველივე ეს, რომ მათთან მისვლა და გასაუბრება ვერ მოვასწარი. მხოლოდ ფოტოზე დაფიქსირებალა შევძელით...

# გამორჩეული უსადუოხიდი გოგონას გზაზე მეთევზეება მინას მიაზარეს

## მამუკა ხუციშვილი

— მაინც რას გერჩიან? — კკითხე თავზე მზისქუდჩამოფხატული შუახნის კაცს.

— მოდიან, გვამოწმებენ — ანკესზე ორი საყლაპავი ხომ არ გვიკეთია, ან „ეკრანით“ ხომ არ ვთევზაობთ („ეკრა-

ლარი, ზოგჯერ 80-100 ლარი... თქვენ გგონიათ, ორ საყლაპავს რომ გაუკეთებ, ორჯერ მეტ თევზს დაიჭერ? ის „ეკრანიც“ ანკესივითაა — ერთი ცალი თევზი მოსდევს, მეტი კი არა...

ეს თუ აკრძალულია, მაშ, ის შეიძლება, ღენით რომ თევზაობენ, დღეში 100 კილო თევზს რომ იჭერენ და ერთ

დამშლელი? ადრე ჰესთან ვთევზაობდი ხოლმე... ერთხელ, ჩვენი თვალის ასახვევად, ვითომ წართვეს თევზის საჭერი აპარატი და აკუმულატორი, თუმცა ცოტა ხანში, ასე, სამასი მეტრის ქვემოთ გადაინაცვლეს: იმათ ეგონათ, მოგვეფარნენ, მაგრამ მაინც დავინახეთ, უკან როგორ დაუბრუნეს ყველაფერი...

საუბარში მეორე, ასაკოვანი მეთევზე ჩაგვერთო:

— კაცო, სამუშაო არაფერი არის, მოვხუცდი, მაგრამ მკლავი მაინც მიჭრის, დამასაქმონ და საერთოდ დავანებებ თავს ამას. გგონიათ, მეხალისება ამ სიციხეში დგომა და საათობით ლოდინი? აჰა, ნახეთ, მთელი დღის მანძილზე სულ ოთხი ცალი ჭიჭყინა დავიჭირე... — მეთევზემ მტკვარში თოკით ჩამვებული პატარა მოწნული ტომსიკა ამოსწია და შიგ გამოძწყვდეული, უკვე ამოტრიალებული თევზები დამანახვა: — ამით ვარჩენ ოჯახს, სხვა შემოსავლის წყარო არ გამაჩნია...

— დღეში ყველაზე მეტი, რამდენი დაგიჭერიათ?

— ხან როგორ და ხან როგორ —

## ...ქალმა ყვირილი დაიწყო — მიშველეთო... ერთი გრძელი „კატანკა“ მავთული ჩაგაწოდეთ, ამასობაში მოვიდა პოლიცია, ჟურნალისტები და ისე გაშუქდა ეს ამბავი, ვითომ პოლიციამ გადაარჩინა...

ნი“ სამკუთხედად დაწნული, მცირე ზომის ბაღეა). თუ დაგვიჭირეს, ბრაკონიერობაში გვითვლიან. აქტს გვიდგენენ, ჯარიმას გვიწერენ, ანკესებს გვართმევენ და...

— ჯარიმა რამდენია?

— მაგათ რას გაუგებ, ადგილს გააჩნია და იმას, რით თევზაობ... ზოგჯერ 8

ამდენს კიდევ აფუჭებენ?

— განა იმდენი თევზი კიდევ არის დარჩენილი მტკვარში, რომ დღეში 100 კგ დაიჭირონ?

— როგორ არ არის, ჰესის ქვემოთ ჩადით და თქვენი თვალით ნახავთ. ეკოპოლიცია „წილში უხით“ — თვეში 800 ლარს იღებენ მათგან და ვინ არის

ამინდს გააჩნია. ზოგჯერ მთლად ხელ-  
ცარიელი წავსულვარ, ზოგჯერ 3-4  
კილოც დამიჭერია, მაგრამ ასეთი დღე  
იშვიათად გამოერევა ხოლმე. საერთოდ,  
აქეთ ნაკლებია თევზი, ქვემოთ, ჰესისკენ  
უფრო მეტია. მაგრამ იქით ვერ მივდი-  
ვართ – იქ ეკოპოლიცია უფრო ხშირ-  
ად დადის. ანკესით ვთევზაობთ, მაგრამ  
მანც გვაპოწმებენ, შარს გვღებენ და  
ამიტომ აქეთ გვირჩევენია...

ჩემი ორი მოსაუბრისგან ცოტა  
მოშორებით, ჯებირზე ახალგაზრდა კაცი  
იჯდა, ახლა მისკენ გადავინაცვლე,  
სწორედ იმ დროს დავადექი თავზე, როდე-  
საც თევზს აძრობდა ანკესიდან და წყ-  
ალში ჩაკიდებულ მოწინულ ტომსიკაში  
უძახებდა. რომ გაიგო, ყურნალისტი  
ვიყავი, ახლოს არ გამიკარა, – დღეს  
პირველად ვთევზაობ და ვერაფერს  
გეტყვიო.

რა გაეწყობოდა, მე და ფოტოკორე-  
საონდენტი ბედად გამოვლილ სამარშრუ-  
ტო ტაქსიში ჩავსხედით და გეზი სწორედ  
იმ იღუმალებით მოცული ჰესისკენ  
ავიღეთ. იღბალიც ამას ჰქვია – იქ  
მისულემა საკუთარი თვალთ დავი-  
ნახეთ, თუ როგორ ჩაუშვეს მწვანე ფერის  
გასაბერი ნავი ჯებირიდან, შემდეგ როგორ  
ჩაცოცდა შიგ ორი კაცი აკუმულატორ-  
თან ერთად და ნიჩბების მოსმით გაჰყვნენ  
დინებას. სამწუხაროდ, ისე უცებ მოხდა



ყოველივე ეს, რომ მათთან  
მისვლა და გასაუბრება ვერ  
მოვასწარიო. მხოლოდ ფო-  
ტოზე დაფიქსირებლა შეე-  
ძელით... სანაპიროზე ჩამ-  
ოვედით და იქვე პირველივე  
შემხვედრ მეთევზეს, 63 წლის  
მარლენ მახარაძეს, გავე-  
საუბრეთ:

— დიდი ხანია, რაც  
თევზაობთ?

— ორი წელია... ავტოა-  
ვარიაში მოვყევი და ექიმმა  
ბუნებასთან სიახლოვე მირ-  
ჩია... თევზაობა ცოტა მამშ-  
ვიდებს.

— ე.ი. თქვენ აღ-  
ბათ თევზის ქამაზე  
მეტად, მისი დაქვრა  
განიჭებთ სიამოვნებას?

— კი, ასეა... შეიძლება,  
კვირა ისე გავიდეს, რომ  
თევზს პირი არ დავაკარო...

— რა პროფესიის ბრძან-  
დებით?

— ინჟინერი ვარ...

— დღეში საშუალოდ რამ-  
დენს იჭერთ?

— ხან ვერაფერს, ხან 2-3 კილოს.

— მერე ამდენ თევზს რას  
უშვრებთ?

— ამით ვირჩენ თავს...


— გავიგე, ეკოპოლიციის  
თანამშრომლები ძალიან განუხ-  
ებენ ხოლმე...

— კი, მოდიან ხოლმე, გვაპოწმებენ,  
მათი მოვალეობაც ეგ არი... ისე, თუ  
პატიოსნად ითევზავებ, არაფერსაც არ  
გიზამენ. ეგენი რომ არ იყვნენ, დღეს  
მტკვარში უკვე თევზი აღარ იქნებო-  
და...

— ისე, ადრე უფრო ბევრი  
იყო თევზი თუ დღეს?

— ადრე, რა თქმა უნდა... კომუ-  
ნისტების დროს მარტო ისინი თევზა-  
ობდნენ, ვისაც ამის „მულამი“ ჰქონდა,  
დღეს კი უმეტესობამ იმიტომ მოჰკიდა  
ხელი ამ საქმეს, როგორმე თავი რომ  
გაიტანოს... აგერ, იმ „შავმაიკიან“ კაცს  
ხომ ხედავ (თითით მანიშნებს შორიან-  
ლოს მდგომ ახალგაზრდაზე)? ლტოლ-  
ვილია აფხაზეთიდან, სამი ქალიშვილის  
მამაა, მესამე ახლახან შეეძინა. ორი  
დღის წინ მეუღლე გადმოუვარდა მე-

ლევან სტეპანოვი



ინკოგნიტოდ დარჩენილი მეთევზე

ლორე სართულიდან, ფეხი მოიტეხა, ექიმებ-  
მა მკურნალობაში 70 ლარი მოსთხო-  
ვეს. საიდან იშოვოს ლტოლვილმა, ქირ-  
ით მცხოვრებმა კაცმა ამდენი ფული?

— თითქმის მთელ დღეს  
მტკვართან ატარებთ და რაიმე  
უჩვეულოს გადაეყრებოდით...

— ერთხელ ამ ხიდიდან დაახლოე-  
ბით 50-60 წლის ქალი გადახტა, თავს  
იკლავდა საწყალი, მაგრამ წყალში რომ  
ჩაყურყუმელავდა, ეტყობა, გონს მოეგო  
და რომ ამოყვინთა, ყვირილი დაიწყო –  
მიშველეთო... ერთი გრძელი „კატანკა“  
მავთული ვნახეთ და ჩავაწოდეთ, ძლივ-  
ძლივობით ამოვიყვანეთ წყლიდან... ამა-  
სობაში მოვიდა პოლიცია, ყურნალისტები  
და ისე გაშუქდა ეს ამბავი, რომ პოლი-  
ციამ აიღო თავის თავზე – ვითომ იმათ  
გადაარჩინეს...

ასეთი შემთხვევაც გვქონდა: ერთი  
ფსიქიკურად დაავადებული, საკმაოდ სიმ-  
პათიური კაცი მოდიოდა ხოლმე და  
გვეხვეწებოდა, მტკვარში გადამაგდეთო.  
სულ იმას გაიძახოდა, წყალი მეძახისო...  
არადა, კარგი შეიღების მამა იყო, თვი-  
თონაც ნორმალურად ჩაცმული დადიო-  
და. გამოეპარებოდა ხოლმე თავისიანებს  
და მოსვენებას არ გვაძლევდა. როგორც  
ჩანს, თვითონ ეშინოდა გადახტომის და  
ჩვენ გვთხოვდა. ერთხელ დააბირა კიდეც,  
მაგრამ მანც მოვასწარიო დაკავება და  
ძლივს მოვიცილეთ თავიდან. ბოლოს  
და ბოლოს, შვილებმა წაიყვანეს... ერთხ-  
ელ, აგერ, იქითა ნაპირს ერთი კაცი მოაღ-

# ერთგული ეკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გე-  
მასსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა  
ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი  
და არც ამ ტესტის კითხვებზე გავიჭირდ-  
ებათ პასუხის გაცემა...

## 1. რა წოდება მიანიჭა ედუარდ შევარდნაძემ 80 წლის იუბილეზე აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილს?



- ა) „საპატიო მილიციელის“;
- ბ) „საპატიო მამულიშვილის“;
- გ) „საპატიო თბილისელის“.

## 2. აშშ-ის რომელ ძალაქში მდებარეობს დინეილიანდი?



- ა) ვაშინგტონში;
- ბ) მაიამიში;
- გ) ლოს-ანჯელესში.

## 3. 1969 წლის 20 ივლისს მთვარეზე პირველად დაადგინ ფანჯირიკაელმა ასტრონავტიკამა — ოლდრინმა და...



- ა) ლენონმა;
- ბ) ჯაგერმა;
- გ) არმსტრონგმა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

გა, ტანზე გაიხადა, ტანსაცმელი დააწ-  
ყო... ჩვენ აქეთა ნაპირიდან ვუყურებ-  
დით... ვიფიქრეთ, ალბათ წყალს შეისხ-  
ამს ტანზე და ისევ ამოვარ, არადა, უკვე  
ზამთარი იდგა... მაგრამ მან წყალში  
შეცურა, მერე უფრო ღრმად შეჰყვა  
დინებას, ერთი ჩაყვინთა და აღარც  
ამოუყვინთავს... ის ტანსაცმელი ისევე  
დარჩა... მოკლედ, თავი დაიხრჩო კაც-  
მა... ვინ იყო, ვერაფერი გავიგეთ.

## — იქით ნაპირს რომ გავ- ყვით, რაღაც ძალიან პატარა საფლავი შევნიშნეთ, თან ხატე- ბიც ესვენა...

— ჰო, ამ რამდენიმე თვის წინ ახალ-  
შობილი ვოგონა დაგასაფლავეთ... წყალმა  
ამოატივტივა... როგორც ჩანს, ვილაცამ  
შინ იშობიარა, არ უნდოდა, ბავშვი ჰყო-  
ლოდა და მტკვარში გადააგდო, საწყ-  
ალს ჭიპლარი ისევ ზედ ჰქონდა... ამ-  
ოვიყვანეთ და მიწას მივაბარეთ... ეჰ, ვინ  
იცის, კიდევ რამდენი ადამიანი ჩაუყლა-  
პავს მტკვრის ტალღებს... ამ მდინარეს  
ენა რომ ჰქონდეს, რამდენ სასწაულს  
მოგვიყვებოდა...

უზომოდ შეგვძრა ბატონი მარლე-  
ნის მონათხრობმა, მაღლობა ვუთხარით  
საუბრისთვის და გზა განვაგრძეთ. ჩვე-  
ნი შემდეგი რესპონდენტი, ბატონი მარ-  
ლენის თქმისა არ იყოს, პატიოსნად  
მოთევზავე 72 წლის ლევან სტეპანოვი  
აღმოჩნდა. თურმე ბატონი ლევანი 13  
წლიდან მძღოლად მუშაობს და 46  
წლიანი სტაჟიც აქვს, 2 მილიონ 850  
ათასი კილომეტრი გაუვლია.

## — რატომ აირჩიეთ თევზა- ობა, ძია ლევან?

— იცი, რა, რომ ვთევზაობ, ვწყნარდე-  
ბი. 15-16 წელიწადია, რაც პენსიაზე ვარ  
და, აბა, რა ვაკეთო...

## — ბევრ თევზს იჭერთ ხოლ- მე?

— დავიჭერ ხოლმე 200-300 გრამს,  
ან ნახევარ კილოს, მერე ბიჭები ვგროვებ-  
ით, შევწვავთ, ერთ-ორ ბოთლსაც მივუარ-  
კუნებთ და ასე გავგყავს დრო...

ისე, ძველი დრო სჯობდა, შეილო, რა  
შედარებაა... აი, ახლა 13 ლარს პენსიას  
რომ მაძლევენ, ერთხელ ნავთლუდის ბა-  
ზარში რომ წავიდე და მოვიდე, იან-  
გარიშე — რა გამოდის... მთელი პენ-  
სია იქ მიდის, მა მე რა ვჭამო? ბალ-  
ახი? აღარც თევზი მოსდევს. აღრე ანკე-  
სის ჩაგდებას ვერ ვასწრებდი, უკვე დაკ-  
იდებული იყო, ახლა კიდევ, საათობით  
ველოდები...

ერთ-ერთმა მეთევზემ ასეთი ფაქტი  
გაიხსენა: გორგასალის ხილთან ვთევზა-  
ობდი, მოულოდნელად ეკოპოლიციის  
თანამშრომლები მომიახლოვდნენ. რომ  
დავიწყე ანკესის მოქაჩვა — არიქა, ბიჭო,  
დაეკილა ჭანარიო — და უფრო სწრაფად  
წამოვიდნენ ჩემკენ, მაგრამ ამოვწიე ანკესი  
და „პაკრიშკა“ ამოჰყვა... მაშინვე უკან  
გატრიალდნენ — წამოდი, ბიჭო, ეს „პა-  
კრიშკებს“ იჭერს, თავი დაანებეო...

ერთხელ პატარა ლეკვს მოაცურებ-  
და ტალღები, საწყალს უჭირდა ნაპირზე  
გამოცურვა, ერთი მეთევზე გადახტა წყ-  
ალში და ამოიყვანა... მთელი თვის გან-  
მავლობაში გვერდიდან არ მოშორებია,  
ჩაუცუქტებოდა ხოლმე და სულ ფეხ-  
ებს ულოკავდა. მერე დაიკარგა სადღაც  
ან შეიძლება მოკლა ვილაცამ. ერთი სი-  
ტყვით, მეთევზეებმა ბევრი საინტერესო  
ამბავი გაიხსენეს, უამრავი ჭორ-მართალიც  
გვითხრეს: აქ ხომ ელვისუსწრაფესად  
ვრცელდება ქალაქის ამბები. თურმე ჩვე-  
ნი ქვეყნის პრეზიდენტს კრწანისში ხე-  
ლოვრუნი აუზი ჰქონია მოწყობილი და  
თავისუფალ დროს საპატიო სტუმრებთ-  
ან ერთად თევზაობასაც ახერხებს  
ხოლმეო... ბატონ ელუარდს ერთი  
ძალიც ჰყოლია, სწორედ იმ ჯიშისა,  
რომელიც ჰიტლერს ჰყავდა და ძალიანაც  
ჰყვარებია „ბაბუს“ თავისი ოთხფეხა მე-  
გობარიო...





## «კაგებეს» პოლკოვნიკი» «ჩხნიძეშვილი

ყველგან და ყოველთვის „კომპანის“ სული და გული ირაკლი უჩანიძეშვილი, როგორც მისი უახლოესი მეგობრები იხსენებენ, ძალიან სევდიანი კაცი ყოფილა.

ერთ-ერთი მეგობრის აზრით, ამ სევდის მიზეზი, მისი მოუწყობელი პირადი ცხოვრება და ოჯახური პრობლემები ყოფილა, რომელზეც სახალხოდ არასოდეს საუბრობდა. პირველ მეუღლესთან განშორების შემდეგ, რამდენჯერმე კიდევ იქორწინა, მაგრამ გული ვერავის დაუღო, რადგან, ისევ ის ქალი უყვარდა. მარადიული სევდის მიზეზი ისიც ყოფილა, რომ სიგიჟემდე უნდოდა თურმე, ორი ქალიშვილის შემდეგ, ვაჟიშვილიც ჰყოლოდა. თუმცა, ეს ოცნებაც აუხდენელი დარჩა. ბოლოს კი, შემზარავმა ფაქტმა, რომელიც მის

შვილიშვილს შეემთხვა, საბოლოოდ გაანადგურა. ბავშვი ცივით სრიალის დროს წყლიან ორმონში ჩავარდნილა და დაღუპულა.

ირაკლი უჩანიძეშვილი სიმღერას ყოველთვის „ასეთია ქურდი კაცის ბედით“ იწყებდა თურმე. ერთხელაც, წავკისში სუფრასთან მისთვის სასწრაფოდ გიტარა მოუნახავთ და სიმღერა უთხოვიათ. თავისებურად, ნაღვლიანად დაილიდინა ირაკლიმ. მეზობელი სუფრიდან კი, ერთი ტლუ ბიჭი აჰყვავდა და მთელი სიმღერა „გაუფუჭა“. მერე, ის ბიჭი მათ მაგიდასთან დიდი გაჭირვებით მისულა. ირაკლისთვის ხელი გადაუხვევია, ქართულ-სუფრულადაც ჩაუკოცნია და ლუღლუღით უთქვამს: „ძია კაცო, ძალიან კარგად კი მღერინხართ, მაგრამ არ გეწყინოთ და, ირაკლი უჩა-

ნიძეშვილთან მაინც ვერ მიხვალთ“. ფოტოსურათის გადაღების ამბავი კი ასეთია:

ემზარების ოჯახს, ირაკლი ძალიან ჰყვარებია. ერთხელ, სტუმრად მიუპატიჟებიათ და მართლაც, გულიანი მასპინძლობა გაუწევიათ. მათი სითბოთი და ღვინის მაღლით გაბრუებულ ირაკლის, წამოსვლისას შეცდომით მასპინძლის მუნდირში გაუყრია ხელი. როდესაც ეს დააფიქსირეს, ძალიან ბევრი იცინეს და იხალისეს თურმე. ირაკლის ქულიც დარდიმანდულად დაუხურავს და გარეთ გამოსულა. გულიანად ხარხარებდა თურმე: აი, ახლა გადამიღეთ სურათი, მე „კაგებეს“ პოლკოვნიკი“ ვარ, ცა ქულად არ მიმამჩნია და დედამიწა ქალამნადო!..

ნანა ქიბიშაური

# „გეგონა, უნ ავალყოფაი შევიყვანე, თუკეე ყარაღეი ყოფილან“

— **ჰევეა დახაკალაბული ექიმი „ნახინფაგა“ მის სასლუი საზაკელი მკვლელობა ჩაიღინეს**

1991 წლის 28 ოქტომბერს, დაახლოებით საღამოს 6 საათისთვის, თბილისში, თარხნიშვილის ქუჩაზე მცხოვრები, საკმაოდ ცნობილი ექიმის სახლში ზარის ხმა გაისმა. რუსუდან პეტრიაშვილმა კარი გააღო და ორი უცნობი მამაკაცი დაინახა. შეხედა თუ არა მათ, იფიქრა — ალბათ პაციენტები არიანო და ავადმყოფების მისაღებ ოთახში შეიყვანა. რამდენიმე წუთში უცნობები ექიმს და იქ მყოფ დანარჩენ პირებს იარაღით დაემუქრნენ და უბრძანეს — ხმა არ ამოიღოთო!

რუსუდან პეტრიაშვილი და მისი ვაჟი ბრძანებას არ დაემორჩილნენ და შემოსასვლელისკენ გაიქცნენ. ყაჩაღებმა ქალს თავში იარაღი ჩაარტყეს, მის შვილს კი ტყვია ესროლეს და იქვე მოკლეს. დამნაშავეებმა იქაურობა მაშინვე დატოვეს და მიიმალნენ.



## მეზი სანაპა

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. პროკურატურის ინფორმაციით, 1987 წლის 18 თებერვალს 29 წლის ალექსი მეტრეველი ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების გამო ზაშურის რაიონულმა სასამართლომ გაასამართლა და მას ერთი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1987 წლის მარტიდან იგი სასჯელს ზონის კოლონიაში იხდიდა. ციხეში ალექსი მეტრეველმა მოგვარე პატიმარი, ვინმე მერაბ მეტრეველი გაიცნო და მალე დაუმეგობრდა კიდევ. მეგობრობა ციხიდან გამოსვლის მერეც გაგრძელდა. 1991 წლის 27 ოქტომბერს ისინი თბილისის სასტუმრო „ივერიაში“ იყვნენ, როცა მოილაპარაკეს, ყაჩაღობით ემოვით ფული. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მეგობრები ერთმანეთს 1991 წლის 28 ოქტომბერს შეხვდნენ. ალექსი მეტრეველს თან ხელეყუმბარა და „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდა, მერაბ მეტრეველი კი მონადირის დანით იყო შეიარაღებული. ისინი თარხნიშვილის ქუჩისკენ ტაქსითი წავიდნენ და მძღოლს მანქანა იქ მცხოვრები ექიმის, რუსუდან პეტრიაშვილის სახლთან გააჩერებინეს. კარზე ზარი დარეკეს. რუსუდან პეტრიაშვილმა ისინი პაციენტებად მიიღო, მერაბ მეტრეველი ავადმყოფად მიიჩნია და უთხრა, პიჯაკი გაეხადა. პიჯაკში მერაბს ალექსის მიერ გადაცემული ხელეყუმბარა ედო. ექიმმა მერაბ მეტრეველი პაციენტების მისაღებ ოთახში შეიყვანა, ხოლო ალექსი — მეორე ოთახში, სადაც მისი ვაჟი მერაბ ზომასურიძე, რძალი ნატალია ცისკარიშვილი და მძახალი — გივი ცისკარიშვილი იყვნენ. ამ უკანასკნელს ხელში მცირეწლოვანი შვილიშვილი ეჭირა.

ოთახში შესულმა ალექსი მეტრეველმა „ნაგანის“ მუქარით უბრძანა იქ მყოფებს, არ განძრეულიყვნენ. ხმაურზე კაბინეტიდან რუსუდან პეტრიაშვილი გამოვიდა და როცა მიხვდა, რაშიც იყო საქმე, შესასვლელი კარისკენ გაიქცა. ალექსი მეტრეველი მას უკან დაედევნა და თავში იარაღი ჩაარტყა. დედას, მისაშველებლად, მერაბ ზომასურიძე მივარდა, იგი ჯერ ალექსის სწვდა ხელებში, მისთვის იარაღის წართმევას ცდილობდა. სწორედ ამ ჭიდილის დროს მასთან მერაბ მეტრეველი მიიჭრა, ალექსის ხელიდან „ნაგანი“ გამოსტაცა და მერაბ ზომასურიძეს პირდაპირ გულში ესროლა.

მერაბ მეტრეველის კვალს პოლიციელებმა ვერსად მიაგნეს, ალექსი მეტრეველის აყვანა კი არ გასჭირვებიათ. დაკავებამდე, 1991 წლის შემოდგომიდან, მისი თქმით, იგი ქალაქ ხარკოვში მეგობარ ქალთან ცხოვრობდა, თუმცა იმავე წელს ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარებისთვის იქვე გაასამართლეს. სასჯელს მიმდგრების სახით ხარკოვში იხდიდა, შევებულებაში გაშვების შემდეგ კი იქაურობა მიატოვა და 1992 წლის მაისში თბილისში დაბრუნდა.

დღეს ალექსი მეტრეველის ადვოკატი მთელი კატეგორიულობით აცხადებს, რომ მას ჩადენილ დანაშაულთან არაფერი აკავშირებს. მისი თქმით, მართალია, ალექსი მეტრეველი ადრე ნარკოტიკული ნივთიერების გამო გაასამართლეს და დამნაშავეც იყო, მაგრამ ექიმის სახლი მას არ დაუყაჩაღებია. „პოლიციამ, უბრალოდ, მათ მიერ შემჩნეულ საეჭვო სასჯელმოხდილებს ეს გაუხსნელი საქმე მიაწერა“, — აცხადებს ადვოკატი.

საგულისხმოა, რომ ალექსი მეტრეველმა პოლიციას აღიარებითი ჩვენება მისცა, მოგვიანებით კი თავის ადვოკატს უთხრა: ჩვენება ძალით დამაწერიანეს, საშინლად მაწამეს, ვერ მითანხმებდნენ, მაგრამ როცა მაგიდაზე დამაბეს და ჩემს გასაუპატიურებლად ვიღაც კაცი შემოიყვანეს, ვეღარ გავუძელი და ყველაფერი დავადასტურეო. ალექსი მეტრეველის თქმით, პოლიციის თანამშრომლები მას ეზუქრებოდნენ — ისეთ საკანში შეგადგებთ, სადაც 10 კაცი რეგრეობით გაგაუპატიურებსო. „ასეთ საშინელ წამებასა და დამცირებას ვერავინ აიტანდა, სწორედ ამ მიზნით იგი 15 დღის მანძილზე უკანონოდ პოლიციაში ჰყავდათ. მოვითხოვე მისი იზოლატორში გადაყვანა, მაგრამ ჩემი მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს“, — აცხადებს ადვოკატი.

ჩვენებაში ალექსი მეტრეველი სიტყვასიტყვით ადასტურებს პოლიციის ბრალდებას. ადვოკატის რჩევით კი, სასამართლოში მან აღიარებაზე უარი თქვა. მეტრეველმა მოსამართლეს განუცხადა, რომ მერაბ მეტრეველს ციხეში ყოფნისას მართლაც იცნობდა, მაგრამ გათავისუფლების შემდეგ მას აღარსად შეხვედრია.

„ვიდრე ვურჩევდი აღიარებაზე უარი ეთქვა, ჯერ მე დავრწმუნდი მეტრეველის უდანაშაულობაში. მანამ, სანამ პოლიცია-

ში გამოცხადდებოდა, იგი რუსუდან პეტრიაშვილის სამსახურში – საავადმყოფოში წავიყვანე და ვუთხარი: შედი იმ ქალთან, როგორც პაციენტი, თუკი შენ მის სახლში მართლაც იყავი, აუცილებლად გიცნობს-მეთქი. ალექსი მეტრეველმა უყოყმანოდ შეალო პეტრიაშვილის კაბინეტის კარი და ოთახში შევიდა. ცოტა ხანში იქიდან გამოვიდა, მაგრამ ამ ვიზიტს პეტრიაშვილის მხრიდან არანაირი რეაქცია არ მოჰყოლია. საქმის მასალებში არსებობს ამოცნობის ოქმები, რომლის მიხედვით ალექსი მეტრეველის ბრალი ამ დანაშაულში სრულიად გამორიცხულია. რუსუდან პეტრიაშვილი განმარტავდა, რომ ბინაში შემოსული ერთი მამაკაცი 40 წლის იქნებოდა, მეორე კი – 20-25 წლის. 40 წლის მამაკაცში მან ალექსი მეტრეველი იგულისხმა, რადგან აღნიშნა, რომ მკვლელობა მეორემ – ახალგაზრდამ ჩაიდინა. არადა, ალექსი მეტრეველი 27 წლის გახლდათ. როცა პეტრიაშვილი ამ უკანასკნელის ამოსაცნობად განყოფილებაში დაიბარეს, წარდგენილი ხუთი პირიდან მან სულ სხვას დაადო ხელი.

იმავე დღეს იგივე ხუთი პირი – რა თქმა უნდა, მეტრეველის ჩათვლით, – პეტრიაშვილის მძახალს – ვიგი ცისკარიშვილსაც წარუდგინეს. ცოტა ხნის თვალთვლების მერე მან თქვა, რომ ამ ხუთ

კაცში თავდამსხმელი არ იყო. მხოლოდ ნატო ცისკარიშვილმა – მოკლულის ცოლმა დაადო ალექსი მეტრეველს ხელი, მაგრამ საზგასმით აღნიშნა: „მე მგონი, ეს იყო, თუმცა ის თავდამსხმელი მაშინ უფრო დაბალი მომეჩვენა“.

თუმცა, საქმის მასალებში, საბრალოდ დასკვნასა და სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში წერია, რომ დაზარალებულად ცნობილმა რუსუდან პეტრიაშვილმა საქმის გამოძიების დროს ფოტოსურათებით ამოიცნო ალექსი მეტრეველი, როცა ისინი ერთმანეთს დააპირისპირეს, ქაღმა მეტრეველს კვლავ დაადო ხელი და უთხრა – იმ დღეს, როცა თავს დაგვესხით, შენ სვანური ქუდი გეხურავო. პროკურატურის ინფორმაციით, ალექსი მეტრეველი დანარჩენმა პირებმაც ამოიცნეს.

**გიგი ცისკარიშვილი** შემთხვევის დღეს დეტალურად იხსენებს:

„დავინახე, სამზარეულოდან ორმა კაცმა გაიარა დერეფანი და შევიდნენ მისაღებ ოთახში. არ გასულა დიდი დრო და რუსუდანმა დაიძახა – მერაბ, წყალი მოიტანეო. ჩემი სიძე მაშინვე წამოხტა და წყალი მიუტანა... მერაბმა მას წყალი მიაწოდა... მერაბი მიაშტერდა მოსულს. ის კაცი ისევ შევიდა ოთახში, მერაბი კი სამზარეულოში შემობრუნდა. შემოვიღიე სახე ჰქონდა, თქვა: ეს ვინ შემოუშვა დე-

დაჩემმა, ეს ახვრები, ეს ნარკომანებიო! ესეც თქვა – ესენი აქედან როგორმე გამაშვებინა და დედაჩემის სეირს გაეურებიანებო, მაღალი სართულიდან გადავავლებო... ესენი როგორ შემოუშვა სახლშიო?! ჩემს სიძეს ისიც უთქვამს – მე მოკლავენო. შევედი საძინებელ ოთახში ჩემს ქალიშვილთან, ვკითხე, რა ხდება-მეთქი? მან მითხრა – არ ვიცი, რა ხდება, ალბათ ცუდი ტიპები შემოუშვა რუსუდანმა სახლშიო. ამ საუბრისას მერაბიც შემოვიდა საძინებელ ოთახში, აქაც იგივე გაიმეორა, რაც სამზარეულოში თქვა...“

ალექსი მეტრეველის ადვოკატი თვლის, რომ პეტრიაშვილი, ხომასურიძე და ორი თავდამსხმელი ერთმანეთს იცნობდნენ. მისი აზრით, მათი მიზანი ყაჩაღური თავდასხმა კი არა, ხომასურიძის მოკვლა უფრო იყო.

მთაწმინდის რაიონის მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ ერთ-ერთი თავდამსხმელი მართლაც ალექსი მეტრეველი იყო და მას 1994 წლის 7 აპრილს განაჩენი გამოუტანეს. იგი დამნაშავედ ცნეს ჩადენილ ყაჩაღობაში და სასჯელის ზომად 14 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს – ქონების კონფისკაციითა და მკაცრი რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში სასჯელის მოხდით. აღნიშნული განაჩენი უზენაესმა სასამართლომაც უცვლელად დატოვა.

**დანით უთხარაღმელუ მანიაქანი იაპონიას ასეგოკვიენ**

რამდენიმე ხნის წინ ქალაქ ოსაკის დაწყებით სკოლაში ახალგაზრდა კაცმა რვა ბავშვი გამოასალმა სიცოცხლეს. საოცარია, მაგრამ ეს საშინელი დანაშაული მიბაძვის ობიექტად ქცეულა. ფსიქიკური მოშლილობითა და მკვლელის კომპლექსით დაავადებული ადამიანები მკვლელის „გმირობის“ გამეორების სურვილმა შეიპყრო და სულ რაღაც ერთ კვირაში, ამომავალი მზის ქვეყანაში კიდევ სამი მსგავსი ინციდენტი მოხდა.

ჯერ იყო და, საყოფაცხოვრებო დანით შეიარაღებული მამაკაცი დიდი გაზეთის „სანკეი სიმბუნის“ წარმომადგენლობაში შევარდა და რაღაც აბლაუბდას გაჰყვიროდა. მან ვერც შეამჩნია, როგორ მოვიდნენ პოლიციელები, რომლებმაც სრულიად უპრობლემოდ გააკოჭეს.

მეორე ინციდენტი ტოკიოს სუგინამის რაიონში მოხდა. დანით შეიარაღებული ხნიერი ქალი საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე შეიჭრა და მის შესაჩერებლად კარში ჩამდგარი მასწავლებელი დაჭრა. თავდამსხმელმა მიმალვა მოახერხა.

ყველაზე მძიმე შედეგით მესამე ინციდენტი დასრულდა: ტოკიოს ბუნკიოს რაიონში ახალგაზრდა კაცმა 78 წლის ბერიკაცი მოკლა და მძიმედ დაჭრა 97 წლის ქალი.

**ქრიიონალური კვარტები**

მაინის ფრანკფურტის ცენტრალური ვაგზალი პერიოდულად დიდი „წმენდის“ ობიექტი ხდება ხოლმე. ვაგზლის გარშემო მდებარე უბანი დიდი ხანია ცნობილია, როგორც პროსტიტუციის, ნარკოვაჭრობისა და უამრავი სხვა დანაშაულის ბუდე, ამდენად პოლიციელთა ნადავლიც მუდამ საკმაოდ უხვია. მაგრამ წლებულს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: სამართალდამცავთა ხელში 3 მაროკოელი მამაკაცი და ერთი გერმანელი ქალბატონი აღმოჩნდნენ, რომლებსაც 800 კგ ჰაშიში ჰქონდათ. ნადავლის ღირებულება 4 მლნ მარკას აღემატება – ცხადია, „შავი ბაზრის“ ფასებით. ბოროტმოქმედებს იარაღიც აღმოუჩინეს და ნახევარი მილიონი მარკაც. პოლიციის ინფორმაციით, დაპატიმრებული „კვარტეტი“ ერთ-ერთი დიდი ევროპული ნარკოკარტელის წევრებისგან შედგება, რომლის ცენტრი ესპანეთშია.



1979 წელს, გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე სენსაციური ინფორმაცია დაიბეჭდა. გაზეთი იუწყებოდა, რომ მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი, იმ დროს უკვე 72 წლის ევგენი ხარაძე რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდების მინიჭებას ულოცავდა თავის პირველ მასწავლებელს — ხარაგაულის რაიონის სოფელ ხუნევის დაწყებითი სკოლის დირექტორს თამარ ტყემალაძეს, რომელიც მაშინაც განაგრძობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და მომავალშიც აპირებდა ბევრი თაობის აღზრდას... ამ ინფორმაციას მკითხველთა წრეებში დიდი ენთუზიაზმით გამოუწვევია — საზოგადოებას აინტერესებდა დიდი მეცნიერის პირველი მასწავლებლის ხილვა — ის სომ 100 წელს მიტანებული უნდა ყოფილიყო.

# ხანმოკლე იყო მათი გენიუზობა, 60 წელი კი მოლოდინში გაიღია...

## ეკა ლომიძე

### თამარ ტყემალაძე მოგვითხრობს:

— 1979 წელს მართლაც მომანიჭეს რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდება. ჯილდოს მიღება უამრავმა ადამიანმა მომილოცა, მათ შორის დიდებულმა და დვაწლმოსილმა მეცნიერმა ევგენი ხარაძემაც, რომელიც ხარაგაულის რაიონში დაიბადა და გაიზარდა. თუმცა, დამიჯერეთ, მე მისთვის არასოდეს მისწავლებია. შეიძლება მე, დღეს 82 წლის ქალი, ჩემზე 12 წლით უფროსი ადამიანის პირველი მასწავლებელი ვყოფილიყავი?! სხვათა შორის, ხუნევის სკოლას წელს უსრულდება 100 წლის იუბილე... გაზეთ „კომუნისტის“ ჟურნალისტის მიერ დაშვებულმა შეცდომამ კი, ერთი პერიოდი ცხოვრება კინაღამ კომმარად მიქცია: საიდან აღარ მოდიოდა სოფლის საბჭოში წერილები?! აინტერესებდათ — ყავარჯნით დავდიოდი თუ არა, სათვალეს ვატარებდი თუ ისეც კარგად მიჭრიდა თვალი, ყურში როგორ მესმოდა და ა.შ.

### — თქვენ ეს ყველაფერი გალიზიანებდათ?

— უცნობი, უცხო ადამიანებისგან — არა, მაგრამ ჩემს ხელში და ჩემ თვალწინ გაზრდილები რომ მეკითხებოდნენ — ქალბატონო თამარ, როგორ არ ვიცოდით, რომ თქვენ აღზარდეთ დიდი მეცნიერი, როდის ასწავლიდით, რომელ წლებში? — წონასწორობას ვკარგავდი. დაგავიწყდათ, თქვენს კლას-

ში „მუნჯი“ ბიჭი რომ იჯდა? დღემისმა მომიყვანა ჯერ კიდევ 5 წლის ევგენი ხარაძე და უკვე მაშინ გიჟდებოდა ასტრონომიასა და ფიზიკაზე, რომელსაც მთელი გატაცებით ვასწავლიდი-მეთქი (ამ დროს კი დაწყებითი კლასების სპეციალისტი ვარ)...

### — ამის მსგავსი კუროზი თუ გქონათ კიდევ ცხოვრებაში?

— „იმერული ესკიზები“ რომ გავიდა ეკრანზე, მაშინ დამიგდეს კიდევ ხმა, თითქოს რეჟისორს ვესმარებოდი სცენარის შექმნაში. კერძოდ — იმ ნოველის სიუჟეტი ვუკარნახე, სადაც ერთი ბედოვლათი მოსწავლე მამლის სარგებლიანობაზე პასუხობს მასწავლებლის შეკითხვას. თუმცა, გადაღებამდე ბევრად ადრე ჩემს პრაქტიკაში იყო მსგავსი შემთხვევა: რაიონის განათლების განყოფილების გამგე მესწრებოდა გაკვეთილზე, შინაურ და გარეულ ფრინველებს ვაცნობდი ბავშვებს და როცა მამალზე ვიკითხე — რა სარგებლობა მოაქვს მეთქი? — ერთმა მუდამ მდუმარე მოსწავლემ ასწია ხელი. ვიფიქრე, გა-



ქალბატონი თამარის მეუღლე ბაგრატ ლომიძე

ცოცხლდა-მეთქი და მივეფერე: აბა, ადექი და მიპასუხე გენაცვალე-მეთქი. თავი მომჭრა: მამალი პეპლაობსო (იგივეა, რაც „ჩინჩლავს“ — ზემო იმერული ვარიანტია) — მითხრა გაბედულად. მთელი კლასი, სტუმრის ჩათვლით, ისტერიკულად ხარხარებდა... პედაგოგის ცხოვრება უამრავი კუროზით არის სავსე: სულ ბავშვების გვერდით ყოფნა საამისოდ უამრავ პირობას ქმნის.

### — ისე, მასწავლებელიც სომ უშვებს ხოლმე შეცდომას, რომლის გამოც გულიანად შეიძლება ისარხარო?

— რასაც მოგიყვებით, სატირალი უფროა, თუმცა კი გაეცინება კაცს. ერთხელ სკოლაში რაიონიდან გვეწვია სტუმარი. გაკვეთილიდან გამოვარდა და მკითხა: ქალბატონო თამარ, მითხარით ერთი, ბოლთის ცემა რას ნიშნავს? გამეცინა — მესუმრებით თუ მცდით-მეთქი? მერე მაინც ვუპასუხე. კიდევ კარგი რომ იცით, თორემ გული გამისკდებოდაო... თურმე იმ გაკვეთილზე მასწავლებელს ბავშვებისთვის აუხსნია — ბოლთის ცემა... ფარულად სიგარეტის წევას ნიშნავ-

სო... „სამოსანი“ იყო ის მასწავლებელი, სიტყვების მნიშვნელობა არ იცოდა და ამიტომ მოუჭრა თავი: ძველმა უსწავლელობამ გაყიდა... აწი ასეთები კიდევ უფრო მომრავლდებიან: ყველა კიბის ქვეშ უმაღლესი სასწავლებელი რომ გახსნეს, იქიდან პროფესიონალები გამოვლენ?! დღეს რომ პედაგოგის გამოსაცდელად ატესტაციები და ათასი უაზრობა მოიგონეს, ეგ ვილაცებისთვის ფულის შოვნის საშუალებაა და მეტი არაფერი. უმაღლეს სასწავლებელში მიღების დროს უნდა მოგვარდეს განათლებულისა და ღირსეულის მიღების საკითხი, მაგრამ იქაც ფულს აკეთებენ მავანნი და ნიჭიერს გზას უღობავენ და გასაქანს არ აძლევენ.

**— თქვენ დღევანდელი რეფორმების წინააღმდეგ იქნებით.**

— რომელ რეფორმაზე ლაპარაკობთ? წინ გადადგმულ ნაბიჯს ხედავთ რამეში? სიყრუე და სიბრმავე როგორ უნდა ინატრო აღამიანმა, მაგრამ ხშირად მინატრია — ამ ცხოვრების შემხედვარეს. სადაც არ გაიხედავ, ყველგან გაჭირვებაა. აღარ დამთავრდა საკუთარი ხალხის დაცინვა და უსაზღვრო ცინიზმი! პენსიონერებს თავი დავანებოთ — ჩვენ წარმავალნი ვართ, — მაგრამ ამ უდროოდ დაბეჩავებული ახალგაზრდების ტკივილი მტკივა, უშინაარსოდ რომ მიდის მათი ცხოვრება.

**— გაჭირვება და ტკივილი არც ახალგაზრდობაში მოგანატრებდათ თავს...**

— მარტოხელა დედა მასწავლებლად ვმუშაობდი და ასე ცხოვრება არ გამჭირვებია. უამრავი ჯილდო მიმიღია, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ვინც შრომობდა, ცხოვრებისთვის აუცილებელი მინიმუმიც ჰქონდა. სულისკვეთებაც სულ სხვანაირი იყო: სკოლამ გადამატანინა ყველა ტკივილი...

**— მათ შორის ყველაზე დიდი, როგორც ვიცო, თქვენი სიყვარულის სევდიან ამბავთან არის დაკავშირებული...**

— სწავლაზე გააფიქრებული ვიყავი ბავშვობიდან, ტრფობისთვის არ მცხელოდა, მაგრამ ჩემი ბედი კარზე აღრეულად მომაცენა დემერტომა. ორ ახლობელთან ერთად ჩვენს სახლში მდგ-



თამარ გყემალაძე შვილიშვილთან და შვილთაშვილებთან ერთად

მურად ცხოვრობდა ჩემი მომავალი მეუღლე. სად აღარ გავიქეცი, მაგრამ ყველგან მომავნო და ბოლოს, დამითანხმა ცოლობაზე. 18 წლის პატარძალი შემეყვანა ოჯახში და დიდებული ქორწილიც გადაიხადა.

**— მერე? როგორც ვიცო, დიდხანს არ გაგრძელდა თქვენი ბედნიერება...**

— სამწუხაროდ, ასე მოხდა. თავიდან სტალინის დედისერთები და სოფლის მასწავლებლები ჯარში არ მიჰყავდა, მაგრამ, როგორც კი 1939 წელში მეორე მსოფლიო ომის ქარბორბალა დატრიალდა, ეს წესი შეცვალა და ჩემი ოჯახის უბედურების ზარმაც დარეკა: ერთ დღეს, სკოლიდან მოსულს ფერწასული და სასომხილილი დამხვდა ჩემი მეუღლე. ჯარში გაწვევის ბარათი ეჭირა ხელში... როგორ არ ეცადა, წასვლა გადადებულიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მე და შვიდი თვის ჩვილმა გავაცილეთ — თურმე სამუდამო გზაზე... მიჭირს გახსენება, მაგრამ დღესაც მასსოვს სევდიანი, რუხი დღე: წვიმდა, ბავშვი ძლივს ავაკლიჯე მამას მეგრდიდან. სულ ტირილ-ტირილით მოვიყვანე სახლში...

**— ომის დაწყებისთანავე დაიღუპა?**

— დღესაც მისი გულის სითბო აქვს შერჩენილი წერილებს, რომლებსაც წასვლის დღიდან ბოლო წუთამდე მწერდა. ომის დაწყებისთანავე

უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ ჩემი მეუღლეც და ჩემი ერთი ძმაც. მოგვიანებით იგივე ბედი ეწია მეორე ძმასაც. როგორ არ ვეცადე მათი ამბის დადგენას, მაგრამ ამაოდ. მოსკოვიდან მხოლოდ ამას მპასუხობდნენ: „არავითარი ცნობა მათ შესახებ არ არის“. ნეტავი, მათი საფლავი მაინც მცოდნოდა, მთელი ცხოვრება აუტანელი მოლოდინით აღარ ვიცხოვრებდი.

**— ნუთუ დღესაც ელით?**

— იქნებ გაგეცინოს, მაგრამ დღესაც ველი. შეიძლება ომიდან დაბრუნებულიყო და დღემდე არც ეცოცხლა, მაგრამ მე ისევ ცოცხალს ველი. იცი, რა გაუსაძლისია ცხოვრება ასე, როცა აღამიანის შინაგანი ბუნება განგების განაჩენს არ ემორჩილება?.. ძაღლის ყოველ წამოყვებაზე გულგახეთქილი ვდგებოდი შუალამისას — არიქა, მოვიდა, შევეგებო, არ იფიქროს, არ მელოდაო... რამდენჯერ იყო, თოვლში რომ ჩაკეცილივარ წამით, როცა მის ნაცვლად, სხვა შემრჩენია ხელში!.. რომ არა ძაღლის მონდომება, სასოწარკვეთილი ბევრჯერ გავიყინებოდი ღამით თოვლში. მთელი ცხოვრება იმაზეც ვფიქრობდი — რამე არ შემეშალოს-მეთქი, თორემ კაცის ენა უძვლოა, ცუდის თქმას რა უნდა, თუ საბაბი მიეცი?! ასე გავლიე ეს ცხოვრება და ველოდი, სულ ველოდი და დღესაც ველი...

ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი

ეონა დვალის უბის წიგნაკრები:



1. კეთილშობილი ირემი ყველაზე დიდი ბუბუქოვარია დიდ ბრიტანეთში.
2. მოსკოვში რკინიგზის ცხრა სადგურია.
3. ონდატრას სხვათაგან მუშის ვირთავას ეძახიან.
4. ფრანგული ფილმი „ვადოქარი“, რომელშიც მთავარ როლს მარინა ვლადი ასრულებს, კუბრინის ნაწარმოების მიხედვით არის გადაღებული.
5. ამერიკის დროშის ფერები რუსეთის დროშის ფერებს ემთხვევა.
6. კაურის მონუსკების ნიკარუგს აზიის, აფრიკის და წყნარი ოკეანის კუნძულების მოსახლეობა ფულად ერთეულად იყენებდა.
7. საბჭოთა კანონმდებლობა ნაპოვნი ნივთის პატრონისთვის დაბრუნებისათვის არანაირ ვიჯილდოს არ ითვალისწინებდა. ძველი ქართული სამართლის მიხედვით კი ნაპოვნი ნივთის დაბრუნებისას მპოვნილი პატრონისაგან გასამრჯელოს – „საპოვნიელას“ – ღებულობდა. ნივთის დამალვა „მპარაობისა რამე მაგიერ საქმედ“ მიიჩნეოდა. არაკეთილსინდისიერ მპოვნელს, რომელიც პირუტყვს დამჭლელებდა, ნივთს გაცვეთდა ან გააქარავებდა, ქონებრივი საზღაურის გადახდა ეკისრებოდა.
8. რომელი მთავარსარდალს, ლუციუს ლიცინიუსს ლუკულუსს, მთელ რომში ყველაზე ყვეტური ინციკალები – „L.L.L.“ – ჰქონდა.
9. ტანკ PANZER 38-ს ვერმანტის შეიარალებამ ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეკავა. იგი ჩეხური წარმოების გასლდათ. ვერმანტებს ისე მოეწონათ ეს ტანკი, რომ ომის დამთავრებამდე აწარმოებდნენ მას.
10. ლომი მტაცებელია, მაგრამ დროდადრო „სანიტრადაც მუშაობს“ – მისი რაციონის ერთ მუშვილს მძორი შეადგენს.
11. ნალმტყორცნი „ბაზუკა“ (ოფიციალურად მარკირებული როგორც „როტი პლანჩერ“) მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკული ქვეითი ჯარების ერთ-ერთი სახელგანთქმული იარაღი იყო. ომის დროს ეს იარაღი ამერიკელებმა ნახევარი მილიონის ოდენობით გამოუშვეს. P.S. შექმნომში იგი ცნობილი ვერმანტული ნალმტყორცის „პანცერშეკის“ პროტოტიპად იქცა.
12. ეროსი მანჯვალაძეს დათა თუთაშხანას როლის შესრულება განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.
13. „ცხოვრება არის ნეტარი, როცა ხარ პარლამენტარი,“ – „მტკიცედ სწამს“ კოტე ყუბანიშვილს.
14. ინგლისელ პუბლიცისტ ჯეიმს ჰარინგ-



უნიცაზში ჩარეცხილი „სიურპრიზი“ ანუ «ჩემი ოქრო – ჩემთან!»

მარინა ბაბუნაშვილი

არც ისე დიდი ხანია, რაც თბილისის ელიტურ ოჯახებში გართობის ახალმა სახეობამ დაიკვივდრა ადგილი. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში გავრცელდა და ისეთი მოდური გახდა ეს „ფანდი“, რომ საზეიმო სუფრა აღარც კი ტარდება ამ ოინის გარეშე.

არ ვიცი, პირველად რომელმა ოხუნჯმა და გონებასხარტმა გამოიგონა ეს ოინი, მაგრამ ფაქტია – მრავალსტუმრიანი სუფრისათვის, ნაირ-ნაირ კერძთან ერთად, შეძლებული მასპინძელი ოქროს ნივთსაც ყიდულობს. რატომ? იმიტომ, რომ მერე საჭმელში (ვთქვათ, ღომში, სულგუნის თხელ ფირფიტაში გასვეულ ნადუღში, ხინკალში ან ნამცხვარში) ჩაღოს, მერე კი იმ „ბედნიერი“ სტუმრის დაღებულ პირსა და გაოცებისგან დაჭყვტილ თვალებზე იცინოს და სხვა სტუმრებიც გაამხიარულოს. ამ დროს, საერთო მხიარულებაში მასპინძელი საზეიმოდ გამოაცხადებს: ჩვენ მოგიმზადეთ სიურპრიზი-ოინი, რომელიც წილად ხვდა ამას და ამას... გახარებული სტუმარი პირიდან იღებს ოქროს ბეჭედს (ძეწკვს, მეღ-

ალიონს...) და გამარჯვებული სახით უჩვენებს შეკრებილ საზოგადოებას.

ბევრი რომ აღარ გაგავრძელოთ, როცა ბუბუქების ოჯახმა წვეულებაზე დაპატიჟა ამ ამბის მთავარი გმირები – ცოლ-ქმარი ლეო და ლია, ფრიად გაიხარეს, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სიურპრიზი აუცილებლად იქნებოდა!

– აბა, შენ იცი! ყოჩაღად და ფხიზლად იყავი, არ მოდუნდე, ყურადღება არ გაგეფანტოს... საცივში და მხალეულობაში, იმედია, არ ჩააგდებენ, უფრო „თავმოკრულ“ კერძებში უნდა იყოს! – როგორც ომში წამსველეს, ისე არიგებდა ქმარს ლია.

– ჩემს სათქმელს შენ ამბობ? სუფრასთან რომ დაჯდები, თამადა ძლივს გაჩუმებს ხოლმე, იმდენი ლაქლაქი იცი ქალებთან... შენ თვითონ იყავი ყურადღებით, ნელ-ნელა დეჭე, ათას დოლარზე მეტი მაქვს დახარჯული შენს „მეტალო-პლასტმასის“ თუ რაცხა ჯანდაბაა, კბილებში და ასლარიანი ძეწკვისა თუ საყურის გულისთვის ნუ ჩაიღეწავ! ახლავე გაფრთხილებ – ერთი თეთრის მომცემი აღარ ვარ შენი კიტები-სთვის, გაიგე? თანაც, როცა საჭ-

მელს გადაიღებ, სამჯერ ჩუმად გაიმეორე, ჩემი ოქრო – ჩემთან-თქვა!

... მეორე დღეს, ლამაზად შეფუთული საჩუქრით და ყვავილების თაიგულით ხელში, ყურებამდე გაღიმებული ლეო და ლია ბუაძეებს ესტუმრნენ.

სუფრა მართლაც ჩინებული იყო, რომ იტყვიან – ჩიტის რძეც არ აკლდა. ლეოც და ლიაც ნელ-ნელა, ფრთხილად ეპარებოდნენ საჭმელს. ცოლ-ქმრის ყბების შენელებულ მოძრაობას თანასუფრელებმაც მიაქციეს ყურადღება და ერთმა ლეოს გააკვირვებით ჰკითხა:

– რა მოგივიდა, ბიჭო, ცუდად ხომ არ ხარ, რავა კამეჩივით ნელა ატრიალებ მაგ ყბებს?

ლეოს უხერხულად გაეღიმა. ისევ ლიამ იხსნა გაჭირვებისგან:

– დაუღეჭავი ლუკმა კუჭს აავადებს. გირჩევთ, თქვენც ნელა მიირთვათ საჭმელი!

– ახლა მაგას 2 ლიტრიან ყანწს რომ ვაჯახებ, მერეც იფიქროს კუჭზე! – რიხით მიუგო თამადამ და ჯიხვის რქაში ერთი დოქი რქაწითელი ჩააპირქავა...

სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოჰყვა, შეზარხოშდნენ სტუმრები. ჩამოატარეს „ექვემიტანილი“ ხინკალიც, ბოლოს, ნამცხვარიცა და ტორტიც მოიტანეს, მაგრამ რად გინდა? არც ერთში არ აღმოჩნდა ოქროს ნივთი.

– ალბათ სიურპრიზი არ იქნება, ასე რომ, ცოტა მოეშვი! – ჩასჩურჩულა ლიამ ლეოს.

ლეოც „მოეშვა“, გალადდა და გათამამდა. ყბაც გვარიანად აამუშავა და ტემპსაც მოუჩქარა. ტორტი განსაკუთრებით მოეწონა და კიდევ ერთი დიდი ნაჭერი გადაიღო. მადიანად რომ ჩაკბინა, სიამოვნებისგან თვალი მილულა, მერე... უცებვე დააჭყიტა. რაღაც მაგარი მოხვდა კბილზე, მაგრამ „გზაც“ მისცა ლუკმას დაუფიქრებლად და ყელში გადასული ნუგბარი უკან ვეღარ მოაბრუნა. ხველა აუტყვდა, ცრემლები გადმოსცვივდა, ერთიანად გაწითლდა და სული ვერ მოითქვა. მასპინძე-

ლი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, და იყვირა – არიქა, ტაშტო... ლეოს კი, საქვეყნოდ შერცხვენას ერჩინა, ბოლომდე ვაჟაკურად გაეძლო გასაჭირისთვის. თანასუფრელებმა – ზოგმა, პურის ნატეხი, ზოგმაც, ლიმონათი მიაწოდა და ასე, რის ვაი-ვაიგალახით „ჩაიკოკლოზინ-ჩაისრიალა“ ტორტიანი ოქრო (ან პირიქით, ოქროიანი ტორტი) ყელში. მასპინძელმა „საიდუმლოს“ ფარდა ახადა და ლიას სტუმრების თანდასწრებით გამოუცხადა:

– ჩემო დაო, იმ ოქროს ძეწკეში, შენმა ქმარმა რომ გადაყლაპა, 150 ლარი მაქვს მიცემული. ხვალ დილითვე გაიქეცი მაღაზიაში და ლეოს უკანალის შესაფერისი „გარშოკი“ და ოყნა იყიდე – ნუ გადამიყრით „ამაგს“ წყალში: თქვენ საჩუქარი დაგრჩებათ ჩემგან, მე კი გამიხარდება, რომ კანალიზაციას არ გავატანე სიურპრიზად გამზადებული ოქრო.

ლია ასეც მოიქცა, მაგრამ სანამ ბაზრობიდან „ოქროს დამჭერ“ ღამის ქოთანს მოიტანდა, პანძე-ლიაზე მყოფ ლეოს სულ დაავიწყდა, ტუალეტში შესვლის უფლება რომ არ ჰქონდა. თავისი საქმე როცა მოითავა და უნიტაზის ბაკიდან წყალიც ჩააჩურჩუნა, მერე-ელა იტკიცა შუბლზე ხელი... ქოთქოთით შინ დაბრუნებულ ლიას ვერ გაუძხილა „ჩადენილი დანაშაული“ და მორჩილი ბავშვივით დაჯდა ქოთანზე...

სამი დღის განმავლობაში ამოდ ელოდა ლია ოქროს ძეწკეის გამოჩენას. ლეოს მეოთხე დღეს შეებრაღა ცოლი და უთხრა: ლია, ხომ იცი ჩემი კუჭ-ნაწლავის ამბავი – რკინას ვღეჭავ და ვინელებ. ჰოდა, ალბათ ჩემმა ნაღველმა ოქროც „გააღლო“ და მოინელა. ნუღარ იქეჭები მანდ!.. კაცობას გეფიცები: როგორც კი ფულს ავიღებ მაშინვე გავვარდები „ოქროს ბირჟაზე“ და ზუსტად მაგ ფასში გიყიდი ძეწკესო. ეჰ, ამოიხვნეშა ლიამ – მე რომ ბედი მქონოდა, აქამდეც მიყიდდი ოქროს და აღარც ტორტს გადაყლაპავდი დაუღეჭავადო.

### ინფორმაციულ-შეხვედრითი კოლაჟი ეორი დღის უბის წიგნაკდან:

ტონს წარმოედგინა, რომ მისი აზრები მისი პირიდან ფუტკრებისა და ჩიტების სახით მოფრინავდნენ და ცოცხით ხელში იმალებოდა ფანჩატურში, რათა გაეფანტა ისინი.

15. ეროვნული ბანკის დაარსებისას ილია ჭავჭავაძეს უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა: „ნუ უღალატებ მერანსა, ჩიოქი ძირს დადე ილია, ეს ყველა წავა იცოდე, დარჩება „განდუგელი“ – ასე საყვედურობდა ილიას მისი მშობლიური თურნალი „ივერია“. P.S. 1903 წლისთვის ქართველ თავადაზნაურობას შემორჩენილი მიწების 70 % დაგირავებული ჰქონდა.

16. ინგლისელმა დრამატურგმა ჯორჯ ბერნარდ შოუმ თავისი კარიერა მუსიკის კრიტიკოსობით დაიწყო.

17. ბადმინტონის სამშობლო ინდოეთია.

18. კისრის მალევის რაოდენობა ბელუზას თირაფზე მეტი აქვს.

19. სარაცენია, ცხიმურა, ნებენტესი, ბუმტოსანა, ალდროვანდა, დროზგრა – აქ ჩამოთვლილი მცენარეები მწერებით იკვებებიან.

20. შუმერულ ენაში არ არსებობდა ო ხმოვანი.

21. ჩინური იეროგლიფური დამწერლობის თანამედროვე სტილი ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნეში შეიმუშავეს. ამ დამწერლობას „ჭაი შუ“ (სანიშნო დამწერლობა) ჰქვია.

22. ბაგრატიონები თავიანთ წინაპრად ბიბლოურ დავითს თვლიდნენ და მის პატივსაცემად გერბზე შურდული ჰქონდათ გამოსახული. P.S. ძველი აღთქმის თანახმად დავითმა გოლიათი შურდულით მოკლა.

23. ოცდაათი წლის შემანი ლეკემანიით დაავადდა და 46 წლისამ სრულიად დაკარგა გონი. მას ხან სკამები და მაგიდები დასდევდნენ, ხან ბეგრებს ხელავდა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა, ზოგჯერ კი ბეთჰოვენის და მენდელსონის ეჭვენებოდა, რომლებიც მულოდებს სავლავიდან ჰკარანახობდნენ.

24. „ან ფართი, ან ფარზე“ – ამ ლაკონური ფრაზით ისტუმრებდა ომში შვილს სპარტელი დედა. ეს ნიშნავდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მას თავისი შვილი ფართი ხელდამწვენებული სურდა ეხილა, დამარცხების შემთხვევაში – ამავე ფარზე დასვენებული.

25. „საქართველო გათავებულა“ – ეს სიტყვები სტალინს ეკუთვნის. P.S. ნეტავ, ახლა დაანახვა დიდ ბელაღს თავისი მშობლიური ქვეყანა.



დიდი პოეტი ახალგაზრდობაში სპორტსმენი რომ იყო, შეიძლება ბევრმა არც კი იცოდეს. არსებობს მოგონებები, რომელშიც ვაჟა მოკრივედ, მსროლელად, ზოგიერთ ეპიზოდში კი, უბრალოდ, ძლიერ მოჩხუბრად წარმოგვიდგება.



# მუშტი-კრივის მოყვარული ვაჟა-ფშაველა

ღათო სილაგაძე

ვაჟა-ფშაველა ჯერ კიდევ ბავშვობიდან ეჩვეოდა ამტანობას, იკაჟებდა სხეულს, ეუფლებოდა მიზანში სროლას, ჭიდაობას, კრივს. ის ძალიან ღონიერიც ყოფილა, თავის გვარში რაზიკანთ დევსაც ეძახდნენ. ვაჟა თავის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებში — „ჩემი წუთისოფელი“ მოგვითხრობს, რომ ჭაბუკობაში სულ იმას ცდილობდა, ვინმეს არ ჩამორჩენოდა, მეტიც — მუდამ პირველი ყოფილიყო: „სიყრმის დროს ერთი ზნე მჭირდა, თუ ვისმე რაიმე უნარს ქვეყანა ღირსებად უთვლიდა, უეჭველად იმ ღირსების წარმომადგენელი მე უნდა ვყოფილიყავი: აქებდნენ კარგ მოკრივეებს, მეც ვკრიობდი, რომ კარგი მოკრივის სახელი მომეხვეჭა, აქებდნენ კარგ მოჭიდავეს, მეც ვჭიდაობდი, რათა ფალავნის სახელი გამეთქვა“.

ვაჟა, სრულყოფილად დაეუფლა ჭიდაობას. ტოლ-ამხანაგებში მისი წამქცევი ბევრი როლი იყო. იგი ანგარიშს მხოლოდ თავის ახლო მეგობარს — ლაშაურს უწევდა (ლაშაურს ჭიდაობაში ფალავნის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი).

ხშირი გამარჯვების მიუხედავად, თუ ვინმე წააქცევდა, ვაჟა ამას არასდროს დამალავდა. ვაჟას მეგობარი ქადაგიძე გადმოგვცემს: „ერთხელ, ვერის სასაფლაოს პირდაპირ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე ვბანობდით ვაჟა, ლაშაური და მე.

ვიღაცამ ჩვენ პირდაპირ, გაღმა

ტანისამოსი გაიხადა, დაიმაგრა თავკისერზე და ჩვენკენ გამოცურა. გამოვიდა ნაპირზე და ტანისამოსი ძირს დაყარა... ვაჟამ უთხრა: „ბიჭო, იქ ვეღარ ეტეოდი, რომ აქ გამოცურდი?“ „ვა, შენთან საჭიდაოდ მოვედი, აი“ — უპასუხა მან. — „შენ რა ხარ, რომ გეჭიდილო?“ — უთხრა ვაჟამ. უცნობმა მიახალა: „ბევრი შენისთანა მინახავს, მიმიბეგვია კიდევ, რა თავი მოგწონსო“. დინჯად მივიდა ვაჟა, სტაცა ხელი; ისიც დაეჭიდა. ცოტა ხანიცა და ვაჟამ მობლუჯა მავრად (ჩვენ სეირს ვუყურებთ, თუ ვაჟა სძლია, ლაშაური მზად არის) მოიქნია და მტკვარში გადაუძახა“.

მოგვეპოვება მიხეილ რაზიკაშვილის მოგონება, სადაც ჩანს, თუ როგორი მოჭიდავე ყოფილა ვაჟა ჭაბუკობის დროს. „ალავერდობას, — გადმოგვცემს მიხეილ რაზიკაშვილი, — ვაჟა ამხანაგებთან ერთად თელავიდან წავიდა დღეობაში. ალავერდობას იქ დიდი ჭიდაობის გამართვა იცოდნენ, მთელი კახეთის მოჭიდავეები იქ იყრიდნენ თავს. მოწაფეებიც ჩაებნენ ჭიდაობაში. რაკი ვაჟა მაღალი ტანისა იყო, იგი დიდებს დასჭიდეს. წრიდან გამოუსვლელად ექვსი წააქცია. ვაჟა მეუბნებოდა: დავდიოდი რუსული მამალივით გათამამებული და კიდევ ვითხოვდი მოჭიდავეებსო. ბოლოს, გამომიყვანეს ერთი ხმელ-ხმელი ვიდაც მეძროხე. მე ვთქვიო, რომ ამას ერთი ხელის მოვლებით ხე და ქვას შემოვაწვევტავო და გაუფრთხილებლივ შევეტაკეო. როგორ მოხდა არ ვიცი,

მხოლოდ ის მახსოვს, რომ ჩემმა ფეხებმა ჰაერში შეითამაშა და მიწაზე ზღართან მოვადინე. ასე გავფუჭდი ფალავანი კაციო...“

ვაჟას თურმე ხშირად ეჭიდიებოდა ცნობილი ქართველი მწერალი იროლი-ონ ევლოშვილი. ქიზიყელი მოჭიდავე ტოლს არ უდებდა ფშაველ მოჭიდავეს, მაგრამ აბა ვაჟას როგორ გაუძლებდა — იგი ყოველთვის სჯობნიდაო...

ვაჟა მიზანშიც იშვიათი მსროლელი იყო და ხშირად მონაწილეობდა ასეთ შეჯიბრებებში. შიო მღვიმელის გადმოცემით, „ქართლში სოფელ კავთისხევში, ჩივაძიანთ უბანში სადილობის დროს, გარეთ კაკლის ქვეშ მსხდარან მასპინძელი ვანო ჯაჯანაშვილი და სტუმრები, მათ შორის ვაჟაც. ამ დროს შინაურ ფრინველებს ერთი კრიახი აუტეხიათ, იქ მსხდოვთ ზემოთ აუხედათ და ქორი დაუნახავთ, რომელიც ცაში ირაოს კრავდა და ფრინველებს თავს დასტრიალებდა.

ვაჟას უკითხავს — კაცო, არაფერი გაქვთო?

თოფის გარდა, არაფერი გვაქვსო, — უპასუხიათ და თოფი გამოუტანიათ, ვაჟას აუღია თოფი, გაუსვრია და ქორის ტრიალ-ტრიალით ძირს წამოსვლა ერთი ყოფილა“.

ქადაგიძე იგონებს: „ათ მკათათვეს ხევსურეთის სოფელ ხანმატში იცის დღეობა, „ათეგენობა“, აქ იკრიბებიან ხოლმე პირიქითა და პირაქითა ხევსურები. დღეობისათვის ამზადებენ საკმაო არაყს, ლუდს და სხვ. ახალ მიცვალებულთა პატრონებს კი მოტანილი აქვთ სანიშნოდ და დოლისათვის სხვადასხვანაირი საჩუქრები მკვდართა მოსაგონებლად თუ მოსახსენებლად: ფარდაგები, ხალიჩები, ხურჯინი, მოყვანილი ჰყავთ ძროხები, ცხენები, თხები და სხვ. საჩუქრებს მიიღებს ის, ვინც ნიშნის სროლაში ან დოღში გაიმარჯვებს. ერთ ასეთ დღეობას ვაჟაც ესწრებოდა. მის პატივსაცემად ყმაწვილკაცებმა უკან დაიწიეს და სანიშნოსთან უფროსნი წარდგნენ. ვაჟას უთხრეს ნიშნის შესახებ, იქ გაკეთებული როლები მნიშვნელობა და რომელ ნიშანში, რა საჩუქარი ეძლეოდათ. სხვებთან ერთად ვაჟამაც გაამზადა თოფი. მან პირველ გასროლაზევე გაიმარჯვა. მას არც ერთი სროლა არ გაუცუღებია“.

ვაჟა როგორც იშვიათი მსროლელი, ყაბახშიც გამარჯვებული გამოდიოდა. რევაზ გოჯიაშვილის გადმოცემით, სოფელ ჩობანში ყაბახი დადგეს. „ერთი კვირის მანძილზე მთელი მაზრის ჩაფრები და ცნობილი მსროლელები მოდიოდნენ, მაგრამ ყაბახზე გამარჯვება ვერავის ხვდა წილად. ამ დროს თიანეთში ვაჟა ჩამოვიდა და მე როგორც ნათლიმამას, მესტუმრა. მოსვლისთანავე მე ვაჟას შევძახე – „ვაჟა ასე და ასე საქმე და წამოდი, ესროლე და კაცი მასახელე-მეთქი“. ვაჟაც დამთანხმდა და ცხენებით წავედით ყაბახზე. იქ ბევრი ხალხი იყო თავმოყრილი, აგრეთვე მსროლელნიც. ვაჟა ცხენიდან გადმოხტა და თოფი დაუმიზნა. გაისროლა ერთი და ნიშანიც გადმოვარდა. ყველას უკვირდა ეს ამბავი. ვაჟას გამარჯვების ნიშნად კარგი ჭედელია მოართვეს“.

ახლა ვაგაცნობთ ძალზედ საინტერესო მოვონებას (ალ. რაზიკაშვილის, მ. შამანაურისა და ი. ბუქურაულის), რომელიც ადასტურებს, თუ როგორ ახლო ურთიერთობა ჰქონია მას ცნობილ ფალაგნებთან და როგორი დიდებული მოკრივე ყოფილა სახელოვანი პოეტი:

„სწავლას მოწყურებულ ვაჟა-ფშაველას გული, უმაღლესი სკოლის კარებისაკენ მიიწევდა. იმ დროს მისი უფროსი ძმა გიორგი, პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. ვაჟამაც გადაწყვიტა ამ უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლა. იმ დროს მისთვის, დახმარება გაუწევია ცნობილ ფალაგანს კულა გლდანელს. ერთ ხელ, როდესაც ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად კულა გლდანელის ბაკში იყო ჩამომხდარი (კულას ბაკი და დუქანი ჰქონდა), კულამ ვაჟასთან კერძო საუბრის დროს, გაიგო მისი განზრახვა. კულას ეთქვა – მოგიკვდეს კულა, თუ არ დაგეხმარო. ამ მიზნით კულა თიანეთში ავიდა, გამართა ჭიდაობა და მთელი შემოსავალი ვაჟას გადასცა.“

ერთხელ, პეტერბურგში ყოფნის დროს, ვაჟას და გიორგის ფული სრულიად გამოლეოდათ და მშვიდრები დადიოდნენ თურმე. შეხვედრით ერთი ნაცნობი გერმანელი სტუდენტი. ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ სტუდენტს უთქვამს: „წამოდი, ბილიარდი



ვითამაშოთ, ვინც წააგოს – სადილი იმან გადაიხადოს“. ვაჟას ძალიან გახარებოდა, ბილიარდს კარგად თამაშობდა და მოგების იმედი ჰქონდა“.

ამ ამბავს, გაგრძელებად, თავად ვაჟა-ფშაველას მონათხრობი აქვს, რომელიც მ. შამანაურსა და ი. ბუქურაულს შეტანილი აქვთ თავიანთ მოვონებებში:

„გერმანელის ლუდხანაში ჩავედით. რა თქმა უნდა, ჩემი ძმა გიორგიც იქ არის, იმედი აქვს, რომ მოვიგებ. გიორგის სიხარულს საზღვარი არა აქვს, მამხნევეს, თან თვალს მიშვრება და მეუბნება, ვერე ძმაო, ვერე, ვაჟავ, ერთი მუცლები მაინც ამოვივსოთ. თამაში ჩემ სასარგებლოდ დათავდა და ჩვენ უკვე სადილისათვის ვემზადდებით, რომ ჩემი მოპირდაპირე მეუბნება, ცოტა ხანს იქით გავალ, მოვისაქმებ, მოვალ და ვისადილოთო. წავიდა, მაგრამ ის უკან აღარ დაბრუნებულა. თურმე, როგორც შემდეგში მიაბზო, არც იმას ჰქონებია ფული, ისიც ჩემს დღეში ყოფილა, იმას ჰკონებია, რომ მე ბევრი ფული მქონდა, უნდოდა სადილს მე გამომრჩენოდა. ბილიარდის პატრონმა გვიყურა, გვიყურა და როცა ჩვენ სადილი აღარ მოვიკითხეთ, მოვიდა და ბილიარდის ფული მოგვთხოვა. ჩავვარდი უხერხულ მდგომარეობაში, გროში ჯიბეში არ მიდევს, აღარ ვიცი, რა ვქნა. ვუსხნი ამ კაცს, რომ პირობისა და ჩვეულების მიხედვით, ფული უნდა წამგებმა გადაიხადოს. ვუთითებ წამგებზე, ვეუბნები – დაიცა, მოვა ის

და გადაიხდის, მაგრამ ის დაჟინებით ფულს დაუყოვნებლივ ჩემგან მოითხოვს, ხმას უმაღლებს, ბიჭებს ეძახის. ბიჭებიც მოდიან და უნდათ, გირაოში ქული წამართვან. მე ქულს არ ვანებებ, იმათ ძალით მონიდომეს, მოიტანეს ჩემზე იერიში, მაგრამ მეც მაგრად დავხვდი. ერთი მათგანი ხელით შემეხო და მაგარი მუშტი მომთავაზა. ამას სხვებიც აჰყვნენ. გიორგი, რომელიც უბრალო მაყურებელი იყო ამ სეირისა, უცებ ქორივით დააფრინდა ჩემს დამრტყმელს, უმაღვე ქვეშ ამოიღო და დაუწყო ცემა. რა თქმა უნდა, მეც მკლავი გავმალე და ვისაც შემოვუნიავე, ფეხზე არავინ დავაყენე, მეორედ შემოკვრა არავის სჭირდებოდა. შეიქმნა ერთი აურზაური. მუშტრები გულგახეთქილნი გარეთ გარბოდნენ, რადგან რესტორანის პატრონი ხმამაღლა გაჰკიოდა: მიშველეთ, ყაჩაღები დაგვეცნენო. რესტორანი დაცარიელდა, სამაგიეროდ ყველა მოსამსახურე და ლაქია იქ მოგროვდა, ყველანი მე და გიორგის მოგვესიენ, გამშველებელი არავინ იყო, ყველა ჩვენ გვეცემდა, ჩვენც ვუპასუხებდით და შეიქმნა ერთი გახურებული მუშტი-კრივი. თითო-თითოს შემოჰკრავეს მუშტს გიორგი, დააპირქვავეს და მე დამიძახებს: „დაჰკარიკავ, ლუკურიკავ, ძმამის ჭირიმე... დაჰკა... დაჰკა... აქ გყავს შენი ძმა გიორგი“. მეტი ჩარა აღარ იყო, ძალიან უნდა მომეწადინა და გამებედნა, რადგან 20-25 კაცი გვესეოდა და მართლაც ბევრს ვაღინე ცხვირ-პირიდან

რეაქციონარი



ყველაზე დიდი სიძნელეები იქ არის, სადაც ყველაზე ნაკლებად მოველით.

გოეთე

მეგობარმა მეგობრის დარღვიც უნდა გაიზიაროს.

ერაზმ როტერდამელი

ბოროტი კაცის ეს არის წესი: სიავით ახმოს სიკეთის ფესვი, ეცადოს, ყველგან ბატონი იყოს, მოყვასი თვისი ჩაგროს და რიყოს. სუსტზე ბატონობს, ითხოვს შექებას, ძლიერს თვითონვე ფეხქვეშ ეგება. ალბრეხტ დიურერი

ცუდად გადმოცემული მშვენიერი აზრი ფასს კარგავს.

ფრანსუა მარი ვოლტერი

თავისი ნაკლის შეგნებით ადამიანი ძლიერდება.

ონორე ბალზაკი

იმდენი ნებისყოფა უნდა გქონდეს, რომ აკეთო და ილაპარაკო ერთი და იგივე.

ალექსანდრ გერცენი

არ არსებობს ისეთი ცუდი წიგნი, რომ რაიმეთი სასარგებლო არ იყოს. პლინიუს სეკუნდუსი

ყოველ მდგომარეობაში მოიძებნება რაიმე სანუგეშო, თუ კაცი წესიერად დაძებნის.

დანიელ დეფო

სისხლი, ბევრს შუბლზე კოპი დავასვი, მაგრამ რადგან ისინი ძალიან ბევრი იყვნენ, ჩვენ დადლილობა დაგვეტყო და საბოლოო გამარჯვება იმათი უნდა ყოფილიყო. ოთხ კუთხიდან შემოეხვივნენ გიორგის და სცემენ. მე, კიდევ ორ კედლის შუა კუნჭულს ზურგი მივუყუდე, მუშტებს ვიქნე და ჩემთან არავის ვუშვებ. მინდა გიორგის მივეშველო, მაგრამ ვერ ვახერხებ. უცებ გიორგი დაუსხლტა ხელიდან ამ ბრბოს, გავარდა გარეთ და მე დამიძახა: არ გატყდე. ძმაო, დაჰკა, ვაჟო დაჰკარ, მე ესლავე პოლიციას მოვიყვანო. მართლაც, თვალის დახამხამებაზე გიორგიმ პოლიციის ბოქაული მოიყვანა, თავის გოროდოვოებით. ბოქაულს ყველანი ჩივილით მისცვივდნენ, გვიშველეთ ბატონო, ყაჩაღები დაგვეცნენ, გვიშველეთო. ბოქაულის შეკითხვაზე რესტორანის პატრონმა უპასუხა, ორი ყაჩაღია, ერთი თქვენ რომ მოგიყვანათ, მეორე კი კუთხეში რომ დგას და ჩემზე მიუთითა. მე, ისევ საომრად გამზადბულს, ჩემი პოზიცია მეჭირა.

– როგორ?! – განცვიფრებით წამოიძახა ბოქაულმა. – ეს ორი კაცი, თქვენ ამოდენა ხალხს... არ მესმის...

– ვინ ხართ? – მოგვიბრუნდა ბოქაული ჩვენ.

– Чёрт их знает, кто они такие, жид – не жид, болгар – не болгар, молдов – не молдов, кавкай... кавкай... их мать – წამოიძახა ერთმა მოწინააღმდეგემ.

– შენი დედაც!.. – წამოვიძახე მე და გააფთრებულმა მივიწიე მლანდღავისაკენ.

ბოქაულმა, რასაკვირველია, შემაყენა და დამაშოშმინა.

– არ მესმის, – წარმოსთქვა მხრების აწევით ბოქაულმა და გადმოგვხედა ჩვენ ორსა და მოპირდაპირეებს, – სირცხვილია, აბა როგორ შევაყენო ოქმი, ამოდენა ხალხი უჩივის ორ კაცს, რომ გვცემესო.

– დაიკარგენით აქედან! – შეუყვარა ბრბოს ბოქაულმა და წამოდგა ზეზე, – მოშორდით, თქვენი სული არ იყოს!

ზარდაცემული მოჩხუბრები იმწამსვე გაიფანტ-გამოიფანტნენ.

გაიარა რამდენიმე ხა-

ნმა. გიორგი რაზიკაშვილი მოდის ნევის პროსპექტზე. პირდაპირ იმისკენ მოდის ვიღაც ახალგაზრდა ევროპულად ჩაცმული, ცილინდრიანი, ხელთათმანიანი, ტროსტით ხელში. მიუახლოვდა უცნობი გიორგის თუ არა, მოწიწებით, ზრდილობიანად მიესალმა ცილინდრის მოხდით. გიორგიმ გაკვირვებით შეხედა უცნობს. „ვერ მიცანიო?“ – ღიმილით ეუბნება უცნობი ფშაველს. – „არა უშავს რა, მოგაგონებთ და თუ შეიძლება ერთი სადმე დავსხდეთ და ვილაპარაკოთ, ძალიან მინდა თქვენთან საუბარი“. უცნობმა შეიყვანა ის ერთ ევროპულად გამართულ სასადილოში, მოატანინა სასმელ-საჭმელი და შემოუხსდნენ მაგიდას უცნობი და გიორგი. აბა, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელის, ნახევრად მშვიერ ფშავლისთვის იმნაირი სუფრა სიზმარი იყო. ლაპარაკობენ, შექცევიან გიორგი და უცნობი.

– მაშ ვერა მცნობთ, არ გავონდებით? აბა მოგონეთ, სად შეგხვდით ერთმანეთს? – შეეკითხა გიორგის უცნობი.

– რა ვქნა, მაპატიეთ, მაგრამ არ მაგონდება-რა, ვერა გცნობთ.

– მაშ ლუდხანაში ამა და ამ დროს, ჩხუბი რომ ჩამოვარდა, იმ ორში ერთი თქვენ არ იყავით? – ჰკითხა უცნობმა.


– დიად ვიყავი, – მიუგო გიორგიმ.

– მეც იქ ვიყავი, – ღიმილით უთხრა უცნობმა გიორგის. – მე ვიღებდი მონაწილეობას, მეც გეჩხუბეთ და ერთი მითხარით, ის თქვენთან მეორე ვინ იყო?

– ჩემი ძმა იყო, რად იკითხეთ?


– რას ბრძანებთ, – თავის ქნევით უთხრა უცნობმა გიორგის – მე, ბოქსიორი ვარ, მთელი ევროპა მაქვს შემოვლილი. ჩემს გარტყმას ძნელად თუ ვინმე უძლებდა, მაგრამ თქვენი ძმის მუშტი უფრო მწვავე ყოფილა. ისეთი შემოქმერა ფერდში შენმა ძმამ, რომ მოცელი ბალახით დავეცი იატაკზე. შინ რომ მივედი, ფერდი დალურჯებული მქონდა და სამი დღე და დამეკომპრესი მელო“.





# პირვენი უანი ფრჩხილები... პირვენი უანი ფრჩხილები... პირვენი უანი ფრჩხილები...

ბევრ ფსიქოლოგს მიაჩნია, რომ ფრჩხილების ფორმის მიხედვით ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის ძირითადი ნიშნების განსაზღვრა შეიძლება.



### მამაკაცებისთვის

სურათზე გამოსახული ფრჩხილის ფორმის მიხედვით იპოვეთ თქვენთვის შესაფერისი მონაცემების ახსნა:

- 1) ჯიუტი ხართ, განუხრელად მიიღებთ დასახული მიზნისკენ, გიყვართ ფიზიკური შრომა, მიუხედავად ამისა, მაღალი ინტელექტი და კარგი მეხსიერება გაქვთ.
- 2) რბილი და დამთმობი ხასიათი გაქვთ, გიყვართ გულახდილი საუბარი, იზიარებთ ახლობელი ადამიანების პრობლემებს, მაგრამ საზოგადო სატკივარი ნაკლებად გავლევებთ.
- 3) ქმედებებსა და საუბარში ძალიან პრინციპული ხართ. არ გიყვართ მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა, გიზიდავთ რისკიანი საქმე, ადვილად იცვლით ცხოვრების სტილსა და სამსახურს.
- 4) ჩაკეტილი, სექსუალურად დაუკმაყოფილებელი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ. ადვილად შეგიძლიათ ხელი ჩაიქნით დასახული მიზნის მიღწევაზე და საქმეც დროებით გვერდზე გადადოთ.
- 5) ძალიან მოძრავი და დაუდგრომელი ადამიანი ბრძანდებით. იუმორის გრძნობითაც გამოირჩევით, ცდილობთ, გამოსავალი ყველაზე

როული ცხოვრებისეული სიტუაციებიდანაც მოქებნით და ხშირად, ახერხებთ კიდევ ამას.

### ქალებისთვის

- 1) ტრაპეციის მამკარი ფორმის ფრჩხილები: საკუთარ თავზე საკმაოდ დიდი წარმოდგენა გაქვთ, დარწმუნებული ხართ საკუთარ ძალებში. თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ, მძაფრად რეაგირებთ, მარტოობას ამჯობინებთ და ადამიანებს ერიდებით.  
შორიდან კარგი შთაბეჭდილების მოხდენა შეგიძლიათ, გიყვართ ხელოვნება, განსაკუთრებით მუსიკა და პოეზია გიტაცებთ. მოძრავი, ენერგიული ადამიანი ხართ, ცდილობთ ყველა მოვლენის საქმის კურსში იყოთ, საკუთარ თავთან და გარშემოყოფებთან სრულ ჰარმონიაში შეგიძლიათ ყოფნა, ოღონდ გადაამეტებული თავმოყვარეობა უნდა დაძლიოთ.
- 2) მართკუთხა ფორმის: მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში შეგიძლიათ წარმატების მიღწევა. ცდილობთ, ყველა უცნობ თემას, მოვლენას ბოლომდე ჩასწვდეთ, გამოირჩევით ენერგიულობით, ცხოვრებას ოპტიმისტურად უყურებთ. გიყვართ სენსაციები და გვერათ კიდევ

მისი. შესანიშნავი თვისება გაქვთ: წარუმატებლობას ძალიან არ განიცდით, ფილოსოფიურად აღიქვამთ და ცდილობთ, ყოველი ბედნიერი წუთით დატკბეთ.

3) კვადრატული ფორმის: ძალიან გაწონასწორებული ადამიანი ხართ, სიმშვიდის შენარჩუნებას ყველაზე კრიტიკულ სიტუაციაშიც კი ახერხებთ. ნამდვილად შესაშური სულიერი მდგომარეობით გამოირჩევით. ცდილობთ აღარ დაუბრუნდეთ წარსულში მომხდარ მოვლენებს, იშვიათად გიპყრობთ სინანულის გრძნობა, თქვენი მხერა მხოლოდ მომავლისკენ არის მიმართული, წყნარი, ხანდახან ოღნავ დამცინავი ხართ.

ახლობლები გაფასებენ და რთულ სიტუაციაში რჩევისთვისაც გაკითხავენ იმ იმედით, რომ თქვენგან ჯანსაღ და გონივრულ აზრს მოისმენენ.

4) მრგვალი ფორმის: ადვილად ბრაზობთ, ნერვიულობთ, ძალიან გიყვართ ოცნებებში „ფრენა“, ძნელად ეგუებით უსამართლობას, მაშინაც კი, როცა ის თქვენ არ გეხებათ, სენტემენტალური ხართ და შეფასებისას ობიექტურობით გამოირჩევით.

„თავის წარმოჩენის“ ნიჭი არ გაგაჩნიათ და ამიტომაც გარშემოყოფნი სათანადოდ ვერ გაფასებენ. თუმცა ხანდახან საკუთარ თავში სისუსტესაც აღმოაჩენთ ხოლმე, დიდხანს განიცდით, როცა ახლობელ ადამიანებს აწყენინებთ.

მიუხედავად ამისა, შეგიძლიათ ბედნიერება მიანიჭოთ ადამიანს, რომელიც დაინახავს და სათანადოდ დააფასებს თქვენს სიკეთეს და სუფთა სულს.

# სასურაო კოსტიუმების ღირსების წაშრობა

რა თქმა უნდა, ხალხი ადრეც ბანაობდა და ირუკებოდა, მაგრამ ქალაქგარეთ დასვენების მოყვარულებს მხოლოდ ორი არჩევანი ჰქონდათ: ადამისა და ევას „კოსტიუმი“ ან გრძელი, ფართო პერანგები. გასული საუკუნის 80-იან წლებში გაჩენილ პირველ საბანაო კოსტიუმებში ძნელად თუ შეიძლება დღევანდელი ბიკინის თუნდაც ადრეული წინაპრის აღმოჩენა. ქალებისთვის განკუთვნილი პირველი საბანაო კოსტიუმები გრძელ პერანგს ჰგავდა, მათ ფერადი ჩითისგან კერავდნენ და ბურჩალებით ალამაზებდნენ. უცხო მზერისთვის მუხლის ჩვენება იმ დროს უზნეობის მწვერვალად ითვლებოდა. მაშინდელ საბანაო კოსტიუმს თან ახლდა შავი საბანაო წინდები, იმდენად მოუხერხებელი, რომ შეიძლება მის ჩამცემს ბანაობის სურვილიც კი დაეკარგა, მაგრამ სამაგიეროდ ასეთი კოსტიუმი ქალის უმანკობასა და უბიწოებას უსვამდა ხაზს.

თანამედროვე საბანაო კოსტიუმი სრულყოფილი უნდა იყოს, მისი ძირითადი დანიშნულება სხეულის ნაკლის დაფარვა და ქალის ღირსების წარმოჩენაა, ამიტომ კოსტიუმის არჩევისას პირველ რიგში ყურადღება მის ფაქტურას უნდა მივაქციოთ, ხოლო შემდგომ – ღიზანის.

ტაქტელი და პოლიამიდი წლებადელი პლაჟის სეზონის ფავორიტია. სულ ოთხიოდე წლის წინ შექმნილი ტაქტელი ტრიკო-

*უდავოა, რომ საცურაო კოსტიუმი ჩვენი გარდერობის ყველაზე „ახალგაზრდა“ შემადგენელი ნაწილია: კოსტიუმის ისტორიაში ხომ 100 წელი არაფერს ნიშნავს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა პერიოდში საცურაო კოსტიუმს თანამედროვე გაგებით კაცობრიობა არ იცნობდა. მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა სპორტმა და დასვენებამ არნახული სისწრაფით დაიწყო ადამიანთა გულისა და გონების დაპყრობა, პირველი საბანაო კოსტიუმებიც გამოჩნდა.*

ტაჟისა და ლაიკრისგან შედგება, აქვს რბილი ზედაპირი და ხელში მოსინჯვისას ბამბის ნაწარმს მოგავონებთ. ამ მასალისგან შექმნილი საბანაო კოსტიუმები ძალიან ელასტიკურია, ძლიერი ჰაერგამტარობის წყალობით ის თითქმის მომენტალურად შრება არა მარტო მზეზე, არამედ ჩრდილში ყოფნის დროსაც. კოსტიუმი შესანიშნავად ფარავს სხეულის ნაკლს და სველიც კი ინარჩუნებს სითბოს.

პოლიამიდიც თავისი შემაღველობითა და თვისებებით ტექტელს ჰგავს. სხვაობა ის არის, რომ განსაკუთრებული და-

მუშაების წყალობით ქსოვილი უფრო ბრწყინავს.

ტაქტელი იქნება, პოლიამიდი, ბამბა, ხვერდი, თუ ტრიკოტაჟი, მთავარია, რომ საბანაო კოსტიუმის ნებისმიერი ფაქტურა არანაკლებ 18%-ის ოდენობის ლაიკრას შეიცავდეს. სხვა შემთხვევაში, ის ვერ გაუძლებს მზესა და ზღვის მარილს, სწრაფად გაიწელება, დაკარგავს იერსა და ფორმას.

მიუხედავად მომხმარებელთა პროტესტისა, რომელთაც უკვე მესამე სეზონია არ სურთ რეტრო-სტილისკენ დაბრუნება, მოდის კანონმდებლები მაინც დაჟინებით უბრუნ-



შემდგენელი აქვანი	თხელი გემოვო კელეზ	ნოტი	სანელებელი ... ღარიბინი	„ოქროს ჭაწმისის“ მომგატყბელი	სერიალ „კრავებს- ას“ გმირის სახელი																									
მე	ა	გ	ა	ნ	დ	ი	ო	რ	ს	ხ	ი	ე	მ	ი	ს	ქ	ე	ი	ა	ს	ო	ნ	ი	ბ	ო	ხ	ე	ღ	მ	ზ
მიხა	შეიარაღებული მპარსველი	მაშალი ირეში	საკამუფ- ლაქო ფერი	სამეგვე- ლო ბგერის ნიშანი	თეთრი ნიშანი ხარის შუაღვე	წამლი გარკვეუ რალენი																								

# სტილი

## ის საშუალება

დებიან 60-70-იან წლებს. სტილისტები თასმანი, შესაკრავიანი, ქამრიანი, შორტის მაგვარი, დახურული და მაღალყელიანი საბანაო კოსტიუმების ტარებას გვირჩევენ. თავის დამშვიდება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ასახლი ტექნოლოგიების წყალობით, ყველა ეს დეტალი მაქსიმალურად კომფორტული ხდება და ქოროც – მოდა დემოკრატიულია და ჩვეულებისამებრ, თითოეული ადამიანისთვის სასურველი მოდელის არჩევის საშუალებას იძლევა.

მოდელიერები ყველა მოულოდნელი ფერის საბანაო კოსტიუმებს გვთავაზობენ, მაგრამ გვირჩევენ კლასიკური შავ-თეთრი ვარიანტიც არ დაივიწყოთ.

ქამარი საბანაო კოსტიუმის მნიშვნელოვანი დეტალია. ეს, რაც შეეხება მის ქვედა ნაწილს, რომელიც თურმე შეიძლება მარტივი სამკუთხა ფორმისა და კი იყოს ყოველგვარი დამატებების გარეშე. კოსტიუმის ზედა ნაწილი შეიძლება სხვადასხვაგვარი

იყოს – სამკუთხა, ფართო ან ვიწრო, შესაკრავებით ან უბრალოდ, ქსოვილის ფართო ზოლი, ყოველგვარი ამონაჭრების გარეშე.

საბანაო კოსტიუმის ფერისა და მოდელის შერჩევისას არ უნდა დაივიწყოთ სხვადასხვა დამატება. პარეო – უბრალო ფერადი ქსოვილი – რომელსაც შეუძლია ქვედატანის, კაბის, მოსასხამის ან პირსახოცის ფუნქციის შესრულება – პლაჟზე მართლაც შეუცვლელია.


საბანაო კოსტიუმების ტონალობას, მოკლე შარვალი, ქვედაბოლო, თავსაფარი ან მოსასხამი შეგიძლიათ შეუხამოთ. ეს ასევე სურათი ზედმეტ სიშიშველესაც დაფარავს და პლაჟამდე მისასვლელი ჩასაცმელის პრობლემასაც მოგიხსნით.

თანამედროვე საბანაო კოსტიუმები ყველა შესაძლო „ემპაკობასაც“ ითვალისწინებს. ჯერჯერობით ჯანფრანკო ფერე ერთადერთია, ვინც თავის კოსტიუმებში რეზინის ნაცვლად, სილიკონის ზოლებს იყენებს: ისინი არ ტოვებენ კვალს და კოსტიუმიც ტანს იდეალურად ერგება. ამდგავარი კოსტიუმების მასობრივი წარმოება ალბათ ფერეს კოლექციის წარმატებაზე იქნება დამოკიდებული. საბანაო კოსტიუმების საიდუმლოება კიდევ ის არის, რომ მათი მოზომვა აუცილებელია: დახლზე დაწყობილი ისინი ყურადღებას ნაკლებად იქცევენ. ფერეს მიერ შემოთავაზებული ნოუ-პაუ დაახლო-

ებით 400 დოლარი ეღირება. შედეგის შესაბამისად, შეიძლება არც ისე ძვირია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ საბანაო კოსტიუმების საშუალო ფასს – 50-100 დოლარს, – ნამდვილად გეგვირებათ.

ფერესა და ვერსაჩეს მიერ შემოთავაზებული კიდევ ერთი სიახლეა (300-500 დოლარის ფარგლებში) ლაკის ზედაპირის მქონე, ეკოლოგიურად სუფთა მასალისგან შექმნილი სასწაული, რომელიც ჩვეულებრივ საბანაო კოსტიუმებზე არანაკლები ჰაერგამტარივით გამოირჩევა, მის ზედა ნაწილს კი ნორჩი გოგონები მოკლე ტოპ-მაისურადაც იყენებენ.

საბანაო კოსტიუმის არჩევას დაფიქრდით, რა გირჩევენათ – ეფექტის მოხდენა თუ კარგად გარუჯვა. პირველის სურვილით შეპყრობილთ დიზაინერები მრავალფუნქციურ „სადამოს“ საბანაო კოსტიუმებს სთავაზობენ (საზღვარგარეთ ისინი 500 დოლარი და ზოგჯერ ბევრად მეტიც ღირს), მათი გამოყენება ეწ. ბოდის სახითაც შეიძლება. როგორც წესი, მას დახურული ფორმა აქვს და სხვადასხვა ლითონის, აკურული ან სადაფის დეტალებით არის გაწყობილი.



ელგვილი და შაქრო	ბალიშის შილა პირი	ეთერზეთოვანი მცენარე	სერგი გვარჯალაძის სააგრო ვადაცემა	მხარე															
ქ	ხ	ო	ე	ნ	ი	კ	ა	ქ	ო	ჩ	ი	ა	შ	ე	ღ	ი	ნ	კ	ი
ქიმიური ელემენტი	თელის ტყე	ა. წერეთლის ლექსი	კანის დაავადება	ი. გოგებაშვილი „ელამი ...“	მოაჯირის ფერე რული ფიგარი	ეკლიანი მცენარე (მოგადალ)													

გი არ ყოფილა ქართველი და არც მართლმადიდებელი, მაგრამ ღვთის ნებით სწორედ ის შეიქნა პირველი მოწამე წმინდანი ქართველ წმინდანთა დასში. რაჟღენ პირველმოწამე — ასეც შემოგვინახა მისი სახელი ისტორიამ.

წარმოშობით რაჟღენი სპარსი ღიღბული იყო. როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა სპარსეთის მეფის ჰორმიზდ მესამის ასული ბალენდუსტი შეერთო ცოლად, დედოფალს ქართლში რაჟღენიც ჩამოჰყვა. მეფე ვახტანგმა პატივით მიიღო რაჟღენი, როგორც მეუღლის ნათესავი და საცხოვრებლად დიდი მამული უბოძა. სხვა სპარსელთა მსგავსად, სარწმუნოებით ცეცხლთაყვანისმცემელი რაჟღენი, რაც საცხოვრებლად საქართველოში დაემკვიდრა, გულდასმით აღევნებდა თვალყურს ქრისტიანთა ცხოვრებას, მათ საქციელსა და წეს-ჩვეულებებს. გადაწყვიტა, უფრო ღრმად შეესწავლა ქრისტიანთა რჯული და ბოლოს, მოინათლა კიდევ.

გავიდა დრო. სპარსეთის ახალ შაჰს — პეროზს ძლიერ აღიზიანებდა ვახტანგ მეფის ქრისტიანული ორიენტაცია. პეროზი აურაცხელი ჯარით შემოესია საქართველოს. ამ ომის დროს ფრიად განითქვა რჩეული მებრძოლის — რაჟღენის სახელი, რომელიც ვახტანგ გორგასალის ერთ-ერთი სარდალი იყო. განრისხებულმა პეროზ მეფემ ბრძანა, ცოცხლად შეეპყროთ გაქრისტიანებული სპარსი.

ერთ-ერთი შეტევის დროს სპარსელებმა მართლაც ჩაიგდეს ხელში რაჟღენი და გააკოჭილი მიჰგვარეს შაჰს: სპარსთა მბრძანებელმა განგებ მხიარული სახე მიიღო, სალამი მისცა და შემდგომ, თითქოს მეგობრულად, უსაყვედურა: „რად გასცვალე მამა-პაპის რჯული და შედგომილ ხარ სჯულსა უცხოთა, რომელი არა გასწავეს მამათა შენთა?“ რაჟღენმა გაბედულად მიუგო: „მართალი განლაგეს, უარყვავი სჯული მამა-პაპათა. აღარ ვცემ თაყვანს მზესა და ცეცხლსა, არამედ ღმერთსა ცხოველსა, რომელმა შექნა ცა და ქვეყანა და ქრისტე მაცხოვარს, რომელი განხორციელდა ჩვენთვის და უკვდავება მოგვანიჭა“. ამ სიტყვებმა პეროზი გულისწყრომით აღავსო, მაგრამ ჯერ ისევ დაუყვავა რაჟღენს, რადგან ფიქრობდა, მოფერებით უფრო აცდუნებდა და დაიმორჩილებდა: „რა-



რობილემი ჩააგდეს. ყოველგვარი წამებისათვის ღმერთს მადლობას სწირავდა რაჟღენი.

რაჟღენის წამების ამბავი მალე შეიტყვეს ქართველმა წარჩინებულებმა. მივიდნენ პეროზ მეფესთან და სთხოვეს, გაეთავისუფლებინა მოკლე ვადით, რათა მოენახულებინა ცოლ-შვილი და სანათესავო.

პირველად ვახტანგ მეფეს ეწვია რაჟღენი. გაიხარა მისი ნახვით ღვთისმოყვარე მეფემ. სიყვარულით მოიკითხა და ეამბორა. არც ცოლ-შვილი ელოდა რაჟღენის გამოჩენას. მათაც ძალიან გაიხარეს. აღარ ემეტებოდათ უკან გასაბრუნებლად, მაგრამ ვერც ტყუილი აკადრა თავს რაჟღენმა და ცოლ-შვილის ხვეწნა-მუდარის მიუხედავად, კვლავ უკან, თავის მწამებელ პეროზთან დაბრუნდა. პეროზი კი, რაღა პეროზი იქნებოდა, ისევ რომ არ ცდილიყო რაჟღენის გადაბირებას და რომ ვერაფერს გახდა, შემდეგ წრომს დაბანაკებულ სარდალთან გაგზავნა მოწამე. სარდალს კი შეუთვალა: უკეთუ ისმინოს, პატივით გაისტუმრეთ, თუ არა — ისე აწამეთ, დასამარხადაც არ ვარგოდეს მისი ხორცილი.

„მე პატიჟნი თქუენნი და ნიჭნი გონებად შემირაცხიან, რომელი დღეს არს და ხვალე არღარა. აწ რომელიცა გენებოთ, ყავთ იგი, რამეთუ მე მზად ვარ დათმენად ყოველთა ძვირფას ქრისტესთვის“, — არ შეშინებია წმინდანი წრომის სარდალის მუქარას.

რადგან ძელზე გასმულ ქრისტეს სცემს თაყვანს, ესეცა ძელითა აღესრულოსო — ასეთი განაჩენი გამოუტანეს წმინდა რაჟღენს, შემდეგ აღმართეს ძელი იგი და მას ზედა გააკრეს მსხვერპლი ქრისტესი. ჯვარზე გაკრულს ისრები დაუშინეს. „ხელთა შენთა, უფალო, შევედრებ სულსა ჩემსა“, — ამ სიტყვებით განუტევა სული რაჟღენმა.

ქრისტიანებმა მხოლოდ ღამით შეძლეს გარდამოეხსნათ ჯვრიდან მოწამის სხეული და ფარულად მიწისთვის მიებარებინათ. რამდენიმე წლის შემდეგ, ვახტანგ გორგასალის ინიციატივით, ნეშტი წრომიდან ნიქოზს იქნა გადასვენებული.

წმინდა ვახტანგ მეფემ მოწამის სახელობაზე ააშენა ტაძრები უჯარმასა და სამგორში.

წმინდაო მოწამეო რაჟღენ, ევედრე ღმერთსა ჩვენთვის!

# პეროზნებით სპარსი, სჯულით მართლმადიდებელი, ქართველთათვის წამებული

## 16 აგვისტო რაჟღენ პირველმოწამის ხსენების დღეა

ჟღენ დაემორჩილე ჩემს ბრძანებას, შეიცვალე რჯული და მოწყალე ვიქნები შენ მიმართ...“ სანაცვლოდ, ღიმილით უპასუხა რაჟღენმა: „პატივი და ჯილდო შენი საწუთრონი არიან და ვითარცა სიზმარი, გაქრებიან, რადგანაც ქვეყნიერი არიან. ხოლო სული ჩვენი უკვდავია და უკეთუ მოკვდეს ქრისტესათვის, მეც უკვდავი ვიქნები და მასთან ვიდიდებ, — ეს არის განზრახვა ჩემი, ხოლო შენ რაც გნებავს, ის მიყვი“. განრისხებულმა შაჰმა ბრძანა, სასტიკად ეცემათ რაჟღენი. მართლაც, ცემისას კბილები სულ ერთიანად ჩაუღეწეს რაჟღენს და სახე სისხლით შეუღებეს. ამის შემდეგ გაატიტვლეს და, ქვალორიან ადგილას ათრიეს. როცა ამ ხერხმაც არ გაჭრა, გამწარებულებმა, საჰყ-

**ელენე სალარიძე**

ლამის 30 წელია, საქართველოს საგანძურის ყველა გამოფენას, ყველა ალბომსა თუ უბრალო ბუკლეტს ოქროს ლომი „მიუძღვის“ წინ. სკულპტურის ზომები არცთუ ისე შთამბეჭდავია: სიგრძე კუდით 5,2 სანტიმეტრია, კუდის გარეშე – 4,5, სიმაღლე – 3,5. მართალია, ოქროს სინჯი 958-ია, მაგრამ წონა მხოლოდ 32,9 გრამია. მიუხედავად ამისა, ლომისთვის ფასი არავის დაუდია, რადგანაც იგი მეცნიერთათვის (და არა მარტო მათთვის) შეუფასებელია.

თავად განსაჯეთ: ეს ადრე ბრინჯაოს ხანის მცირე პლასტიკის უნიკალური ნიმუში ოქროსგან ნაკეთები სკულპტურული გამოსახულების ერთადერთი ნიმუშია არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის II ნახევარს.

და ეს 4500 წლის წინანდელი „პატარა ბუმბერაზი“ ალაზნის ველზე, წნორის ყორღანულ გორასამარხში იპოვეს 1973 წელს.

ზომ განსოვთ გოგლა ლეონიძის „ყივჩაღის პაემანი“, – ყორღანებიდან აფრენილი გნოლის კვალზე რომ მივყავართ...

...უშორეს წარსულში ჩვენს წინაპარს დაკრძალვის ასეთი წესი ჰქონია: გარდაცვლილს ეტლზე (ურემზე) დასვენებდნენ და რწყენით, რომ იგი იმ სამყაროშიც აგრძელებდა ცხოვრებას, თან ჩაატანდნენ ყველაფერს, რითიც ამქვეყნად სარგებლობდა. მერე აღმართავდნენ დიდ ყორღანს (ქვყაროს, მიწყაროს), რომლის „შემოქმედი“, როგორც ჩანს, მთელი ტომი ან ტომთა კავშირი ყოფილა. არცთუ იშვიათად სამარხის სიმაღლე პირდაპირპროპორციული იყო დაკრძალულის სოციალური სტატუსისა. ტომის ბელადის ყორღანის სიმაღლე 100-150 მეტრს, ხოლო ფართობი რამდენიმე ჰექტარსაც აღწევდა. რიგით მეთემთა ყორღანები შედარებით მოკრძალებულია.

ისევ ლომს დავუბრუნდეთ: ფაფარი სტილიზებულია, მცირე რელიეფური ხაზებითა და წვრილი კოპებით, რაც ოქრომჭედლობის უნატიფესი ხელოვნების – გავარსის (მოცვარვის) და გრეხილური ტექნიკის წინარე სახეს წარმოადგენს. როგორც მისმა აღმოჩენმა, დოქტორმა კიაზო ფიცხელაურმა მითხრა, ლომი ადგილობრივ სახელოსნოშია დამზადებული. ამაზე თუნდაც ის მეტყველებს, რომ მიუხედავად გასაოცარი პლასტიკურობისა და დახვეწილი ფილიგრანულობისა, გამო-



**ქიხვის ყანწუი ჩაპარუი „რომი“  
ანუ საით მიჰყავათ უოკლანდილან აოჰინილი გნოლს კვალს...**

სახულება ნატურალურისგან საკმაოდ შორსაა. კახეთში ლომის ნაშთები არ ფიქსირდება. ასე რომ, ოსტატს ლომი, როგორც ჩანს, წარმოსახვით შეუსრულებია...

ბატონმა კიაზომ ისიც მითხრა, თუ წნორის ლომზე რაიმეს დაწერას აპირებთ, აუცილებლად მოიხსენიეთ შიო დედაბრიშვილი – ცნობილი არქეოლოგი, ტრავიკულად დაღუპული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მართლაც ლომის წილი უდევს მის აღმოჩენა-პოპულარიზაციაში.

ერთი სიტყვით, ალაზნის ველზე აღმოჩენილ ოქროს ლომს იმ პერიოდშიც კი უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. მოსკოვიდან მეცნიერთა სპეციალური ჯგუფები ჩამოდიოდა და განცვიფრებას ვერ მალავდნენო.

ერთ ასეთ კურიოზსაც მოვკარი ყური: უძველესი ლომის აღმოჩენის ამბავი უმალ განმარტებულა. თავის მოსაწონებლად მშვენიერი „საბაბი“ გაუჩნდათ ადგილობრივ ფუნქციონერებს და სიღნაღში საგანგებო ბანკეტი გამართეს. მთელი კახეთის დიდჩინოსნები იყვნენ მოწვეულნი, რომლებიც რიცხობრივად ბევრად აღემატებოდნენ მეცნიერთა მოკრძალებულ ჯგუფს.

გამონაკლისი დაუშვეს და სეიფში დასაცავი უძვირფასესი ლომი სუფრის თავში, სპეციალურ ამალგებულ ადგილზე დააბრძანეს...

შუა ქვიფში, ლომის პირველადმოჩენმა ითხოვა სიტყვა და შეკრებილთ კიდევ ერთხელ შესთავაზა „საგანძურთმეფის“ სადღეგრძელო – ჯიხვის მშვენიერი ყანწუით.

უეცრად დარბაზში სამარისებური სი-

ჩუმე ჩამოვარდა. სიჩუმე მალე ჩურჩულში, ცოტა ხანში კი ჩოჩქოლში გადაიზარდა... ლომი სადღაც გამქრალიყო...

– ლომი მანამ არ მოიძებნება, სანამ ეს ყანწუი ბოლომდე არ დაიცლება! – და მეცნიერმა ვეება სასმისი რაიკომის მდივანს გადაულოცა, რომელიც არც მთლად იძულებით დაეწაფა ლხინისთვის საგანგებოდ დაყენებულ კახურს... მერე ტრადიციულად გადმოატრიალა ჯიხვის რქა, – ასე მტერი დაგეცალოთო, – მოაყოლა და... ყანწის ძირიდან დაკარგული ლომი „გადმობრძანდა“ სუფრაზე...

დღესაც სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საგანძურის განახლებულ ექსპოზიციაში წნორის ოქროს ლომს გამორჩეული ადგილი უკავია. მუზეუმის დირექტორი, აკადემიკოსი ლევან ჭილაშვილი მიაბობს, რომ არქეოლოგიური სამუშაოები წნორის ყორღანებზე, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ მაინც გრძელდება. კიაზო ფიცხელაური, რომ იტყვიან, კახეთშია გადახვეწილი. 30 წელია, ივრისპირეთიდან ქვეყნის ისტორიის უნიკალური კადრები იშლება. ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ხვალ რომ მოხვიდეთ მუზეუმში, ახალი, განსაკვიფრებელი ექსპონატები დაგხვდეთო.

სურათზე: აი ისიც – ლევანდარული წნორის ლომი, რომელსაც ყველგან ასეთი წარწერა ამშვენებს: ლომის ფიგურა (XXIII ს. ძვ.წ. აღ. თ. წნორი. კახეთი). ჩამოსხმული ოქრო, შემკული რელიეფური ორნამენტით, გავარსისა და გრეხილური იმიტაციით. ადრე ბრინჯაოს ხანის მცირე პლასტიკის უნიკალური ნიმუში.

# საქორწინო კონტრაქტი – „გათვლილი“ გელნიჩება

საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნების ბევრ მამაკაცს, ერთი შეხედვით, ძალიან საქებარი თვისება ახასიათებს: ცოლად ერთავს ყველა იმ ქალს, რომელიც შეუყვარდება. თითქოს დასაფასებელი თვისებაა, მაგრამ ხომ შეიძლება, ახალჩასახული გრძნობა მალევე ჩაქრეს და შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოლიმარი ცოლყოფილის ხელში აღმოჩნდეს ასეთი მამაკაცის ბინა, ახალი მანქანა, ძვირფასი სურათების კოლექცია ან ქალის დაუმსახურებლად მამაკაცის მიერ შრომითა და რუდუნებით დაგროვილი ქონების სხვა მნიშვნელოვანი ნაწილი...

ხშირი ქორწინების მოყვარულმა მამაკაცებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ მსგავს უსიამოვნებათა თავიდან ასაცილებლად არსებობს ნაცადი საშუალება – ქორწინების რეგისტრაციამდე საყვარელ ქალთან საქორწინო კონტრაქტის გაფორმება.

აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, საქართველოში საქორწინო კონტრაქტი ჯერჯერობით პოპულარობით არ სარგებლობს. „გზამ“ მოიძია შესაბამისი ინფორმაცია და დაადგინა, რომ საქორწინო კონტრაქტით საქართველოში ურთიერთობა მხოლოდ ორ წყვილს ჰქონია განმტკიცებული. ვინ არიან ისინი და რა პირობებია გათვალისწინებული მათ მიერ გაფორმებული კონტრაქტებით, ამის შესახებ უახლოეს მომავალში მოგიხსნით (რა თქმა უნდა, თუ ინფორმაცია დადასტურდება)...

იმ ქვეყნებში, სადაც საქორწინო კონტრაქტის ფორმას ფართოდ იყენებენ, მამაკაცებმა გაითავისეს, რომ არ უნდა წამოეგონ თავიანთი რჩეულის ტკბილ ჟღერტულს საუკუნო სიყვარულის შესახებ. სინამდვილეში ხომ ცხოვრება მკაცრი და მოულოდნელობებით აღსავსეა

და გამორიცხული არ არის, რომ თქვენს მუხლებზე მოკალათებული არსება ქორწილიდან რამდენიმე თვეში ნამდვილ ფერიად იქცეს, რომელსაც თქვენთან ერთად ცხრა მთას იქით კი არა, თქვენთვის სამზარეულომდეც დაეზარება მისვლა – ჭიქა წყალი რომ მოგიტანოთ. გაყრის შემთხვევაში კი, ხარბად მოგთხოვთ ქონების მოზრდილ ნაწილს.

თუმცა, თუ თქვენი ქონება რამდენიმე ფუნდამენტული სკამისა და ბეჭის დანატოვარი კბილებდარეცილი ალუმინის ჩანგლისგან შედგება, – ნუ ინერვიულებთ, მაგრამ თუ არ გსურთ, თვალის დახამხამებაში დაკარგოთ აყვავებული ბიზნესი, ბინა ქალაქის ცენტრში ან საყვარელი ავტომობილი, მაშინ საქორწინო კონტრაქტის საკითხს მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოთ.

საქორწინო კონტრაქტის პირობებით, ძირითადად, ქონებრივი საკითხების რეგულირება ხდება ხოლმე, ე.ი. უხეშად რომ ვთქვათ, იმ ყველაფრისა, რასაც მატერიალური ღირებულება აქვს. ჩვეულებრივ, საქორწინო კონტრაქტი ქორწინებამდე ფორმდება და ძალაში მხოლოდ წყვილის შეუღლების შემდეგ შედის. არის შემთხვევები, როცა დაოჯახებული წყვილი კონტრაქტს უკვე ქორწილის შემდეგ აფორმებს. ასეთ დროს, ის ძალაში კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ შედის და არა ქორწინების დღიდან. კონტრაქტი ძალაშია ქორწინების შეწყვეტამდე ან, გაყრის შემთხვევისთვის, მასში გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებამდე.

გათვალისწინეთ, რომ საქორწინო კონტრაქტი აუცილებლად უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. თქვენი სურვილის შემთხვევაში, საქორწინო კონტრაქტის შედგენა თავად ნოტარიუსსაც შეუძლია, მაგრამ ვინაიდან მას ამ საქმიანობის დიდი პრაქტიკა არ გააჩნია,

სჯობს, ადვოკატის სამსახურით ისარგებლოთ.

კონტრაქტის გაფორმებისას, ძირითადი ყურადღების გამახვილება მაინც ქორწინებამდე არსებული ქონების განკარგვაზე უნდა გაამახვილოთ. მასში აგრეთვე ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, თუ რა რჩება ქონებიდან თითოეულის მფლობელობაში ცალ-ცალკე და რა გადადის საერთო საკუთრებაში. ამავე დროს, გაითვალისწინეთ, რომ საერთო ქონება (მათ შორის, ჯერ კიდევ არარსებული) გაყრის შემთხვევაში ზუსტად შუაზე გაიყოფა.

ურიგო არ იქნება, თუ კონტრაქტში აისახება, ვინ რა ხარჯებს გასწევს ქორწინების პერიოდში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – სასურველია ზუსტად განისაზღვროს, შემოსავლის რა ნაწილს უთმობს ერთი მეუღლე მეორეს ან გაიღებს საერთო „ყულაბისთვის“.

სასურველია, კონტრაქტში აისახოს, თუ რა ვალდებულებებს იღებს გაყრის შემთხვევაში თითოეული მეუღლე: როგორ მოხდება ქონების გაყოფა, ვინ ვის გადაუხდის თანხას და რა პერიოდულობით. ეს ბევრად გააადვილებს გაყრის უსიამოვნო პროცედურას და მას უფრო ცივილურ ხასიათს მისცემს. მიღებული ასევე მეუღლეთა ურთიერთვალდებულებების განსაზღვრა: კონტრაქტში შეიძლება ჩაიწეროს, რომ ღალატის საფუძველზე მომხდარი გაყრის შემთხვევაში, დამნაშავე მხარე ვედარაფერს მიიღებს.

კარგად თუ ჩაუღრმავდებით, აღმოაჩენთ, რომ საქორწინო კონტრაქტს საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს: უფრო ამყარებს ოჯახს და ქარაფშუტა მეუღლეებს მოუფიქრებელი ნაბიჯისგან იცავს. ამრიგად, „გათვლილი“ სიყვარული ცუდი არ უნდა იყოს და თქვენს უღრუბლო ბედნიერებას ხელს ნამდვილად არ შეუშლის.



**პოლივერის ცნობილმა მსახიობმა მაიკლ დუგლასმა, რომლის ქონებაც 200 მლნ დოლარს აჭარბებს, თავის ყოფილ მეუღლესთან – დაიანდრასთან ერთად 20 წელი იცხოვრა, მაგრამ ასეთმა ხანგრძლივმა ქორწინებამაც კი ვერ გაუძლო დუგლასის უსასრულო სასიყვარულო თავგადასავლებს. გაყრის პროცესის დასრულების შემდეგ, „საცოდავ“ დაიანდრას სანტა-ბარბარაში მდებარე ვილა და 60 მლნ დოლარი ერგო. ამიტომ დუგლასისა და მისი ახალი ცოლის – კეტრინ ზეტა-ჯონსის საქორწინო კონტრაქტის პირობები ახალდაქორწინებულთა ხანგრძლივი კამათის მიზეზი გახდა და მათი შვილის გაჩენის შემდეგაც არ დასრულებულა. შედეგად ტკბილი წყვილი ასეთ კომპრომისამდე მივიდა: მაიკლთან გაყრის შემთხვევაში, მასთან გატარებული ყოველი წლისთვის ზეტა-**

ჯონსი 1 მლნ დოლარს მიიღებს (თავიდან ქალი 4 მლნ დოლარზე მეტს მოითხოვდა) და ხუთ მლნ დოლარს – იმ შემთხვევაში, თუ დუგლასმა უღალატა. თუმცა, საქორწინო კონტრაქტში აღნიშნული დიდი თანხების მიუხედავად, ახალგაზრდა მშობლები დაუღალავად იმეორებენ, რომ სიგიჟემდე უყვართ ერთმანეთი.




წინდაუხედავი ჯენეტ ჯექსონი ისე გათხოვდა, რომ საქორწინო კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ 1999 წელს, როცა რენე ელიზონდოსთან მის ქორწინებას ბოლო მოეღო, ქმარყოფილმა გადაწყვიტა, ვარსკვლავი ექსმეუღლე ბოლომდე „გამოეწურა“. გაყრისას მიღებული დიდი თანხის მიუხედავად, მან პრეტენზია კიდევ 10 მლნ დოლარზე განაცხადა და აღნიშნა, რომ ეს

თანხა ჯენეტის ალბომის – RHYTHM NATION 1814-ის შემოსავლიდან ეკუთვნოდა.


ლეგენდარული ROLLING STONES-ის ლიდერის მიკ ჯაგერის განქორწინებასთან დაკავშირებული სკანდალი დიდი ხნის განმავლობაში არ ჩამოსულა მსოფლიოს ტაბლოიდების ფურცლებიდან. როკ-ვარსკვლავს წინდაუხედაობამ თითქმის 50 მლნ დოლარი და ლონდონის ცენტრში მდებარე ბინა დააკარგვინა. „მოტყუებული“ ცოლი ჯერი ჰოლი კი სულ მალე პაპარაცებმა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის – „მაიკროსოფტის“ ერთ-ერთი მფლობელის პოლ ალენის კომპანიაში დააფიქსირეს...



პრაგმატულობის საუკეთესო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი მსახიობისა და მომღერლის ბარბრა სტრაიზანდის მოქმედება: თავისი 150 მილიონიანი ქონების შესანარჩუნებლად ქმართან – მსახიობ ჯეიმს ბროლინთან მან ისეთი საქორწინო კონტრაქტი გააფორმა, რომლის თანახმადაც, გაყრის შემთხვევაში, ქმარყოფილი ერთდროულად 1 მლნ დოლარსა და შემდეგ, წელიწადში 32 ათას დოლარს მიიღებს. თუ ჯეიმსი საყვარელ ცოლს 10 წელს გაუძღვება, მაშინ ხსენებული ერთჯერადი თანხა ამდენივე მილიონით გაიზრდება. არცთუ ისე ცუდი სტიმულია მოთმინებისთვის!..




ყოფილი მეუღლეებისგან, საქსუალური უმცირესობის ცნობილი წარმომადგენლებიც ზარალდებიან ხოლმე. სახელგანთქმულმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრათილოვამ საყვარელ ქალთან ჯუდი ნელსონთან ერთად სიყვარულითა და ბედნიერებით სახსე რვა წელიწადი გაატარა. წვეილმა გაყრის პროცესი თავიდან ვერ აიცილა, რომლის დროსაც მარტინა თავისი მილიონების ნაწილს გამოეთხოვა და საკუთარ თავზე აიღო ჯუდის წინა – ნორმალური ქორწინებიდან გაჩენილი ორი შვილისა და თავად ჯუდი ნელსონის რჩენა.



ყველასათვის კარგად ცნობილი ბიზნესმენი ბორის ბერეზოვსკი თავის ბოლო ცოლზე – ელენაზე, რუსეთის მკაცრი კანონმდებლობის სრული დაცვით დაქორწინდა. ამიტომ განქორწინების სურვილი, რომელიც მას თურმე ახლახან გაუჩნდა (თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დავუჯერებთ), საკმაოდ ძვირი დაუჯდება – იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ბატონი ბორისი აღარც OPT-ს ხელმძღვანელია და აღარც რუსეთის სათათბიროს დეპუტატი. ჩვიდმეტი წლის პარიზელი მოდელის – მარიანას მიმართ უცრად გაჩენილი სიყვარული მას თავისი ქონების ნახევარი შეიძლება დაუჯდეს. სხვათა შორის, 1998 წლის მონაცემებით მისი ქონება 1 მლრდ დოლარს აჭარბებდა.

ჰოლივუდის „საუკეთესო პირადი მცველი“ კევინ კოსტნერი, მეუღლე სინდისა და სამ შვილს თხოუმეტწლიანი ბედნიერი თანაცხოვრების შემდეგ გაეყარა, თუმცა ეს ნაბიჯი საკმაოდ ძვირი დაუჯდა: სინდიმ 80 მლნ დოლარი და ლოს-ანჯელესში მდებარე რამდენიმე რესტორანი მიიღო.



ანდრეა იეიტსს ოთხი შვილი უკვე მოკლული ჰყავდა, როცა მესუთე სააბაზანოში შემთხვევით შევიდა. ბავშვმა აბაზანასთან ჩამუსლული დედა დაინახა. „დედა, რა სჭირს მერის?“ — იკითხა მან, რადგან იქვე თავისი 6 თვის დაიკო — მერიც შენიშნა. გაშეშებული ბავშვი წელით საცხე აბაზანაში ტივტივებდა... როგორც ანდრეამ გამოძიებლებს მოგვიანებით აცნობა, პასუხის ნაცვლად, მან 7 წლის ნოეს აბაზანაში ჩასვლა უბრძანა. ნოე გაიქცა, თუმცა რამდენიმე წამში ისიც დედის მკვლავებში მოექცა...

# თეოფილ კლადნიო თეოფიფობნოუ

შვილები კალიან უხვარდა, მამრამ სულიერი დეკრესიით დაბრმავებულს, დედობრივი ბრძნობა საღიზიმში გადაეხარდა...



ალბათ ნებისმიერი დედა, ვისაც კი ოდესმე თავისი პატარა შვილი აბაზანაში უბანავებია, მომხდარით სულით ხორცამდე შეძრწუნებული ეცდება ამ ამაზრზენი სურათის წარმოდგენას, მაგრამ ვერ შეძლებს, ეს წარმოუდგენელია! როგორ უნდა შეძლოს ქალმა წყალში აფართხალბუელი შვილის სხეულის საკუთარი ხელებით დამორჩილება?! ანდრეა იეიტსი იმ დროს დემონური ენერგიით იყო შეპყრობილი... ბოლოს და ბოლოს, მან აიძულა ბავშვი, უღმობელ ბედისწერას შეპყრებოდა და ძალაგამოცლილ სხეულს, როცა იგი უკანასკნელად ძალზე სუსტად შეინძრა, ხელი გაუშვა...

„ეს საშინელებაა, დანაშაულის მიზეზი კი — სრულიად გაუგებარი“, — ეუბნებოდა ჟურნალისტებს ანდრეა იეიტსის ქმარი და დაღუპული ბავშვების მამა — რასტი იეიტსი. იგი კორესპონდენტებს გარეუბანში — ჰიუსტონში მდებარე სახლში შეხვდა, საუბრისას ხელში სათამაშო დათუნის ატრიალებდა, წინ კი საოჯახო ფოტოალბომი ელო...

ყველაზე ამაზრზენი ის გახლავთ, რომ ანდრეა იეიტსმა ხუთივე შვილს ძალზედ მეთოდურად, თანმიმდევრულად, ერთი-მეორეს მიყოლებით მოუსწრაფა სიცოცხელი. ყოველი მოკლული ბავშვი წყალში ჩახრჩობის შემდეგ აბაზანიდან ამოჰყავდა, მერე საწოლზე აწვენდა და ზეწარში ხვევდა. ასე მოექცა იგი 6 თვის მერის, 2 წლის ლუკს, 3 წლის პოლს და 5 წლის ჯონს. 7 წლის ნოე კი, რატომღაც, აბაზანაშივე დატოვა.

შემზარავი და გამაოგნებელია! თუმცა — მხოლოდ მათთვის, ვისაც შვილის მოკლა არ შეუძლია. ჩინეთში, მაგალითად, მშობლები დღემდე კლავენ საკუთარ ახალშობილ ქალიშვილებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ვაჟები არ არიან. ამერიკის ქალაქების გარეუბნებში 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდები — „თინეიჯერები“ ხშირად

ტოვებენ არასასურველ შვილებს პარკებსა თუ საზოგადოებრივ საპირფარეოებში.

დღეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან მშობლები ერთხმად გამოთქამენ აღშოთებას იეიტსების ოჯახში მომხდარი საშინელების გამო, თუმცა ბევრ მათგანს ავიწყდება, რომ ერთ დროს მასაც გაჰყენია სისხლი მარლებში და ზუსტად ისე შესცვლია დედობრივი ბრძნობა სატანური ვნებით, როგორც ეს ანდრეა იეიტსს დაემართა... შესაძლოა, ბევრმა არც კი დაიჯეროს, მაგრამ მსოფლიოში არსებული სტატისტიკა სწორედ ამაზე მეტყველებს: ყოველ წელიწადს დედაშიწაზე დაახლოებით 200-მდე ბავშვი იღუპება დედის ხელით... მკვლელი მშობლები ხშირად თავიანთ ქმედებაში სატანას ადანაშაულებენ, ზოგჯერ კი მტკიცედ აცხადებენ, რომ ამ გზით მათ საკუთარი შვილები ამქვეყნიური ჯოჯოხეთური ცხოვრებისგან იხსნეს და სამოთხეში გაგზავნეს...

ანდრეა იეიტსი ფსიქოზით დაავადებული აღმოჩნდა. ექიმები ამბობენ, რომ ქალების უმრავლესობა ბავშვის გაჩენიდან მოკლე ხანში სევდიანი ხდება, ყოველი ათიდან ერთი დეპრესიულ მდგომარეობაში ვარდება, ათასიდან ერთს კი, შეიძლება, ხეშოთ ხსენებული დაავადებაც დაემართოს.

იეიტსი უკვე სივითმდე იყო მისული, იგი ნამდვილი ფსიქოპათი გახლდათ. ფსიქოპათებს ხანდახან უცნაური ხმები ესმით, რაც მათ გაუგებარი, ზოგჯერ სადისტური ქმედებისკენ უბიძგებს ხოლმე.

ანდრეა იეიტსის სრული პორტრეტის შესაქმნელად, ჟურნალისტებმა მისი ცხოვრების, პიროვნების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მოპოვება გადაწყვიტეს. ეს მათ იმის დადგენაში დაეხმარებოდა, თუ რამ მიიყვანა ქალი ამ დაავადებამდე, მერე კი — ამაზრზენ დანაშაულამდე.

ქილერთა უმრავლესობა საზოგადოებისგან გაუცხოებული სოციალათი, საღისეთია. ანდრეა ცხოვრებაში საპირისპირო

თვისებების მქონე ადამიანი გახლდათ. იგი ყველას მიმართ აშკარა ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა. მეზობლებში, ნაცნობებსა და ახლობლებში ცნობილი იყო, როგორც ძალიან კარგი დედა.

„ის ყოველთვის ცდილობდა დამჯერი, კარგი გოგო ყოფილიყო“, — მომხდარის შემდეგ კორესპონდენტებთან საუბრისას ტირილით იხსენებდა ანდრეას დედა. „ჩემს შვილებს შორის ის ყველაზე თანამგრძობი, მზრუნველი და გულისხმიერი იყო. სულ სხვებზე ფიქრობდა, საკუთარ თავზე კი — არასდროს“.

„შვილი-რვა წლის მანძილზე, — ამბობს დედამისი, — თითქმის ყოველდღე, ანდრეა დადიოდა მოხუცებულთა სახლში, რათა ავადმყოფი მამისთვის მოეწყო“: მამას უმცროსი ქალიშვილი თავიდანვე ამოჩემებული ჰყავდა — მის გარდა, სხვას არავის იკარებდა. „ანდრეა მზად იყო მამისთვის ყველაფერი გაეკეთებინა — ტანსაცმელს უცვლიდა, დაბანაშიც ეხმარებოდა და საჭმელსაც თავისი ხელით აჭმევდა“. სწორედ იმ პერიოდში, თითქმის ყოველ წელიწადს, ანდრეა ფეხმძიმედ იყო. საკუთარ დიდ ოჯახზე საზრუნავიც დღითი დღე ემატებოდა.

ის ყოველთვის უნაკლო ბავშვად ითვლებოდა. საშუალო სკოლაში ყველაზე კარგად სწავლობდა, სასკოლო შეჯიბრებებზე კი ცურვაში ჩემპიონი გახდა. მერე ანდრეა ბრწყინვალე ადამიანს — რასელ (რასტი) იეიტსს გაჰყვა ცოლად. რასტი პროფესიით ინჟინერი გახლდათ.

ანდრეა და რასტი 1993 წელს დაქორწინდნენ. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ ბავშვების კარგი აღზრდა თავად უნდა ეკისრათ, ყოველგვარი სკოლისა და ეკლესიის გარეშე. მამა ორ უფროს ვაჟს სპორტულად ზრდიდა, ფეხბურთში ავარჯიშებდა. იგი შვილებს ქრისტიანულ რელიგიას აზიარებდა. ბავშვებს იმასაც აჩვენებდა, რომ ყოველი თამაშისა და მეტადინეობის წინ ელოცათ. ანდრეა

შვილების გამოკვებაზე, მოწესრიგებაზე, ჩაც-  
მა-დახურვასა და დისკიპლინაზე ზრუნავ-  
და. გარდა ამისა, ანანასა და დაწვებით მათე-  
პტიკას ასწავლიდა.

მამისა და საკუთარი ქმარ-შვილის  
მოვლა-პატრონობით დაკავებულ ანდრეას  
თავისთვის ღრო საერთოდ არ რჩებოდა.  
არც ის, არც მისი ქმარი არ მიეკუთვნე-  
ბოდნენ ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელიც  
დახმარებისთვის სხვას მიმართავს.

ოჯახის წევრებმა საუბრისას ბუნ-  
დოვნად ისიც აღნიშნეს, რომ ანდრეას  
ფსიქიკური ხასიათის პრობლემები ზოგჯერ  
შვილების გაჩენამდეც ჰქონდა. თუმცა,  
ინფორმაციის გადამოწმებისას დედამისმა  
ეს კატეგორიულად უარყო. სერიოზული  
ფსიქიკური მოშლილობა ანდრეას მეოთხე  
მშობიარობის შემდეგ დაეწყო. ეს ორი  
წლის წინ იყო. მისი მშობლების მეზო-  
ბლად მცხოვრები ხალხის თქმით, ანდრეამ  
ერთხელ თვითმკვლელობაც კი სცადა —  
მამისთვის დანიშნული წამლებიდან ერთი  
მუჭა აბი უნდოდა გადაეყლაპა.

ექიმები მას დამამშვიდებელი წამლებ-  
ის გარდა, სხვა უფრო ძლიერ, ფსიქოპათე-  
ბისთვის განკუთვნილ მედიკამენტებსაც უნ-  
იშნავდნენ. ყველა ფიქრობდა, რომ წამლე-  
ბი დადებითად მოქმედებდა. სამედიცინო  
ექსპერტების თქმით, ამან ყველა შეცდომა-  
ში შეიყვანა.

„შეტევები ძალიან ხანმოკლე იყო:  
წამლებს მიიღებდა და მშვიდდებოდა, რამ-  
დენიმე დღეში იგი უკვე ჩვეულებრივი  
ანდრეა იყო“, — ამბობდა რასტი. ცოლ-  
ქმარი ექიმებისგან გაფრთხილებული იყო,  
რომ ამ დაავადების გაძლიერებას ხშირი  
მშობიარობა უწყობს ხელს. მაგრამ იეიტ-  
სებს დიდი ოჯახისა და ბევრი შვილის  
ყოლა სურდათ.

„მე ხშირად ველაპარაკებოდი ანდრეას  
ამ თემაზე, მაგრამ ორივეს ძალიან გვინ-  
დოდა, მრავალშვილიანი ოჯახი გვქონო-  
და. როცა დავქორწინდით, ერთმანეთს აღ-  
ვუთქვით, რომ იმდენ შვილს გავაჩენდით,  
რამდენსაც ღმერთი მოგვცემდა...“ — ამ-  
ბობდა რასტი.

მეხუთე შვილის გაჩენის შემდეგ, ან-  
დრეას მდგომარეობა შესაძენვედ გართულ-  
და. ქმრის თქმით, მამის სიკვდილმა ცოლზე  
ძალიან იმოქმედა: „ამ ამბავმა მილად მოულო  
ბოლო — რობოტივით დადიოდა, ნერვიუ-  
ლი მოძრაობებიც დასჩემდა...“

ანდრეამ პოლიციის თანამშრომლებს  
განუცხადა, რომ ადრეც რამდენჯერმე სცადა  
შვილების მოკვლა. რასტის დედამ, ღორამ  
მეგობრებს უთხრა — ანდრეა სულ ახ-  
ლახან იყო ექიმთან და მკურნალობის  
კურსი შეიცვალაო. საავადმყოფოში მისი  
დაწვენა საჭიროდ არავის ჩაუთვლია.

ეს საბედისწერო აღმოჩნდა. ამ დაავადე-  
ბაში გარკვევა ყველაზე რთული თავად  
ანდრეასთვის იყო. მან გამოძიებლებს უთხრა:  
ბოლო ღროს მჯეროდა, რომ ძალიან ცუდი  
დედა ვიყავი და ამით ჩემი შვილები საშინ-  
ლად ზარალდებოდნენო. ალბათ იმ დღეს  
ანდრეამ იფიქრა, რომ დადგა ღრო, ბავშვები  
ასეთი დღისგან გაეთავისუფლებინა...

იმ დღეს, დილის 9 საათზე ქმარი  
სამსახურში წავიდა. შინ შვილებთან დარ-  
ჩენილმა ანდრეამ აბაზანა წყლით აავსო  
და თავისი საშინელი რიტუალის აღ-  
სრულებას შეუდგა. პირველი, 2 წლის  
ლუკი მოკვდა, მერე 3 წლის პოლი, მას 5  
წლის ჯონი მიჰყვა. ყოველი ბავშვის  
უსულო სხეულს დედა საძინებელ ოთახ-  
ში მიასვენებდა, საწოლზე აწვენდა და ზედ  
ზეწარს აფარებდა. ამის შემდეგ 6 თვის  
ჩვილი — მერი აიყვანა ხელში და კვლავ  
სააბაზანოსკენ გაემართა. მაგრამ იმ ღროს,  
როცა პატარა მერი წყალში ჩაავლო, დე-  
დას 7 წლის ნოემ მიუსწრო. მან ბიჭი  
დაიჭირა, ისიც აბაზანაში, დამხრჩვალად დის  
გვერდით ჩაავლო და ძალით გააჩერა წყ-  
ლის ქვეშ, სანამ არ დაიხრჩო. როცა ყვე-  
ლაფერი დასრულდა, მერი აიყვანა და  
საძინებელ ოთახში დანარჩენებს მიუწვი-  
ნა. იქიდან გამოსულმა ანდრეამ მომხ-  
დარი ჯერ პოლიციას შეატყობინა, მერე  
კი ქმარს დაურეკა.

ქმარს ცოლის ხმა არ მოეწონა, ყურ-  
მილი დაკიდა, მაგრამ ვერ მოისვენა და  
ანდრეას თვითონ დაურეკა. „მოხდა რამე?“

— შეეკითხა ცოლს. „სახლში უნდა მოხ-  
ვიდე“, — უპასუხა ანდრეამ. „ვინმე ცულ-  
ადაა?“ „პო“, — უთხრა ცოლმა. „ვინ?“ —  
იკითხა ქმარმა. „ბავშვები, ხუთივე“, — უპ-  
ასუხა ანდრეამ... „გული გამიჩერდა“, —  
უყვებოდა რასტი ყურნალისტებს. იეიტ-  
სების სახლთან პოლიციის შეფი — ფრენკ  
სტამპო მივიდა. მას ანდრეა ტანტზე  
ჩამომჯდარი დახვდა, ქალს ხელები კალ-  
თაზე ეწყო. „თითქოს მე მიყურებდა, მა-  
გრამ მომჩვენა, რომ ჩემს ძილმა, კიდევ  
რაღაცას უყურებდა“. სტამპომ საძინებე-  
ლი ოთახისკენ გაიხედა, კარიდან, საწოლზე  
დადებული პატარა თავი შენიშნა. „თოჯინა  
მეგონა, მაგრამ მიყუარლოვდი და ბავშვის  
თავი აღმოჩნდა. ეს 5 წლის ჯონი იყო.  
საბანი ავწიე და კიდევ ერთი მკვდარი  
ბავშვი დავინახე, მერე კიდევ ერთი... და  
კიდევ...“

სააბაზანოში სტამპომ გადაყირავებუ-  
ლი სარეცხის კალათა და დაჭმუჭნილი  
იატაკის ჩვარი დაინახა. აბაზანაში პატ-  
არა ბიჭი თავქვე ტივტივებდა. „თუ ხვე-  
ბი, რა ჩაიღინე?“ — დაუყვირა ანდრეას  
ნანახით გაოგნებულმა სტამპომ. ქალმა  
მას პირდაპირ თვალებში შეხვდა და მშ-  
ვიდად უთხრა: „ვხვდები“.

სტამპომ ირგვლივ მიმოიხედა. სახლი  
ანგრეული, ნაგვიანი და დაულაგებელი იყო.  
ქუჩიდან მას ღრიალი შემოესმა. ეს რას-  
ტი იეიტსი იყო, იგი შემთხვევით ადგი-  
ლის ირგვლივ პოლიციელების მიერ გა-  
კეთებული ბარიერის გარღვევას ცდილობდა,  
უნდოდა სახლში შეეღწია როგორმე, მა-  
გრამ არ უშვებდნენ. მაშინ რასტი სახ-  
ლის უკანა კარისკენ გაემართა, კარი ღია  
იყო და გადაწეული ფარდიდან შედარე-  
ბით უკეთ ჩანდა, რა ხდებოდა შიგნით.  
რაღაც მომენტში მან ანდრეას მხერა  
დაიჭირა. „ეს როგორ ჩაიღინე! ეს რა  
გაკეთე?!“ — ღრიალებდა რასტი. ან-  
დრეა ჩუმად იჯდა. სტამპომ ფარდები  
ჩამოაფარა.

პოლიციელებმა ქალს ხელბორკილე-  
ბი დაადეს და წაიყვანეს. გზაში რადი-  
ოთი იუწყებოდნენ, რომ ამაზრზენი ფაქ-  
ტი მოხდა: დედამ საკუთარი შვილები  
დახოცაო... სტამპომ მანქანის სარკიდან  
ანდრეას გახედა. „ის ფანჯარაში იყურე-  
ბოდა. მაშინ პირველად შევნიშნე მის  
სახეზე რაღაც ემოციის ანარეკლი: ტუ-  
ჩები უკანკალებდა. მაშინ ვუთხარი —  
სახელგანთქმული ადამიანი გახდი-მეთ-  
ქი“. ანდრეა იეიტსს, რომელსაც ამ სი-  
ტყვებზე, ჩვეულებრივ, ისტერიკა უნდა  
მოეწყო, ხმა არ ამოუღია. იგი კვლავ  
ფანჯარაში იყურებოდა. ის, რასაც ან-  
დრეა მაშინ ხედავდა, ალბათ ძალიან შორს  
იყო დედამიწისაგან...

**უცხოური პრესის მიხედვით მოამზადა  
მეზმი სანაპაპი**



ანდრეა იეიტსის ხუთი შვილი



ჰატრისია არქუტი:

რხუპისა და კალალობის

თავაზს ჩემი სხეული ეწინააღმდეგება

„არიან მსახიობები, რომლებიც თავად იქმნიან სახელს, მე ვთვლი, რომ ჩემი სათქმელი ჩემ მიერ შესრულებულმა როლებმა უნდა თქვან. დავდივარ წვეულებებზე, პრემიერებზე, ვიძლევი ინტერვიუებს, მაგრამ მსახიობის ბედი ძალიან ცვალებადი რამ არის“ – ასე თვლის თავად პატრისია.

ცოტა ხნის წინ, კანში გამართული ფესტივალის ერთ-ერთ პროგრამაში ნაჩვენები იქნა კომედია – „ცხოველური ბუნება“ პატრისია არქუტის მონაწილეობით. ფილმში მსახიობმა განასახიერა ლაილა, რომლის სხეულიც ბალნით არის დაფარული. ფილმის მთავარი მოქმედი პირები არიან ლაილა, მისი პუდანტი ქმარი, რომელიც ბავშვობიდან მკაცრი დედის მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა, და „თოვლის კაცის“ მაგვარი სიმპათიური არსება, რომელიც ცივილიზაციას ლაილას ქმრის მემკვიდრით ეზიარება.

თითქოსდა ბანალური სასიყვარულო სამკუთხედის სიუჟეტი შესანიშნავად და გონებაამახვილურად არის ჩახლართული, რაშიც ალბათ მალე მაყურებელი თავად დარწმუნდება ფილმის ნახვის შემდეგ.

თურმე პატრისიას თავიდან არ უნდოდა ამ როლის თამაში მისი გმირის ტანი ხომ ბალნითაა დაფარული და ის ეკრანზე თითქმის დედიშობილა ჩნდება, მაგრამ შემდეგ, გაორებული მსახიობში უფრო თამამმა ნახევარმა იმძლავრა და როლის შეს-

რულებაც გადაწყვიტა.

გადაღებებისთვის მზადება კი საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ერთი კვირის მანძილზე ყოველდღიურად 6 საათის განმავლობაში იკეთებდა გრიმს. გაუნძრევლად იდგა, სანამ მთლიანად წაუსვამდნენ კრემს, შემდეგ სპეციალურ წებოს, რომელიც კანის ფორებში აღწევდა და ქავილს იწვევდა. თურმე ერთხელ მსახიობს წებო პირში მოხვდა და საშინელი გემო დაუტოვა. უფრო აუტანელი კი ის თამაყო, რომელსაც სხეულზე აწებებდნენ, გამუდმებით ედებოდა ცხვირ-პირში. „ყველაფერი ეს მხოლოდ ფილმში მონაწილე ძალღს მოსწონდა: გრძნობით აღვსილი, მოდიოდა და ფეხს მილოკავდა, – იხსენებს მსახიობი – ამგვარად „გამოწყობილს“ ტყეში სირბილის დროს კი არც მწერები მინდობდნენ და ჭინჭრითაც ვისუსებოდი“.

პატრისია ბუნებით ძალიან მორცხვია და ყველაფერი ამის დაძლევა იუმორის თანდაყოლილი გრძნობის წყალობით შეძლო. გვერდით ჩავლილ გაძამლები ჯგუფის წევრებს სიცილით ეკითხებოდა: „როგორ გამოვიყურები დღეს?“ ისინი კი პასუხობდნენ: „შესანიშნავად! რა მოუხერხე საკუთარ თავს? იქნებ

მეუღლეებმა პატრისია არქუტმა და ნიკოლას კეიჯმა ერთ ჭერქვეშ ცხრა თვე იცხოვრეს

ბევრი თვლის, რომ პატრისია არქუტი შესანიშნავი მსახიობია, მაგრამ შესაბამისი სახელი ვერ მოიხვეჭა. შერონ სტოუნისა და დემი მურის დიდება მას ჯერჯერობით გვერდს უქცევს, სამაგიეროდ ფესტივალის ფავორიტები ამ ერთი ციდა (პატრისიას სიმაღლე სულ 1 მ და 55 სმ-ია) ვარსკვლავს ყურადღებას არ აკლებენ. პატრისიას სახელი ისეთმა ფილმებმა გაუთქვა, როგორცაა ტარანტინოს სცენარის მიხედვით გადაღებული „ნამდვილი სიყვარული“, დევიდ ლინჩის „გზატკეცილი არსაით“ და მარტინ სკორსეზეს „მიცვალებულის გამოსვენება“.

საიდუმლო გაგვიზიარო“.

გადაღებების დროს კი ძალიან ნაზად და გულთბილად ექცეოდნენ. „როცა ასეთი რთული როლის შესრულება გიწევს, უნებურად დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთვას განიც-



დი. მე კი თავს კომფორტულად ვგრძნობდი. ფილმში ბევრი შიშველი სხეულია, მაგრამ ყველა სექსუალური სცენა კადრს მიღმა დარჩა. ეს კი ჩემთვის ძალიან დიდი შეღავათი იყო.“

სცენარმა კი პატრისია იმით მოხიბლა, რომ ფილმში კარგად ჩანს, თუ როგორ თრგუნავს ადამიანის ბუნებრიობას ცივილიზაცია და საზოგადოებაში გავრცელებული ყალბი ღირებულებები. მსახიობმა ამ როლის გამო სხვა პროექტებში მონაწილეობაზე უარიც კი განაცხადა. ძალიან უნდოდა, დამოუკიდებლად განეცხადა და გაეაზრებინა ყველაფერი, რაც კი ფილმის გმირს გადახდა თავს. ფილმის გმირი ცდილობს, ყველა ადამიანის თავისუფლებას შეუწყოს ხელი. ამ იდეამ პატრისიაც მოხიბლა.

„ლაილას ისევე სწყურია სიყვარული, როგორც მე, ან ნებისმიერ სხვა ქალს, მაგრამ პედანტ ქმართან ქორწინებაში მყოფი, რომლის როლიც ტიმ რობინსმა შეასრულა, სულ უფრო უჭირს პიროვნული თვისებების გამოვლენა. მას ძალიან ბევრი სირთულის გადალახვა მოუხდა, სანამ საკუთარ თავს დაუბრუნდებოდა“, – ამბობს პატრისია.

ფილმის პარტნიორებს პატრისია დიდი სითბოთი იხსენებს. რის იფანსი ძალიან გულდია ადამიანი ყოფილა და მასთან საერთო ენას ყველა პოულობდა, ტიმ რობინსს კი ყველა პატივს სცემდა და მის აზრსაც დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ, – ტიმი ხომ დიდი რეჟისორი და მსახიობია.

პატრისიას და, მასზე არანაკლებ პოპულარული და ცნობილი მსახიობი როზანა არკეტია. პატრისიას ბოლო ნამუშევარი მან ორჯერ ნახა და აღტაცება ვერ დაფარა: „ეს როლი შენ ლატარიით მოიგე. რა საოცარი ფინალია! შენ კი შესანიშნავად თამაშობ!“

მიუხედავად იმისა, რომ პრესაში საკმაოდ აქტიურად ვრცელდება ჭორები დების შეურიგებელ კონკურენციაზე, პატრისია ამას კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ უფროსი დის (როზანა პატრისიაზე 9 წლით არის უფროსი) აზრს ყოველთვის ითვალისწინებს როლის შერჩევას, განსაკუთრებით კი, მაშინ, როცა ჩიხში ექცევა და არ იცის, როგორ ითამაშოს ესა თუ ის ეპი-



არკეტ-კეიჯის ოჯახური ბუდე

ზოდი.

კანში ყოფნისას როზანა დოკუმენტურ ფილმს იღებდა. მას სურს, ამ ფილმში მსახიობის ბედის სირთულე ასახოს. იმედოვნებენ, რომ ფილმი ისეთივე გონებამახვილური იქნება, როგორც თავად როზანაა. პატრისია იმასაც ჰყვება, რომ პრემიერაზე მიმავალს კანის სახელგანთქმულ კიბეზე ოპერატორთან ერთად მიმავალი და წამოეწია და უთხრა: „მე შენ ძალიან მიყვარხარ, ჩვენს მშობლებს შეეძლოთ შენით ეამაყათ“.

პატრისიას მაშინვე ცრემლი მოადგა და მომაკვდავი დედა გაახსენდა. ქალი დიდხანს და მიძიმედ ავადმყოფობდა, პატრისია მუდამ საავადმყოფოში იყო და დედას უვლიდა, რადგან იმ პერიოდში მისი და-ძმა ძალიან დაკავებული იყო. მან დედის გამოჯანმრთელება ვერ შეძლო და ეს ჭრილობა დღესაც მოუშუმებელი აქვს...

ლუის და მარდი არკეტები მსახიობები იყვნენ (ცოცხალი აღარც ლუისია – თებერვალში ის მოულოდნელად, ინფარქტით გარდაიცვალა).

ბაბუა კლიფიც ცნობილი კომიკოსი და ტელემოუს

პატრისია და მისი უფროსი და, როზანა არკეტი

წამყვანი იყო. მარდი იმავდროულად ლექსების წერას და ბავშვების გარენასაც ასწრებდა. უფროსი დის, როზანას გარდა, პატრისიას კიდევ სამი ძმა ჰყავს – რიჩმონდი, ალექსი და დევიდი. დევიდი მამასთან ერთად მონაწილეობდა ცნობილ თრილერში „ყვირილი II“, ამიტომაც კითხვა – გამხდარიყო თუ არა მსახიობი, – უმცროსი არკეტის წინაშე არასოდეს მდგარა.

გენებმა თავისი გაიტანა. და-ძმა არკეტები ერთად იზრდებოდნენ, ამ-





გიმ რობინსთან ერთად ფილმში „ცხოველური ბუნება“

ჟამადაც ძალიან ახლო ურთიერთობა აქვთ, თუმცა სავესებით არ ჰგვანან ერთმანეთს.

პატრისია როლის შერჩევასა საკმაოდ პრეტენზიულია, არ შეუძლია ძალადობისა და ჩხუბის სცენების შესრულება. თუ მაინც მოუწევს ამის კეთება, შემდეგ თურმე, ძალდატანებისაგან რამდენიმე დღის მანძილზე მთელი სხეული სტკივა. ამიტომ, თუ არჩევანის საშუალება ეძლევა, ცდილობს „არ აწყენინოს“ საკუთარ სხეულს.

პატრისიას მთავარი ინსტინქტი დედობაა. ის გატაცებით ჩაება პატარა ძმის – დევიდის აღზრდაში, როცა ბიჭუნა ერთი წლის გახდა. მსახიობი მშობლები ბევრს მუშაობდნენ და შვილებისთვის ნაკლებად იცლიდნენ. პატრისიას კი ბავშვის მოვლა დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ახლა პატრისიას 12 წლის ბიჭი ჰყავს. დედის მიერ განსახიერებული როლი ბავშვმა მშვიდად აღიქვა. პატრისიამ წინასწარ აუხსნა შვილს რომ სთავაზობდნენ სცენას, რომლის მიხედვითაც როლი შიშველს, მაგრამ ბალნით დაფარულს უნდა შეესრულებინა. ეს სიუჟეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, ეკრანზე სექსი არ იქნებოდა, ამ ქვეყანას ადამიანი შიშველ მდგომარეობაში მოველინა, ამიტომ ეს ყველაფერი ნორმალური იქნებოდა.

პატრისია ამბობს, რომ ჭკვიანი შვილი ჰყავს, მას გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებაც შეუძლია და აზრს დედასაც უზიარებს ხოლმე. კანის ფესტივალზე დედასთან ერთად გაემგზავრა, თუმცა შეეძლო მამასთან დარჩენილიყო...

ნუ იფიქრებთ, რომ ენცოს მამა პატრისიას სახელგანთქმული (თუმ-

ცა, ახლა უკვე ყოფილი) მეუღლე ნიკოლას კეიჯია. ფრენსის ფორდ კოპოლას ნათესავი და ოსკარის ლაურეატი მსახიობი, არკეტის ცხოვრების ნამდვილი, დიდი სიყვარულია. რას აღარ წერდნენ თავის დროზე ამ ქორწინების შესახებ! თითქოს ის ფიქტური იყო, თითქოს მეუღლეებმა თავიდან

ნეე მოილაპარაკეს, ხალხის დასანახად ბედნიერი წყვილი განესახიერებინათ...

ეს ყველაფერი სისულელეა! როცა 15 წლის წინ პატრისიამ ნიკი გაიცნო, მაშინვე ჭკუიდან გადაცდა – კეიჯი სიგიჟემდე შეუყვარდა. მათი რომანი საკმაოდ მგზნებარედ ვითარდებოდა: შეხვედრები, ხვევნა-კოცნა და... დაშორება, რომლითაც ეჭვიანობის ბობოქარი სცენა დაგვირგვინდა. სადაც არ უნდა გამოჩენილიყო ექსტრაგანტური კეიჯი, ყველა ქალი მომენტალურად კარგავდა მასზე ჭკუას. ეს კი პატრისიამ ვერ აიტანა, ყველაფერს მიაფურთხა და ბავშვი თავისი მეგობრისგან – მუსიკოს პოლ როსისგან გააჩინა. ამის გამგონე კეიჯიც არ დარჩა ვალში და იგივე ჩაიღინა – მას ვაჟი შეეძინა.

მაგრამ ბედს ვერავენ გაექცევა! პატრისია და ნიკოლასი კვლავ ერთად აღმოჩნდნენ. კეიჯი იხსენებს, რომ ერთხელ შავ, შემოტმასნილ ტანსაცმელში გამოწყობილი და წითელი საქორწინო ტორტით ხელდამშვენებული პატრისია ესტუმრა და ხელი და გული შესთავაზა. კეიჯმა გაიფიქრა, რომ ასეთი ქალის ხელიდან გაშვება სისულელე იქნებოდა... ქორწილის შემდეგ წყვილმა ერთ ჭერქვეშ სულ 9 თვე იცხოვრა. „ზომ გაფრთხილებდი, რომ ჩვენ „ღია ქორწინება“ გვაქვს“, – ლალატის ყოველ ბრალდებაზე ახსენებდა ცოლს და თავს იმართლებდა კეიჯი. მაგრამ ამ არგუმენტით მოსიყვარულე გულის დამშვიდება შეუძლებელია!

სულ ცოტაოდენი ხნის წინ ლეგენდარული მომღერლის – ელვის პრესლის ქალიშვილის – ლიზა მარ-

ია პრესლის დაბადების დღეზე კეიჯი ახალ მეგობარ გოგონასთან – მსახიობ პენელოპე კრუსთან ერთად გამოცხადდა. იმ ბრწყინვალე საღამოს შემდეგ კი მეგობრები კეიჯს დღესასწაულის მასპინძელთან – ლიზა მარია პრესლისთან ერთად ხშირად ჩახუტებულს ხედავენ. აი, ასეთია ნიკ კეიჯი და ასეთ მამაკაცთან შეგუება-არშეგუების პრობლემა თვით მისმა რჩეულმა უნდა გადაწყვიტოს. პატრისია ამას ვერ შეეგუა – მისი მოთმინების ფიალა კი იმ ცნობამ აავსო, რომ ნიკოლასი ლონდონში გადაღებების დროს, ორ „ღამის პეპელასთან“ ერთად გამოიჭირეს: სამეულმა ერთ-ერთ პაბში სკანდალი მოაწყო.

„მე ძალიან მშვიდობისმოყვარე ადამიანი ვარ და ვერ ვიტან, როცა ახლობელი ადამიანები ჩხუბობენ. ამიტომ, ალბათ ბევრ რამეს ჩემში ვმარხავდი, როცა გათხოვილი ვიყავი: ოჯახის გადარჩენისთვის საკუთარ თავს ვებრძოდი“.


ამჟამად კი პატრისია იხსენებს – ბევრი სძინავს და გამოღვიძებისთანავე პლაჟზე მიდის (ვაჟთან ერთად მსახიობი ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობს), ჯდება და საათობით უცქერის ტალღებს. ■



ვაჟიშვილ ენცოსთან ერთად

ნოდარ დუმბაძე წერდა: „კაპიტან ბუხაიძეზე სიმღერა რომ მოვიდა ჩემს სოფელში, 14-15 წლის ბიჭი ვიყავი. მღეროდა ყველა: რადიო, ბავშვი, ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზრდა, ომში მიმავალი, ომიდან ჩამოსული. მეც ვმღეროდი. ვმღეროდი და ვნატრობდი, მკვდარი ყოფილიყავი და ჩემზე ყოფილიყო ეს სიმღერა. ვმღეროდი და ვნატრობდი: ჩემი დანერგილი ყოფილიყო ეს ლექსი. ვმღეროდი და ვნატრობდი, ამ ომში დაღუპული და მკვდრზე მკვლავდაკრეფილი ვაჟკაცის, ან ძმა, ან შვილი, ან მეგობარი, ან ჯარისკაცი ყოფილიყავი. ვმღეროდი და

ვნატრობდი, ამის დამწერი მენახა და მერე მოვმკვდარიყავი. მერე ისიც მინატრია, ნატვრისთვალე მომცა, რომ ვინატრო და ელირსოს საფლავიდან მხრების წამოწევა-მეთქი“. მაშინ რას ნაწამოიდგენდა პატარა ბიჭი, რომ გაიფიქრა დრო და გაიცნობდა, გაიცნობდა და დაუნლოვდებოდა კიდევ ამ ლექსის ავტორს — ირაკლი აბაშიძეს. „კაპიტანი ბუხაიძე“ საქართველოში ყველამ იცის, იმდენად კარგადაც კი, რომ დარწმუნებული ვარ, ბევრს ხალხური ლექსი ჰგონია. ეს კი, დამეთანხმებით, ლექსისთვის პოპულარობის უტყუარი საზომია.



# თითო ცოში რომ ჩაუჩყა თითო ანაკაცს, ხომ გავისცდუმრებ საიქიოსო...

## ლელა ღიყაშვილი

ირაკლი აბაშიძე 1909 წლის 23 ნოემბერს დაიბადა სოფელ ხონში. მამა — ბესარიონ აბაშიძე ნოტარიუსად მუშაობდა ქუთაისში, ვერეკო ანჯაფარიძის მამასთან ერთად. მოხდენილი ქართველი ვაჟკაცი ყოფილა. მისი უბედურება ის იყო, რომ ასაკში შესული, დაბრმავდა და ირაკლის, რომელიც ოჯახის მეცამეტე შვილი იყო (სულ 14 ჰყავდათ), მამა მხოლოდ უსინათლო ახსოვდა. დედა — ლიზა (ელისაბედ) მოღვაწე, ცნობილი ქართველი მეღვინის — კოწია მოღვაწის და იყო.

დაწყებითი განათლება ხონის საშუალო სკოლაში მიიღო. პატარა ირაკლის დახსომებია, სკოლაში მისულს როგორ დახვდა ჩამოხსნილი ნიკოლოზ მეორის სურათი, რომელიც კი არ გადაეღოთ, — იქვე კედელზე მიეყუდებინათ, ყოველი შემთხვევისათვის... ამ აბაშის ხშირად იხსენებდა ხოლმე ღიმილით ბატონი ირაკლი.

მამის ავადმყოფობის გამო, ოჯახს ძალიან გაუჭირდა. დედა უყვებოდა შვილებს, როგორ გაყიდა მამამ თავისი ოქროთი მოვარაყებული ხანჯალი, მშ-

ვენიერი რელიკვია. ბატონი ირაკლი იხსენებდა: „მამაჩემს ეს ხანჯალი მოსახმარად არასდროს დასჭირვებია, იცინოდა, თურმე — ფანქრის წასათლელად შევიძინეო. ატარებდა კი თავის ჩაღისფერ ჩოხაზე, და როგორც სურათზე შემოგვრჩა ოჯახში, ძალიანაც შევწოდა ლამაზ, მაღალ იმერელ კაცს... 1936 წელს ერთ ოჯახში, ქორწილში, ძალიან მხიარულ საზოგადოებაში, მეც მეტად გაემხიარულდი... განსაკუთრებით შემომხაროდა ერთი მოხუცი კაცი... მერე ჩემი მისამართი მთხოვა და ჩაიწერა. მართლაც, ორიოდე კვირის შემდეგ ამ კაცმა სამსახურში დამირეკა — შენთან სახლში ვიყავი და არ დამხვდით. მე ჩემს ოთახში, ფიქრის გორაზე მართლაც უმეტესად ღამესაც ხშირად არ ვათენებდი, მარტოკა ვიყავი და ახალგაზრდა კაცს, სადაც მიღამდებოდა, იქ მითენდებოდა, იმ საღამოსთვის შევიპირე, სახლში ვიქნები-მეთქი. საღამოს მოხუცი მოვიდა. ფრთხილად ამოიღო ჩემოდნიდან თეთრ ქაღალდში ლამაზად შეხვეული საგანი. ქაღალდი შემოაძრო და თავდახრით გადმომცა ოქროთი მოსევადებული ხანჯალი:

— ოდესღაც მამაშენისგან ვიყ-

იდე; კიდევ კარგი, რომ ჯერაც ჯანზე ვარ და არ გამჭირვებია, შენი იყოს, შვილო! კარგი შვილი დარჩენიხარ, ღმერთმა მშვიდობაში მოგამაროსო.

ეს იყო ხონელი ჩხიკვაძე, ოდესღაც ჩვენში ყველაზე მდიდარი კაცი... მერე ოცდაათიან წლებში განაკულაკეს, ერთხანს წავიდა კიდევ ხონიდან, მერე ისევ დაუბრუნდა თავის განადგურებულ სახლ-კარს, უფრო სწორედ, სახლ-კარის ნაწილს. შევეხვეწე — ოთახში არაფერი გამაჩნია, როგორც ხედავთ, სადმე გამოწყვეით, მაღლობა მათქმევინეთ-მეთქი. არ ქნა, — მატარებელზე ადრე გავალ სადგურში, დღესვე უკან ვბრუნდებიო. წავიდა. იმ საღამოს დედასთან გავიქეცი... დედამ ოცდაათი წლის შემდეგ ჯერ გულში ჩაიხუტა ხანჯალი, მერე კალთაში ჩაიღო და ერთხელ კიდევ დაიტირა მამა იმ ტირილით, რომლითაც ხონში 1919 წელს, თებერვლის სუსხიან დღეებში, ჩვენი ხის სახლის ცივ კედლებში, ქარი რომ დაქროდა შიგ. დედაჩემის ის ტირილი ახლაც არ ამომდის ყურიდან: ახლა მე რაღა ვქნა, ბესარიონ, რა ვუყო ამ ბავშვებს, რა ვასვა და ვაჭამო... ამ სახლში დაწერილი ჩემი ყმაწვილკაცობის ლექსე-



ნოდარ ღუმბაძესთან ერთად

ბიდან ორი სტრიქონი ჩამრჩა მეს-სიერებაში:

ყველაზე უფრო ქარი არის თებერვ-ლის ქარი,

ყველაზე უფრო წვიმა არის ნოემ-ბრის წვიმა.“

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ უსასოოდ დარჩენილმა ქერივმა მაინც შეძლო შეიღების პატრონობა. ის კი არა და, ერთი ობოლი გოგო მიუყვ-ანეს – ნადია სებუა, დედინაცვლის ხელში გატანჯული. ქალბატონ ლიზას უთქვამს: იყოს ჩემთან, სადაც ამდენ ბავშვს ვზრდი, მაგასაც მივხე-დავო... დობილი ძალიან უყვარდა ბატონ ირაკლის, ნადია არ გათხოვი-ლა, მზრუნველი მამიდა იყო და უკვე დაოჯახებულ ძმას, ძმისშვილებზე დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული.

თბილისში ჩამოსულ ირაკლი აბა-შიძის დედას, და-მძებს უახლოესი ნათესავის ოჯახმა გაულო კარი. ისინი დროებით პაოლო იაშვილის ოჯახმა შეიკედლა. ირაკლი აბაშიძე და პა-ოლო დედების მხრიდან ენათესავე-ბოდნენ ერთმანეთს. დიდი სიყვარუ-ლი აკავშირებდათ. პაოლო ასაკით უფროსი იყო, ირაკლი აბაშიძე უფრო მის ძმასთან – ტუპია იაშვილთან მეგობრობდა...

საქართველოში მაშინ საშინელი სიტუაცია იყო: დამაბული, დამთრ-გუნველი. მწერალთა კავშირისკენ მი-მავალ ირაკლი აბაშიძეს პაოლო

შეხვედრია: უცნაურად გამოიყურე-ბოდა. „მე დაგიმტკიცებთ, რომ ვა-ჟაკი ვარ!“ – მაშინ უთქვამს პაო-ლოს. მეორე დღეს მწერალთა კავ-შირში სხდომა იყო. საშინელი გას-როლის ხმა გაისმა. ირაკლი აბა-შიძე ერთ-ერთი პირველი შევარდნი-ლა იმ საბედისწერო ოთახში და ნან-ახით დაზაფრულს ტირილი ავარდ-ნია... ცოტა ხნის შემდეგ რამდენ-იმე მწერალი დაუბარებიათ, სადაც ჯერ არს, მათ შორის, სიმონ ჩიქო-ვანი. არკვევდნენ – იტირა თუ არა ირაკლი აბაშიძემო... თუკი დადას-ტურდებოდა ტირილი, ეს უპატიე-ბელ დანაშაულად ჩათვლებოდა პო-ეტს... სიმონ ჩიქოვანს იმდენად მტ-კიცედ უთქვამს – არაო, – დაუჯერე-ბიათ. ამ სტრიქონების წაკითხვისას თავი, შეიძლება, აბსურდის თეატრში გვეგონოთ, მაგრამ ეს რეალობა იყო – მომაკვდინებელი რეალობა.

პაოლო ღამით დაკრძალეს, ჩუ-მად... როცა მისი რეაბილიტაცია მოხდა, ძმისშვილმა – ნოდარ იაშ-ვილმა (რომელიც, სხვათა შორის, დაჭ-ერილი იყო, იმის გამო, რომ ბიძის შესანდობარი შესვა) მიაგნო საფლა-ვს. ირაკლი აბაშიძეც იქ იყო. გათხ-არეს სამარე. ბატონ ირაკლის უთქ-ვამს: პაოლოს ფეხსაცმელი ვიცან-იო... ნეშტი დიდუბეში გადაასვენეს. მთელი გულით, ენერგიით, შესაძლე-ბლობებით ცდილობდა ირაკლი აბა-შიძე იმ დღეების მოახლოებას, რომელ-საც რეაბილიტაცია ერქვა. ეს ყვე-ლაზე უკეთ თვით რეპრესირებულთა ოჯახებმა იგრძნეს. ამის დასტურია ტიცინან ტაბიძის ნაქონი ვერცხლის ჯამი, რომელიც 1957 წელს ტიცინან ტაბიძის მეუღლემ, ქალბატონმა ნინ-ომ აჩუქა მადლიერების გრძობით პოეტს. ჯამს ტიცინანისული სიტყვე-ბი აქვს ამოტვიფრული:

**„ღვინოში არი  
ქემმარცხენა“  
– ეს უი ვიცანი,  
ამიჯომ ღვინოც  
არ მერიდენა.  
მხოლოდ ეგ არი  
სხვამხრივ უგონი  
ღვინი ჩიცოხნი!..**

სისხლსავსე სიცოცხლით ცოცხ-ლობდა. ირაკლი აბაშიძე გახდა პირველი ლაურეატი რუსთაველის

პრემიისა, კონსტანტინე გამსახურ-დიასთან, ლადო გუდიაშვილსა და ელგუჯა ამაშუკელთან ერთად, 1965 წელს. ამის აღსანიშნავი შეხვედრა რუსთაველი მოეწყო. ელგუჯა ამა-შუკელი შესანიშნავად უკრავს გი-ტარაზე. სთხოვეს დაეკრა. ირაკლი აბაშიძემ იმდერა, ლადო გუდიაშვილ-მა კი ჩვეულებისამებრ საუცხოოდ იცეკვა. ამის შემხედვარე, კონსტან-ტინე გამსახურდია ხელს აყოლებ-და მელოდიას... ქალბატონ მირან-დას, კონსტანტინეს მეუღლეს უხუ-მრია: „თქვენ რუსთაველის პრემია რად გინდოდათ, ასეთი სიმღერით და ცეკვით ფულს მაინც იშოვიდით“.

1966 წელს საქართველოში რუსთაველის 800 წლისთავი აღნიშნეს. სიონში, დიდი პოეტის სახელზე, პარაკლისი გადაიხადეს. ირაკლი აბაშიძის ძალისხმევით, ბევ-რი სირთულე გადაილახა. მისივე ჯაფის შედეგი გახლდათ, რომ საქართველოში უამრავი უცხოელი სტუმარი ჩამოვიდა და ჩვენი ქვეყ-ნის ისტორიას და კულტურას „სა-ბჭოთა კულტურისგან“ განცალკევე-ბით გაეცნო და ეზიარა. სწორედ იუბილეს დღეებში უთქვამს ერთ მანდილოსანს ირაკლი აბაშიძისათვის: რა არის, სულ მთავრობასთან რომ ხარო?... პოეტს უპასუხია: მომეცი 2.000.000 მანეთი რუსთაველის იუ-ბილეს ჩასატარებლად და მაგათ არ გავეკარები – სულ შენთან ვიქნე-ბიო...

სხვათა შორის, ბევრჯერ ატკინეს გული ამგვარი ბრალდებებით. დაიხ, მთავრობასთან დაპირისპირებული არ ყოფილა, მაგრამ საქართველოსთვის ხომ აკეთებდა საქმეს. თუნდაც „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ ავიდოთ, რომლის უცვლელი მთა-ვარი რედაქტორი გახლდათ: როცა გულნატკენმა პოეტმა დაინახა, მის მიმართ ცრუ ბრალდებები მომრავ-ლდა, მისთვის ჩვეული თავისებური იუმორით თქვა: სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ... ამ ენციკ-ლოპედიის თითო ტომი რომ ჩავარ-ტყა თითო არაკაცს, ხომ გავისტუმ-რებ საიქიოსო...

ბატონი ირაკლის იუმორის მა-გალითები ანეკდოტებივით დადის ხალხში. კომპოზიტორი ბიძინა კვ-ერნაძე იხსენებს: „ერთხელ ბატონი არჩილ ჩხარტიშვილი, რეზო ლალ-იძე და მე, რუსთაველზე ვიდექით.



გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე და ირაკლი აბაშიძე იერუსალიმში

ნადირობაზე ვსაუბრობდით. ამ დროს შეგვამჩნია ბატონმა ირაკლიმ. რას ბჭობთო? – შეგვეკითხა. მე ვუთხარი: ბატონო ირაკლი, ნადირობაზე ლაპარაკობენ, თქვენს მოსვლამდე მამებიც კი უმოწყალოდ გაწირეს: ტყეში რომ შეგვზღუნენ, იმათაც კი ვესვრიოთ!.. ბატონმა ირაკლიმ შემოფოთებულმა შემომხედა და მითხრა: შენ ისეთი გვარი გაქვს, ბიჭო, რომ ამათ ტყეში არ გაჰყვე, თორემ უსათუოდ გესვრიანო“.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო იერუსალიმის სამეცნიერო ექსპედიცია 1960 წელს, რომლის წევრიც იყო ირაკლი აბაშიძე, აკაკი შანიძესა და გიორგი წერეთელთან ერთად.

ბატონ ირაკლის ხშირად მოუყოლია ახლობლებისთვის: შედგეს თუ არა ფეხი პირველად ჯვრის მონასტერში, იგრძნეს, უპირველესად ქართული საგალობელი უნდა ეთქვათ, ამდენი საუკუნის შემდეგ იქ მისულ ქართველებს: „მე არ ვიცი, რომელი ჩვენთაგანი უფრო ვაჟკაცურად შევიდა მონასტრის გალავანში. შევედით კი სამივე... სამასი წელი მაინც იქნება, ქართველთაგან აქ არავის უგალობია. გაკვირვებული შემოვიდა მონასტრის ახალგაზრდა დიაკონი ბიკენტოსი, მოგვისმინა, მოგვაჩერდა, აგვზომა-დაგვზომა და წყნარად თქვა: მონასტრის ნამდვილ და ძველ პატრონებს დღესა ვხედავო“.

ექსპედიციამ მიაგნო შავი საღე-

ბავით დაფარულ რუსთაველის ფრესკის ადგილს და აღადგინა ეს ფრესკა, რომელზეც გამოსახულია მუხლმოდრეკილი და ხელაპყრობილი პოეტი. აქვეა წარწერაც. ფრესკის ფერად ფოტოებთან ერთად სხვა მასალაც ჩამოიტანეს იერუსალიმიდან საქართველოში.

ირაკლი აბაშიძის ოჯახში როგორც რელიკვია, ინახება ორი ბიბლია: ერთი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის ნაჩუქარია, მეორე – უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ნაბოძები. სხვათა შორის, ერთხელ ილია მეორეს კამიცი უჩუქებია ირაკლი აბაშიძისათვის. კალამი საერთოდ, პოეტის სისუსტე იყო. საპატრიარქოში მისულს, ერთხელ თვალი ვერ მოუწყვეტია პატრიარქის კალმისთვის, ისე მოსწონებია.. ეს შეუნიშნავს კათოლიკოსს და გულკეთილად მიუძღვნია საჩუქრად.

ირაკლი აბაშიძესა და მის მეუღლეს – ნელი ჟორდანიას შორის 14 წელი იყო სხვაობა. მშვენიერი გოგონა (სხვათა შორის, ტყუპისცალი) ქუჩაში უნახავს ბატონ ირაკლის. მოსწონებია, ვინაობა უკითხავს, მერე კი უთხოვია, – ხვალ ჩემი პოეზიის საღამოა სა-

ირინა, ნელი და ირაკლი აბაშიძეები



სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, გთხოვთ, მობრძანდით, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანიაო. ასე დაიწყო... სამი შვილი შეეძინათ: ირინე, ზურაბი და ვახტანგი... აქვე ერთ ამბავს მოვყვალე: ჰარი ბელაფონტე რომ ჩამოვიდა თბილისში, ბატონმა ირაკლიმ თავის ოჯახში მიიწვია. მომდერალს ცოლ-შვილი ახლდა. ბიჭი, როგორც მშობლები, მულატი იყო... ამ დროს ვატო, აბაშიძეების უმცროსი ვაჟი რამდენიმე თვის იყო და საბავშვო ეტლში იჯდა. უცებ პატარა აკივლდა. დაიბნენ, ვერ გაიგეს, რა მოხდა, ბელაფონტეს ცოლს უთქვამს: მე ვიცი, რაც მოხდებოდაო... თეთრი, ფუმფულა ვატოსთვის პატარა მულატს გემო გაუსინჯავს – უკებნია, – ალბათ საჭმელი ეგონა...

ირაკლი აბაშიძე თვითონაც უკრავდა. მას დუეტი აქვს შესრულებული სალამურზე ჯონ სტაინბექთან ერთად. სხვათა შორის, სალამურის გამოთლაც სცოდნია... ამან მეორე გატაცებას – ჯაყვა დანის სიყვარულს ჩაუყარა საფუძველი... ჯაყვა ალბათ იმ დროს ანსენებდა, როცა სალამურებს თლიდა.

შვილებს ანდერძივით უბარებდა: ღმერთმა გაშოროთ ომი, სიმდიდრე და სიღარიბეო...

82 წლის გარდაიცვალა. ბოლომდე იმდენად სიცოცხლის მოყვარული იყო, ასე მგონია, თვითონ გაიმეორებდა ამ სიტყვებს:

რომ შემეძლოს საფლავიდან, ძმებო, მხრების წამოწევა... ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №32

— ელზა, გამარჯობა, ნანა ვარ.  
 — როგორ ხარ?  
 — ვარ რა. გუშინ მავიდა მოვიტანე და იმ არაკაცმა სულ ჩაქუჩით დაღლეწა.  
 — რას ამბობ? — გაიკვირვა მეგობარმა, — ახლა სად ხარ?  
 — ნინიკოს და თამუნას ხელი მოვკიდე და ჩემს მშობლებთან ვარ. აბა, მაგ კაცის სიგიჟეს ბავშვებს ხომ არ ვაყურებინებ? სახელში როცა არ ევლო, მაშინ მივედი, ტანსაცმელი მქონდა წამოსაღები და მაგიდაც ვნახე, მოკლედ, გული მოვიკვდებო, სულ დაუღლეწა.  
 — ეჰ, ველურია, რას იზამ. დღეს კარგ ადვოკატთან ვიყავი და შენი ამბები გავიგე. ოფიციალურად განქორწინებულები ხომ ხართ?

— კი, — დაეთანხმა ნანა.  
 — რამდენი წელია?  
 — ზამთარში სამი გახდება.  
 — ჰოდა, სამი წლის შემდეგ, ბინიდან ვერაფერსაც ვერ მოვთხოვ, ხანდაზმულობის ვადა გასული იქნება, ასე რომ, რამენაირად ეს ზამთარიც გადავტოვებ, მერე წიხლი ჰკარი და ააცმევი. მართლა, ბინა ხომ მართლმაც შენს სახელზეა პრივატიზებული?

— აბა რა, ეგაა მაკლია, რომ ბაბუაჩემის ბინა მაგის სახელზეც გამეფორმებინა!  
 — როგორ მოახერხე, თვითონ არ უნდოდა?  
 — არა, სურვილი კი გამოთქვა, მე, ეგ და მარია, როგორც სრულწლოვანები მივედილით ბინის პრივატიზაციაზე და მაშინ მითხრა, რომ პრივატიზაცია ჩემს სახელზეც გავაკეთოთო.

— მერე შენ რა უთხარი?  
 — რა იყო, არ მენდობი-მეთქი, ნამუსზე ავაგდე. იმანაც ხელი ჩაიქნია და მართლმაც ჩემს სახელზე მოხდა პრივატიზაცია.  
 — ყოჩაღ, კარგად მოგიხერხებია, — ელზამ მეგობარი შეაქო, — იმ ქალსაც ხომ ჩამოაშორე?  
 — ვის, მერის?  
 — ჰო.

— ჩამოვაშორე და როგორ, იმას გიორგის ხსენებაც არ უნდა, — ჩაცინა ნანას.  
 — მოკლედ, ჩვენი გეგმით იმოქმედე, ხალხს დაანახვე, რომ არანორმალურია.  
 — აბა რა, როგორც კი ნასვამი სახლში მოვიდილი, მე ბავშვებთან ერთად სახლიდან გავბრდი. ხან მეზობლებს, ხან ჩემს ნათესავებს და ხანაც ღელაქემის ამხანაგებს ვაფარებდი თავს. ყველა, როგორც გიჟს, ისე იცნობს. ეგ კი არა და, ნინიკო და თამუნაც აღარ ელაპარაკებინა.  
 — ძალიან კარგი, — კმაყოფილმა ჩაილაპარაკა ელზამ, — ეს ზამთარიც გაუძელი და მერე მორჩა, დაისვენებ, შენც იგრძნობ თავს აღამიანად.  
 — დიდი მადლობა, ელზა.



ბესიკ კეკელიძე

# ქალი-თბილისი

— რისი მადლობა, აბა, რისი მეგობრები ვართ. კარგად იყავი.  
 — კარგად, კარგად, — დაკიდა ყურმილი ნანამ.

დღით, როდესაც გიორგიმ გაიღვიძა, ბინაში გამეფებულ სიჩუმეს ყური მოუგდო. სიჩუმე სიჩუმით ბოლოქრობდა და ქუჩიდან შემოსული ჩიტების ყრიატულში მიჩუმებულიყო. გიორგიმ საათის დახედა, ათი ხდებოდა. საწოლიდან წამოდგა, ჩაიცვა და სამზარეულოსკენ გასწია. ზარის ხმა გაისმა. კარი გააღო:

— დათოს გაუმარჯოს, საიდან სადაო, შემოდი, — შემოიპატიჟა სიდედრის კლასულის სიძე, დათო კუნსაღვიმეილი.  
 — ისევ იჩხუბები?  
 — საიდან გაიგე?  
 — შენმა სიდედრამ ჩემსას დაურეკა და მოუყვა, — მავიდა დაუღლეწაო.  
 — „შენი სიდედრი ჩემსას სვლობა,“ — წაიღიღინა გიორგიმ, — ყავას დალევ?  
 — კი, დავლევ, — დაეთანხმა დათო და სამზარეულოში შეჰყვა.

გიორგიმ მაცივრიდან ყველი და კარაქი გამოიღო, საპურედან პური ამოიღო, ჩაიდან გაზქურაზე დადგა, შემდეგ მავიდას მოუჯდა და მაგიდის ამხავი მოუყვა. დათო განცვიფრებული უსმენდა, შემდეგ ტუჩები აპრუნა და ჩაილაპარაკა:  
 — ნანა სულ ასეთ რაღაცებს გიკეთებს, მერე ისე ავრცელებს ხმას, თითქოს ყველაფერში თვითონ იყოს მართალი.  
 — ეჰ, ჩემო დათო, არავინ იტყვის — მამიდარჩემი ბოზიაო. გასაკვირი არაფერია.

— ახლა რას აპირებ?  
 — მე უკვე წერტილი დავსვი, ბინის პრობლემას მოვაგვარებ და წავალ, ჩემს გზას ვიწვევი.  
 — არა, უბრალოდ, ასე აღარ შეიძლება, ორმოცი წლის კაცი ხარ.  
 — ვიცი, დათო, ვიცი, — გიორგიმ ყავა დაასხა.  
 — შენ რა სიკეთეც მე გამიკეთე, იმას ცხოვრებაში არ დავგივიწყებ. იმ საზიზღარ წლებში, მშვიერი ცოლ-შვილის შენახვაში მომეხმარე.  
 — არ ღირს სალაპარაკოდ.  
 — ნანასგან შენზე სულ ცუდი მესმის, არადა, ვიცი, რა კაციცა ხარ და რატომ აკეთებს ამას, ვერ ვხვდები.  
 — ახვარა და იმიტომ, — სიმწრის დიმილი დაელო გიორგის.  
 — გახსოვს, ჩვენი კაზინოს დიდურს, ლენას, ქუჩაში რომ დახვდა და მაკრატლით დაჭრა?  
 — ჰმ, როგორ არ მახსოვს. ვიდაცას სახლში დაურეკავს და უთქვამს, ლენა გიორგის საყვარელიაო. ისიც მწარე გოიმივით ავარდა და საცოდავი კრუპზე დავეჭრა. ის თუ გახსოვს, აქ რომ ამოვედით და სამზარეულოს კარს იარაღი რომ ვესროლე, ნანას აზრზე მოსაყვანად?  
 — აგერ ის ნახვრეტი არ არის? — ნატყვიარისკენ გაიშვირა დათომ თითო.  
 — ჰო, ეგ არის, მაგ ამბის შემდეგ შეიდი წელი გავიდა, მაგრამ ეგ ქალი სულ უარესს და უარესს მიკეთებს, არაფერი არ შევლის.  
 — კი, მაგრამ ოცი წელი ერთად როგორ იცხოვრეთ, ან სამი შვილი რატომ გააჩინეთ?  
 — ბიჭო, მეგონა, ერთი შვილი მოიყვანდა

აზრზე, არაფერი გამოვიდა, ვიფიქრე, მეორე დააჭკვიანებდა, მაინც არაფერი გამოვიდა, მე-სამეზე ფეხმძიმედ რომ იყო, აბორტის გაკეთება უნდოდა, მაგრამ მე არ გავუშვი, ძალით გავაჩენინე, არც მესამე შვილმა უშველა, თანდათან დაუძძიდა ხასიათი, კერკეტ კაკალს დაემსგავსა... იმ დღეს ფსიქიატრიის სახელმძღვანელოს კვითხულობდი და დავრწმუნდი, რომ ნაღდად გარეკილია, რა, გენებში არა აქვს, თუ რა? საზოგადოებაში ძალიან წესიერ, კეთილსინდისიერ და შრომისმოყვარის როლს თამაშობს, მაგრამ ჩემზე აქვს გართულება. ბუნებაში არსებობს შიზოფრენიის ასეთი ფორმა, აკვიატებული შიზოფრენია ჰქვია. ოჯახზე გადაყოლილი ვიყავი და ვარ, მაგრამ არაფერს მიფასებს, ვერაფერს ხედავს, მტრის ხატად წარმოიმედინა და თავის ავადმყოფურ ფანტაზიას ჩემზე ავითარებს. დავილაღე, ძმაო, მეც მიწადა, თავი ადამიანად ვიგრძნო, ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება.

— გეთანხმები, — სივარეტს მოუკიდა დათომ, ყავა მოსვა, — ათი წელია ვიცნობ და სულ ასეთ დღეში ხარ, ან ამდენი ხანი როგორ გაძელი?

— ჩემო დათო, შვილების სიყვარულმა გამაძლიებინა. უფროსი ქალიშვილი უკვე დავაბინავე, პატრონს ჩავაბარე, ანგლოზივით შვილიშვილი მაჩუქა, დანარჩენ ორს შეძლებს ისდაგვარად მიხედვად. ჩემი აქ ყოფნით ისინი უფრო უბედურები არიან, გაუთავებელი აყალმაყალი, ჩხუბი, ბავშვებს მოებზრდათ, თან უბედურება რა არის, იცი?

— რა?  
— ნანას ქმედება არ ჩანს, ნელ-ნელა გამოვყავარ წყობიდან და ამას ჩემი აფეთქება მოსდევს. იმ ქალს მშვენივრად შეუძლია ითამაშოს სხვისი როლი, მე ეს არ შემიძლია, ამიტომაც არის, რომ ჩემი ყველაფერი ჩანს, მაგისი კი არა.

— ეკ, არ ვიცი, არ ვიცი, — ჩაილაპარაკა დათომ და წამოდგა, წასვლა დააპირა.

— დათო, მომეხმარე, ის მაგია გამატანინე, — გიორგიმ პატარა ოთახისკენ გასწვია. დათო უკან გააჰყვა. კარების ორივე ფრთა გახსნეს და დაღეწილი მაგია საძინებელ ოთახში გაიტანეს, — საცხოვრებლად პატარა ოთახში გადავად, ამხელა საძინებელში მარტოს რა მიწადა, — დათოს გადაულაპარაკა გიორგიმ.

— მართალი ხარ, აქ მეტი სიმყუდროვეა, — პატარა ოთახისკენ მიუთითა დათომ.

ტელეფონმა დარეკა. გიორგიმ ყურმილი აიღო:

— გისმენთ.  
— გიორგი, გამარჯობა, ვანო ვარ.  
— ვანოს გაუმარჯოს, — სიძეს მიესალმა, — სად დამეკარგე?  
— საქმეები მქონდა. მაგიდის ამბები გავიგე.  
— ბიჭო, ნანამ ქუჩაში განცხადებები გააკრა, თუ რა არის? — ჩაეცინა გიორგის, — ჰო,

მაგან და ალბათ მამამისმა მოიტანეს მაგია.

— არა, მე მივეხმარე.  
— რაა? — გაშრა გიორგი, — ეს რატომ ჰქენი?

— რა ვიცი? მოხოვა და...  
— სადღო, სიდღერის მაგარი ერთგული სიძე ყოფილხარ. ბიჭო, რომ ეთხოვა მტკვარში გადახტო, გადახტებოდი?! გიორგის დანა ჩაარტყო, ჩამარტყამდი? — ხმას აუწია გიორგიმ.

— არა, რა სისულელეა? — გაიკვირვა ვანომ.

— აბა, შენ თუ გგონია, რომ ზურგში დანა არ ჩამარტყი, ძალიან ცდება. ნანა აუცილებლად დაგიფასებს, ასეთ ერთგულებას წყალობაში არ გადაგიფრის, — გამწარებულმა დაახეთქა ყურმილი და დათოს მიუბრუნდა, — ყველას, როგორც უნდა, ისე იყენებს, ახვარი ღელაკაცი.

— გიორგი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად აწონ-დაწონე და ნახე, რომ მოისვენებ, — დაწყნარება სცადა დათომ.

— ჰო, ასეც ვაპირებ.

— წავედი, გამოვივლი კიდევ, არ მოიწყინო.

— კარგად, დათო, — სტუმარი გაცაცია გიორგიმ და კარი გადაკეტა. ოთახში შებრუნდა, იქაურობა მიაღაგა, იატაკი გამოხევეტა, კარადაში ტანსაცმელი შეკიდა, ლოგინს თეთრეული გადააკრა, — ეისეც ასე, — ჩაილაპარაკა. ამდენი მოძრაობისგან მარცხენა ბეჭში ძველმა ჭრლობამ თავი გაახსენა, ამინდის ყოველ ცვალებადობაზე, უხერხულ მოძრაობაზე ან გადაღლაზე იარა საშინლად ეწვოდა. სკამი გამოწვია, ჩამოჯდა და სივარეტს მოუკიდა. ძალაუნებურად სტუდენტობის დროინდელი ინციდენტი აღიგინა.

გიორგი და ნანა უკვე დაოჯახებულები იყვნენ. ნანა სამედიცინოზე სწავლობდა, ხოლო გიორგი პოლიტექნიკურში. ნანას ჯგუფელის დაბადების დღიდან ბრუნდებოდნენ. გიორგიმ დიდებულში ტაქსი გააჩერა და მთაწმინდაზე გაეყვანა სოხოვა. მანქანა წერეთლის გამზირიდან პლენაროვზე გავიდა, ხოლო იქიდან პასტერის ქუჩაზე ჩაუხვია. იქვე კუთხეში ოცდაათ წლამდე, ზორბა ტანის ბიჭმა ტაქსის ხელი აუწია. მძღოლმა მანქანა გაუჩერა. უცნობმა წინა კარი გააღო და ჩავლა:

— ბიძა, ლოტკინზე ამიყვანე! — ბრძანების ტონით მიმართა მძღოლს, საუბარზე ეტყობოდა, რომ უზომოდ მოვრალი იყო.

— მე მთაწმინდაზე მივდივარ და თუ გინდა, მერე წაგიყვან, — უპასუხა მძღოლმა.

— არა, ჯერ მე ამიყვანე! — კი არ საუბრობდა, ყვიროდა უცნობი.

— როგორ? — დაიბნა მძღოლი.

გიორგი მათ საუბარში არ ერეოდა, იმიტომ, რომ რამდენჯერაც ასეთ შარში გახვეულა, ნანა ყოველივეს მას ამტყუნებდა, ყველაფერს მის ცუდ სიმთვრალეს აბრალებდა, მაქსიმალურად ცდილობდა, თავი შეეკავებინა.

ნა.

დაძაბული საუბარი მძღოლსა და უცნობს შორის დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა. მოთმინების ფიალა ნელ-ნელა გიორგისაც ავესო.

— ბოლოს და ბოლოს, ხალხი მიზის და მთაწმინდაზე მიმყავს, — გიორგი გრძნობდა, რომ მძღოლი მისი სიჩუმით, ურეაქციოებით გაკვირვებული იყო.

— ეს ხალხი, ძმაო, სულ „სირზე“ მკიდა! — დაიღრიალა უცნობმა.

ამის თქმა და გიორგის თვალზე ბინდი გადაეფარა, მანქანის კარი გამოაღო, გარეთ გადავიდა, მოძალადეს კარი გაუღო და მიუღიძლია ძალით სახეში წიხლი სთხლიმა:

— გადმოეთრეე მანქანიდან, შე მართლა „სირო“! — დაუყვირა და მეორევეჯერ ჩაარტყა ფეხი.

მოულოდნელობისგან უცნობი დაიბნა და მანქანიდან გადმოსვლა დააპირა. გარეთ ჯერ თავი გამოყო, რითაც გიორგიმ ისარგებლა და სახეში ერთი მამაპაპურად მუშტი აძგერა. მოძალადეს წარბი გაუსკდა, მის სახეზე სისხლმა იხუვლა.

თითქოს ქვეყნის დამქცვეი გიორგი იყო, ნანაც და მძღოლიც მას ეცნენ და ხელები გაუკავეს. უცნობმა ამით ისარგებლა, ვიბიდან დანა ამოიღო და მარცხენა ბეჭში ტარამდე ჩასცხო. გიორგიმ თავიდან ტკივილი ვერ იგრძნო, ხელები გაითავისუფლა და უცნობს ისევ დაარტყა. მოულოდნელად გონება დაკარგა და ჩაიკვცა.

როდესაც თვალი გაახილა, საავადმყოფოს პალატაში იმყოფებოდა. კართან ღელამისი იღვა და ექიმს ესაუბრებოდა.

— დედა, — დაუძახა გიორგიმ.

— მადლობა ღმერთს, — ხმის გაგონებაზე გახარებულმა ჩაილაპარაკა მშობელმა, — როგორ ხარ?

— სუსტად, თავბრუ მეხვევა.

— ნუ გეშინია, აწი ყველაფერი კარგად იქნება.

გიორგი ათი დღის მანძილზე კამოს ქუჩაზე მღებარე საავადმყოფოში იწვა. ღელამისი და მისი და რიგრიგობით უთევდნენ ღამეს. ნანა ქმრის სანახავად არც ერთხელ არ მისულა. ცოლის ასეთი საქციელით გიორგი გაკვირვებული და აღმფოთებული იყო. როდესაც სახლში გაწერეს, პირველი, რაც ცოლს ჰკითხა — ის იყო, თუ რატომ არ ინახულა.

— გიორგი, შენი სიმთვრალე ყელში ამომივიდა. რამდენი დათვრება, იმდენჯერ რაღაცა უნდა შეგემთხვეს. ასეთი შარბანი როგორ ხარ?

— ოხ, ნანა! — ფიქრებიდან გამოერკვა გიორგი, — აი, მაშინ უნდა გაგმორებოდი, მაშინ, — ჩაიბურტყუნა, სკამიდან წამოდგა, ჩაიკვცა და ოფისში წავიდა.

სალამოდებოდა, როდესაც ღიბომ სახლში მიიყვანა. გიორგი ცარიელ, უბავშვებო სახლს ვერაფრით ეგუებოდა, საკუთარი თავი

ეზიზღებოდა. ბავშვთა საავადმყოფოს მხრიდან უზნელი ბიჭების სიცილ-ხორხორის ხმა შემოესმა. მარტოობისგან შეწუხებული გარეთ გავიდა. საავადმყოფოს წინ მდგომ ჯიხურთან ბიჭებს სახელდახელო პატარა სუფრა გაეშალათ და საღამოს დროს ტარებაში კლავდნენ. გიორგი უზნელებს შეუერთდა. ყველანი უზუშეგრობას, უფულობასა და უპერსპექტივობას უჩიოდნენ, თან ერთმანეთს სასაცილო ამბებითა და ანეკდოტებით ამხნევებდნენ. სასმელმა და სიტუაციის შეცვლამ გიორგის ნაღველი მიუხინა. კარგა დადამუბული იყო, როდესაც სახლში დასაძინებლად შევიდა. ლოგინში ჩაწვა და ბოლო დღეებში ნაწერეულებს სწრაფად ჩაეძინა.

სიმარტოვის გასაქარწყლებლად გიორგი სურათების ალბომს ხშირად ჩაჰკვირვებდა. თითოეული სურათი მისი ცხოვრების გარკვეული ნაწილის, მოგონებისა და მდგომარეობის ეპიზოდს წარმოადგენდა. ყოველ სურათში თამუნა მამის გვერდით იდგა, ან იჯდა. ბავშვებს მონატრებული მამაკაცი სიყვარულით დასცქეროდა ფოტოებს და სხვადასხვა ეპიზოდს იხსენებდა.

ერთხელ, ალბომის ფურცელისას, ნანას ბიძაშვილის, ბესო ჯიქიძის სურათი მონახა. ფოტო აიღო და დაკვირვებით დააცქერდა. ოთხმოცდაცხრა წლის ცხელი ზაფხული იდგა. ბესო ქსნის კოლონიიდან თავისუფლდებოდა. გიორგიმ ჩააკითხა და გათავისუფლებული ცოლის ბიძაშვილი თბილისში ჩამოიყვანა. ამ დროს, ბესოს ტყუპისცალი, აჩიო ტიუშენის ოლქში, ქალაქ სურგუშში იხდიდა სასჯელს და მას ზამთარში უწევდა გათავისუფლება. ნათესავები ბესოს შეეგებნენ, პატარა პურმარილითაც აღნიშნეს მისი გათავისუფლება. გიორგის ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა ორივე ძმას.

რამდენიმე დღეში გიორგიმ ცოლ-შვილი კეჩხოზში დასასვენებლად წაიყვანა. ერთი დამე იქ გაათია. როდესაც თბილისში დაბრუნდა, სიდედრ-სიმამრთან ავიდა, რათა მოეცოლა, თუ როგორ დააბინავა ნანა და ბავშვები. კარი ლამარამ გაუღო. გიორგი ბინაში შევიდა. გვი ვიღაცას ტელეფონზე ესაუბრებოდა. სიძე და სიდედრი იქვე ჩამოსხდნენ, რათა გივისთვის ტელეფონზე საუბრის დამთავრება ეცლიათ.

— ერთი წუთით, — ყურმილი გვერდზე გადალო გვიმდ და ცოლის მიმართა, — ლამარა, მინაგან საქმეთა სამინისტროდან მირეკავენ, ბესო მოეკლავთ და მთავაზობენ, რომ პირდაპირ მორგიდან გადავასვენებთ იქ, სადაც თქვენ გვეტყვიან, თორემ პანაშვიდები რომ გაუმართოთ, პროფესორი კაცი ხართ, ქვეყნის ავაზაკები მოვლენ და ეს უსიამოვნება გინდათო? რა ვქნათ? იქნებ პირდაპირ მუხათგვერდში მშობლებისა და ბებია-ბაბუის გვერდით გადავასვენოთ? — ცნობისმოყვარე

თვალთ შესცქეროდა ცოლს.

— პირდაპირ გადავასვენებთო? — ჩაფიქრებულმა იკითხა ლამარამ.

— ჰო, — დაეთანხმა მეუღლე.

— რა ვიცი, იქნებ ასე სჯობს?

— აბა რა, — დაეთანხმა გივი, — თქვი, რა ვუთხრა?

— კარგი, დათანხმდი.

გიორგი სიდედრ-სიმამრის ასეთმა დამოკიდებულებამ აღაშფოთა. გივის მიმართა:

— ჰკითხე, რომელ მორგშია.

სიმამრი სიძეს ერთი წამით მიაჩერდა, შემდეგ იკითხა:

— უკაცრავად, რომელ მორგშია? არამინცის უკან, ექსპერტი ზის მორგში? კარგით, გასაგებია...

გიორგიმ აპარატი გათიშა, გივის ყურმილი გამოართვა და დაკიდა. ერთი წამით ორივეს შეაცქერდა, გრძობდა, რომ მის წინ ადამიანად ქცეული ორი საზიზღრობა იჯდა. განსაკუთრებით ლამარას რეაქციამ განაცვიფრა — ერთადერთი მამიდის, რომლისთვისაც ძმისშვილის სიკვდილის ამბავი კი არა, თითქოს მეზობლის ქათმის სიკვდილი შეეტყობინებინათ:

— ბესოს მე დავსაფლავებ, — გადაულაპარაკა სიდედრ-სიმამრს და ბესოს მეგობართან გადარეკა, — ნუგზარ, შენც გაიგე? ჰო, სახლში იყავი, ახლავე მოვალ.

როდესაც გიორგი მორგში მივიდა, სანიტარმა უთხრა, რომ გვამისთვის ბალზამის გაკეთება დაგვიანებულია და თუთიის სასახლეში ჩასვენება შესთავაზა. გიორგიმ ბესო თუთიაში ჩასვენებინა, ხოლო სასახლე, სპეციალურ ხის სასახლეში ჩაადგმევინა და ბესო ზუბალაშვილების ქუჩაზე გადაასვენა. საღამოს გიორგი ნანას ჩამოსაყვანად კეჩხოზში წავიდა.

ბესოს პანაშვიდები გადაუხადეს. ჭირისუფლებში ლამარა იჯდა და ისე მოსთქვამდა, გული მოგიკვდებოდა. დაკრძალვის წინ გიორგიმ მღვდელი მოიყვანა და ბესოს წესი აუგო.

უზნელმა ბიჭებმა გივისთან ერთად ქელენში დაჯდომა არ ისურვეს. გიორგიმ მათთვის ცალკე, მთაწმინდაზე ერთ-ერთ კოლპერატიულ რესტორანში გაშალა სუფრა. ზუბალაშვილების ბინაში ნათესავები და მეზობლები შეიკრიბნენ. გიორგი ყველაზე ძალიან იმან გააცოცა, როცა ქელენში გვიმ ითამადა და ბესოს ხსოვნის სადღეგრძელო დიდი გრძობითა და ამაღლებული სიტყვებით შესვა.

ბესოს დაკრძალვის შემდეგ, გიორგიმ ნანა უკან, კეჩხოზში ჩაიყვანა, ხოლო თვითონ და ბესოს მეგობარი ნუგზარი ციმბირში აჩიკოს სანახავად გადაფრინდნენ. თან სამოცი კილო პროდუქტი, ძირითადად თაფლი, ნიგოზი, ქიშმიში და ხილი წაიღეს.

დეკემბერში გიორგი ისევ გადაფრინდა ციმბირში, რათა გათავისუფლებული აჩიკო

თბილისში ჩამოეყვანა. აჩიკო კი ჩამოიყვანა, მაგრამ უბედურ ვარსკვლავზე დაბადებული ბიჭი, რამდენიმე თვეში რუსეთში ისევ დაიჭირეს და ათი წელი მიუსაჯეს.

— ეჰ, ბესო, ბესო, — სურათის მისამართით ჩაილაპარაკა გიორგიმ, ფოტო უკან ჩალო და ალბომი დახურა.

დრო გადიოდა. ოქტომბრის ბოლოს გიორგიმ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო და ამის შემდეგ აბსოლუტურად უსაქმოდ დარჩა. უზნელი ბიჭები და მეგობრები მასთან ხშირად იკრიბებოდნენ, რათა სიმარტოვე შეემსუბუქებინათ.

გიორგიმ გადაწყვიტა, რომ ჯერ თავისი პირადი ცხოვრება მოეგვარებინა და სამსახურზე მერე ეფიქრა. ერთ საღამოს სიდედრ-სიმამრის სახლში დარეკა. ტელეფონი შუათანა ქალიშვილმა თამუნამ აიღო:

— მამიკო, როგორ ხარ? — ჰკითხა ქალიშვილს, მაგრამ მან არაფერი უპასუხა, — მამა, ერთი, დედას დაუძახე.

— გისმენ, — ყურმილი აიღო ნანამ.

— შენთან საქმე მაქვს და ხვალ, სამსახურის მერე გამოიარე, მოვილაპარაკოთ.

— რა საქმე გაქვს?

— ბინის თაობაზე მინდა გელაპარაკო.

— კარგი, ხვალ მოვალ, — დაკიდა ყურმილი ქალმა.

მეორე დღეს, სამი ხდებოდა, როდესაც ნანამ გიორგის მიაკითხა:

— რაზე უნდა მელაპარაკო?

— ჩვენი ერთად ცხოვრება აღარ შეიძლება, — მშვენი ტონით დაიწყო საუბარი გიორგიმ, — მე უნდა წავიდე, ამიტომ შენს მშობლებს მოელაპარაკე და შეიდი ათასი დოლარი მომეცით, მე მგონი, მეკუთვნის.

— მერე?

— არაფერი, აგარაკსაც თქვენ გიტოვებთ. ეგ ფული მჭირდება, ცხოვრება რომ დავიწყო.

— კარგი, მიეცი განცხადება და ეს ბინა გავყიდოთ.

— რამდენად?

— ალბათ, ორმოცი ათასად. ბინას ავტოფარეხი, ორი სარდაფი აქვს, ქალაქის ცენტრშია და მაგ ფასად კი უნდა გაიყიდოს.

— მოვილაპარაკეო, — სამზარეულოში გავიდა გიორგი და ჩაიდანო ცეცხლზე დადგა, — ყავას დალევ? — ნანას გამოსძახა.

— კი, — უპასუხა ნაცოლარმა, — საჭმელი გაქვს?

— მაცივარში სოსისია და მონარშე, მეც მშია.

ნანამ სოსისი მონარშა და ორივენი მაგიდას მიუსხდნენ. გიორგი გრძობდა, რომ ქალი ფეხს ითრევდა, სახლიდან სპეციალურად არ მიდიოდა. სადილობის შემდეგ ნანას ორაზროვნად ჰკითხა:

— შემთხვევით მშაპს ხომ არ მიიღებ?

ქალს ჩაეცინა, კმაყოფილი იყო, გიორგი სურვილს რომ მიუხვდა:

– გადავივლებ, – ღიმილით უპასუხა და აბაზანაში შევიდა.

გიორგიმ პატარა ოთახში საწოლი გამალა, ტანთ გაიხადა, ჩაწვა და ნანას დაუწყო ლოდინი. ოთახში ქალი დედიშობილა შემოვიდა. გიორგი საწოლის კიდეში მიიწია და ნაცოლარს ნახევარი დაუთმო:

– მოდი, დაწეკი, – მიმართა ნანას.

ნანა საწოლზე ჩამოვდა, ტუმბოზე დადებული ტელეფონს გადასწვდა და დარეკა:

– დედიკო, როგორ ხარ? ბებიას ხომ არ აბრაზებთ? თამუნამ და ლამარამ იჩხუბეს? რატომ? კარგი, მალე მოვალ, ჭკვიანად იყავით, – დაკვიდა ყურმილი და გიორგის ჩაუვარდა, – ისე, ახლა შენ თავისუფალი კაცი ხარ და სამიშა, რამე არ გადაძლო, – ირონიულად გადაულაპარაკა.

– ჩემგან ნამდვილად არაფერი დაგემართება, – მოჰხვია ხელი გიორგიმ.

იგი ნანას ზებირად იცნობდა, ამ ადამიანში თავის განვლილ ცხოვრებას ხედავდა და ეფერებოდა იმ ქალს, რომლის ანარეკლსაც დღეს ნანა წარმოადგენდა.

– გახსოვს, მოფერებით პი-

პის რომ გეძახდი?

– კი, – ჩაეცინა

განცხადებას ხვალ მისცემ?

– კი, ხვალვე, – უპასუხა გიორგიმ და ნაცოლარი გააცილა.

მეორე დღეს გიორგიმ რამდენიმე სარეკლამო გაზეთში განცხადება ბინის გაყიდვის თაობაზე მიიტანა, მშრალ ხილზე მაკლერებთანაც იყო. ბინის შესყიდვის მსურველებმა დაიწყეს რეკვა, რამდენიმე სახლშიც ესტუმრა, მაგრამ რეალური მყიდველი არ ჩანდა, ყველას მუქთად უნდოდა ბინის დაუფლება.

ღრო გადიოდა. ბავშვები მამას არ ეკონტაქტებოდნენ, ამდენი ცუდი დახასიათებით სეან მტრის ხატად წარმოედგინათ. ხანდახან უფროსი გოგონა შვილიშვილს თუ ჩამოუყვანდა, ეგ იყო და ეგ. ნანა კვირაში ერთხელ, სამსახურის შემდეგ შემოუვლიდა, ისიც საწოლისთვის, თორემ ყოფილ ცოლსა და ქმარს შორის მოგონებებისა და საწოლის მეტი საერთო აღარაფერი იყო დარ-



ნანას.

– ჰოდა, იცოდე, მე შენ კი არა, იმ პიპის ვეფერები, რომელსაც ოცი წლის წინათ ვიცნობდი, იმიტომ, რომ შენ იმის ცუდი ანარეკლია დარჩი. გაიგე?

– თუ არ გინდა, წავალ, – ვალი დაადო ნანამ.

– არა, იყავი, იყავი.

მოსალამოვდა. ნანამ ჩაიცვა და წასასვლელად მოემზადა:

– თამრიკოს რა ვუყო, არ ვიცი.

– რა იყო?

– დედაჩემს განუწყვეტლივ ეჩხუბება, სულ გიჟსა და ღორს უწოდებს, სულ შენ გგავს.

– ბებიაშენისამ, რაც ბავშვებს ცუდი აქვთ, ჩემგანაა და რაც კარგი – შენგან, არა?

– დიახაც.

– დედაშენი რისი ღირსიცაა, იმას ებახის. თამუნა სამართლიანი გოგოა და ადამიანი თუ არ იმსახურებს, არაფერსაც აკადრებს.

– წავედი, – კარი გამოაღო ნანამ, –

ჩენილი.

ამ უაზრობაში ოთხმოცდაცხრამეტი წლის მარტის თვეც მიიღია. გიორგიმ დიდი გაჭირვებით გადააგორა თბილისისთვის ბოლო წლებში საზიზღრობად ქცეული ზამთარი. უშუქობა, სიცივე და რაც მთავარია, გაუსაძლისი სიმართლე.

გვერდით სახლში, რომელთანაც გიორგის სახლს საერთო ეზო ჰქონდა, ახალი მეზობლები გადმოვიდნენ. როგორც მისთვის გახდა ცნობილი, მათ ავტოფარების ყიდვა სურდათ. გიორგიმ მეორე დღეს ნანა დაიბარა. სანამ ნანა ესტუმრებოდა, აჩიკო ვიქტიმესგან წერილი მიიღო. ბიჭი იწერებოდა, რომ ვოლგოგრადის ზონაში გაუსაძლისი პირობებში იმყოფებოდა. გიორგის გული ეწვოდა მისი საცოდაობით, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო, ვერაფრით ეხმარებოდა, რაც არ ჰქონდა – არ ჰქონდა. კარზე ზარის ხმა გაისმა. გიორგიმ კარი

გააღო, მის წინ ნანა იდგა:

– შემოდი, – მიმართა ნაცოლარს და გზა დაუთმო.

– ვის უნდა ავტოფარების ყიდვა? – იკითხა ქალმა.

– არ გზა?

– კი. რა გაქვს?

– ხაჭოს ხინკალი.

– რა კარგად იკვებები! – გაიკვირა ნანამ.

– მაგრად ვიკვებები, – ჩაეღიმა გიორგის, – მაღაზიებში უამრავი ვალი დამიგროვდა. აჩიკოსგან წერილია, – გაუწოდა ნანას ბიძაშვილის წერილი.

ნანამ წაიკითხა სახეზე წუხილი აღებეჭდა, მაგრამ არაფერი თქვა. სამზარეულოში გავიდა და გაზქურაზე წელიანი ქვაბი დადგა:

– ვის უნდა ავტოფარების ყიდვა?

– გვერდით სახლში, ახალ მეზობელს, – უპასუხა გიორგიმ.

– ნეტა რა ღირს?

– ოთხი, ხუთი ათასი დოლარი.

– ვა, – გაკვირვებისგან ტურები მოპრუწა ქალმა, – კარგი ფასია. იმათი ტელეფონი ხომ არ იცი?

– მარინამ იცის, – მეზობლისკენ მიუთითა გიორგიმ.

ნანამ გაიგო ტელეფონის ნომერი და დარეკა:

– გამარჯობათ, მე თქვენი მეზობელი ვარ. გავიგე, ავტოფარების ყიდვა გინდათ. დიან, ეზოშია, ჩვენი სახლის ქვეშ. რამდენად და ხუთი ათასად. კარგით, ჩაიწერეთ, ეს ჩემი მშობლების ტელეფონია, ეს კი – ჩვენი, – ტელეფონის ნომერები ჩაიწერინა და დაეშვიდობა, – მოიფიქრებენ და დარეკავენ, – კმაყოფილმა მოუგო გიორგის, – შენ რამდენ ცალს შეჭამ?

– მე არ მინდა, უკვე ვისადილე, შენთვის მოიხარშე.

ქალმა ხინკალი მიირთვა.

– დღეს შეთან დავრჩები, – ზედმეტად გახარებული იყო ნანა.

– დარჩი, – დათანხმდა გიორგი, – სანამ აბაზანაში იქნები, წავალ, სასმელს მოვიტან, – ქურთუკი ჩაიცვა და მაღაზიაში წავიდა.

როდესაც გიორგი მობრუნდა, ნანა ტელეფონით ბავშვებს ესაუბრებოდა:

– არ გააბრაზოთ, დაუჯერეთ. შვილო, სახლი დასალაგებელი მაქვს და იმიტომ ვრჩები. ნინიკო, გოკონი, ჭკვიანად იყავი, – დაკვიდა ყურმილი.

– ხუთს თუ არა, ალბათ ოთხს გადაიხდის, – გადაულაპარაკა გიორგიმ ნანას.

– დემრთმა ქნას.

– იმ ფულიდან მე ათასი დოლარი მომეცი და ექვსი დავრჩება მოსაცემი.

– კარგი, – დათანხმდა ქალი და „ამარეტოს“ დასალევიად სამზარეულოში გაჰყვა.

**გაგრძელება იქნება**



## Chrysler-ის PT Cruiser-ს სახეხავი „ააბიჯეს“

CHRYSLER-ი PT CRUISER-ის – ბოლო წლების ამ ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულო და საინტერესო ავტომობილის ბაზაზე კაბრიოლეტის შექმნას აპირებს. თუმცა კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ PT CRUISER-ი მხოლოდ კონცეპტ-მოდელს წარმოადგენს, ბევრი ექსპერტი დაბეჯითებით ამტკიცებს – ეს ავტომობილი უახლოეს წლებში სერიულ წარმოებაში ჩაეშვებაო. ასეთი დასკვნის გაკეთებას რამდენიმე მიზეზი აქვს: პირველი – ამ მოდელის პრესტიჟის ამადლების სურვილია, მეორე – დასვენებისა და გართობისთვის შექმნილი ავტომანქანების ბაზარი საკმაოდ სწრაფი ტემპით იზრდება, მიუხედავად საერთო წარმოების მოცულობის შემცირებისა.

თავის დროზე CHRYSLER PR CRUISER-ის დებიუტმა ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ეს იყო „რეტროს“ სტილის პირველი მასობრივი ამერიკული მოდელი, რომელმაც სწრაფი სტარტი აიღო. თუმცა, ამერიკელებმა ამ მხრივ ცოტათი დაიგვიანეს – მათ დაასწრო VOLKSWAGEN-მა, რომელმაც ახალი „ნოტო“ გამოუშვა. და მაინც, PT CRUISER-ი იმით გამოირჩეოდა, რომ არც აწმყოსა და არც წარსულის არც ერთ სხვა ავტომობილს არ ჰგავდა. გარდა ამისა, ძალზედ ძნელი აღმოჩნდა ამ მანქანის კლასის

განსაზღვრა: ზოგი მას ჰეჩბეკს მიაკუთვნებს, ზოგი მინი-ვენსა თუ უნივერსალს. მით უფრო გასაკვირი იყო, მინი-ვენის ბაზაზე კაბრიოლეტის წარმოების გადაწყვეტილება. PT-ს პოპულარობის გამო, საყოველთაო ვარაუდით, მის ბაზაზე შექმნილი კაბრიოლეტი აღიარებული იქნება.

თავად ამ მანქანის შექმნელები ამტკიცებენ, რომ მათი პირმშო არც ერთ არსებულ კლასს არ განეკუთვნება. „ეს ავტომობილი განცალკევებით დგას ყველა სხვა მოდელისაგან, დანარჩენები კი წვეთი წყალივით ჰგავს ერთმანეთს, – ამბობს შეფიზიანიერი თრევერ კიდი. – ვინც PT CRUISER-ს მინი-ვენს მიაკუთვნებს, ძალიან ცდება. მანქანის დასახელება „პირად სატრანსპორტო საშუალებას“ (PERSONAL TRANSPORT CRUISER) ნიშნავს, ამიტომაც ის, როგორც სიამოვნებისთვის განკუთვნილი მანქანა, ისე უნდა აღიქვას. თუმცა, სიამოვნების გარდა, რომელსაც ის გვანიჭებს, ძალზედ პრაქტიკულიც არის“.

მართალია, ეს სიტყვები მანქანის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენელს ეკუთვნის, მაგრამ ფაქტი ფაქტია: ამ ავტომობილს წარმატებისთვის საჭირო ყველა თვისება ექნება – მიმზიდველი გარეგნობა, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, პოპულარული სახელი. რაც შეეხება

ფასს, ის ჯერ არ გამოუცხადებიათ, თუმცა ექსპერტების ვარაუდით, 35-40 ათასი დოლარის ფარგლებში იქნება.

მანქანის ტექნიკური აღჭურვილობა იგივე დარჩა, რაც ჩვეულებრივ PT CRUISER-ს, აი, გარეგნული სახე კი შესამჩნევად განსხვავდება. მხოლოდ წინა ნაწილი ექნება იგივე, რაც საბაზო მოდელს, სხვა ყველაფერი დიზაინერებმა თითქმის მთლიანად გადააკეთეს.

მანქანას დიდი სალონი ექნება, უკანა სავარძლები კი ოდნავ უფრო მაღლა განთავსდება, ვიდრე – წინა. სამოგზაუროდ მოსახერხებელი ბევრი წვრილმანის გარდა, არა მარტო უკანა, არამედ წინა სავარძლები აიკეცება და საჭიროების შემთხვევაში, პატარა მაგიდად გადაიქცევა.

საინტერესოა, რომ კაბრიოლეტის გარდა, DAIMLER-CHRYSLER-ი კიდევ რამდენიმე ვარიანტის წარმოებასაც აპირებს. უკვე პრაქტიკულად მზად არის ტურბოდამტყვით აღჭურვილი 200 ცხ.ძ-ის მქონე ძრავიანი GT, ორკარიანი კუპე ამავე ბაზაზე, ფურგონი PANEL CRUISER-ი, რომლის გაყიდვაც წელსვე შეიძლება დაიწყოს.

კომპანიის მესვეურთა განცხადებით, ერთადერთი მიზეზი, რაც PT CRUISER-ის სხვადასხვა მოდიფიკაციის კონვეიერზე დაყენებას აფერხებს, ეს ამ მანქანებზე არსებული მოთხოვნილებაა: მიუხედავად იმისა, რომ მოდელი უკვე წელიწად-ნახევარია გამოდის, ამ მოდელის მყიდველებს ზოგჯერ რამდენიმე კვირის მანძილზე უწევთ პრაქტიკულად შეძენილი მანქანის ლოდინი. თუმცა, უახლოეს მომავალში სიტუაცია სასიკეთოდ უნდა შეიცვალოს: იმის გარდა, რომ კომპანიის მექსიკური ქარხნის სიმძლავრე უკვე წელიწადში 260000 ავტომობილის გამოშვების საშუალებას იძლევა (აღრე 210000-ს აწარმოებდა), „დაიმლერ-კრაისლერი“ მალე ევროპაშიც აამუშავებს ახალ ქარხანას: ავსტრიულ ქალაქ გრაცში მდებარე საწარმო 2002 წლიდან 50000 ავტომობილს გამოუშვებს. როგორც კი მოიხსნება ჩვეულებრივ PT CRUISER-ზე არსებული რიგების პრობლემა, კომპანიას მისი მოდიფიკაციების წარმოების საშუალება მიეცემა.

## General Motors-ის ახალი ჰიოქსი

332 მლნ დოლარის ჩადებას აპირებს ამერიკულ-რუსული პროექტის განხორციელებაში სახელგანთქმული GENERAL MOTORS-ი, რომელსაც „ავტოვანთან“ ერთად ახალი „ნივის“ – CHEVY-NIVA-ს წარმოება განუზრახავს. როგორც სპეციალისტები და ავტომრეწველობაში კარგად გათვითცნობიერებული ჟურნალისტები აღნიშნავენ, „ვაზისთვის“ ეს ყველაზე ძვირად ღირებული საინვესტიციო პროექტი იქნება, GM-ისთვის კი – ყველაზე სარისკო: თუ მან არ გაამართლა, ეს რუსეთში განხორციელებული უკვე მეორე წარუმატებელი პროექტი იქნება (იგულისხმება ქალაქ ელაბუგაში რამდენიმე წლის წინ დაარსებული საამწებო ქარხანა, რომელიც წამგებიანი აღმოჩნდა). ასეთ შემთხვევაში კონცერნის მესვეურებს აქციონერები მკაცრად მოსთხოვენ პასუხს და შეიძლება, რუსეთის პრემიერმაც წაუყენოს პრეტენზიები, რადგან ამერიკული კომპანიის პრეზიდენტმა რიჩარდ ვაგონერმა პირადად აღუთქვა – ყველაფერი კარგად იქნება. ასეა თუ ისე, ამ ორიოდ კვირის წინ, ერთობლივი საწარმოს შექმნის დამადასტურებელი ხელშეკრულება დაიდო, რომლის თანახმად ახალი „ნივა“ (სავარაუდოდ, ის 8.000 დოლარი ეღირება) სავაჭრო ქსელში მომავალი წლიდანვე გამოვა.

## მინიატურული „მეხსედესი“

ინდოელი სტუდენტი, რომელიც ქალაქ ბანგალორში კომპიუტერული ტექნიკის შესწავლით არის დაკავებული, გინესის რეკორდების წიგნში შეიძლება მოხვდეს: მან არა საკუთრივ თავის სპეციალობაში, არამედ მინიატურული სათამაშოების დამზადებაში გამოიჩინა თავი. ინდოეთის ეროვნული რეკორდი პაულ ბისოფიტმა „მერსედესის“ ყველაზე მინიატურული ასლით დაამყარა: მუყაოსა და რეზინისაგან დამზადებული მანქანის სიგრძე სულ 5 მმ-ია.



## საიუბილეო მოდეი

TOYOTA MOTOR CORPORATION-ი ყველგანმავალ LAND CRUISER-ის სამოდელო რიგის 50-ე წლისთავს აღნიშნავს. განვლილი ნახევარი საუკუნის მანძილზე ამ იაპონურმა მანქანამ გრანდიოზული ევოლუცია განიცადა და ყველგანმავალთა მეფედ იქცა. სადღეისოდ 200 ათასი ასეთი ავტომობილი გამოდის და 127 ქვეყანაში იყიდება.

საიუბილეოდ კომპანიამ ევროპაში, ახალი კომპლექტაციით, LAND CRUISER 100 წარმოადგინა. ეს მარკა შეზღუდული რაოდენობით გამოუშვა და 50-TH ANNIVERSARY (50-ე წლ-

ისთავი) დაარქვა. მისი სალონი ახალი, სპილოსძვლისფერი, უფრო თხელი ტყავითა და ხის მასალით არის გაწყობილი, მანქანას ქრომირებული დისკები და რადიატორის ცხაური, უკანა დგარებზე კი „ოქროს“ ლოგოტიპები და უნიკალური ემბლემები აქვს. ერთი სიტყვით, ყველაფერი ექსკლუზიურობას, პრესტიჟსა და განსაკუთრებულ კომფორტს უსვამს ხაზს. ავტომობილი V8 ტიპის ბენზინისა და დიზელის ძრავებით არის აღჭურვილი. მისი სავარაუდო ფასი 70.000 დოლარი იქნება.

## გოგონა და ჯიპი

აი, ეს ჯიპი კი ნამდვილად ერთადერთი და განუმეორებელია: ის მამამ თავის ქალიშვილს – ხუთი წლის გოგონას აუწყო. მოსკოველმა პროფესიონალმა ინჟინერ-მექანიკოსმა ჯიპის საბავშვო ვარიანტი „ჰონდას“ ბენზინის ძრავითა და გადაცემათა ავტომატური კოლოფით აღჭურვა. ამერიკული ჯიპის საკიდრის ზუსტი ასლი საშუალებას იძლევა, არა მარტო მოასფალტებულ, არამედ ოღრო-ოღრო გზაზეც, კომფორტულად იმოძრაოთ. განსაკუთრებული ყურადღება მზრუნველმა მამამ უსაფრთხოებას მიაპყრო: მანქანა ნამდვილი „ბე-ემ-ვე“-ს მუხრუჭებით, უსაფრთხოების რკალე-ბითა და მინიატურულ სპორტულ სავარძელზე მიბმული „მრავალწერტილიანი“ ღვედებით

(ე.წ. პარაშუტით) არის აღჭურვილი. მინი-ავტოზე მან აგრეთვე სიჩქარის შემზღუდავიც დააყენა, რადგან იაპონური ძრავა 40 კმ/სთ-მდე ავითარებდა, მამამ კი გადაწყვიტა, რომ მის გოგონას 20-იც ეყოფა.

საინტერესოა, რომ ასეთი მანქანის შექმნა კონსტრუქტორს სულ 1.000 დოლარი დაუჯდა, მის აწყობას კი, ერთი წელიწადი მოანდომა.



# ტეტანუსი

**რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამაცაშვილი**



ტეტანუსი ძალზედ მძიმე მწვავე ინფექციური დაავადებაა. მას ჭრილობის ინფექციას უწოდებენ. დაავადების გამოწვევი მრავლდება დახურულ ჭრილობებში, გამოიმუშავებს ძლიერ შხამს – ეგზოტოქსინს, რომელიც აზიანებს ზურგის ტვინის მამოძრავებელ ნერვულ ბირთვებს, რაც კლინიკურად ჩონჩხის კუნთების კრუნჩხვებში გამოიხატება.

ტეტანუსის ჩხირები შინაური და გარეული ცხოველების ნაწლავებიდან განავალთან ერთად გამოიყოფა და აბინძურებს გარემოს. ნიადაგში ის მკვრივ გარსს იკეთებს და ასეთი სპორის ფორმით წლების მანძილზე ინარჩუნებს ცხოველმყოფელობას. აღამიანი ავადდება იმ შემთხვევაში, როდესაც ჭრილობა ბინძურდება ტეტანუსის სპორების შემცველი მტვრითა და მიწით. უპირატესად ავადდებიან ბავშვები და ხანში შესულები, აგრეთვე მშობიარეები და ახალშობილები ასეპტიკის წესების დარღვევისას, დამწვრობის, მოყინვის დროს.

ინკუბაციური ანუ ფარული პერიოდი 3-დან 30 დღემდეა. რაც უფრო ხანმოკლეა ინკუბაციური პერიოდი, მით უფრო მძიმედ მიმდინარეობს დაავადება და შედეგად არასახარბიელოა. პირველი ნიშანია საღებავი კუნთების დაჭიმვის გამო კრიჭის შეკვრა (ტრიზმი), რის გამოც გამძნელებულია პირის გაღება

და ღეჭვა. ავადმყოფს უნაოჭდება შუბლი და უეწროვდება თვალის ნაპრალი, რაც დამცინავი ღიმილის შთაბეჭდილებას ქმნის. შემდეგ ვითარდება კეფისა და კისრის კუნთების დაჭიმვა, რის გამოც ავადმყოფს თავი უკან აქვს გადახნილი. ამას მოჰყვება მთელი სხეულის კუნთოვანი აპარატის დაძაბვა და კრუნჩხვები, გარდა ხელის მტევნებისა და ფეხის ტერფებისა. წელისა და ზურგის კუნთების დაჭიმვა იმდენად ძლიერია, რომ ავადმყოფი საწოლს მხოლოდ მენჯითა და თავით ეხება. პერიოდულად ვითარდება მეტად მტკივნეული შეტევითი კრუნჩხვები, რასაც ხელს უწყობს მცირედი გაღიზიანება – შეხება, ხელოვნური შუქი, ხმაური. ასეთი შეტევის შემდეგ ავადმყოფს უხვად სდის

ოფლი. დიაფრაგმისა და გულმკერდის კუნთების დაჭიმვის გამო გამძნელებულია სუნთქვა. გონება სრულიად ნათელია. ტეტანუსით დაავადებული უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში, სადაც მას ჩატარდება კომპლექსური მკურნალობა ტეტანუსის საწინააღმდეგო შრატით, ხელოვნური სუნთქვის აპარატით და სხვ. ტეტანუსის პროფილაქტიკისათვის მიწითა და მტვრით დაბინძურებული ჭრილობის შემთხვევაში, ქირურგიულ დამუშავებასთან ერთად უნდა ჩატარდეს ტეტანუსის საწინააღმდეგო აცრა. ბავშვის პროფილაქტიკური აცრა ხდება ყივანახველის, დიფტერიისა და ტეტანუსის კომბინირებული ვაქცინით.

# თქვენი პატარა



## დისლექსია

დისლექსია (ბერძნულიდან DYS – მოშლა და LEXIS – მეტყველება) ზეპირი მეტყველებისა და კითხვის მემკვიდრული დარღვევაა, რომელიც პირველად 1950 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ჰოლგრენმა აღწერა. მემკვიდრეობითობა დისლექსიის უმთავრესი, მაგრამ არა ერთადერთი მიზეზია. ფსიქოლოგთა გარკვეული ნაწილი ამტკიცებს, რომ ამ დარღვევას საფუძვლად უდევს სიცოცხლის პირველ წლებში მიღებული ნეგატიური გამოცდილება. ბავშვი,

რომელსაც პატარაობისას ძალით აჭმევდნენ, სკოლის ასაკში აქტიურად ეწინააღმდეგება სულიერი საკვების ათვისებას – ისევე, როგორც ადრეულ ასაკში აპროტესტებდა მისთვის საბუღალველი საჭმლის ჭამას. შესაძლოა სხვა ვარიანტიც: ბავშვის ნაადრევი მიყვანა სკოლაში. თუ პატარა ჯერ არ დაუფლებია მოქნილ არტიკულაციას (სამეტყველო ორგანოების მოქმედებას ან მდგომარეობას ამა თუ იმ ბგერის წარმოთქმისას), არ შეიძლება იგი გახდეს პირველკლასელი.

არის მოსაზრება, რომ თუ ჩვილი ბავშვის მხედველობის არეში რეგულარულად ხვდება ტელევიზორის ეკრანი, მისი თვალები ეჩვევა ქაოსურ მოძრაობას და სკოლის ასაკშიც იწყებს „ხტუნაობას“ ტექსტის გასწვრივ, სტრიქონის მშვიდი წაკითხვის ნაცვლად.

დისლექსიის არსებობაზე მიგვითითებს შემდეგი სახის შეცდომები ზეპირ და წერით მეტყველებაში:

1) ოპტიკურად მსგავს ბგერათა არევა წერის ან კითხვის დროს, მაგალითად გ-ვ, ხ-ს, ო-თ და სხვა.

2) ბგერათა გამოტოვება მეტყველების დროს და შესაბამისი ასოების გამოტოვება წერის დროს, ან მსგავსი ჟღერადობის ასოს ჩანაცვლება, მაგალითად: „რომელის“ ნაცვლად „ლომელი“.

3) მსგავსი აკუსტიკის და არტიკულაციის ბგერათა არევა კარნახით წერის დროს: ჩ-ც, რ-ლ, ო-უ.

4) გარკვეულ ასოზე ან მარცვალზე შეფერხება.

5) თანსართების გამოცალკევებით წერა ან კავშირის სიტყვასთან ერთად წერა.

6) სარკისებური წერა, რომლის დროს ასოები შებრუნებით არის დაწერილი.

7) სირთულეები სასვენი ნიშნების დასმის დროს.

8) გაურკვეველი, ძალიან ცუდი ხელწერა.

### რჩევები მშობლებს

1) ნუ დატუქსავთ ბავშვს შეცდომების გამო! იგი დამნაშავე არ არის. დისლექსიით დაავადებულთა უმრავლესობა ცაციაა, გამოირჩევა ემოციურობით და მწვავედ განიცდის წარუმატებლობას. დაეხმარეთ მოსწავლეს გახდეს თავდაჯერებული, შეაქეთ უმნიშვნელო მიღწევებისთვისაც კი, განაწყვეთ ოპტიმისტურად და მას ყველაფერი გამოუვა.

2) ნუ გამოიყენებთ წითელ პასტას მისი შეცდომების გასწორებისას! მისი ნაწერი მთლად აჭრელდება წითლად, ეს მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე და სტრეს-ფაქტორს წარმოადგენს. მასწავლებელმა აღნიშვნა შეცდომის შესახებ უნდა გააკეთოს რვეულის ფურცლის მინდორზე. მოსწავლემ კი უნდა იპოვოს შეცდომა და სიტყვა სწორად დაწეროს. ზოგიერთ სკოლაში ეს მეთოდი გამოიყენება დისლექსიის და დისგრაფი-



ის პროფილაქტიკისათვის, წერა-კითხვის სწავლების დროს.

3) ნუ დააძაღებთ ბავშვს ბევრ წერასა და კითხვას! მთავარია შესრულებული დავალების არა რაოდენობა, არამედ ხარისხი. მხედველობითი და გონებრივი გადაღლა თქვენი შვილისთვის კატეგორიულად აკრძალულია.

### როგორ შეიძლება დისლექსიის კორექტირება?

დაუთმეთ ამ საქმეს დღეში 5 წუთი და 3 თვეში საგრძნობლად შეამცირებთ შეცდომებს თქვენს მეტყველებაში. აიღეთ ნაბეჭდი ტექსტი (წიგნი, ჟურნალი) და შეასრულეთ სხვადასხვა სახის დავალება: აირჩიეთ რომელიმე ხმოვანი ასო და აღნიშნეთ იგი რაიმე ნიშნით მთელ ტექსტში; შემდეგ აირჩიეთ სხვა ხმოვანი; შემდეგ გადადით თანხმოვნებზე... მაგალითად: ასო ა-ს ქვეშ გავუსვათ ლურჯი ხაზი, ო-ს – წითელი ხაზი, ასო ბ გავაფერადოთ მწვანე ფანქრით და ა.შ...

## სამკურნალო მცენარეები

### ჟოლო

ჟოლო მრავალწლიანი 1,5-2 მ სიმაღლის ნახევრად ბუჩქია. მისი ფოთლები სამკაპა და დაკბილულია. ნაყოფი მოვარდისფრო-მოწითალოა, არიმატული, ტკბილი, ბურთისებური-ოვალური მოყვანილობისაა. ყვავილობს ერთი თვის განმავლობაში ივნის-ივლისში, ნაყოფი მწიფდება მდინარეების ნაპირებზე. ნაყოფს აგროვებენ, გასაშრობად მზეზე აწყობენ, ხოლო შემდეგ სპეციალურ საშრობში ან ნელ-თბილ ღუმელში ათავსებენ. გაშრობის შემდეგ გაშავებულ ნაყოფს გადაყრიან.

ჟოლოს ნაყოფი შეიცავს 10-12 პროცენტ შაქრებს (გლუკოზას და ფრუქტოზას) 5-6 პროცენტ უჯრედის, ორგანულ მჟავებს (ლიმონის და ვაშლის), პექტინებს, ვიტამინებს: B1, B2, PP, ფოლუმის მჟავას, ასკორბინის მჟავას (C), კაროტინს (A), სპილენძის მარილებს, კალიუმს, სალიცილის მჟავას, ცხიმოვან მჟავებს.



ჟოლოს ცოცხალი ნაყოფი კლავს წყურვილს და აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. მისი შეტანა კვების რაციონში ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის სხვადასხვა


დაავადებისგან განკურნებას, რადგან ჟოლოს აქვს ღებინებისა და ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელი თვისებები.

ძველთაგანვე ცნობილია ჟოლოს ოფლმდენი და სიცხის დამწევი მოქმედება, რაც მასში სალიცილის მჟავის შემცველობასთან არის დაკავშირებული. გამშრალი ნაყოფის ჩაი უებარი საშუალებაა გაცივების დროს.

გაყინულ ან გამშრალ ნაყოფს სკლეროზის საწინააღმდეგო საშუალებად იყენებენ. მასში ცხიმოვანი მჟავებისა და B-სიტოსტერინის შემცველობის გამო.

ძველად კოსმეტიკაში ჟოლოს ფოთლების ნახარშს თმის შავად შესაღებად იყენებდნენ.

ჟოლოს ნაყოფი წინააღმდეგაჩვენებია ნეფრიტების და პოდაგრის დროს, რადგან მასში დიდი რაოდენობით შედის პურინები.



### პასუხი

**კითხვა: მყავს 13 წლის გოგონა. ბოლო ორი თვეა, მენტრუალური ციკლის დამთავრების შემდეგ, ერთი კვირის განმავლობაში მაინც რჩება ძალიან მცირე გამოწვდენი. გაჭირვების გამო ექიმთან ვერ მივიყვანე. თქვენ რას მირჩევდით?**

პასუხი: უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ თქვენი და თქვენს მდგომარეობაში მყოფი თითოეული ადამიანის ტკივილი ჩვენც გვტკივა. უპირველესი მიზანი, რაც ჩვენს რუბრიკას აქვს დასახული, სწორედ ის გახლავთ, რომ თანაზიარი გახდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გაჭირვებისა და, შესაძლებლობის ფარგლებში, აღმოუჩინოს დახმარება.

თქვენს გოგონას აქვს ჰორმონული ძვრების ასაკი (ე.წ. გარდატეხის ასაკი). ამ პერიოდს ხშირად ახლავს ხოლმე თან ჰორმონული ცვლის დარღვევის შესაბამისი კლინიკური გამოვლინებები. საგარაუდოა, რომ ეს დარღვევა ღრმა არ უნდა იყოს (მით უფრო, თქვენი მონათხრობიდან ჩანს, რომ პროცესი ახალი დაწყებულია), მაგრამ ბავშვს აუცილებლად ესაჭიროება გინეკოლოგის კონსულტაცია, რადგან ჰორმონული ცვლის დარღვევამ, უყურადღებობის შემთხვევაში, შესაძლოა სავალალო შედეგებამდე მივიყვანოს.

**კითხვა: ვარ 57 წლის მამაკაცი. ერთი თვეა, მაწუხებს საკმაოდ ძლიერი ტკივილი ქვედა მუცლის არეში – ჭიბიდან 10-12 სმ-ით ქვევით. კუჭის მოქმედება ნორმალურია, გულის რევა არ მქონია. ჩემი დაკვირვებით, ტკივილი მიძლიერდება ნივრისა და წინააღიანის ჭამის შემდეგ. ბოლო დროს გამიხშირდა შარდვა. სხვა არაფერი მაწუხებს. თქვენი აზრით, რა უნდა იყოს ამ ტკივილის მიზეზი და რა უნდა ვქნა, რომ ტკივილი შემიმსუბუქდეს?**

პასუხი: თქვენი მონათხრობიდან გამომდინარე, საქმე ვეაქვს შარდსასქესო სისტემის ორგანოთა რომელიმე პათოლოგიასთან. ეს შეიძლება იყოს წინამდებარე ჯირკვლის ანთება (პროსტატიტი); შესაძლოა გქონდეთ წინამდებარე ჯირკვლის ადენომა (მოცემულ ასაკში ეს არცთუ იშვიათი შემთხვევაა). არ არის გამორიცხული აგრეთვე შარდის ბუშტის ანთება (ცისტიტი). ნებისმიერ შემთხვევაში ტკივილის შესამსუბუქებლად გირჩევთ: 1. ნუ დაჯდებით დიდხანს, იწყეთ ან იარეთ. 2. ნუ შეჭმით ცხარეს, მწარეს, მლაშეს. 3. გეკრძალებათ ალკოჰოლური სასმელები; თქვენთვის განსაკუთრებით საზიანოა ლუდი; 4. ტკივილებს აძლიერებს ყაბზობა (კუჭის შეკრულობა), ამიტომ ეცადეთ, რომ კუჭის მოქმედება მოწესრიგებული გქონდეთ. 5. სასურველი არ არის შარდის შეკავება. 6. ძლიერი ტკივილის დროს შეგიძლიათ მიიღოთ ტკივილგამაყუჩებელი. თქვენ გესაჭიროებათ აგრეთვე ანტიბაქტერიული მკურნალობა (საშარდე გზების ინფექციების დროს ნიშნავენ ხოლმე ფურადონის, ლევომიცეტინის, მონომიცინის და სხვა). ზუსტი დიაგნოსტიკის, კონსულტაციის და მკურნალობისთვის უნდა მიმართოთ უროლოგს.

**კითხვა: მყავს 3 თვის პატარა. ვაწოვებ ძუძუს. რაც დაიბადა, განავალში სულ აქვს ლორწო. მუცლის ტკივილი აწუხებდა 3 თვემდე გაზების გამო. ბოლო დროს ისე აღარ ტირის. უბნის ექიმმა დაგვინიშნა ლინექსი და ხილატ-ფორტე, მაგრამ ლორწო ისევ აქვს. სიცხეები არ ჰქონია. მაინტერესებს, საშიშია თუ არა ბავშვის მდგომარეობა და რა ვიღონო, რომ ლორწო აღარ ჰქონდეს.**

პასუხი: ჩვილი ბავშვის კუჭ-ნაწლავი საწყის პერიოდში არ არის ჩამოყალიბებული და მის ფერმენტულ (მომწელებელ) სისტემას და ნაწლავის ბაქტერიულ ფლორას ხშირად ესაჭიროება მედიკამენტური დახმარება და ამას საგანგაშო ნამდვილად არაფერია.

რაც შეეხება ლორწოს, მისი არსებობა (ნაწლავში, ცხვირში, ბრონქებში) ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესის მიმანიშნებელია და საჭიროებს ხოლმე დროულ ჩარევას, რათა მდგომარეობა არ გართულდეს. მაგრამ აქვე საუბრისხმოა ერთი მომენტით. ღელის რძე შეიცავს მუცინს (ლორწოვან ნივთიერებას, რომელიც აგრეთვე შედის ნერწყვის შემადგენლობაში) და ზოგჯერ აღინიშნება მისი სიჭარბე რძეში, რაც იწვევს იმას, რომ ბავშვის ჩამოყალიბებული კუჭ-ნაწლავი ვერ იწვევს სათანადოდ აღნიშნულ ნივთიერებას და ლორწო ჩნდება განავალში. ამიტომ, თუ ბავშვი მადანა, ნორმალურად ჭამს, სიცხეები არ ჰქონია, წონაში მატება ფიზიკური განვითარების ნორმებს შეესაბამება, არ ჭირვეულობს, თვეების მანძილზე აქვს ლორწოვანი განავალი და მდგომარეობა სტაბილურია (სისხლი არ გამოუყოლებია), აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება ჩაითვალოს ფიზიოლოგიურად, მაგრამ ხელოვნურ კვებაზე გადაყვანის შემდეგ, ლორწო უნდა გაქრეს. ამჟამად პატარას პერიოდულად ესაჭიროება ის ფერმენტული და ბაქტერიული პრეპარატები, რაც პედატრმა დაგინიშნათ.

**კითხვა: მყავს ორი ვაჟი. უფროსს (რომელიც 17 წლისაა) ძალიან უყვარს ტკბილეული. თუ სახლში კანფეტი არ გვაქვს – ეს მისთვის ტრაგედიაა. წამიკითხავს, რომ ბევრი ტკბილის ჭამა კარგი არ არის. უმცროს ვაჟს, პირიქით, მარილიანი უყვარს. საჭმელს გემოს გაუსინჯავად აყრის მარილს. იქნებ ჩემს შვილებს დარღვეული აქვთ ჯანმრთელობა?**


პასუხი: თუ ტკბილის (ნახშირწყლების) სიჭარბე უფროს ვაჟში იწვევს არ აისახება მის წონაზე – არ სუქდება, ეს იმას ნიშნავს, რომ საკვებით მიღებულ ენერგიას ბავშვი ხარჯავს, მაგრამ თუკი იგი წონაში მატულობს, აუცილებლად უნდა აჩვენოთ ენდოკრინოლოგს.

რაც შეეხება უმცროსს – სერიოზულად მიუღებთ ამ პრობლემას. მარილის სიჭარბემ ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს ჰიპერტენზია (წნევის მომატება), ენდოკრინული დარღვევები და შედეგად – ჰიპერტონიული დაავადება. ნუ გააღიზიანებთ ორგანიზმს. იგი არ გააბატონებთ დაუღვევარ დამოკიდებულებას საკუთარ თავთან. იქონიეთ ზომიერების გრძობა ნებისმიერ შემთხვევაში.

**კითხვა: ვიყავი ექიმთან, მან გამიწავა, ავადმყოფობის ისტორიაში რაღაც ჩანაწერები გააკეთა. დამინიშნა მკურნალობა, მაგრამ დიაგნოზი არ მითხრა. არც ისტორია მომცა. აქვს თუ არა ექიმს დიაგნოზის დამალვის უფლება?**

პასუხი: ექიმმა შეიძლება არ გითხრათ დიაგნოზი, თუ თქვენ ამას არ მოსთხოვთ. მას არ აქვს უფლება, დაგეგმოს, რა დაავადება გაწუხებთ. შესაძლოა, ექიმი ბოლომდე არ იყო გარკვეული თქვენს დიაგნოზში და არ გააცნოთ იგი დაზუსტებამდე. არის სიტუაცია, როცა ექიმი სვამს განუკურნებელი დაავადების დიაგნოზს და ავადმყოფის მოფრთხილების მიზნით არ უმხელს მას. თუ პაციენტს მაინც აქვს სიმართლის შეტყობის სურვილი, მას შეუძლია სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელობას მიმართოს.

# დიასახლისის კუთხა



● თუ გსურთ, რომ მწვანელი ახლად გამოიყურებოდეს, არ გარეცხოთ, ჩაღეთ მინის ქილაში, დაახურეთ პოლიეთილენის თავსახური და დადგით მაცივრის ქვედა თაროზე.

● რამდენადაც შესაძლებელია, უნდა შეზღუდოთ ჰაერის შეღწევა იმ ჭურჭელში, რომელშიც საჭმელი იხარშება.

● საჭმლიანი ქვაბი ცეცხლზე ზედმეტად არ უნდა გააჩეროთ.

● ერიდეთ საჭმლის მომზადებას 2-3 დღისათვის. გაცხელება ვიტამინების შემცველობის დაქვეითებას იწვევს.

● წვნიანის მომზადების დროს ბოსტნეული უნდა ჩაყაროთ ადუღებულ წყალში.

● ბოსტნეული ქვაბში ჩაყრის წინ მოამზადეთ. თუ დრო ვერ გამოზომეთ, გაფქვნილი კარტოფილი შეინახეთ ცივ წყალში, ბოსტნეული – თავდახურულ ჭურჭელში.

● გაზქურის ხმარების დროს მნიშვნელოვნად იზრდება ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობა ბინაში. ელექტროგამწოვი მხოლოდ ნაწილობრივ ასუფთავებს ჰაერს. უკეთესია, სანამ გაზი ანთია, ღია იყოს სარკმელი. დღის მანძილზე 2-3-ჯერ კარგად გაანიავეთ სამზარეულო.

● კარტოფილის ცივ წყალში მოხარშვისას იკარგება C ვიტამინის 40%, თუ მას პირდაპირ ცხელ წყალში ჩაღებთ და ისე მოხარშავთ, იკარგება მხოლოდ 10%. მიზანშეწონილია კარტოფილის მოხარშვა ორთქლზე.

● ბოსტნეული მოხარშვის დროს დააწყვეთ გახურებულ ცხმიან ტაფაზე და სწრაფად მოურიეთ. ცხიმის გარსი დაიცავს მას ჰაერის ფანგბადთან შეხებისგან და შეინარჩუნებთ ვიტამინებს.

● გაყინული ხორცისგან რომ გემრიელი კერძი მომზადდეს, საჭიროა, დაიცვათ მისი გაღებების რეჟიმი. არ მოათ-

ავსოთ ხორცი გამდინარე წყლის ქვეშ. დადეთ ლანგარზე და ოთახის ტემპერატურაზე თავისით უნდა გაღვდეს. ასეთ დროს ხორცი იბრუნებს პირვანდელ სახეს.

● მაცივრის საყინულე განყოფილებაში პროდუქტებს ხშირად ვინახავთ პოლიეთილენის პაკეტებში. მხედველობაში მისაღება ის ფაქტი, რომ ხორცისა და თევზის შენახვისას წარმოქმნილ წყლის ორთქლს პოლიეთილენის პარკი ცუდად ატარებს. ამის გამო პროდუქტებს უზინდება უსიამოვნო სუნი. უმჯობესია, პროდუქტი შევინახოთ ალუმინის ფოლგაში, გასაწილულ ან სქელ ქაღალდში გახვეული.

## იახნი

1,5 კგ ხორცი, 0,5 კგ ხახვი, 1 ჭიქა დარჩეული ნივთი, 100 გ ნიორი, 0,5 ჭიქა ხმელი ქინძი, 0,5 ჭიქა ზაფრანა, შავი პილპილი, მარილი გემოვნებით.

ავიღოთ 1,5 კილოგრამი მსუქანი ხორცი (შეიძლება ძვლიანიც), დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, დავასხათ წყალი ისე, რომ ხორცი კარგად დაფაროს და ვადუღოთ. დუღილის დროს ქაფი მოვხადოთ, შუა ხარშვაში ხორცს დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და ნივთი, რომელიც ზაფრანით, შავი პილპილით, ხმელი ქინძით და მარილით არის შეზავებული, ნიორი დავუმატოთ ქურიდან გადმოღვმისას.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

## ჩირბული ნიორ-მკავეთი

10 ცალი კვერცხი, 50 გ ხახვი, 100 გ ერბო, 25 გ მჭადის ფქვილი, 1/4 ჩაის კოვზი ტყემლის საწებელი, მარილი და ნიორი გემოვნებით.

წვრილად დაჭრილი ხახვი და ერბო ერთად ვხრაკოთ, დავუმატოთ გაცრილი მჭადის ფქვილი, განვავრძოთ ხრაკვა, ვეცადოთ, ფქვილი არ დავწვათ; დავასხათ ნახევარი ლიტრი წყალი, მოვაყაროთ მარილი, დავუმატოთ ნიორი და ტყემლის საწებელი.

სუფრაზე მივიტანოთ ცხლად.

## ბაქლაგა

2 ცალი კვერცხი, 850 გ შაქარი, 1 კგ კარაქი, 350 გ წყალი, ფქვილი – რამდენსაც შეიზელს, 500 გ გარჩეული, კანგაცილილი თხილი ან ნივთი.

2 ცალი კვერცხი და 100 გ შაქარი კარგად ავთქვიფოთ, ჩავასხათ 250 გ

თხილი წყალი და 200 გ გამდნარი (ადუღებული) კარაქი, კარგად ავურიოთ, პურის ფქვილი ვინმაროთ იმდენი, რამდენსაც შეიზელს (ისე, რომ საშუალო ზომისა და სისქის ცომი მივიღოთ).

ცომი გავყოთ 30 ნაწილად, გავაბრტყელოთ თითოეული პატარა ფენად; მოსაფრქვევად ვინმაროთ პურის ან, უმჯობესია, კარტოფილის ფქვილი, ფენასა და ფენას შუა დავატანოთ თეთრი ქაღალდი. ზემოდან დავაფაროთ ჩაის ტილო და გავაჩეროთ თბილ ადგილას 10-15 წუთს.

ხორცსაკეპ მანქანაში გავატაროთ გამზადებული თხილი ან ნივთი, დავუმატოთ 600 გ შაქარი და კარგად ავურიოთ.

მოვამზადოთ ალუმინის ტაფა, მოვასხათ კარაქი, გამზადებული ფენები გავაბრტყელოთ (ხელით გავწიოთ) ტაფის ღონეზე, მოვასხათ კარაქი. ასე გავიმეოროთ ხუთ ფენამდე. ხუთი ფენის მერე კი მოვასხათ კარაქი და მოვაყაროთ გამზადებული თხილიც, ხოლო ბოლო ხუთ ფენაზე მარტო კარაქი მოვასხათ, გარდა სულ ზედა ფენისა.

შემდეგ დავჭრათ, ზემოდან მოვასხათ გამდნარი კარაქი, შევდგათ ცხელ ღუმელში და გამოვაცხოთ საშუალო სიმწურვალის ცეცხლზე (20-25 წუთის განმავლობაში). როცა გამოვიღებთ, ზემოდან მოვასხათ დადუღებული ცივი სიროფი.

სიროფის მომზადება: 150 გ შაქარი და 100 გ წყალი ავადუღოთ კარგად 10-15 წუთის განმავლობაში და გავაციოთ.

## ძალიანი ქათამი

1 ცალი დიდი ქათამი, 150 გრამი ხახვი, 1 ჭიქა ნივთი, 1 ჭიქა ბრინჯი, 0,5 სუფრის კოვზი სისამი, 0,5 ჭიქა ხმელი ქინძი, 25 გრამი ნეღლი ქინძი, 1/4 ჭიქა ზაფრანა, 1 თავი ნიორი, შავი პილპილი და მარილი გემოვნებით.

კარგად გასუფთავებული და გარეცხილი ქათამი დავჭრათ, ჩაყაროთ ქვაბში, დავასხათ წყალი და ვადუღოთ, ნახევრად მოხარშულ ქათამს დავუმატოთ 150 გრამი წვრილად დაჭრილი ხახვი, გატარებული ნივთი (შეზელებილი ნახევარ ჭიქა ზაფრანასთან), 1 ჭიქა დარჩეული და გარეცხილი ბრინჯი და ნელ ცეცხლზე ვადუღოთ; ცეცხლიდან გადმოღვმისას ჩავუმატოთ ხმელი ქინძი, სისამი, ნეღლი ქინძი, შავი პილპილი, გატარებული ან როდინში დანაყილი ნიორი და მარილი თქვენი გემოვნებით.



ხელოვნური კბილები, ყბებიც კი, მინის თვალები და ფეხის პროთეზიც ჯერ კიდევ უძველეს დროში ყოფილა. ისინი მეტ-ნაკლები ხარისხით ცვლიდა ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილს, მაგრამ ისეთი მრავალფუნქციური კიდური, როგორიცაა ხელი, ანტიკურ ხანაში ვერ შეუქმნიათ. მის ნაცვლად, ხშირად უბრალოდ კავს აკეთებდნენ.

ხელის პირველი პროთეზი, რომლის თითებიც კი ოდნავ მოძრაობდა, 1509 წელს გერმანელ რაინდს გეტც ფონ ბერლი ხინგენს გაუკეთეს და სწორედ ამის გამო შეარქვეს რკინის ხელი. თუმცა, პროთეზირების ნამდვილ მამამთავრად მაინც ფრანგი ამბრუაზ პარე ითვლება.

ქალაქ ლავალში მცხოვრები ლაქიის შვილს სამედიცინო განათლება არ მიუღია. თავისი კარიერა პარემ დალაქთან შეგირდად ყოფნისას დაიწყო – რაც იმ დროს ქირურგობასაც ნიშნავდა. 1536 წელს პარე, როგორც ექიმი ომში გაემგზავრა და ცხრა წლის შემდეგ დიდი სახელიც იმით მოიხვეჭა, რომ რევოლუცია მოახდინა საველე ქირურგიაში. იმ დროს უტყუარ ჭეშმარიტებად ითვლებოდა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად ადამიანის სხეულში ჩნდებოდა რაღაც შხამი, რომლის გაქრობა მხოლოდ აღუდებული თხმელის ფისით იყო შესაძლებელი. ასეთი მკურნალობის შედეგად დაჭრილები ხშირად, ტკივილით მიყენებული შოკისგან იღუპებოდნენ.

ერთხელ პარეს, ბრძოლის დროს, ეს ფისი გაუთავდა და მან ჭრილობების დამუშავება, რისკისა და შიშის ფასად, მის მიერვე შექმნილი, კვერცხის გულის, ვარდის ზეთისა და სკიპიდარის ნაზავით სცადა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ჭრილობაში არანაირი შხამი არ ყოფი-

ლა და მისი მოშუშებაც ძალზედ სწრაფად ხდებოდა.

მეორე გადატრიალება პარემ ამპუტაციის სფეროში მოახდინა. მაშინ სისხლის შესაჩერებლად, ტაკვი აუცილებლად უნდა მოეწვათ, პარემ კი ჩალიჩის („ჟგუტის“) შემოჭერა სცადა. ჰუმანური ექიმის სახელი ფართოდ გავრცელდა და 1554 წელს, კონსერვატიული სორბონის წინააღმდეგობის მიუხედავად, პარე წმ. კოსმას სამედიცინო კოლეგიის წევრი გახდა.

დასტაქარმა ლათინური არ იცოდა და თავისი მკურნალობის მეთოდებს პოპულარიზაციას ფრანგულ ენაზე დაწერილი წიგნებით უწევდა. ექიმისთვის შეუფერებელმა ამ გაუგონარმა მკრეხელობამ ოფიციალურ მედიცინასთან მისი კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა, მაგრამ ამავე დროს, მის შემდგომ პოპულარობასაც შეუწყო ხელი. ბოლოს და ბოლოს, პარე მიყოლებით, რამდენიმე ფრანგი მეფის პირადი ქირურგი გახდა, ესენი იყვნენ: ანრი II, ფრანცისკ II, შარლ IX და ანრი III. პარეს ბევრი უსიამოვნება ხვდებოდა სარწმუნოების გამოც: ის ჰუგენოტი იყო და 1572 წლის ბართლომეს ღამეს ექიმი მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩა, რომ მეფემ თავისი საძინებლის საწოლქვეშ დამალა.

მას სამხედრო ექიმობიდან სამოქალაქოდ ქცევის შემდეგაც არ მიუტოვებია ექსპერიმენტები: მან გამოიგონა ხაზვის ნაზარშით ინფიცირებული დამწვრობის

მკურნალობის მეთოდი, ისწავლა თიაქრის იმგვარად ამოჭრა, რომ პაციენტი არ დაესაჭურისებინა, როგორც ეს მანამდე ხდებოდა. გამოიგონა მოტეხილობის სამკურნალო არტაშანი და უამრავი სხვა რამ. და მაინც – მისი მთავარი მიღწევა ხელის პროთეზი იყო.

თავდაპირველად პარემ გადაწყვიტა, რომ რაკილა შეუძლებელია ბუნებას აჯობო, საჭიროა ხელის უმნიშვნელოვანესი ფუნქციების იმიტირება. მაგალითად, დახეიბრებული გადამწერისთვის მან გააკეთა პროთეზი, რომელსაც კალმის სპეციალური დამჭერი ჰქონდა. თუმცა ცხოვრების ბოლოს დასტაქარი შეიპყრო ფიქრმა ხელის ყველა ფუნქციით აღჭურვილი მექანიზმის შექმნის შესახებ. მან ყურადღებით შეისწავლა ხელის მტევენის ანატომია და მექანიკის თანადროულ მიღწევებზე დაყრდნობით დაამზადა ხელოვნური ხელი, რომლის თითები ცალ-ცალკე მოძრაობდა, რასაც პარემ მიკროსკოპული კბილანებისა და ბერკეტების ურთულესი სისტემის მოქმედებით მიაღწია.

ექიმს ჰქონდა საყვარელი გამოთქმა: „კურნავს ღმერთი – მე მხოლოდ ჭრილობის გადახვევის ფუნქციას ვასრულებ“. მაგრამ პროთეზირების სფეროში, ის უდავოდ თვით შემოქმედს გაეჯიბრა. ■

სურამიშვი: (მარცხნიდან) რკინის ხელად წოდებული რაინდის – გეტცის პროთეზი; ამბრუაზ პარეს მიერ დამზადებული ხელოვნური ხელი; თანამედროვე პროთეზი

# საზღაური ანუ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური სოჯასო პროცესი

1988 წლის ზამთარში ქალის დღიურში ასეთი ჩანაწერი გაჩნდა: „ვერ გამოგია, რა მემართება — მოახლოებული საშინელი კატასტროფის შეგრძნება არ მასვენებს; თითქოს რაღაც ურჩხული მიახლოვდება, რომელიც აი, ახლა დამძვგერება და ნაფლეთებად მაქცევს“.

ტრაგედია რომ დატრიალდება, გლორია ვანდერბილტის ადვოკატები სასამართლოში უჩივლებენ სამ ასტროლოგს, რომლებიც ოფიციალურად მსახურობდნენ ქალთან და მათი კლიენტისთვის იმ ასტრონომიული თანხის დაბრუნებას მოითხოვენ, რაც გლორიას მათთვის ყალბ წინასწარმეტყველებათა საფასურად გადაუხდია.

... „შენ ყველაფერში მშვიდად უნდა გაერკვე, რაციონალურად განიხილო შენი სულიერი მდგომარეობა. აბა, გლორია, კაცი არა ხარ?!“ — ქალი თავის გამხრევებას ცდილობდა ჩვეული ფრაზით, რომლის გამოერებასაც, გაჭირვების ფაშს, უხსოვარი დროიდან იყო შეჩვეული. მაგრამ ამჯერად არაფერი შეელოდა: გული რაღაც უზომოდ ჰქონდა დამძიმებული და მას მანამდე შეუცნობი ნაღველი სტანჯავდა. ის მანჰეტენზე, თავისი ბინის აივანზე იჯდა მე-14 სართულზე და ჩამავალი მზით განათებულ მდინარეს გაჰყურებდა. მოწმენდილ ცაზე შევეულმფრენი გამოჩნდა, რომელიც რატომღაც ძალზედ დაბლა მიფრინავდა. „ის ახლა მიწას დაენარცხება!“ — გაუელვა ქალს და ის შურდულივით შევარდა ოთახში. ფარდა რომ მისწია, სარკეში ჩაიხედა და საშინელი გრძობისგან დამანჭული სახე დაინახა. „ჩანს, სიბერის ყამს ექიმთან წასვლა მომიწევს! არადა, ვინ დაიჯერებს, რომ გლორია ვანდერბილტს წუწუნის საბაბი შეიძლება ჰქონდეს?!“

გლორია ვანდერბილტმა მართლაც, ცხოვრება შესწირა იმას, რომ გარშემომყოფთ მისთვის შურის თვალით ეცქირათ. გამოუვიდა კიდევ: ყველას ეგონა, რომ მას მხოლოდ ციდან მთვარის ჩამოღება თუ აკლდა — დანარჩენი ყველაფერი ჰქონდა. 64 წლის ასაკში ის 40 წლისას ჰგავდა. მას კაბაში გამოწყობილ კორნელიუსს ეძახდნენ: ამით მიანიშნებდნენ მსგავსებას მის წინაპართან, კორნელიუს ვანდერბილტ-

თან — ჰოლანდიდან ჩამოსულ იმიგრანტთან, რომელმაც 1877 წელს განუტევა სული და ნათესავებს 100 მლნ დოლარიანი კაპიტალი დაუტოვა, ამერიკას კი — რკინიგზებისა და გემების კომპანიების ქსელი, მონუმენტური სახლები მანჰეტენზე, მის მიერ დაფუძნებული უნივერსიტეტები და მისი ფულით ნაგები ეკლესიები. ამბობდნენ, რომ თავისი ლეგენდარული წინაპრისგან გლორიას მემკვიდრეობად გადაეცა სხვების გრძობებისა და ინტერესების იგნორირების უნარი და, რასაკვირველია, ფულის შოვნის შესაშური ნიჭი.

ის 21 წლის იყო, როცა თავისი მამის, რეჯინალდ ვანდერბილტის მიერ დატოვებული ხუთმილიონიანი ქონების განკარგვის საშუალება მიეცა და მაშინვე გადაწყვიტა, რომ სულ ცოტა, უნდა გაეორმაგებინა იგი. ამ მიზანს მან წარმატებით მიაღწია, მაგრამ არა ზოგიერთივით „მოხერხებული“ ქორწინების გზით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალისხმევის წყა-

რეჯინალდ ვანდერბილტი და გლორია მორგანი ქორწინებამდე, 1923 წ.



გლორია ვანდერბილტი

ლობით. ნიუ-იორკში სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ის მოღურმა დიზაინმა გაიტაცა და მალე რამდენიმე საკმაოდ ლამაზი სამკაული შექმნა. 1977 წლისთვის მან კარგად გაიცნობიერა, რომ მთავარი კაპიტალი სახელია და ის კომპანია MURJANI-ს, ჯინსების ახალი კოლექციისთვის მიჰყიდა. ეს იდეა არაჩვეულებრივად მომგებიანი აღმოჩნდა: ამერიკული ყურისთვის მაგიური სახელით — VANDERBILT — გამოსული ჯინსები „ლევისის“ ჯინსზე ორჯერ ძვირად იყიდებოდა. სახელის ჯადოსნური გავლენა ამის შემდგომ, სამკაულებზე, სუნამოზე, სათვალეზე გავრცელდა და ყველა ეს ნაწარმი უპოპულარულესად აქცია ამერიკულ ბაზარზე, გლორია ვანდერბილტი კი, მოღური დიზაინერი და ქვეყანაში ერთ-ერთი უმდიდრესი ქალი გახდა.

გლორიას პირადი ცხოვრებაც ბევრისთვის შურის საგნად იქცა. მის ზურგს უკან სულ იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ გლორიასნაირი მძიმე ხასიათისა და ფრიგილული გარეგნობის ქალისთვის, 4 ქმრის „შოვნა“ ნამდვილი ფუფუნება იყო... მისი პირველი ქმარი ბოჰემური ყაიდის ბრუკლინელი უსაქმური პასკალე დე



გლორია მორგან ვანდერბილტი (მარჯვნივ) და მისი გყუპისცალი გელმა, 1935 წ.

ჩიკო იყო. მათი შეუღლებისას გლორია 17 წლის იყო, ამიტომ ამ ქორწინების სერიოზულად განხილვა არც ღირს. გაცილებით მნიშვნელოვან მოვლენად შეფასდა მისი თითქმის ათწლიანი კავშირი გამოჩენილ ღირიჟორ ლეოპოლდ სტოკოვსკისთან, რომელიც თითქმის 42 წლით უფროსი იყო გლორიაზე. მიუხედავად ამისა, ბერიკაცი ძალზედ „ცელქი“ აღმოჩნდა: ქალს, ბოლოს და ბოლოს, მობეზრდა 70 წლის ქმრის გაუთავებელი რომანები და გატაცებები და ისინი ერთმანეთს დასცილდნენ. რეჟისორი სიდნეი ლიუმეტი, რომელმაც ვანდერბილტს კინემატოგრაფიული და სათეატრო ბოჰემის სამყარო გადაუშალა, ქალს იმის გამო გაეყარა, რომ ვერა და ვერ ააწყო ურთიერთობა მის ორ მოზარდ ვაჟიშვილთან. მეოთხე ქორწინება ძალზედ იშვიათად ყოფილა ილბლიანი, მაგრამ გლორიას შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა: 1963 წელს ის ცოლად გაჰყვა მწერალსა და სცენარისტ უეიტ კუპერს, თითქმის 15 წელიწადი იცხოვრა მასთან ტკბილად და კიდევ ორი ბიჭი – კარტერი და ანდერსონი გააჩინა. მას ბოლომდე, ფარულ სიამოვნებას ანიჭებდა იმის შეგნება, რომ ქმარს არა მისმა „საშინელმა“ ხასიათმა,

არამედ სიკვდილმა დააშორა: ბოლოს და ბოლოს, მან ყველას დაუმტკიცა, რომ ცოლობაც საუცხოო შეეძლო – ისევე, როგორც სხვა ყველაფერი...

და აი, ახლა, როცა თითქოს შეეძლო, მშვიდად ეცხოვრა და თავისი სიმდიდრით დამტკბარიყო, ამჟამად რაღაც სჭირდა... და მაინც – რა? რატომ არის, რომ არა და არ ასვენებს კარტერის სულელური სიზმარი, რომელიც შვილმა რამდენიმე დღის წინ მოუყვა? გლორია ხვდებოდა, რომ კარტერი ძალიან დათრგუნვილი იყო ამ სიზმრის გამო, თუმცა ამისთვისაც ახსნა ვერ მოეძებნა. ნაზი და ნებიერა უმცროსი ბიჭის – ანდერსონისგან განსხვავებით, მისი საყვარელი შვილი – კარტერი, გლორიასავით მტკიცე ხასიათის, მიზანსწრაფული და გონიერი იყო და კარგად იცოდა, რა სურდა ამ ცხოვრებაში. სულ ცოტა ხნის წინ პრინსტონის უნივერსიტეტი დაამთავრა და 23 წლისა უკვე თანამშრომლობდა ჟურნალთან AMERICAN HERITAGE... საინტერესოა, კიდევ თუ დადის ხოლმე მძინარე: ბავშვობაში კარტერს ლუნატიზმი სჭირდა... მისი სიზმარი კი... ბიჭს რატომღაც ბებიამისი დაესიზმრა, გლორიას დედა – გლორია მორგან ვანდერბილტი... თავიდან ფეხებამდე თეთრებში იყო გამოწყობილი, ხელში სანთელი ეჭირა; შვილიშვილს მიუახლოვდა და უცნაური რამ უთხრა: „მალე ყველაფერი აღსრულდება“, შემდეგ კი სანთელი ჩააქრო. საინტერესო ის იყო, რომ მას არასოდეს უნახავს შვილიშვილი: კარტერის დაბადებიდან ძალიან მალე გარდაიცვალა და ბიჭს ბებიამისი მხოლოდ სურათებზე ჰყავდა ნანახი. თვითონ გლორია კი დედასთან კი არა, მამიდასთან – ჰერტრუდა უიტნისთან (ქალიშვილობაში – ვანდერბილტთან) იზრდებოდა.

გლორიას დედას, ქარაფშუტა ქალბატონს მუდამ მხოლოდ საკუთარი თავი, საკუთარი გარეგნობა და რომანები აინტერესებდა, ამიტომაც იყო, რომ ქალიშვილს ვერასდროს გამოენახა მასთან საერთო

ენა და მათი ურთიერთობა ცხოვრების ბოლომდე ცივი და დაძაბული რჩებოდა.

კარტერის სიზმარმა მოულოდნელად უამრავი ფიქრი გაუჩინა. უეცრად გლორიას გაახსენდა: როცა ათი წლის იყო, სწორედ დედამისმა უწინასწარმეტყველა, რომ ოდესმე დიდი უბედურება დაატყდებოდა თავს. მისის ვანდერბილტი საშინელმა შიშმა შეიპყრო: ვაითუ, დედამისის წინასწარმეტყველება მართალი იყო? თუმცა, მან უმაღლეს უკუაგლო ეს აზრი, როგორც სულელური ცრურწმენა. უბრალოდ, ასეთი იყო მათი ბედი: დედა-შვილს შორის სამუდამოდ გააფუჭა ურთიერთობა იმ საშინელმა სასამართლომ... ხალხი ლაპარაკობდა, რომ ეს საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი და სკანდალური საოჯახო პროცესი იყო. დავის საგანი თავად ის – გლორია გახდა. უცნაური ის იყო, რომ განვლილი წლების მანძილზე მას არც დრო აღმოაჩნდა და არც სურვილი, რომ გაერკვია, მაინც საკუთრივ რა მოხდა.

გლორია ვანდერბილტს ვერაფრით აეხსნა, მაინცდამაინც ახლა, ამდენი წლის შემდეგ რატომ აღეძრა ამ ყველაფერში გარკვევის მოთხოვნა. მან თავის ადვოკატებს სთხოვა, მოეძებნათ არქივში იმ სასამართლო საქმის მასალები, რომელიც შორეულ 1934 წელს გაიმართა. სულ 12 გაცვითლებული სქელი ტომი დაგროვდა. გლორია დამდამობით კითხულობდა მასალებს, რადგან დიდი ხანია, ქრონიკული უძილობა დასწრებდა. საქმის მასალებში ჩაღრმავებისას, მას უფრო და უფრო იპყრობდა საშინელების, აღშფოთებისა და დაგვიანებული მონანიების გრძნობა...

... ეს ამბავი 1922 წელს ნიუ-იორკში დაიწყო. თვრამეტი წლის მომზიბლავმა გლორია მორგანმა – ოდესღაც მდიდარი, იმ დროისთვის კი პრაქტიკულად გაკოტრებული ოჯახის შვილმა მიიღო ქარაფშუტა და თავის ქონების გამნიავებელი, თუმცა საკმაოდ კეთილი და წესიერი კაცის – 42 წლის რეჟინალდ ვანდერბილტის წინადადება და ცოლად გაჰყვა.

მის მორგანი ძალიან მოეწონა მომავალ დედამთილს – 80 წლის ლედი ვანდერბილტს – კორნელიუს ვანდერბილტ მეორის ქვრიუს, კლანის იმდროინდელ თავკაცს, მკაცრსა და უდრეკ ქალბატონს. ლამაზად



წლინახევრის უმცროს გლორიას ეს-  
საა მამა გარდაეცვალა

ჩაცმულ-მორთული, შიშისაგან აკან-  
კალებული გლორია მომავალი დე-  
დამთილის სახლში მიიყვანეს. მა-  
შინ ვანდერბილტებს მენსუთე ავე-  
ნიუზე დიდი სახლი ჰქონდათ, რომ-  
ლის უზარმაზარი შავი ჭიშკარი  
ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკს  
უყურებდა. მისის ვანდერბილტმა  
შვილი და სარძლო, შავი ხავერ-  
დით გაწყობილ თავის პირად სას-  
ტუმრო ოთახში მიიღო. გლორიას  
მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭ-  
და კონტრასტი სიფრიფანა ქანდაკე-  
ბასავით პატარა ქალბატონსა და  
იმ ვეებერთელა სახლს შორის,  
რომელსაც ის მართავდა, მის მელო-  
დიურ ხმასა და საოცრად ახალ-  
გაზრდა თვალების მეტისმეტად  
მტკიცე, გამჭოლ მზერას შორის...

ორწელიწად-ნახევრის შემდეგ  
რეჯ ვანდერბილტი გარდაიცვალა  
და ახალგაზრდა ცოლი და წლი-  
ნახევრის ქალიშვილი — ასევე  
გლორია დატოვა. მოხუცებული  
ქალბატონი, მშრალი თვალებითა და  
უზადოდ ჩაცმული, გარდაცვლილი  
შვილის საძინებელი ოთახიდან გამ-  
ოვიდა, სასტუმრო ოთახის კუთხე-  
ში მიყუჩული მოსლუკუნე რძალი  
დაინახა, მასთან მივიდა და საყვე-  
დურით სავსე ხმით უთხრა: „ძვირ-  
ფასო, დაიმახსოვრეთ ერთი რამ:  
არავინ და არაფერი ამ ქვეყანაზე  
თქვენი ცრემლების ფასი არ არის.  
ისწავლეთ მხოლოდ საკუთარ თავზე

ფიქრი — ეს სხვებისთვის დახმარე-  
ბის გაწევის საუკეთესო საშუალე-  
ბაა“.

ყმაწვილი გლორია მორგანი ჯერ  
არ იყო 21 წლის, რომ ოფიციალუ-  
რად თავისი ქალიშვილის მეურვედ  
და მემკვიდრეობად მისთვის კუთვ-  
ნილი ქონების განმკარგავად დაენი-  
შნათ, ამიტომ გლორიას დროებით  
მეურვედ დედამისი — ნენსი მორ-  
განი დანიშნეს, პატარა გლორიას  
კუთვნილი თანხით კი შეიქმნა სა-  
ტრასტო ფონდი, რომელსაც ვანდერ-  
ბილტების ადვოკატები უწევდნენ  
კონტროლს. ცოტა ხანში გლორი-  
ამ ბავშვს ხელი მოჰკიდა და ევრო-  
პაში გაემგზავრა, სადაც ცხოვრე-  
ბის უმეტესი ნაწილი გაატარა: პარიზ-  
ში მამამისი ცხოვრობდა, ლონდონ-  
ში კი — დედა და ორი და.

დროდადრო გლორია მორგან  
ვანდერბილტი გოგონას ამერიკაში  
— მამის ნათესავებთან სტუმრად ავ-  
ზავნიდა. მისი მშვიდი ცხოვრება  
ერთხელ შემაშფოთებელმა დეპეშამ  
დაარღვია: ქალიშვილი მძიმედ ავად  
არისო. ნიუ-იორკში სასწრაფოდ  
ჩასულმა გლორიამ შეიტყო, რომ  
გოგონა უკვე გაეწერათ საავადმყო-  
ფოდან და ახლა ლონგ-აილენდზე  
— მამიდამისის, ჰერტრუდა უიტნის  
(მამის ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე  
მდიდარი და გავლენიანი ქალბატო-  
ნის, 78 მლნ დოლარის ქონების მე-  
პატრონის) მამულში იმყოფებოდა.  
თურმე ეს ექიმის რჩევით გაუკეთე-  
ბიათ, რადგან დაა-  
ვადებით დასუსტე-  
ბულ გოგონას ორ-  
განიზმს ზღვის ჰა-  
ერი ესაჭიროებოდა.

... გულის სიდ-  
რმეში გლორიას არ  
უყვარდა თავისი ნა-  
თესავი ქალბატონი,  
რომელიც აღმერთებ-  
და თავის ძმას რე-  
ჯინალდს და დანახ-  
ვისთანავე შეიმუღა  
ჯერ კიდევ მომავ-  
ლი რძალი. მისის  
უიტნის უახლოეს  
გარემოცვაში შე-

უმცროსი გლორია  
(შუაში) თავის  
თანაგოლ მეგობარ-  
თან და მამიდასთან,  
ჰერტრუდა უიტნისთან,  
ამ უკანასკნელის  
მამულში ლონგ-  
აილენდზე

დიოდა მისი უერთგულესი ქმარი,  
რომელიც ხმის ამოღებასაც ვერ  
ბედავდა მეუღლის თანდასწრებით,  
შვილები და შვილიშვილები — პა-  
ტარა გლორიას თანატოლები.

ჰერტრუდა უიტნიმ თავაზიანად  
მიიღო გლორია მორგან ვანდერ-  
ბილტი — უფრო სწორად, ისეთი  
შეურაცხყოფელად თავაზიანი ფორ-  
მალურობით, რომ არათუ სადილად  
დარჩენა, არამედ ჭიქა ჩაიც კი არ  
შეუთავაზებია მისთვის. მან გაიმ-  
ეორა, რომ ექიმმა, ბავშვის ჯანმ-  
რთელობისთვის, მისი აქ ჩამოყვანა  
ურჩია. პატარა გლორიამ, გაიგონა  
თუ არა დედის ხმა, უნებართვოდ  
შემოვარდა სასტუმრო ოთახში და  
კისერზე ჩამოეკიდა უფროს გლო-  
რიას. „ძლიერ ემოციებს უნდა ავ-  
არიდოთ“, — გამაფრთხილებლად  
წარმოთქვა მისის უიტნიმ და ზარს  
შემოჰკრა. გაწვრთნილი მოახლე  
უმალ შემოვიდა და ძალით მოჰკლი-  
ჯა გლორია დედამისს. მამის უკვე  
8 წლის გოგონა ისტერიკულად  
ტიროდა, მაგრამ მოახლე არ შედრკა  
და თრევა-თრევეთ გაიყვანა იგი. „თა-  
ვად ხედავთ, ძვირფასო გლორია, რომ  
ბავშვი მეტისმეტად ნერვიულია“, —  
გაყინული ღიმილით აუწყა თავისი  
აზრი რძალს ჰერტრუდამ.

დასასრული იქნება








**რადიო-ლიტრაჟი**

ამინდის სითბური მახასიათებელი		საჭმლის საკაზმი მწვანელი		საერთო ევროპული ვალუტა	დღი მუსიკა ნაწარმ ორკესტრისათვის	კომპიუტერის საბეჭდი მიწეობილი			
						აზიის ყველაზე მაღალგზო. ქვეყანა			დღეების ფუნის ფუტემბელი
ფრენი მწერალი ნიხულის პრ. ლაურეატი									ერთიანი კამათელზე
კამბოჯის დედაქალაქი									
მარალმწევე				კავშირება-ბულობის ერთ-ერთი სახეობა					
						სნეულება დაქირავებული გაყიდველი			
ფურნალისტი გასამრჯელო					ფიტონციდებიანი მცენარე				
პეტრო-გენურის საწინააღმდეგო		რადიოთი გადაცემული ლეპეშა		მიმცრო ტანის მტაცებელი ცხოველი					ქართული ანბანის ასო
დიდი ფრინველი ფარფლების ოჯახისა					იტალიელი ფერმწერი 1489-1576	მწვე სუნის უფერო შხამიანი აირი	ცალკე ოთახი ან ბინა სასტუმროში		სტერეოს ანტი პოლი
						თავდა-ახნაურთა ერთ-ერთი უძველესი ტიპი	მზის ღმერთი ტეფეპტეში		
თეიმურის მღვარების განმსაზ. აპარატი		პურეულის საღეწი ადგილი		სიმინდის ყვავილედი	„მუღმივი ურია“				
					იფევა, რაც რეტრო-სპექტევა				
„8 1/2“ კინორეჟისორი		აფრიკული ანტილოპა							
თმის მოსაც-ილებელი ტალახი				სივარლის ღმერთი რომაულ მითოლოგ.	ქვემ გასაგები ტყავის საყენი				
თბილისის ძველი უბანი		კარ-მიდამო ლათინურ ამერიკაში							
	ღვინოების შესანახი კარადა	ქმრის და			სახელმწიფო ევროპაში				
					<b>შუადგინა რამაზ ალანიამ</b>				

მე-20 გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-გ.

# კვირის (20-26 აგვისტო) ასტროლოგიური პროგნოზი

## ღობო - 23/VII-23/VIII



ეს კვირა დამატებითი პასუხისმგებლობის ტვირთს მოგიტანს. ალბათ დაგაწინაურებენ კიდევ, თუმცა ამით საზრუნავი უფრო მოგემატებათ, ვიდრე სიხარული. ახალი მოვალეობების ათვისებასაც საკმაოდ რთულად მოახერხებთ. ცდა არ დააკლოთ, რომ ღირსეულად დააღწიოთ თავი ამ სიტუაციას.

## ქალწული - 24/VIII-23/IX



მეტისმეტად ანგარიშისა და ხელმძღვანელობის იქნებით, თანაც არა მარტო ფულის მიმართ, არამედ დროსთან მიმართებაშიც. ძალზედ დაწვრილებით დაგეგმეთ ყველა ხარჯსა და თითოეულ ნაბიჯს, იმისთვის, რათა, რაც შეიძლება მეტი სახსარი და დრო დაზოგოთ თქვენთვის საყვარელი ადამიანებისა და გართობისთვის.

## სასწორი - 24/IX-23/X



იმდენად გაბედულად და ენერგიულად გადაჭრით ნებისმიერ პრობლემას, რომ ვერაფერი დაგიდგებათ წინ. ამ კვირაში მხოლოდ ერთი საფრთხე გეპოქრებათ: ნაჩქარევი გადაწყვეტილებით საკუთარ ინტერესებს შეიძლება ავნოთ. ასე რომ, ყურადღებით იყავით!

## ღრიანკალი - 24/X-22/XI



რაც ნაკლებ საქმეს გააკეთებთ ორშაბათს, მით უკეთესი: ყველაფერი, ხელახლა გექნებათ გასაკეთებელი. სამაგიეროდ, საშბათის ფორტუნა თქვენკენ შემობრუნდება და ისეთ დღეს გაჩუქებთ, რომელიც ყოველგვარ წარმატებას მოგიტანს – ფინანსურსაც, საქმიანსაც და პირადულსაც. ამას შემდეგ ცხოვრება კვლავ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება.

## მშვილდოსანი - 23/XI-21/XII



ამ კვირაში არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობების შესრულება, არამედ რაღაც ძველი საოჯახო პრობლემის გადაჭრაც მოგიწევთ, რომელმაც საკმაოდ მწვავე ხასიათიც შეიძლება მიიღოს. სიძნელების დასაძლევად ოთხშაბათი და ხუთშაბათია ყველაზე შესაფერისი. ამის შემდეგ შეგიძლიათ მოეშვათ და ახლოებულ ადამიანებთან ერთად დაისვენოთ.

## თხის რქა - 22/XII-20/I




ეს კვირა უნიკალური იქნება თქვენთვის: ჩვეულებრივ, კოლექტივიზმის გრძობას მოკლებული, ამჯერად საუცხოოდ იმოქმედებთ გუნდთან ერთად და გარემოცვის სული და გულიც შეიძლება გახდეთ. ამ ათგან პირველი, უფროსობის კეთილგანწყობას მოგიტანს, მეორე კი – საყოველთაო აღტაცებას გამოიწვევს და ახალი რომანის საფუძველიც შეიძლება გახდეს.

## მკრნეული - 21/I-19/II




იმდენად გახსნილი, კონტაქტური, კეთილგანწყობილი იქნებით და იმდენად ადვილად გაუგებთ ნებისმიერ ადამიანს, რომ თავისუფლად შეიძლება თავი დაანებოთ სამსახურს და ფსიქოანალიტიკოსობას მიჰყოთ ხელი. ეს ნაბიჯი რომ გადადგათ, მაღლიერი ადამიანების მთელი არმია გაგიჩნდებათ.

## თევზები - 20/II-20/III



თუ აქამდე ვერ მიახერხეთ რაღაც მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაში ოჯახის წევრებისა თუ თანაშრომლების დარწმუნება, მაშინ კვირაში ამას აუცილებლად მოახერხებთ. ამჯერად, არა მარტო თქვენი პოზიციის ახსნას მოახერხებთ, არამედ დაარწმუნებთ კიდევ ყველას თქვენს სიმართლეში.

## მშვილდოსანი - 21/III-20/IV



ამ კვირაში უამრავი წვრილმანი საქმე და სხვადასხვა ადამიანთან შეხვედრა გელით. თუ არ გინდათ ამ ყველაფერმა დაგაბნियोთ, დიდ მიზნებს ნუ დაისახავთ და არც იმას ეცადოთ, რომ 2-3 ნაბიჯით შორს განჭვრიტოთ მოვლენები. რომანტიკული ურთიერთობებისთვის კვირა იქნება ყველაზე ხელსაყრელი.

## მშვილდოსანი - 21/IV-21/V



ძალზედ ინიციატივიანი, ენერგიული, მიზანდასახული და, ბოლოს, იღბლიანიც იქნებით. ამ ყველაფერთან ერთად, ინტუიციაც უტყუარად გიკარნახებთ სწორ გადაწყვეტილებას. ის პრობლემებიც კი, რაც ხუთშაბათს ან პარასკევს შეიძლება გაგიჩნდეთ, საბოლოოდ, სარგებლობას მოგიტანს.

## მარცხობი - 22/V-21/VI



ამ კვირაში ორშაბათი თქვენთვის ოთხშაბათს იქნება, მანამდე კი დასვენებას განაგრძობთ. სამაგიეროდ, შემდეგ ყველაფერი ერთბაშად მოგაწყვებათ – შეიძლება ყველა გეგმა აგერიოთ და სამსახურშიც გაგიჩნდეთ პრობლემები, რომელსაც კვირა დაღისთვის გაუშკლავდებით.

## მარცხობი - 22/VI-22/VII



იმის მოთხოვნა, რომ ყველას უყვარდეთ, პატივს გცემდეთ და ანგარიშს გიწვედეთ – თავისთავად ძალიან კარგია, განსაკუთრებით თუ ამ ყველაფრის საფუძველი გაქვთ. ამ კვირაში ეს მოთხოვნილება განსაკუთრებით იჩენს თავს თქვენში, თუმცა მისი დაკმაყოფილების საშუალებებსაც გამოიხატავთ. სასაცილო მხოლოდ ის არის, რომ სიყვარულისთვის ხელსაყრელია ოთხშაბათი, სამუშაოს შესრულებისთვის კი – შაბათი...

# უაბიქლიათ თუ არა სიმართლის მოსვენა?

ქვემოთ მოყვანილი ტესტი გერმანელი ფსიქოლოგების მიერ არის შედგენილი — მისი მეშვეობით გაარკვევთ, როგორ რეაგირებთ, როცა სიმართლეს პირში გეუბნებიან? ხანდახან ხომ ძალიან ძნელია მწარე სიმართლესთან შეგუება, უფრო ხშირად გვირჩვენია, რომ შეცდომაში შეგვიყვანონ, ვიდრე ჩვენთვის არასასურველ სიმართლეს მოვუსმინოთ და დავეთანხმოთ.



**1) წარმოიდგინეთ, რომ თქვენი ნაცნობი ქალი მეექვსედ აღნიშნავს თავის ოცდაათი წლის იუბილეს. როგორ რეაგირებთ ამაზე?**

- ა) ეს გასაკებია — მას ხომ ნამდვილი ასაკის დამალვა უნდა;
- ბ) სისულელეა — დროის შეჩერება შეუძლებელია;
- გ) პრინციპულად წინააღმდეგი ხართ ასეთი თვალში საცემი ტყუილის.

**2) წარმოიდგინეთ, რომ ეგზოტიკურ, უცხო ქვეყანაში იმყოფებით და აღმოსავლურ ბაზარში მოხვდით. გამ-**

**ოიჩნეთ თუ არა ინტერესს თქვენთვის უცნობი ნაწარმის მიმართ?**

- ა) იმდენად ცნობისმოყვარე არ ხართ, რომ ყველა უცხო ნივთით დაინტერესდეთ;
- ბ) უბრალოდ შეხედავთ და შეეცდებით მიხედეთ, რა არის;
- გ) სამახსოვროდ სხვადასხვა წვრილმან სუვენირს შეიძინებ.

**3) რას იფიქრებთ, თუ დაინახავთ, რომ ძველი, დანგრეული ტაძრის ეზოში ბავშვები ბურთს თამაშობენ?**

- ა) მშობლებმა ბავშვებს ასეთ ადგილას თამაშის უფლება არ უნდა მისცენ;

ბ) საჭიროა, ბავშვმა მშობლებისგან იცოდეს, რომ ძველი ნაგებობა ისტორიულ ფასეულობას წარმოადგენს;

გ) რატომაც არა? ბავშვები არიან და ერთობიან.

**4) თუ გაიგებთ, რომ რომელიმე ადამიანს შეუძლია თქვენი მომავლის წინასწარმეტყველება, დაინტერესდებით თუ არა ამით?**

- ა) არ გსურთ ვიღაცისგან რჩევა-დარიგებების მოსმენა;
- ბ) შეგიძლიათ მოუსმინოთ, მაგრამ ცხოვრების შესახებ საკუთარ შეხედულებებს არ შეიცვლით;
- გ) ძალიან გსურთ ყველაფერი დაწვრილებით შეიტყუოთ საკუთარი ბედისა და მომავლის შესახებ.

**5) რვა სხვით დამშ-**

**ვენებული მზე ბედნიერების მომტანი უძველესი სიმბოლოა. თუ ასეთი თილისმის ტარებას გადაწყვეტთ, რომელ ფერს ამჯობინებდით?**

- ა) ყავისფერს;
- ბ) მოყვითალოს;
- გ) მწვანეს.

**6) თუ გაქვთ საშუალება, რომ შეიტყუოთ, რამდენი წლის სიცოცხლე დაგრჩათ, გამოიყენებთ თუ არა მას?**

- ა) არა, ამ შემთხვევაში ცხოვრება აზრს დაკარგავდა;
- ბ) რაღაც მომენტში შეიძლება ამით დაინტერესდეთ კიდევ;
- გ) ძალიან მოხარული იქნებით, თუ ამის შეტყობას შეძლებთ.

**დათვალით, რამდენჯერ უასუსხით დადებითად ა) ვარიანტს, რამდენჯერ — ბ)-ს და რამდენჯერ გ)-ს.**

თუ თქვენს პასუხებში ა) ვარიანტი სჭარბობს, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ცხოვრებას თქვენთვის პრინციპით მისდევთ და მისი არსი შემდეგშია: „არ მაინტერესებს ის, რაც არ ვიცი“. ამით კი ძალიან ჰგავხართ სირაქლემას, რომელიც საფრთხის მოახლოებისას თავს ქვიშაში რგავს. ნუთუ არ გეშინიათ, რომ დროთა განმავლობაში შეიძლება ცხოვრების რეალური აღქმა დაკარგოთ?!

თუ უფრო მეტი ბ) პასუხი გაქვთ, ეს ნიშნავს, რომ ნორმალურად შეგიძლიათ აღიქვათ უსიამოვნო, მაგრამ სიმართლის შემცველი სიტყვები, თამამად შეგიძლიათ ცხოვრებისეულ უსიამოვნებებთან გამკლავება. თქვენი დევიზია: „აღამიანი არ შეიძლება ყველაფრის მცოდნე იყოს“, ამიტომაც ცხოვრებისეული გამოცდილებისა და სიბრძნის

შეძენაზე უარს არ ამბობთ.

თუ პასუხებში გ) ვარიანტი სჭარბობს, ე.ი. თქვენ ძალიან მკაცრი ხართ საკუთარი თავის მიმართ და „შიშველი სიმართლე“ — თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. თავად გამოთქვამთ სიმართლეს გარშემომყოფთა მიმართ და სხვებისგანაც მოითხოვთ, რომ სიმართლე შეულამაზებლად გადმოგცენ. ამ თვისების გამო თქვენი ცხოვრება საკმაოდ რთულად მიედინება, ახლობლებთან და მეგობრებთანაც ურთიერთობა გიჭირთ.

თუ რომელიმე ვარიანტის პასუხი მეტი არ არის დანარჩენზე და ყველა თანაბარი რაოდენობისაა, ე.ი. მერყევი ხასიათი გქონიათ, მაშასადამე, ყველა ვარიანტიდან ესა თუ ის ნიშნები განახსიათებთ.

# შემობხიანდით... ადბომში

ესპანელი ხოსე ხუან დე მადრიგოსი ენთუზიასტი ტურისტია: უკანასკნელი 8 წლის მანძილზე მან ოცზე მეტი ქვეყანა მოიარა, ასეულობით ქლაქი დაათვალიერა, მაგრამ ოდენ კულტურათა გაცნობა, ღირსშესანიშნაობათა ნახვა არ წარმოადგენს მის მიზანს, მადრიგოსის მთავარი სამიზნე – ადგილობრივი ლამაზმანები არიან. ყოველ ქლაქში ჩასვლისთანავე ის აუცილებლად ახერხებს მშვენიერ არსებასთან იმდენად დაახლოებას, რომ დღე-ღამეს მასთან ერთად ატარებს. იმის დასამტკიცებლად (ოლონდ, არ ვიცით – ვისთვის), რომ მიზანს მიაღწია ხოსე თითოეულ გოგონას პატარა კულულს აჭრის და შემდეგ, სპეციალური ალბომის ფურცელზე აწებებს. თანამედროვე ღონ-ჟუანს უკვე 5 ასეთი სქელტანიანი ალბომი დაუგროვდა.




## ქვედმოქმედება ბითუმად

კოლორადოს შტატის მკვიდრი ჯოვანი სინადინო რამდენიმე ავტოგასამართი სადგურის მფლობელია. შრომით დაღლილი, ყოველწლიურ შვებულებას ის სხვადასხვა ეგზოტიკური ქვეყნის დასათვალიერებლად იყენებს. აზია-აფრიკაში მოგზაურობისას, ჯოვანი განსაკუთრებით, ერთი პრობლემით – მათხოვრებით იყო შეწუხებული: როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ის ვერასდროს აუკლის გვერდს უპოვარს, იმ ქვეყნებში კი მათხოვრებს რა გამოიღვეს!... ერთხელ ჯოვანის საუცხოო აზრმა გაუელვა, თქმა და ქმნა ერთი იყო და მას შემდეგ მუდამ ასე იქცევა: სასტუმროდან გამოსული, პირველივე მათხოვარს ასდოლარიანს ჩაუკუჭავს ხოლმე ხელში და ყველა სხვა ხვეწნა-მუდარას, იმ დღეს, სინდისის ქენჯნის გარეშე ყურსაც აღარ უგდებს.

## 17 წელი უომაში

1984 წელს 28 წლის ინდოელმა კაილამ ჩანდრა კანუნგომ მძიმე ტრავმა მიიღო: კიბეზე ფეხი დაუსწლტა და საფეხურზე კეფით დაეცა. უკვე 17 წელიწადია, გონებადაკარგულ მდგომარეობაში იმყოფება. როგორც კანკუნგოს ცოლი კაბიტა ამბობს, ავადმყოფი ზოგჯერ თვალს ოდნავ ახელს ხოლმე, რაც იმის იმედს აძლევს, რომ მისი ქმარი ოდესმე მაინც დაუბრუნდება სიცოცხლეს. „ყველა ღმერთს ვევედრები ამას, ვისი სახელიც კი გამიგია. კაილამმა ხომ თავისი ქალიშვილი უნდა ნახოს!“ – გოგონა კანკუნგოს წვეილს უბედურების დღიდან სამ თვეში შესძენია.



**ქრისტიანი „გზა“ ახსნაღვს კონკრეტს „ორიგინალური რუბრიკა“**

ნავისმეორე შურნალისტს (არაშურნალისტსაც) შუაქლია წარმოადგინოს შურნალის გვირდის ან რუბრიკის ორიგინალური ვარიანტი. კონკრეტში გაბარჯივებულავი უზრუნველყოფილნი იქნებიან სტაბილური სასახურით (შესაძლებელია ერთჯერადი ანაღვლაურებაც). რუბრიკის იღვა და შინაარსი გთხოვთ წარმოადგინოთ წერილობით, რაღაქციაში, ან გაბარჯავნოთ „კვირის პალიტრის“ („ნიტყვა და საქმის“) საფოსტო მუთავის საშუალებით.

**ინფორმაციისთვის დარეკეთ: 33-50-32**

რედაქცია მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც ჩვენს განცხადებას გამოეხმაურა და ახალ წინადადებებსაც მადლიერებით მიიღებს.

# ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია • ფანტაზია

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის – „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვეს ბატონებმა მიხეილ სააკაშვილმა და ვანო ჩხარტიშვილმა.

**ვულოცავთ ბატონ მიხეილს და ბატონ ვანოს და ვუსურვებთ წარმატებებს!**

**ადრე მზა ჩრდილოეთიდან ამოდინოდა**

---

(მკითხველის გვარი, სახელი)

---

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გაგარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს. გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (21 აგვისტოს) 13 საათამდე.



„ფანტაზია“

ადრე მზე  
ჩრდილოეთიდან  
ამოდიოდა



„ფანტაზიორობა  
მკითხველი“

„გულახდილი  
დიალოგი“

618730

რეკლამა უნდა  
შეარჩიოთ  
სასურსათო  
კონსტიუციი  
გვ. 32

